

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი არნოდდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველური ენების განყოფილება

პაატა ცხადია

სამეგრელოს

გეობრაფიული

სახელწოდებანი

III (ხობის რაიონი. ქ. ფოთი)



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2007

უაკ (UDC)

ავტორს გადაწყვეტილი აქვს, "სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი" გამოსცეს რაიონების მიხედვით: პირველი ნაკვეთი მიეძღვნა წალენჯიხის რაიონს (2004 წ.), ოღონდ მასში შევიდა მხოლოდ ნარჩევი (როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური თვალსაზრისით) მასალა. მაგრამ სხვა რაიონების ტოპონიმია დაიბეჭდება სრულად – საკრებულოებისა და საკრებულოების შიგნით სოფლების მიხედვით. სამეგრელოს ყველა რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონების გამოცემის შემდეგ შესაძლებელი იქნება სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმთა რჩეულის გამოცემა.

სარედაქციო კოლეგია: მანანა ბუკია
აბესალომ ტუღუში
რევაზ შეროზია
მერაბ ჩუხუა (რედაქტორი)

რეცენზენტები: ანზორ სიჭინავა
გოგიტა ჩიტაია

© პ. ცხადაია, 2007

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2007

Tbilisi, 0179, i. WavWavaZis gamz. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge;

ISBN 978-99941-12-023-7

ამონარიდი ცნობილი გერმანელი
ქართველოლოგის - ვინფრიდ ზომედიჩის -
ბარათიდან

ძინოვასა და მონაპირს,
ყოველნაირ შემთხვევაში თქვენი სახელისა და ნიშნის
დასახელებას და თქვენი ნაყოფიერი აქტივობის
იმის მიუხედავად, რომ თანამდებობა
დავითა ვაპო საინტელექტუალური სფეროში
დავარდნისა და, თქვენი მოქმედების
იმპულსებს მნიშვნელოვნად, რომ
აქტივობის ეს თარიღები დასაწყისი და თანამდებობა
წინადადება უნდა იყოს წინადადება "ქვეყნის"
ქვეყნის და დასაწყისის წინადადება იქნება
დასაწყისის დასაწყისის დასაწყისის
დასაწყისის, რომელიც წინადადებას დასაწყისის
დასაწყისის დასაწყისის დასაწყისის -
დასაწყისის დასაწყისის დასაწყისის
დასაწყისის დასაწყისის დასაწყისის

"დასაწყისის" წინადადებას დასაწყისის დასაწყისის
დასაწყისის დასაწყისის დასაწყისის
დასაწყისის დასაწყისის დასაწყისის
დასაწყისის დასაწყისის დასაწყისის

3.IV. 2004

ხეობის რადიონის რუკა



წინასიტყვაობა

ცივილიზებულ ხალხებს კარგა ხანია მშობლიური ქვეყნის ძველი და ახალი ტოპონიმია დაწვრილებით აქვთ აღნუსხული, შესწავლილი (მონათესავე ენების ტოპონიმურ მონაცემებთან შედარებული) და ენციკლოპედიურ ლექსიკონებად თუ მონოგრაფიებად გამოცემული. საქართველოში კი ჯერჯერობით მხოლოდ საწყის ეტაპზე ვართ: ოდენ რამდენიმე მცირე რეგიონის (ხევის, ერწო-თიანეთის, მთიულეთ-გუდამაყრის, სამურხაყანოს) გეოგრაფიული სახელწოდებანი თუა სრულად შეკრებილი და გამოცემული. თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან 1969 წელს დაარსებული ტოპონიმის ლაბორატორია მწირი დაფინანსების პირობებში ზოგ რეგიონში მხოლოდ ტოპონიმთა წინასწარი (დაზვერვითი) აღწერით (ტოპონიმთა ნუსხის შედგენა სოფლების მიხედვით) შემოიფარგლა. ტოპონიმთა ლექსიკონი კი მხოლოდ მაშინ არის განსაკუთრებით ღირებული და ფასდაუდებელი, როცა თითოეულ ტოპონიმს, გარდა სახელდებული ობიექტის დასახელებისა, ახლავს ზუსტი გეოგრაფიული "მიბმა", ფონეტიკურ-სიტყვაწარმოებითი, ლექსიკური, მოტივაციური, ისტორიულ-ეთნოგრაფიული კომენტარები. სხვათა შორის, აუცილებელია გადააზრებისა და იმ ხალხური ეტიმოლოგიების წარმოდგენაც, რომელნიც ძალზე მიაშიტურია და გულუბრყვილო მსჯელობის კვალს ტოვებს.

ხობის რაიონი, შეიძლება ითქვას, "ოქრომრავალი კოლხეთის" ცენტრალური რეგიონია. მასზე გადიოდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი საწყლოსნო და სახმელეთო გზა: ფოთი → რიონი → ყვირილა → სურამის უღელტეხილი → მტკვარი → ირანი → ინდოეთი. აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის წერილობით წყაროებში ჯერ კიდევ ქრისტეს-შობამდე რამდენიმე საუკუნით ადრე მოიხსენიება კოლხეთი, ფასისი, აია... ხოლო შუა საუკუნეებში – ხობი, ხობის-

წყალი, ხორვა, ხორვისწყალი, ჭანისწყალი, კემხელი (იგივე ყულევი) და სხვ.

ხობის რაიონის მიკროტოპონიმია ბოლო ორი საუკუნის სოციალური ვითარების, სამეურნეო საქმიანობისა და ეთნოგრაფიული ყოფის ბევრ საინტერესო სურათს წარმოაჩენს. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე მომენტზე:

1. სოციალური უთანასწორობა შეიძლება აისახოს გზათა სახელებშიც: სოფ. ახალხიბულიდან ქ. ზუგდიდისაკენ ორი გზა მიემართება და ორივე გაივლის მდ. ჭანისწყლის ფონს. ერთ გზას ეწოდება **გლეხიშ შარა** "გლეხის გზა". იგი გადიოდა ღურწყაიას ფონზე და ამ გზით მხოლოდ გლეხები დადიოდნენ; მეორე გზა გადიოდა კიტიას ფონზე და ეწოდებოდა დადიანის გზა (**დადიანიშ შარა**). დადიანები გლეხებს არ აძლევდნენ ამ გზით სარგებლობის უფლებას.

2. XIX ს-ს დამლევსა და XX ს. დამდგეს კოლხეთში ხეტყის ჭრას შეუდგნენ ევროპელი მრეწველები, რომელთაც დაიწყეს არხების გაჭრა, ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა... ამან კი ხობის რაიონში დატოვა ტოპონიმები: **ნალინუ, ნაფრანცუ, ლემეციშ ნანთხორა...**

3. გასაბჭოების შემდეგ, კერძოდ, 30-იანი წლების დამდეგს, იქმნებოდა "ამხანაგობები", რომელთა მიზანი იყო ერთად შრომა. ამ ამხანაგობებს ერქვა იდეოლოგიურად "გამართული" სახელები: **ჭითა ჩხორია** "წითელი მზის სხივი", **გ.მათანე** "ცისკარი" და სხვ. ეს და მრავალი ამისი მსგავსი სახელი დღეს შერჩენია ამ ამხანაგობათა მიერ გაშენებულ ჩაის პლანტაციებს... ამავე პერიოდში გამოჩნდა ტრაქტორი. იმ ადგილს, სადაც ტრაქტორმა პირველად მოხნა მიწა, ბევრგან შერჩა სახელი **ნატრაქტორ**.

4. 30-იან წლებშივე დაიწყო კოლხეთის ჭაობების დაშრობა, გაითხარა როგორც დიდი (მაგისტრალური), ისე პატარ-პატარა არხები. მათ შერჩათ ევროპული თუ საბჭოთა კავშირის ტექნიკურ საშუალებათა – არხის მთხრელი ექს-

კავატორების სახელები: ლუბეკი, პრისმანია, ჩერბაკი... მართლაც რომ: ტოპონიმია ისტორიის მემატრიანია.

სამეგრელოს მთისა თუ ბარის, ქალაქისა თუ სოფლის, დასახლებული თუ დაუსახლებელი ადგილების ტოპონიმთა ჩაწერას დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ. შევეცადეთ, მოგვეძებნა მშობლიური მიწა-წყლის, კუთხე-გარემოს ყოველი გოჯი მიწის სახელების მცოდნე ხანდაზმულები... ზოგ შემთხვევაში ჩაწერილი მასალა 10-15 წლის შემდეგ გადავამოწმეთ და შევავსეთ. მიუხედავად ამისა, არაა გამორიცხული, ამა თუ იმ სოფელში აღმოჩნდეს ტოპონიმი, რომელსაც ვერ მივწვდით, რომელიც ვერ დააფიქსირა ჩვენმა კალამმა. არც ისაა შეუძლებელი, უკვე აღნუსხული და ღექსიკონში შეტანილი ტოპონიმის კომენტარები არ იყოს სრული, ან შეიცავდეს რაიმე სახის უზუსტობას... (განსაკუთრებით ხეთისა და ხამისკურის საკრებულოების მასალებში).

ყოველივე აქედან გამომდინარე, ვთხოვეთ ხობის რაიონის ტოპონიმით დაინტერესებულ პირებს, მოგვაწოდონ თავიანთი შენიშვნები. მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1, თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული "ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი".

საქმისათვის ასე სჯობია.

წინასწარ ვუხდით გულწრფელ მადლობას ყველას, ვინც გამოეხმაურება ამ თხოვნას.

პ. ცხადაია

10.08.07.

P.S. ზოგ შემთხვევაში ტოპონიმს ახლავს ბრჭყალებში ჩასმული ერთი ან რამდენიმე წინადადება, რაც წარმოადგენს ინფორმატორისეულ მოსაზრებას სახელწოდების წარმომავლობაზე და მოტივაციაზე.

ხობის რაიონი

ხობის რაიონი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია დასავლეთ საქართველოში (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში), შავი ზღვის სანაპიროზე. ესაზღვრება აღმ-ით – სენაკის რ-ნი, სამხრ-ით ლანჩხუთის რ-ნი (გურიის მხარე), სამხრ.-დას-ით ქ. ფოთი, ჩრდ-ით ზუგდიდის რ-ნი.

დღევანდელი ხობის რაიონის რამდენიმე გეოგრაფიული ობიექტის სახელი შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებიდანვეა ცნობილი. მათ შორისაა ორი მდინარე, რომლებიც სათავეს იღებენ ეგრისის ქედის სამხრეთი კალთებიდან: **ხობისწყალი** და მისი მარჯვ. შენაკადი **ჭანისწყალი**. არქანჯელო ლამბერტი, ეხება რა ამ მდინარეებს, მათი წარმომავლობის ახსნასაც ცდილობს. იტალიელი მისიონერი "სამეგრელოს აღწერაში" (დაისტამბა ნეაპოლში 1654 წ.) იმ საკითხსაც კი ეხება, ხობი თავდაპირველად ადგილის სახელი იყო თუ მდინარისა. ჩამოთვლის რა კოლხეთის მდინარეებს ფაზისიდან (ე.ი. რიონიდან) ჩრდ-ით, იგი წერს: "ტეხურს ანუ სიგამეს მისდევს ხობი, რომელსაც მკვიდრნი დღესაც მსგავს სახელს უწოდებენ – ხოფი. ეს მდინარე მეტად მდიდარია ნაირნაირი თევზით და ნავით სავალია იმ ადგილამდე, რომელსაც ჰქვია ხოფი. ამ ადგილის გამო თვით მდინარეს ეწოდება ხოფი. აქ არის ეკლესია, რომელიც წინად საეპისკოპოსო იყო" (ლამბერტი, 1991, გვ. 162). ჭანისწყალთან დაკავშირებით "სამეგრელოს აღწერის" ავტორი წერს: "**ხოფის** შემდეგ რომ მდინარეა, მკვიდრნი უწოდებენ მას ჭანისწყალს და რუკებზე კი იწერება Cianeo. ეს მდინარე მიერთვის ხოფს... ჩემის აზრით, ეს სახელი იმიტომ ეწოდება ამ მდინარეს, რომ მასთან მოდის სავაჭროდ თავისი პატარა ნაუებით და ჩერდება ერთი მეზობელი ხალხი, რომელსაც ჰქვია ჭანი" (იქვე, გვ. 164).

ხობისწყალთან დაკავშირებული ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: "დადიანი სანადიროდ იყო. ყულევიდან ნავით ამოჰყოლია მდინარეს და ერთგან ნაპირზე ამოსულა შესასვენებლად. ხობი ("ნიჩაბი") მზეზე გასაშრობად აუყუდებია. აქვე ახლოს ძველი შენობის ნაშთი უნახავს და უბრძანებია, ამ ადგილას მონასტერი ავაშენოთ. ამასობაში მდინარე აღიდებულა და ხობი წაუღია. დადიანს უთქვამს, ამ მდინარეს ხობი დაერქვასო".

XIX საუკუნის 40-იან წლებში დავით დადიანმა პირველმა განახორციელა ოდიშ-ლენსუმის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, კერძოდ, აღნიშნული ორი სამთაგრო დაყო რვა მაზრად. მათგან ერთ-ერთი იყო ზუბის მაზრა, რომელშიც შედიოდა სოფლები: ზუბი, ზენი, ქვალონი, საგვასალიო, ხორში, საგაბესკირიო, ახალდოხორე, ციხეთი, მეორე ხორში, მაცხოვრისკარი, საჩიჯავო, ზანა, საწულეისკირო, ეკი, იმანიერი, საფადავო, უფალკარი, უშაფათი, ლეძაძამე, ნასაჯოგუ, ფოცხო, მოხაში, ლესიჭინე, ოჩხომურისპირი, სააფაქიო ზანა (მეუნარგია, 1939, გვ.112).

1886 წლის კომლობრივი აღწერის მონაცემების თანახმად, დღევანდელი ხობის რაიონის ტერიტორიისა და სოფლების ერთი ნაწილი შედიოდა ქუთაისის გუბერნიის სენაკის უბნის ჭალადიდის თემში (სოფლები: პატარა ფოთი, საქორქიო, საჩიხუო, სირიაჩქონი, ჭალადიდი. შენიშვნა: ამათგან სირიაჩქონი და ზემო ჭალადიდი ამჟამად შედის სენაკის რ-ნში), ხოლო მეორე ნაწილი – რედუტკალეს უბანში, კერძოდ:

1. **ზანის თემი** (ამჟამად შედის სენაკის რ-ნში): სოფლები: დიდი ზანა, პატარა ზანა.

2. **ქვალონის თემი**: სოფ. ქვალონი.

3. **ნაჯიხევის თემი**: სოფლები: ბია, ნაჯიხევი, (? – პ. ც.), ხოფი (. იგულისხმება შემდგომდროინდელი მეორე ხობი, სადაც დგას ხობის ცნობილი მონასტერი – პ.ც.).

4. ხეთის თემი: სოფ. ხეთა
5. ხორგის თემი: სოფ. ხორგა
6. ხორშის თემი: სოფ. ხორში (ამჟამად სენაკის რ-ნი). იხ. ... ,1893.

საქართველოს სსრ ახლებური ადმ.-ტერიტ. მოწყობა დაიწყო 1924 წელს რესპუბლიკაში ოლქების, რაიონებისა და სასოფლო საბჭოების გამოყოფით. კერძოდ, ქუთაისის ოლქში შედიოდა 9 ქალაქი, 16 რაიონი, 160 სოფლის საბჭო, 759 სოფელი. ფართობი აღწევდა 10 865 კვ. კმ-ს, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა – 602 166 სულს (დაყოფა, 1930, გვ. V).

სრულიად საქართველოს ცაკ-ის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ 1929 წლის 29 აგვისტოს დაამტკიცა რესპუბლიკის ახალი ადმ.-ტერიტ. დაყოფა, რომელიც გამოქვეყნდა 1930 წელს როგორც "საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა" (ტფილისი, 1930). ამ დაყოფით ზუგდიდის მაზრაში შეიქმნა ხობის რაიონი ცენტრით სოფ. ხობში. მასში შედიოდა 8 სასოფლო საბჭო:

1. ახალხიბულის ს/ს, 587 კომლი, 2432 სული.
 - ახალხიბულა (ც.) 82 კ., 362 სული.
 - გაშფერდი 183 კ., 727 სული.
 - ზუბი I – 49 კ., 197 სული.
 - ხიბულა – 273 კ., 1146 სული.
2. ახალხორგის ს/ს – 601 კ., 2669 სული.
 - ქარიატა – 280 კ., 1170 სული.
 - შუა ხორგა (ც.) – 321 კ., 1499 სული.
3. ნოჯიხევის ს/ს – 794 კ., 3420 სული.
 - ბია-ხობი – 379 კ., 1610 სული.
 - გურიფული – 131 კ., 559 სული.
 - ნოჯიხევი (ც.) – 284 კ., 1242 სული.
4. საჯიჯაოს ს/ს – 742 კ., 3339 სული
 - ზენი – 272 კ., 1225 სული.
 - მეორე ზუბი – 174 კ., 820 სული.

საჯიჯაო (ც.) – 119 კ., 517 სული.

ჯაბ-შაქარი – 177 კ., 777 სული.

5. **ქვალონის ს/ს** – 913 კ., 3870 სული.

ქვალონი (ც.) – 913 კ., 3870 სული.

6. **ხეთის ს/ს** – 1454 კ., 6450 სული.

ბულიწყუ-ოხვამე – 284 კ., 1264 სული.

თორსა-დღვაბა – 179 კ., 796 სული.

ღარჩვა (ც.) – 145 კ., 646 სული.

საკუკაო – 199 კ., 927 სული.

საქირიო – 245 კ., 1054 სული.

საბუკიო-ნოხონი – 198 კ., 841 სული.

ჭიხუ-საკვიკვინიო – 204 კ., 942 სული.

7. **ხობის ს/ს** – 460 კ., 1754 სული.

ხობი – 460 კ., 1754 სული.

8. **ხორგის ს/ს** – 545 კ., 2376 სული.

ხორგა – 545 კ., 2376 სული.

სულ რაიონში 6096 კ., 26309 სული.

გარდა ამისა, ამჟამინდელი ხობის რ-ნის რამდენიმე სოფელი შედიოდა სენაკის მაზრის სენაკის რაიონსა და ფოთის საქალაქო საბჭოში. კერძოდ:

ქვემო ჭალადიდის ს/ს 274 კომლი, 1041 სული

საბაჟო 54 კომლი, 220 სული

საგვიჩიო 24 კომლი, 93 სული

სადვამიჩაო 39 კომლი, 168 სული

საქორქიო 80 კომლი, 255 სული

საჭოჭუო 57 კომლი, 254 სული

ჭალადიდი 23 კომლი, 41 სული

ფოთის საქ. საბჭოში (ცენტრი ქ. ფოთი) შედიოდა:

1. **პატარა ფოთის ს/ს**, 55 კომლი, 257 სული

პატარა ფოთი 55 კომლი, 257 სული

2. **ყულევის ს/ს** 190 კომლი, 872 სული

ყულევი 190 კომლი, 872 სული

3. ფოთის საქ. საბჭო 3230 კომლი, 13137 სული

სულ – 3475 კომლი, 14266 სული

აღწერა ჩატარდა 1926 წელს (იხ. დაყოფა, 1930, გვ. 127-128).

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის თანახმად ხობის რაიონის ტერიტორია 659, 2 კვ.კმ-ია. მანძილი თბილისიდან ხობამდე 312 კმ. ხობიდან ზუგდიდამდე 27 კმ. ადმ.-ტერიტ. ერთეულებია: ქალაქი – 1, სოფლის ან თემის საკრებულო – 20, სოფელი – 56. სოფლის მოსახლეობა (რა თქმა უნდა, ქ. ხობის გამოკლებით) – 35 636 სული (მათ შორის კაცი – 17 061, ქალი – 18 575). მოსახლეობის 99,3% ქართველია, 0,5% – რუსი, 0,1% – აფხაზი, დაუსახლებელია ერთი სოფელი (განთიადი ახალსოფლის თემის საკრებულოში), ხოლო 10 კაცზე ნაკლები ცხოვრობს მხოლოდ ერთ სოფელში (სოფ. ზემო ბია, ბიის თემის საკრებულოში). რაიონის ცენტრია ქ. ხობი.

ხობის რ-ნის საკრებულოებისა და სოფლების ჩამონათვალი და მოსახლეობის რაოდენობა ასეთია:

საკრებულო, სოფელი	მუდმივი მოსახლე ობა	კაცი	ქალი
	ორივე სქესი		
1. ახალსოფლის თემის საკრებულო	1733	843	890
ახალსოფელი (ვ)	759	377	362
განთიადი	0	0	0
გაღმა პირველი ხორგა	974	466	508

2. ახალხიბულის თემის საკრებულო	2121	1025	1096
ახალხიბულა (3)	563	274	289
გაშფერდი	733	353	380
ზუბი	825	398	427
3. ბიის თემის საკრებულო	825	392	433
ბია (3)	613	297	316
ბია-საშონიო	203	92	111
ზემო ბია	9	3	6
4. ბულიწყუს თემის საკრებულო	2727	1336	1391
ბულიწყუ (3)	1657	790	867
საკვიკვინიო	697	345	352
ჭისუ	373	201	172
5. გურიფულის თემის საკრებულო	1043	485	558
მეორე გურიფული (3)	542	260	282
პირველი გურიფული	501	225	276
6. ზემო ქვალონის თემის საკრებულო	782	361	421
ზემო ქვალონი (3)	205	90	115
საალანო-საფაჩულიო	160	68	92
სახოჭოლაგო	417	203	214
7. თორსა-დღვაბის თემის საკრებულო	1367	666	701
თორსა	541	266	275
დღვაბა	382	184	198
საბუკიო	444	216	228
8. ნოჯიხევის თემის საკრებულო	3103	1434	1669
ნოჯიხევი (3)	1642	752	890
ზენი	240	100	140
კუთხე ნოჯიხევი	220	107	113

ნაფოშტუ დასახლება	272 729	129 346	143 383
9. პატარა ფოთის სოფლის საკრებულო პატარა ფოთი	1944	949	995
10. პირველი ხორგის სოფ- ლის საკრებულო გამოდმა პირველი ხორგა	788 788	386 386	402 402
11. საგვიჩიოს სოფლის საკრებულო საგვიჩიო	645 645	319 319	326 326
12. საჯიჯაოს თემის საკრე- ბულო ზენი (ვ) გაღმა საჯიჯაო ზუბი ჯაპშაქარი	3329 1348 701 890	1596 649 335 432	1733 699 366 458
13. ქარიატის თემის საკრე- ბულო გაღმა ქარიატა (ვ) გამოდმა ქარიატა	897 355 542	426 160 266	471 195 276
14. ქვემო ქვალონის თემის საკრებულო გიმოზგონჯილი (ვ) ბულიში გვიმარონი დურღენა ჭითაუშქური	3014 885 509 401 876 343	1439 424 241 196 416 162	1525 461 268 205 460 181
15. ქვემო ჭალადიდის თემის საკრებულო	1584	1259	1325

საბაჟო (ვ)	1759	846	913
საქორქიო	45	21	24
სადვამინავო	412	200	212
სატოტუო	368	192	176
16. ყულევის სოფლის საკრებულო	359	170	189
ყულევი	359	170	189
17. შუა ხორგის თემის საკრებულო	1449	680	769
გამოდმა შუა ხორგა (ვ)	689	315	374
გაღმა შუა ხორგა	478	226	252
ყორათი	282	139	143
18. ძველი ხიბულის სოფლის საკრებულო	896	428	468
ძველი ხიბულა	896	428	468
19. ხამისკურის თემის საკრებულო	1759	849	910
ხამისკური (ვ)	588	277	311
საკუკავო	496	254	242
საქირიო	675	318	357
20. ხეთის თემის საკრებულო	4271	2018	2253
ლარჩვა (ვ)	1402	665	737
ნოჩსონი	556	262	294
ოხვამეკარი	424	197	227
წინაგოლა	1038	501	537
ხეთა	851	393	458

(იხ. აღწერის შედეგები, 2003, გვ. 176-178).

ხობის რაიონის ტერიტორიაზე გამოყოფენ 6 ოროგრაფიულ ერთეულს (იხ. ქსე, ტ. 11).

1. **ოდიშის დაბლობი** (რ-ნის დას. ნაწილი).

2. **ურთის მთა** (რ-ნის ჩრდ. ნაწილი. საზღვარი ზუგდიდის რ-ნთან, სიმაღლე 466 მ. სამხრეთ კალთაზე არის მღვიმეები, ძაბრები და სხვ. კარსტული ფორმები).

3. **ჭიხუს ბორცვნალი** (მდ. მუნჩიასა და მდ. ხობისწყალს შორის, სიმაღლე 120 მ.).

4. **ბიის მაღლობი** (მდ. ხობისწყლის მარცხ. მხარეს).

5. **ხიბულის სერი** (მდ. ხობისწყალსა და მის მარჯვ. შენაკად ჭანისწყალს შორის, სიმაღლე 100-130 მ.).

6. **ზენის ვაკე-დაბლობი** (ხიბულის სერის სამხრეთით. ზ.დ. 40-50 მ.).

ხობის რ-ნის სამხრ. საზღვარია მდ. ფიჩორი და პალიასტომის ტბა, ხოლო ჩრდ. საზღვარი – მდ. ჭურია. რაიონის ტერიტორიას კვეთს მდინარეები: რიონი, ხობისწყალი, ცივი, ჭურია და მათი შენაკადები (ოჩხომური და მუნჩია ჭურიის აუზში), ჭანისწყალი (ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი). მრავლადაა ჭაობი და მცირე ტბა (მაგალითად, ჭურიის ჭაობი), ჭალადიდის ჭაობები, ტბა პაპანწყვილი (ურთის მთის კალთის ძირას).

ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია ხობის მონასტერი, ქ. ხობიდან 2 კმ-ზე. აგრეთვე შუა საუკუნეების ეკლესია სოფ. ბიაში და ციხესიმაგრის ნანგრევები ("ჯიხა") სოფ. ხეთაში.

ხობის მონასტერი აგებულია XIII ს. დასასრულს (მონასტრის გარშემო დასახლებას საბჭოთა პერიოდში ერქვა მეორე ხობი). ქსე-ში აღნიშნულია: "მეორე ხობი – სოფელი ხობის რ-ნში (ნოჯიხევის სოფსაბჭო), ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 25 მ., ხობიდან 2,5 კმ. საშ. სკოლა სოფ. ნოჯიხევეში (1 კმ.), სოფელში დგას ხობის მონასტერი" (ქსე, ტ. 6, გვ. 585).

1733 წლის 18 ოქტომბერს შედგენილ "შეწირულების სიგელში" გვხვდება ტერმინი "სახობო", რაც მოიცავდა იმ სოფლებს, რომლებშიც ცხოვრობდნენ ხობის მონასტრის მებეგრე (საეკლესიო) გლეხები. ეს სოფლებია: ბია, საცხომარიოს უბანი (ხობში), ხორგა. საეკლესიო გლეხთაგან დასახელებულნი არიან: სოფ. ბიაში: კონივარე სიჭინავა; "ხობს საცხომარიოს": გიორგი პაჭკორია და მისი ძმისწული მარტიშია, ხუხუ კოდუა და მისი ძმა მოგელი, კობახიძის ნაყმევი კაცი გოგოლავა, სუბექია შამაგული და მისი ძმა ბაბადიში; ჯგუბურია გურიშია, ჯგუბურია ნიკურცხა, ბიგვავა ბაბუკონი, ალათი თჩაგავა, ძლინკი მიხიმიჯა და მასთან თამაზა და ახალკონი, თუთაშხია წულუღაი (ქსძ, III, გვ. 732).

შუა საუკუნეების საეკლესიო საბუთებში დაზუსტებულია "სახოფოს" ტერიტორია. ლევან დადიანის (XVII ს-ის პირველი ნახევარი) ერთ-ერთ სიგელში, რომელიც განაახლებს შამადავლა დადიანის "იადიგარს", ნათქვამია: "ჭვირიას და ცუს შუა ტყე და წყალი ყოველისა წმიდისა ხოფისა ღმრთისმშობლისა არის უცილობელი". აღნიშნულ საბუთში ესეცაა ნათქვამი: "ცუს გამოდმა და ჭვირიას გამოდმა ვინც ნადირს მოკლავს, სეფესა ყოველად წინ მოიღებდეს! ნურავინ დააკლებთ" (ხობის მონასტერი, 2000, გვ. 44-45).

ხობის წყალი სანაოსნო მდინარე იყო. შავი ზღვიდან ნიხბიანი ნავები თვით ხობის მონასტრამდე ამოდიოდნენ. გზად გაჩერება ჰქონდათ ქარიატასა და ხორგაში (ბერაძე, გვ. 43).

XIX ს-ის 40-იან წლებში დავით დადიანმა პირველმა განახორციელა ოდიშ-ლენხუშის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა: კერძოდ, გამოყოფილია ორი სამთავროს რვა მაზრა. მათგან ერთ-ერთი იყო ზუბის მაზრა, რომელშიც შედიოდა სოფლები: ზუბი, ზენი, ქვალონი, საგვასალიო, ხორში, საგაბესკირო, ახალდოხორე, ციხეთი, მეორე ხორში, მაცხოვრისკარი, საჩიჯავო, ზანა, საწულეისკირო,

ეკი, იმანიერი, საფალავო, უფალკარი, უშაფათი, ლეძაძამე, ნასაჯოგუ, ფოცხო, მოხაში, ლესიჭინე, ოჩხომურისპირი, სააფაქიო ზანა (ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939, გვ. 112).

ქ. ხობი

ხობი – ქალაქი დას. საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, სოხუმი-თბილისის საავტ. ტრასაზე. ხობის რაიონის ცენტრი. ზ.დ. 25 მ., თბილისიდან 312 კმ (რკინიგზით 285 კმ.). ზუგდიდიდან 27 კმ., შავი ზღვიდან (ყულევიდან) 26 კმ. ხობის ცნობილი ტაძარი (XIII ს. დასასრული) დგას ბორცვზე დღევანდელი ქ. ხობიდან 2,5 კმ-ზე. ძველად ხობი სწორედ იქ მდებარეობდა. საბჭოთა პერიოდში ხობის მონასტრის გარშემო მდებარე სოფელს ეწოდებოდა მეორე ხობი.

ხობი და მისი ვარიანტები ხოფი, ხობი არაერთგზის არის დასახელებული ქართულ და უცხოენოვან წერილობით წყაროებში. 1569 წელს შედგენილ "შეწირულების წიგნში" დასახელებულია ფორმა ხოფი. ნიკოლოზ ხოფელი (წულუკიძე) წერს, რომ მას თათრისაგან უყიდია, მოუნათლავს და ხოფს დაუსახლება სქვამიკოჩა ფაცია (ფაცია ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული გვარია დღევანდელ სამეგრელოში, განსაკუთრებით ზუგდიდისა და მარტვილის რაიონებში).

ზემოთ დასახელებული სიგელის მინაწერში კი ვკითხულობთ: "კიდევ ამას გარეთ ზამან ბარძიმისშვილი მოკვდა და მის ნიშანსა და ნაწირვში ამიყვანია ივანე და სარჯელია და კაკულიაი სერგია და ხატისდა შემეწირავს ხოფის ღმრთის-მშობლისათვის მათის ცოლშვილით, სახლკარითა, ჭურ-მამულითა, მისის ყოვლის ფერითა" (ქსმ, III,

გვ. 275. ციტატის მართლწერა დაცულია). დასახელებულ "შეწირულების წიგნში" ისიც ჩანს, რომ ხობის მონასტერში ხის ეპისკოპოსი და მისი ზედწოდებაა "სოფელი".

ვახუშტი ბატონიშვილი ოდიშის გეოგრაფიული აღწერისას აღნიშნავს, რომ ჭანისწყალი "გამოსდის მისვე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ზღუას **სოფს** (? – პ. ც.). ამ მდინარის ჩრდილოთ კერძოდ, ზღვს კიდებედ არს ხოფი. აქ არის ეკლესია გუმბათიანი, კეთილშენი და შემკული. აქ ეკლესიასა შინა მსუენარებს პერანგი ყოვლად წმიდის ღვთისმშობლისა, სასწაულმოქმედი" (ვახუშტი, 1973, გვ. 778). (სიზუსტისათვის: ჭანისწყალი უერთდება მდინარე ხობისწყალს მარცხ. მხრიდან ხობის მონასტრის პირდაპირ. ვახუშტი ბატონიშვილი დას. საქართველოს გეოგრაფიულ ობიექტებზე სხვათა და სხვათა მონათხრობით მსჯელობს).

ხობი, როგორც ზემოთ აღნიშნული გვაქვს, ერქვა სოფელს ხობის მონასტერთან და შედიოდა ნოჯისევის სასოფლო საბჭოში. სოფელი ამჟამად გაუქმებულია. ხოლო იმ ადგილს, სადაც გაშენებულია ქ. ხობი, ერქვა ოხარჩაღე. აქ ნიკოლოზ მეფის დროს გაუყვანიათ სამხედრო გზა და გაუშენებიათ "ახალი ხობი". მას საბჭოთა პერიოდში დაერქვა სოფელი ხობი და 1961 წელს მიიღო ქალაქის სტატუსი.

1998 წლის 23 ოქტომბრის მონაცემებით (ხელს აწერს ხობის ვიცემერი დ. სალაყაია), ხობში მკვიდრობდა 432 გვარის 1390 კომლი. მათგან მრავალრიცხოვანია: კვიკვინია – 35 კ. (75 სული), ალანია – 30 კ. (87 სული), ახალაია – 25 კ. (75 სული), ბერაია – 25 კ. (107 სული), ქანთარია – 23 კ. (75 სული), გერგაია – 20 კ. (75 სული), ლატარია – 19 კ. (75 სული), სიჭინავა – 19 კ. (60 სული), ნაჭყებია – 17 კ. (55 სული), ჩიტაია – 17 კ. (65 სული), გვასალია – 16 კ. (61 სული), იოსავა – 15 კ. (65 სული), წურწუშია – 15 კ. (65 სული), ქარჩავა – 14 კ. (40 სული), ყურუა – 13 კ. (45 სული), ქადარია – 13 კ. (45 სული), აღონია – 13 კ. (49 სული), შონია – 13 კ. (62 სული), ალექსანდრია – 12 კ. (37

სული), ბუკია – 11 კ. (65 სული), კვარაცხელია – 11 კ. (33 სული), ტყეზუნავა – 11 კ. (45 სული), ქირია – 11 კ. (35 სული), შენგელია – 11 კ. (30 სული), ჯობავა – 11 კ. (39 სული), ბაგრატია – 10 კ. (45 სული), ვეკუა – 10 კ. (47 სული), თათარაშვილი – 10 კ. (45 სული), კოდუა – 10 კ. (37 სული).

ქ. ხობის ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1983 წლის სექტემბერში. ინფორმატორები იყვნენ:

აბრამია ალექსანდრე (საშა) მიხეილის ძე, 71 წ.

დოღბაძე კარლო ისლამის ძე, 76 წ.

ვადაქარია იროდი ანტონის ძე,

იოსავა შოთა დიმიტრის ძე, 63 წ.

ნანეიშვილი ბექტორ ბასილის ძე, 72 წ.

შენგელია ისაკ ანდრიას ძე, 67 წ.

წურწუშია ვანო დომენტის ძე, 84 წ.

ბათიაშ ფონი//ბათია ჩაგვაშ ფონი//ჩაგვეფიშ ფონი – ფონი ხობისწყალზე, სადოღბაძოს პირდაპირ. ჩაგვავა ძალზე იშვიათი გვარია. რამდენიმე კომლი ცხოვრობს ქ. ხობსა და სენაკის რ-ში.

ბათია ჩაგვაშ ფონი – ფონი. იგივე ბათიაშ ფონი.

ბუბულიაშ რხენი – სახნავი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. ბუბულია საკუთარი სახელია.

ივაკაშ ჭაღე – მინდორი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

მეფტოშ დაღ – დეღე, ხობისწყლის მარცხ. შენაკადი სადოღბაძოში.

ნიკოიაშ დაღ – დეღე. გადის სადოღბაძოში. ხობი-ნოჯიხევის საზღვარია.

ნიკოიაშ ჭაღე – მინდორი სადოღბაძოში.

ოკიბორჩხაღე "საკიბორჩხაღე" – დეღე სოფ. პირველი გურიფულის საზღვართან. ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი.

ოხარჩაღე "სახხრიაღო" – დეღე ქ. ხობისა და პირველი გურიფულის საზღვარზე. წყაბუს სათავე.

რზენიშ უბანი – უბანი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, ხიდიდან ზემოთ რკინიგზამდე.

სადოლბაძო – უბანი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფ. ნოჯისხევის საზღვართან. ცხოვრობენ დოლბაძეები.

სამეველე კარე – მინდორი, ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, სადაც მეველეს "კარე" ჰქონია.

შახიშკარი – გზა. სადოლბაძოდან ჩადიოდა ხობისწყალში.

ჩაგვეფიშ ფონი – ფონი. იგივე ბათიაშ ფონი.

ჩუ¹ურ(იშ)ჭალე – სახნავი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, ხიდს ქვემოთ.

ხობის მონასტერი

ქ. ხობიდან 2 კმ-ზე დგას ხობის ტაძარი, რომელიც აშენებულია XIII ს. დასასრულს. ერთი საუკუნის შემდეგ სამეგრელოს მთავარმა ვამეყ დადიანმა ამ ტაძრის ეგუტერი (სამლოცველო) საგვარეულო საძვალედ გადააქცია და კედლები მოახატვინა. ამ კედლებზე შემონახულია კტიტორების – ვამეყ დადიანისა და მისი მეუღლე მარეხის – გამოსახულებანი. მოხატულობა ახლოს დგას წაღენჯიხის ტაძრის მოხატულობასთან. მხატვრის ვინაობა უცნობია (ქსე, ტ. 11).

1640 წლის 3 მაისს ბანძა-ჭყონდიდიდან გამოძგზავრებულ რუსეთის მეფის ელჩებს – ელჩინსა და ზახარეეს – ღამე გაუთევიათ ხობის მონასტერში. მეორე დღეს დაუტოვებიათ იგი და 6 მაისს უკვე ცაიშს სწვევიან (ელჩობა... გვ. 373). დაახლოებით ამავე პერიოდში ხობს ასახელებენ მისიონერები არქანჯელო ლამბერტი და ქრისტეფორე დე კასტელი. ამ უკანასკნელის ნახატების ალბომში (კასტელი...

გვ. 176, სურათი № 464) ერთ ეკლესიას ახლავს წარწერა: "ხობის განთქმული ეკლესიის სურათი".

ხობის (ძველ საბუთებში: ხოპი, ხოფი) მამათა მონასტრის აშენების თარიღზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს (VII ს. პირველი ნახევარი; IX ს.; X-XI სს.; XIII ს. პირველი ნახევარი). მაგრამ ის კი სადავო არ არის, რომ თანამედროვე ტაძარი XIV ს. დამდგეს აუგია გიორგი I დადიანს. იგი კიდევაც არის გამოსახული კედელზე ეკლესიის მოდელით და წარწერით "ამ საყდრის აღმაშენებელი ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთუხუცესი დადიანი გიორგი".

ხობის პირველ მოხსენიებად უნდა ჩაითვალოს XIII-XIV სს. ჯვრის მონასტრის აღაპებში მოცემული ცნობა: "ეგნატე ხობის წინამძღვარი" (იხ. ხობის მონასტერი, 2002).

სამონასტრო კომპლექსის სხვადასხვა ნაგებობის აშენებისას გამოყენებულია ვამეყ დადიანის (ზეობდა 1384-1396 წწ.) მიერ ჯიქეთის დარბევის შემდეგ იქიდან წამოღებული მარმარილო.

XVI საუკუნის პირველ ნახევარში ხობის მონასტერი საეპისკოპოსო ტაძარი ჩანს. იმერეთის მეფის მიერ 1432 წ. გაცემულ ერთ-ერთ საბუთში მოხსენიებულია ხოფელი ეპისკოპოსი.

ხობის მონასტერში ინახებოდა ღვთისშობლის კვართი, ძელიცხოვლის ნაწილი, წმინდანთა ნაწილები. მაკარი ანტიოქიელი, რომელმაც XVII ს-ის 60-იან წლებში რამდენიმე წელი იცხოვრა სამეგრელოში (კერძოდ, წალენჯიხაში) წერს: "მეგრელთა ეპარქიაში ექვსი ეპისკოპოსია. ესენია: ჭყონდიდელი, ხობელი, ცაიშელი, ბელიელი, მოქველი, დრანდელი". "ხობელთან" მითითებულია: აქაურ ეკლესიაში დღემდე ინახება ღვთისშობლის კვართი. ჩვენ ის ვნახეთ (ვემთხვიეთ) და თავი დავიწყალობეთ. ზუსტად მის თარგზე გამოფჭერით პერანგი თეთრი სელისაგან, რათა ჩვენს ქვეყანაში წაგვედო და ღვთისმშობლისაგან ღოცვა-კურთხევა მიგვედო" (მაკარი ანტიოქიელი, 1982, გვ. 112-113).

იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა XVII ს-ის 70-იან წლებში იმოგზაურა დას. საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში. იგი მდინარე ხობით (ხოპი) გასულა ზღვამდე და შემდეგ მიუღწევია ჯერ ფაზისამდე, ხოლო შემდეგ – ქობულეთამდე.

1706 წელს შედგენილ "შეწირულების წიგნში" დასახელებული არიან ბიჭვინტის ღმრთისმშობლის ეკლესიისადმი შეწირული გლეხები: "ხობს მოსახლე სამი კაცი სადადიანო: გაჯინედი საარია, მერკვირია გიორგი, ბოლქვაძე ბიბია და მათი შვილები" (ქსძ, III, გვ. 647. იხ. აგრეთვე: გვ. 648, 670, 732, 768, 769). მე-18 ს-ის 20-30-იან წლებში შედგენილ კიდევ ერთ საეკლესიო საბუთში ჩამოთვლილია საეკლესიო გლეხები, რომელთაც შეუწირავთ ხობის ეკლესიისათვის ხუთხუთი "ლოდარიკი" სანთელი. ესენი არიან: ბაბაკოჩი ბიგვა-ვა, ძლიკვი დიხამიჯია და თაიმაზი; წულაი თუთაშხია და გვაძაბია; დოდუზია გოგოლეი; ხუტუ კოდუა და გოგელაი; სუბუქია მამაგული, ბაბადიში და ბიძამისი; ჯგუბურია ჭუჭუ ახალიკოჩი და მისი ძმები; ელიშია ოსათარა და ვავა (ქსძ, III, გვ. 771). უნდა აღინიშნოს, რომ იგულისხმება არა დღევანდელი ხობი, არამედ ე. წ. მეორე ხობი (ე.ი. ხობის მონასტრის მიმდებარე სოფელი) და მის ახლომახლო მდებარე დასახლებანი.

ახალსოფლის თემის საკრებულო

ახალსოფლის თემის საკრებულო – საკრებულო ოდიშის დაბლობზე, ხობისწყლის მარცხ. მხარეს. შედის სოფლები: ახალსოფელი (ცენტრი), განთიადი, გაღმა პ. ხორგა. ახალსოფელი და განთიადი შეიქმნა 1949-50 წლებში სოფ. ბორითიდან ჩამოსახლებულთაგან: იყო ტყე და გაკაფეს, იყო ჭაობი და დააშრეს. დაარსდა განთიადის სასოფლო საბჭო, რომელსაც ერთი წლის შემდეგ, 1965 წელს, ეწოდა ახალსოფლის სასოფლო საბჭო. თემში შემავალ სამივე სოფელში მკვიდრობს 173 გვარის 594 კომლი (იხ. სოფლების მიხედვით). ამ სოფლებში დამკვიდრებულ გვარებსა და მათ კომლობრივ რაოდენობაზე სოფლების მიხედვით ცნობა შედგენილია 1991 წლის 28 აგვისტოს, სოფლის გამგებლის – ჯ. ნადარაიასა და მდივნის ლ. ჯიშკარიანის მიერ.

2002 წლის ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით ახალსოფლის თემის საკრებულოში 1733 მცხოვრებია (მათგან კაცი – 843, ქალი – 880). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

ახალსოფელი – 759 სული (კაცი – 377, ქალი – 382).
განთიადი – 0 0 0
გაღმა პირველი ხორგა – 974 სული (კაცი – 466, ქალი – 508).

ახალსოფელი

ახალსოფელი – სოფელი, საკრებულოს ცენტრი ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე, სენაკი-ფოთის რკინიგზის ხაზზე. ზ. დ. 35 მ., ხობიდან 13 კმ. ფაქტობრივად, ახალსოფელი არის გაღმა პირველი ხორგის ნაწილი, რომელსაც იმერლების ჩამოსახლების შემდეგ (1949-50 წწ.) ეწოდა ახალსოფელი.

1991 წელს სოფელში მკვიდრობდა 74 გვარის 222 კომლი. კოლმრავალი გვარებია: ბარბაქაძე – 23 კ., ნადარაია – 15 კ., გრიგალაშვილი – 12 კ., ჩადუნელი – 10 კ., წიქარიშვილი – 10 კ., ხარაიშვილი – 9 კ., აბურჯანია – 8 კ., ცხადია – 7 კ., აბრამია, ალექსანდრია, კანკავა, პაპავა – 6-6 კომლი.

მასალა ჩაწერილია 1991 წლის 28 აგვისტოს. ინფორმაციები იყვნენ:

გორგაძე ცაგო გიორგის ას, 61 წ.

ზარნაძე სევერიან პარმენის ძე, 64 წ.

ნადარაია ჯემალ (ხვიხვი) მიხეილის ძე, 42 წ.

ბერულაშ ნოსორი – სახნავეები რკინიგზის საზღვართან

გვალაშ მინდორი – მინდორი ხობისწყლის მარცხ. მხარეს.

დიდჭყონი "დიდი მუხა" – დეღე. იწყებოდა ქვალონში. უერთდებოდა ყორათწყარს.

დუდგიმე დიდჭყონი/გინოტახილი დიდჭყონი – ხიდი დიდჭყონზე. გადატეხილი მუხა იყო ხიდად გადებული. **დუდგიმე** "თავდაღმა", **გინოტახილი** "გადატეხილი".

ლუბეკი – არხი. გადაჭრის ხობი-ფოთის გზატკეცილს და ერთვის ხობისწყალს ყულევში.

მერია – ერქვა ტყე-ჭაობს ქვალონის საზღვართან, სონჯსა და რკინიგზას შუა. გაკაფეს და გააშენეს ჩაი. ამჟამად სათიბ-საძოვრებია.

სონჯი – ტყე, ბორცვი ლუბეკის მარცხ. მხარეს.

სონჯიდაღ – დეღე, დიდჭყონის შენაკადი.

ქვალონი "ქვანარი" – ქვანარი, რკინიგზის პლატფორმა ხორგასთან.

ჩაიგრუზია – მინდორი რკინიგზის ხაზთან. აქ იყო ჩაის მიმღები პუნქტი. შემდეგ ფოთში გადაიტანეს, აქ კი მხოლოდ შენობის ნაშთი დარჩა.

გაღმა პირველი ხორვა

გაღმა პირველი ხორვა – სოფელი ოდიშის დაბლობზე, სობისწყლის მარცხ. მხარეს, ახალსოფლის თემის საკრებულოში. ზ. დ. 10 მ. ხობიდან 7 კმ. XVIII ს-ის I ნახევარში შედგენილ საეკლესიო გადასახადების გადამხდელთა სიაში დასახელებულნი არიან "გაღმა ხორვას" მცხოვრებნი: თაბუნია ხოჭოლავა, ბესია გიგიბერია, ინალუხუ ლეფონავა, ბერაია ბაბაკოჩი და ხახუ, ბერაია გურიკავა და შოშიტა, არცანდია ქომოკორდა, აბშილავა გონჯი ("სობის მონასტერი", 2000, გვ. 48).

1991 წელს სოფელში მკვიდრობდა 98 გვარის 270 კომლი. მათგან მრავალკომლიანი გვარებია: ნადარაია – 15 კ., ხვიჩია – 10 კ., ხარაიშვილი – 9 კ., ცხადია – 7 კ., 5-6 კომლიანი გვარებია: აბრამია, ადანაია, ალექსანდრია, თირქია, კანკავა, კაპანაძე, პაპავა, ქარდავა, ქებურია, ჩხიტუნძე, ცარციძე.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1991 წლის 16 აგვისტოს. ინფორმატორები იყვნენ:

აბაშია ნოე ალექსანდრეს ძე, 70 წ.

აბრამია ალექსანდრე (საშა) მიხეილის ძე, 69 წ.

ბერაია ვენია იპოლიტეს ძე, 45 წ.

თირქია კლიმენტი (კამატელი) პართეს ძე, 65 წ.

კვარაცხელია ღულუნი ვაჟას ძე, 64 წ.

ლოლუა ხარიტონ გერასიმეს ძე, 68 წ.

ნადარაია ჯემალ (ხვიხვი) მიხეილის ძე, 42 წ.

ქარდავა ბურდუკა სანდროს ძე, 64 წ.

ყურუა არისტო (ტუტულა) კოწიას ძე, 76 წ.

შონია ვალოდია (ხუტუ) პილას ძე, 76 წ.

აბრამიეფიშ მუხური – ჭალა-მინდვრები სობისწყლის მარცხ. ნაპირზე.

აბურჯანიეფიშ ნა'ვანუ – მინდორი ჩვენიაში.

ბახვაშ ტები – ტყე. იგივე ძვიძვიბონი.

ბეგოშ ნოხორი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში

ბიჭკო ცანაშ ნაკარუ – მინდორი ოკარებეს ნაპირას.

დიშ ნოხორი – მიწაზვინული ოცხენის ნაპირას. სი-
მაღლე 2 მ.

ღურუშ ნაკარუ – მინდორი ოცხენეპიჯში.

ეთმე კვარაცხელიაშ ნაკარუ – ერქვა მინდორს ხან-
ჭკოლასთან.

ეგრემიშ ნები – სახნავი საგაგულიოში. უწინ კაკლის
ხე მდგარა.

ვასილ გაბედაშ ნაკარუ – მინდორი ლუბეკის ნაპირზე.

ზღვია – ერქვა ტბორს ხანჭკოლის მარჯვ. მხარეს,
საშონიოში.

ივანეშ ნაკარუ – მინდორი ხანჭკოლის ნაპირზე.

ილა სორდიაშ ნა'ვანუ – მინდორი ოკარების ნაპირას.

ილიკო ქარდაშ ნა'ვანუ – მინდორი ოკარების ნაპირას.

ირაკი აბრამიაშ ტები – ტყე ოკარებეს მარცხ. ნაპირზე.

კილიაშ მინდორი – მინდორი სანადარაიოში. კილია
გვარია.

კინტრიშე/კინტირშე – ერქვა ტყეს და მცირე ღელეს
ნაკრძალში, საშონიოში. სიგრძე 1 კმ. ერთოდა ზღვიას.

კოპელიშ ნანთხორა "კოპელის ნათხარი" – გზის მონა-
კვეთი მეორე გურიფულიდან შუა ხორგამდე. **კოპელი** ერქვა
ექსკავატორს, რომლითაც ეს გზა გააწყვედათ.

კოსტა კვარაცხელიაშ ნაკარუ – მინდორი ხანჭკოლაში.

კოსტა ღვინჯილიაშ ნაკარუ – ერქვა მინდორს ხანჭკო-
ლასთან.

ლაუმ მონია – წყალტრიალა მორევი ხობისწყალზე,
მოსაბრუნში. მონია "მორევი, სადაც წყალი ტრიალებს".

მუხური/სააბრამიოშ ჭალე – ხობისწყლის ჭალა სააბ-
რამიოში.

ნადარაიევის წისქვილი – ერქვა ერთადერთ წისქვილს ხანჭკოლაზე.

ნაჭაკუ – მორევი ხობისწყალზე. ჭაკუა (გვარია) აქ ესახლა.

ობუნეში – ტყე ოცხენესა და სააბურჯანიოს შუა. გადიოდა ოკარბე.

ოკარბე – ღელე. მოედინება ქვალონიდან და ერთვის ონთუაფუს.

ონთუაფუ – ღელე ჯვეშ დასახლებაში. ერთვის ხანჭკოლას. "ინთუედუ, ირფელი გიმე მიშ, პალოტი რდ," ("იძი-რებოდა ყველაფერი, ძირს მიდიოდა, ჭაობი იყო")..

ოცხენე – ტყე და ღელე, რომელიც მოედინება ქვალონიდან, გასდევს რკინიგზის ხაზს და ერთვის ღუბეკს.

ოცხენეპიჯი – სახნავები ოცხენის ნაპირზე.

ოცხენეშ ფართობი – ერქვა სახნავს ოცხენესთან.

პეპუიასშ შეკებული "პეპუიას შემოკავებული" – ტყე-საძოვრები ოკარბეს მარჯვ. ნაპირზე.

პრისმანია – გზა, რომელიც იწყება მეორე გურიფულში, მიჰყვება არხს და გადის ახალსოფელში. პრისმანია ერქვა ექსკავატორს.

როსტოშ ნაკარუ – მინდორი ხანჭკოლაში.

სააბრამიო – უბანი ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე, სააბურჯანიოსა და საფაჩულის შუა.

სააბრამიოთხვამე – ძველი სასაფლაო სააბრამიოში. იდგა ხის ეკლესია.

სააბრამიოტყა – ტყე ხანჭკოლისა და ყორათწყარის ნაპირებზე.

სააბრამიოხანჭკოლა – არხის მონაკვეთი. იხ. ხანჭკოლა.

სააბურჯანიო – უბანი ხობისწყლის მარცხ. მხარეს, მეორე გურიფულის საზღვართან.

საგაგულიოჭაღე – სახნავები ხობისწყლის ჭალაში.

საგერგაიოშარა – გზა. იწყება საგერგაიოში და გადის რკინიგზის პლატფორმა ხორგამდე.

სანადარაიო – უბანი ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე.

სანადარაიოში ჭალე – ჭალა ხობისწყლის ნაპირზე, სანადარაიოში.

სანადარაიოხანჭკოლა – ხანჭკოლის არხის მონაკვეთი.

საფაჩულიო – უბანი ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე.

საშონიო – უბანი გაღმა შუა ხორგის საზღვართან.

საშონიოში ჭალე – ხობისწყლის ჭალა საშონიოში.

საჩხერეს დასახლება – ერქვა უბანს. იგივე ჯვეშ დასახლება.

საცხადაიო – უბანი ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე.

საწულაიოში ჭალე – ჭალა ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე. წულაიები აქვე ესახლნენ.

სახაზინო ტყა – ტყე უჩა დალისა და ყორათწყარის ნაპირებზე.

სახოჭოლა – ერქვა უბანს ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე. შაშნოდლის სათავესთან.

საჯგუბურიო – ერქვა მინდორს საშონიოში. ეკუთვნოდა გვარად ჯგუბურიას.

უჩადალ – დელე, ხანჭკოლის მარჯვ. შენაკადი.

შაშნოდალ – დელე, იწყება სახოჭოლაში და გადის ყორათისაკენ.

ჩვენია – ტყე, საძოვარი ობუნეშში, მეორე გურიფულის საზღვართან.

ჩირედალ – დელე საშონიოში.

ცხენიშ ხასლა "ცხენის გვერდი" – დელე სახოჭოლაში. მოედინებოდა ქვალონიდან. "ჭაობში ცხენი დამხრჩვალყო და მისი ხასლა ("გვერდი") დიდხანს ჩანდა".

ცხენდალუ – დელე, ხანჭკოლის მარჯვ. შენაკადი.

ძგიძგიბონი//ბახვაშ ტები – ტყე ხანჭკოლის მარცხ. მხარეს. ტები – ტევრი; ძგიძგიბონი – უვარგუსი ადგილი.

ძოკოშ ნა'ვანუ – სახნავი ჩვენიაში. ძოკო პირსახელია.

წულაიეფიშ ნა'ვანუ – მინდორი ჩვენიაში.

ჭყოროკი(შ)ღალ – ღელე. ერთოდა დიდჭყონს. იწყებოდა ქვალონში. ჭყოროკი ← ჭყონიშ როკი "შუხის გამხმარი კუნძი".

ხანჭკოლა – არხი. იწყება ქვალონში და ერთვის ღუბეკს. მონაკვეთებს ეწოდება: სააბრამიოხანჭკოლა, სანადარაიოხანჭკოლა.

ხანჭკოლაშ ფართობი – ერქვა სახნავს ხანჭკოლასთან.

ხოპწყარიშ გილნახოფა "ხობისწყლის განარღვევი" – ტბორი ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე, საშონიოში. "ერთ ღროს ხობისწყალმა გაარღვია კალაპოტი და ტბორი დატოვა".

ჯემეშ დასახლება//საჩხერეს დასახლება – ერქვა უბანს ღუბეკის ნაპირზე. "შეიქმნა 1939 წელს. ამიტომაა "ძველი დასახლება". ახალსოფელი კი 1949 წელს შეიქმნა, ე.ი. ახალი დასახლებაა".

განთიადი

განთიადი – სოფელი ახალსოფლის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, ღუბეკის მარცხ. მხარეს, რკინიგზის ხაზთან. ესაზღვრება ქვემო ჭალადიდი. ზ.დ. 10 მ. ხობიდან 10 კმ., ხორგის რკინიგზის სადგურიდან 3 კმ. თავდაპირველად "განთიადი" ერქვა კოლმეურნეობას, მერე კი სოფლის სახელწოდებად იქცა. დასახლება შექმნა ბაღდათისა და თერჯოლის რაიონებიდან ჩამოსახლებულმა 150-მა კომლმა. მათგან 1991 წელს დარჩენილი იყო გელხვიძეთა ორი კომლი, ამჟამად კი სოფელი მთლიანად დაცარიელებულია.

ახალხიბულის თემის საკრებულო

ახალხიბულის თემის საკრებულო – საკრებულო ხობის რ-ნში, ხობისწყალსა და ჭანისწყალს შუა. შედის სოფლები: ახალხიბულა (ც.), გაშფერდი, ზუბი.

ხიბულა (//ხიბლა) იყო საერთო სახელი ჭანისწყლის მარჯვ. და მარცხ. ნაპირებზე მდებარე დასახლებებისა სანამ იქ ორი სასოფლო საბჭო დაარსდებოდა – ახალხიბულისა და ძველი ხიბულისა. ხალხური ეტიმოლოგია: "მანა დადიანს, რომელსაც აქ სასახლე ჰქონდა (და აქვეა დაკრძალული), ერთხელ აფხაზურად უთქვამს ახ.ბ "მომწონს; ღამაზია". ამიტომ დარქმევია".

1996 წელს ახალხიბულის თემის სამივე სოფელში ცხოვრობდა 183 გვარის 380 კომლი (დაწვრილებითი მონაცემები იხ. სოფლების მიხედვით. ცნობას ხელს აღწერს ახალხიბულის საკრებულოს თავმჯდომარე ჯ. ჯიშკარიანი).

2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის თანახმად, ახალხიბულის თემში 2121 მცხოვრებია (მათგან 1025 კაცი, 1096 ქალი). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

ახალხიბულა – 563 სული (კაცი – 274, ქალი – 289).

გაშფერდი – 733 სული (კაცი – 353, ქალი – 380).

ზუბი – 825 სული (კაცი – 398, ქალი – 427).

ახალხიბულა

ახალხიბულა – სოფელი ხობისწყალსა და ჭანისწყალს შუა, ახალხიბულის საკრებულოს ცენტრი. ზ.დ. 105 მ. ხობიდან 22 კმ. ესაზღვრება: კირცხი, გაშფერდი, ზუბი, ჯაპშაქარი. ინფ.: "1917 წელს გლეხობამ მოითხოვა ახალხიბულის

თემის შექმნა და წაართვეს ზუბი საჯიჯაოს თემს, გაშფერდი – კირცხს". ადგ. ვარიანტი: ახალხიბლა.

1996 წელს სოფ. ახალხიბულაში ცხოვრობდა 44 გვარის 106 კომლი. მათგან შედარებით მრავალკომლიანია: ღურწკაია – 14 კ. (36 სული), ვარდია – 11 კ. (50 სული), ნადარაია – 10 კ. (36 სული), გაგუა – 8 კ. (39 სული), კიტია – 6 კ. (25 სული), ჯანჯღაგა – 6 კ. (49 სული), ჯიშკარიანი – 6 კ. (30 სული).

ტოპონიმიკური მასალა ჩაწერილია 28. 09. 83. ინფორმაციორები იყვნენ:

- ადამია შალვა ბადუს ძე, 66 წ.
- ბასილაია ზაურ ფარნას ძე, 38 წ.
- ვარდია შილიფი სამსონის ძე, 61 წ.
- კემულარია შალვა ლავრენტის ძე, 57 წ.
- ლაშხია დომენტი (ჭიჭიკო) დავითის ძე, 67 წ.
- ლაშხია ილია მიხეილის ძე, 78 წ.
- ფუტკარაძე ალექსანდრე (გაჯა) მიხას ძე, 67 წ.
- ქვარცხავა თომა ანდრიას ძე, 76 წ.
- ღურწკაია კონდრა სვიმონის ძე, 67 წ.
- ღურწკაია მიხა სვიმონის ძე, 83 წ.
- ჩხეიძე შალიკო დიმიტრის ძე, 77 წ.
- ცირამუა იროდი მაქსიმეს ძე, 64 წ.
- ხულორდავა იაკიმე ვასილის ძე, 77 წ.
- ჯიშკარიანი ჯვებე კოსტას ძე, 61 წ.

ადამიაშ ჩაი – ჩაის ფართობი ჯახუშ ღალის მარჯვ. ნაპირას.

ადამიეფიშ ფერდი – სერი. გას დასაწყისი ნაწილი საადამიოში.

ადამიეფიშ წყურგილი – წყარო საადამიოში.

ანდრიაშ ნოხორი – ჩაის ფართობი ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

ანდრიაშ წყურგილე – წყარო ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

აქსენტიშ ტყა – ტყე, დადიაშ ტყის ნაწილი.

აქსენტიშ წყურგილე – წყარო ღტურეშში.

ბარბაღეშ წყარი – წყარო სააღამიოში. სამკურნალო წყალი იყო და ამოდოდა მეწამლე ქალის – ბარბაღეს – ეზოში. წყალი უხდებოდა კუჭს (კერძოდ, არჩენდა კუჭის წყლულს).

ბათიშ ნოხორი – ერქვა ჩაის ფართობს ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

ბარგატიეფიშ ფერდა – ტყე, ფერდობი დადიის ნაპირას. ბარგატი (ბარგატიას ვარიანტი ჩანს) ძალზე მცირერიცხოვანი გვარია (სულ 26 სული საქართველოში).

ბეგოშ ნოხორი – ჩაის ფართობი ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

ბუალაშ ნოხორი – ჩაის ფართობი დადიის მარჯვ. ნაპირას. ბუალავა გვარია.

გაგუაშ ტყა – ერქვა ტყეს. ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

გელაშ ტომბა//ვარდიაშ ტომბა – მორევი ჭანისწყალზე. ვარდია გვარია.

გვიშიშ წყურგილე – წყარო ჭანისწყლის ჭალაში, მაიაშ წყურგილის ზემოთ. გვიში არის გულამოდებული ხე, რომელსაც წყაროში ჩადგამდნენ, რათა წყალი სუფთა ყოფილიყო. გვიშს აკეთებენ კერამიკისაგან და ამჟამად რკინა-ბეტონისაგანაც. კერძოდ ამ წყაროში თიხისაგან გამომწვარი გვიში იყო ჩადგმული.

გიგმაშ ნოხორი – სახნავი ჭანისწყლის ჭალაში. "აკ ცხოვრობდა გიგმა ბარძემიშივილი, დადიანის მოახლის ქმარი. იგი გამოყვანილია პერსონაჟად ფუცუ დგებუაძე-ფულარიას რომანში".

გიგმაშ ტომბა – მორევი ჭანისწყალზე.

გლეხიშ შარა//სიჭინაშ შარა – ნაგზაური გზა ღურწკაიაშ ფონის (მდ. ჭანისწყალზე) გავლით მიემართებოდა ზუგდიდისაკენ. გლეხები მხოლოდ ამ გზით სარგებლობდნენ. დადიანს ჰქონდა თავისი გზა და იმ გზაზე

სიარულის უფლებას არ აძლევდა გლეხებს. შდრ. დადიანიშ შარა.

გრამატაშ ტყა – ტყე ყოფილი ხიბულის ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე. **გრამატა** იყო დადიანის მიერ გაცემული მიწა-წყლის კუთვნილების უფლება.

დადიაშ მამული – ტყე დადიდის ნაპირას.

დადიანიშ ნოხორი – საკარმიდამო. იგივე მაიაშ დოხორე.

დადიანიშ შარა – ნაგზაური. კიტიაშ ფონის (მღ. ჭანისწყალზე) გავლით მიდიოდა ზუგდიდში. დადიანებისა იყო. გლეხებს თავისი გზა ჰქონდათ.

დადიაშ ტყა//სადადიო ტყა//მაიაშ ტყა – ტყე დადიდის ორივე ნაპირას.

დიდბეგი – ვაკე-მადლობი. იგივე ენწერი.

დიდლალ – ღელე. იგივე დადიდი

დობერა – ფერდობები ოღეჯეღალის მარცხ. ნაპირას, საადამიოში.

დოხორეშ ტყა – ტყე დადიდის მარჯვ. ნაპირას. დადიანს აქ ჰქონდა დოხორე "სასახლე".

ენწერი//დიდბეგი – ვაკე, ჩაის ფართობი ჯაპშაქარის საზღვარზე.

ვარდიაშ ტომბა – მორევი. იგივე გელაშ ტომბა.

ზოს,მეშ მკოხილი – ფლატე დადიდის მარჯვ. ნაპირზე. **მკოხილი** "ჩამორღვეული".

თომაშ ღალ//ქვარცხეფიშ ღალ – ღელე, დადიდის მარცხ. შენაკადი.

იორდანეშ ფონი – ფონი ჭანისწყალზე.

იოსეშ ნოხორი – ერქვა ჩაის ფართობს ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

კალანდიეფიშ ნოხორი – ერქვა ჩაის ფართობს ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

კაზაშ ნოხორი – ერქვა ჩაის ფართობს ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

კაზაშ წყურგილე – წყარო ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

კერაშ ნოხორი – სახნავი სოფ. კირცხის საზღვარზე.

კიტიაშ ფონი – ფონი ჭანისწყალზე. იხ. დადიანიშ შარა.

კოლიაშ ტომბა – მორევი დადიზე.

კოხიაშ ფონდი – ტყე დადიდის მარჯვ. ნაპირას. კოხია გვარია.

კურკუცია//საადამიოშ კურკუცია – მრგვალი ბორცვი, საადამიოს სერზე. ჰგავს ხელოვნურს.

ლაშხიაშ წყურგილი – წყარო ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

მაია დადიანიშ ჭალე – ჭალა. იგივე სადადიო ჭალე.

მაია დადხეშ წყურგილი – წყარო ჭანისწყლის მარცხ. ნაპირის მაღლობზე.

მაიაშ დოხორე//დადიანიშ ნოხორი – საკარმიდამო დადიდსა და ჭანისწყალს შუა.

მაიაშ ტყა – ტყე. იგივე დადიაშ ტყა.

მაკრნეშ წყურგილი – წყარო სანადარაიოში.

მენჯი – სახნავი. იგივე ჟღები.

მთავარანგელოზი//საღურწკაიოშ ოხვამე – სასაფლაო საღურწკაიოში.

მისაშ ნაწისქვილ – მინდორი დადიდის ნაპირას.

ნადარაიეფიშ ნოხორი – ერქვა ჩაის ფართობს ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

ნალამუ – ჭალა-სახნავი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, საქანთარიოშ ჭალის ქვემოთ.

ნამეშხურ(უ) – სახნავი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას. ეკუთვნოდა მეშხურეს, ე.ი. მეცხვარეს.

ნაშენ//ციტრუსიშ ჭალე – სახნავი ჭანისწყლის ჭალაში, საღურწკაიოს ქვემოთ. **ნაშენ** ადრევე ერქვა. მერე მანდარინი გააშენეს და არ იხარა. მანდარინს ციტრუსსაც უწოდებენ. **ნაშენ(ი)** – ბაღვენახიანი ადგილი.

ნაჭანდარ(უ) – ჩაის ფართობი საგობეჩიოში.

ნაჭილუ – სახნავი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას.

ნესტორიაშ ტყა – ტყე ღადიდის ნაპირას.

ნესტორიაშ ნაწისქვილ – მინდორი ღადიდის ნაპირას.

ნემონი "კაკლნარი" – სახნავი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას.

ნიკოშ ტომბა – მორევი ღადიდზე.

ოლეფონე – სახნავი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირის ჭალაში. **ლეფონი "ლაფანი"**.

ოტოფუე – მორევი ღადიდზე. **ტოფუ** თევზია ერთგვარი, ამოდითა ჭანისწყლიდან. შდრ. ქარ.: ტობი.

ოტოფუეშდუდი – წყალმარხი ღადიდზე.

ოტუნგო – ტუნგის პლანტაცია ოლეფელალის ხეობაში.

ოტურე(ში) "სატურისი" – ტყე ოლეფელალის ხეობაში, სოფ. გაშფერდის საზღვართან.

ოლაჭაჭიე/ოლეფელალი – ღელე. ღადიდს ერთვის მარცხ. მხრიდან ჭანისწყლის ჭალაში. მოედინება სოფ. გაშფერდის საზღვრიდან. **ლაჭაჭია "კიბორჩხალა, ცხრაფეხა"**.

ოლეფელალი – ღელე. იგივე ოლაჭაჭიე.

ოჩე – სახნავი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, ნაჭილუსთან. **ოჩე "ფართო ყანა, დადიანის ყანა"**.

ოხარჩალე – ღელე. იგივე ხარჩალა.

პილაშ წყურგილე – წყარო საჯიშკარიანოში.

ჟღები/მენჯი – სახნავი, თხმელნარი ღადიდის მარცხ. ნაპირას. **ჟღები "ნესტიანი ადგილი; ჭანჭრობი." მენჯი "ვეძა, სააბაზანო-სამკურნალო წყალი"**.

საადამიო – უბანი ჯახუშ ღალისა და ოლეფელალის წყალგამყოფ სერზე.

საადამიოშ კურკუცია – ბორცვი. იგივე კურკუცია.

საადამიოშ ფერდი – სერი ოლეფელალსა და ჯახუშ ღალს შუა.

საგოგიო – უბანი ჯახუშ ღალის მარჯვ. ნაპირას. გოგიები ჩამოსულან გურძემი-ლეგოგიედან (მარტვილის რ.).

სადადიო ტყა – ტყე. იგივე დადიაშ ტყა.

სადადიო ჭალე/მაია დადიანიშ ჭალე – ჭალა ჭანის-
წყლის მარცხ. ნაპირას.

სავარდიო – უბანი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას. ვარ-
დია მცირერიცხოვანი გვარია (123 სული საქართველოში).

საკიტიო – უბანი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას.

სალაშხიო – უბანი ოდეჯელაღის მარჯვ. ნაპირას.
ლაშხიებისა და ხულორდავების წინაპრები სალხინოდან ჩა-
მოსახლებულან. იქ მათ ტეხურში კალმახი დაუჭერიათ და
დადიანისათვის მიურთმევიათ. დადიანს მიუცია სიგელი:
ზღვასა და მთას შუა, სადაც ისურვებთ, დასახლდითო –
ლაშხიებს მოსწონებიათ გაშფერდი, ხულორდავებს კი –
ჭანისწყლის ჭალა და იქ დამკვიდრებულან.

სამალანიო – უბანი ჯახუშ დაღის მარჯვ. ნაპირას.

სანადარაიო – უბანი სოფ. ჯაშაქარის საზღვართან,
დადიდსა და ოკიბორჩხალეს შუა.

საქანთარიო – უბანი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირის ბექ-
ზე. უწინ ქანთარიები ესახლნენ. ახლა აქ სხვა გვარი
მკვიდრობს.

სადურწკაიო – უბანი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას.

სადურწკაიოშ ოხვამე – სასაფლაო. იგივე მთავარანგე-
ლოზი.

საჯიქიო – ტყე დადიდის მარჯვ. ნაპირას, სოფ. კირ-
ცხის საზღვართან.

საჯიშკარიანო – უბანი სოფ. გაშფერდის საზღვართან.

სისოშ ტობა – მორევი დადიდზე.

სიჭინაშ შარა – გზა. იგივე გლეხიშ შარა.

ტები – სერი სოფლის ცენტრში, დადიდსა და ოდეჯე-
დაღს შუა. "ტები ჯოხო მანგარ ტყას..."

ტკილიშ ტომბა – მორევი ჭანისწყალზე. ტკილი "მერგე-
ლის ქანი".

უჩა დადიაშ წისქვილი – ნაწისქვილარი ჭანისწყალზე.
უჩა პირსახელია.

ფაყე – ბექი, რომელიც გასდევს ჭანისწყლის მარცხ.
ნაპირის ჭალას.. "წენწყარიშ გაგაჩი რე ფაყე".

ფუტკარაიეფიშ სორო – დეღე, დადიდის მარჯვ. შენაკადი. სორო "მცირე ხევი, ან წყლის ვიწრო სადინარი ტყეში".

ქანთარიაშ ტომბა – მორევი ჭანისწყალზე.

ქანთარიაშ ჭალე – ჭალა-სახნავი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, საქანთარიოს ქვემოთ.

ქანთარიეფიშ წყურგილი – წყარო საქანთარიოში.

ქვარცხეფიშ ნოხორი – ერქვა ჩაის ფართობს ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

ქვარცხეფიშ დალ – დეღე. იგივე თომაშ დალ.

ქურდიანი – ჭალა-სახნავი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას.

დადიდი//დაჯიჯი//დიდდალ – მდინარე. მოედინება სოფ. კირცხიდან (ჩხოროწყუს რ.) და ერთვის ჭანისწყალს მარცხნიდან სოფ. ახალხიბულაში, სანადარაიოს უბანში.

დალპიჯი "ღელისპირი" – ტყე დადიდის მარჯვ. ნაპირას.

დაჯიჯი – მდინარე. იგივე დადიდი.

ღურწყაიაშ ფონი – ფონი ჭანისწყალზე.

შადუშ ტყა – ტყე ოკურჩხალეს მარცხ. ნაპირას.

შეროზიეფიშ წყურგილი – წყარო სოფლის ცენტრის ჩრდ.-დას. ნაწილში.

ჩქონი – ტყე ჭანისწყლის ნაპირას. **ჩქონი** – მცირე კუნძული, ნახევარკუნძული ან ეკალბარდიანი რიყე.

ჩქოფორიეფიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი ოღეჯე-დალზე.

ციტრუსიშ ჭალე – სახნავი. იგივე ნაშენ.

ცხიმურიშჯინჯი "რცხილისძირი" – ტყე დადიდის მარჯვ. ნაპირას.

ძაძამიაშ ტყა – ტყე დადიდის ნაპირას.

წინსვლა – ერქვა ამხანაგობას 30-იან წლებში, და შემდეგ დაერქვა ჩაის ფართობს ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

წისქვილიშკარი – სახნავი ჭანისწყლის ჭალაში.

წყურგილიშ წყარი – ღელე, ღადიდის მარცხ. შენაკადი. სათაგეა ხულორდეფიშ წყურგილი.

ჭითა ჩხორია – ერქვა ამხანაგობას 30-იან წლებში. შემდეგ დაერქვა მის მიერ გაშენებულ ჩაის ფართობს სოფ. კირცხის საზღვართან. **ჩხორია** "მზის სხივი".

ჭყონიშჯინჯი "მუხისძირი" – გზათგასაყარი. ავტობუსის გაჩერება სამალანოსა და საგოგიოს შუა.

ხაიონი – მინდორი ბარბაღეშ წყურგილთან. **ხაია** ისლისებური მცენარეა.

ხარჩალია//ოხარჩაღე – წყარო-ნაკადული ოღეჯეღალის მარცხ. შენაკადი. წყალგვარდნილი აქვს და ღარი უდგას. წყალი მასზე ჩამოდის ჩხრიალით.

ხულორდაშ ტომბა – მორევი ღადიდზე.

ხულორდეფიშ წყურგილი – წყარო ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

ჯახუმ ღალ – ღელე საადამიოში. გაედინება ზუბში.

ჯინორიაშ ფერდი – ბორცვი ჯახუმ ღალის მარჯვ. ნაპირას.

ჯიშკარიანიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი ჭანის-წყალზე.

ჯიშკარიანიშ ფერდი – ფერდობი ღადიდის ნაპირას.

ჯღანჯღეფიშ ნოხორი – ერქვა ჩაის ფართობს ყოფილი ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე.

ჯიშკარიანიშ ფონი – ფონი ჭანისწყალზე, კირცხის საზღვართან.

ჯღანჯღეფიშ წყურგილი – წყარო სოფ. კირცხის საზღვართან.

გაშფერდი

გაშფერდი – სოფელი ახალხიბულის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, ჭანისწყლის მარცხ. მხარეს. ზ.დ. 150 მ. ხობიდან 25 კმ. **გაშფერდი** "სერის ფერდობი".

1996 წელს გაშფერდში მკვიდრობდა 24 გვარის 161 კომლი მათგან მრავალკომლიანია: კვირკვია – 30 კ. (85 სული), ბასილაია – 29 კ. (100 სული), ჯიშკარიანი – 15 კ. (49 სული), ადამია – 13 კ. (50 სული), ზარანდია – 7 კ. (14 სული), ლაშხია – 7 კ. (15 სული), ვიბლიანი – 6 კ. (17 სული).

2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწეის მონაცემების მიხედვით გაშფერდში 733 მცხოვრებია (მათგან კაცი – 353, ქალი – 380).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 31. 09. 83. ინფორმატორები იყვნენ:

ბასილაია ალექსანდრე (გვეჯე) რომანის ძე, 82.

ბასილაია გრიგოლი დავითის ძე, 64 წ.

გედენიძე ქსენია გვეჯეს ას., 63 წ.

გოგია ვლადიმერ (ჩოხო) ეფრემის ძე, 45 წ.

ვეკუა ზაურ პლატონის ძე, 43 წ.

ვეკუა ჭიჭიკო ვასილის ძე, 55 წ.

კვირკვია კირილე (ცუკა) სტეფანეს ძე, 74.

გა – სერი. იწყება სოფ. ახალხიბულის ცენტრში და გრძელდება სოფ. კირცხამდე. **გა** "დაბალი სერი". ამ სერის მიხედვით დაერქვა გაშფერდი სოფელს XIX ს-ის ბოლოს (ასე გადმოსცემენ ხანდაზმულები).

გოგიშ მუხური – სახნავი სოფ. ზუბის საზღვართან.

გრამატა – სახნავი ხობისწყლის ჭალაში, კოპიოს გვერდით. "სანადგლო იყო. გლეხები ამუშავებდნენ და

ყოველწლიურად ფულს უხდიდნენ დადიანს. საბუთად ჰქონიათ "უსტავნი გრამოტა".

დათაშ ნოხორი – ფერდობი, ტუნგის ნარგავები გას აღმ. კალთაზე.

იაგორაშ ტობა – მორევი ხობისწყალზე. იაგორა აქ ჩამხრჩვალა.

ილიაშ მუხური – სახნავი ლეტეშში. ეკუთვნოდა ილიას.

იოსკაშ წყურგილი – წყარო სოფ. კირცხის საზღვართან.

კოპიო – სახნავი ხობისწყლის ჭალაში, გრამატას გვერდით. დადიანისგან იყიდეს კვირკვიაიებმა და ჰქონდათ სათანადო საბუთის ასლი.

ლეფონი "ლაფანი" – სახნავი სოფ. კირცხის საზღვართან.

ლეტაიში – ჭალა-ტყე. იგივე ლეტეში.

ლეტეში//ლეტაიში – ჭალა-ტყე ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, სოფ. კირცხიდან 2 კმ-ზე. **ლეტა "ტალახი"** → ლეტა-იშ-ი → ლეტე-იში → ლეტეში.

მექანიზაციაშ ჩაი – ჩაის ფართობი საბასილაიოში, ჯღანჯღაშ მინდორთან. იხ. ჯღანჯღეფიშ ფართობი.

მესკალი//მესკალიშ ფართობი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. მესკალი "ნეკერჩხალი".

მესკალიშ ფართობი – სახნავი. იგივე მესკალი.

ნაანთხალიანი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. მეოთხედი ("ნაანთხალი") ქცევა იყო.

ნაკანტორ – ბორცვი ხობისწყლის ჭალის ბექობზე. აქ დადიანს ედგა ყაზარმა და ანგარიშს უსწორებდა გლეხებს.

ნამარან "ნამარნევი" – სახნავი საბასილაიოში.

ნატრაქტორ – ჩაის ფართობი საბასილაიოში. ტრაქტორმა პირველად აქ მოხნა მიწა 1936 წელს.

ნაფოშტუ – სახნავი სოფ. კირცხის საზღვართან, სადაც გადიოდა შქა სამარგალოშ შარა. ზუგდიდის შემდეგ აქ ხდებოდა ფოსტის ცხენების გამოცვლა.

ნებიშ ფართობი – სახნავი სოფ. ზუბის საზღვართან. ნები "ნიგოზი, კაკალი".

ნოთე – ერქვა სახნავს სოფლის ცენტრში. ამუშავებდა 30-იან წლებში შექმნილი ამავე სახელწოდების "ამხანაგობა". ნოთე "ჩირაღდანი, კვარი".

ოგინე "სახბორე" – სახნავი ხობისწყლის ჭალაში, სადაც კოლმეურნეობის სახბორე ყოფილა.

ოზაკალე – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. ზაკალი "გზა".

ოკათაფუ "ხერთვისი, წყალთშესართავი" – საძოვარი ოჩხომურისა და ხობისწყლის შესართავთან.

ოკარკალეში "რაკრაკა" – წყარო საკვირკვაიოში. ოკარკალე წყალი საერთოდ კრიალა წყალია.

ოკურჩხალე – დეღე. იწყება საბასილაიოში, აღ. ბასილაიას ეზოში. ინფ.: "სინამდვილეში ეს არის ოკიბორჩხალე. აქ ბევრი იყო კიბოია, ანუ კიბორჩხალა. დამით ხელში სინათლით დაუყვებოდნენ. კიბორჩხალები გაინაბებოდნენ და ადვილი დასაჭერი იყო".

ონდვეში – ტლაპო ხობისწყლის ჭალაში. ონდვეში ← ნდუალა "ტლაპოში ჩაძირვა".

ონწარე – ჭაობი ხობისწყლის ჭალაში. ონწარე არაღრმა ლაქაშიან ტბას აღნიშნავს.

ორთალიანი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. ორთალი ერთი ქცევა მიწაა.

ორჭოლე – ჩაის ფართობი უჩაღალსა და ოღეჯეღალს შუა. იყო ჭაობნარი და ხარობდა **(რ)ჭოლი "ჭილი"**.

ოღეჯეღალ – დეღე, წიფურღალის ზემო წელი. მოედინება სოფ. კირცხიდან, ჩაუვლის ნატრაქტორს.

ოჩხვარუეში – სახნავი ხობისწყლის ჭალაში, გრამატასთან. აქ მდინარის ტოტზე გამართული იყო **ღუმეშ ოჩხვარუე "ღომის საცეხველი"**.

ოხვამეფერდი – ბორცვი სოფ. კირცხის საზღვარზე, ვას ნაწილი.

საბას(ი)ლაიო – უბანი სოფ. კირცხის საზღვართან.

საკვირკეაიო – უბანი სოფ. ზუბის საზღვართან.

სესიშ დაღ – დელე სოფ. ზუბის საზღვართან.

ტარიშ ნოხორი – ტუნგის ნარგავები გას აღმ. კალთაზე.

ტები//ტყადტები – ტყე ხობისწყლის ჭაღასა და საბასილაიოს შუა. ინფ.: "ტები უჩა დიხა რე, ბარაქუა უღუ" (ტები შავი მიწაა, ბარაქა აქვს).

ტიკილტობა – მორევი ოკათაფუს ქვემოთ ხობისწყალზე. ტიკილი მერგელის ქანია.

ტრიფონიშ წყურგილე – წყარო გას აღმ. კალთაზე.

ტყადტები – ტყე. იგივე ტები.

ტყადტებიშ 'უანა – სახნავი ტყადტებში.

უჩანაშ ნადუქან – მინდორი საბასილაიოში.

უჩა ტობა – ტბორი ხობისწყლის ჭაღაში.

უჩა დაღ(.) – დელე, ოდეჯეღალის მარცხ. შენაკადი. გაე-დინება ტებიდან.

ფრიაღეშ ჭაღე – საძოვარი ხობისწყლის ჭაღაში. ფრიაღე "ვერხვი".

ცაკვაშ ნოხორე – სახნავი ლეტეშში, სოფ. კირცხის საზღვართან. ცაკვა ქალის სახელია.

ცქუმუნტური//ცქუმუნტურიშ ფართობი – ჩაის ფართობი სოფ. კირცხის საზღვართან. ინფ.: "ტყე გაკაფეს ჩაის გასაშენებლად და მხოლოდ ცქუმუნტური ("ზღმარტლის ხე") დატოვეს. უკვე არ დგას".

ცქუმუნტურიშ ფართობი – ჩაის ფართობი. იგივე ცქუმუნტური.

ქერწონი "ძეწნარი" – სახნავი ხობისწყლის ჭაღაში.

წისქვილიშკარი – სახნავი ლეტეშში.

წიფურონი – ტყე წიფურღალის ხეობაში.

წიფურღალ – დელე, წისქვილიშ წყარის შენაკადი. ზემო წელზე ეწოდება ოდეჯეღალ.

ჭაღე – ხობისწყლის ჭაღა.

ჭერეხი – საძოვარი ხობისწყლის ჭალაში. ჭერეხი ქვიან-ქვიშიანი წყლისპირია.

ჯახუშ დალ – დელე. საზიარო სოფ. ზუბთან.

ჯინორიაშ ფერდი – ფერდობი საბასილაიოში.

ჯოგოშ ნოხორი – ჩაის ფართობი გას აღმ. კალთაზე.

ჯღანჯღაშ მინდორი – ერქვა მინდორს საბასილაიოში. ამჟამად ჩაის ფართობია და ეწოდება **მექანიზაციაშ ჩაი**.

ზუბი

სოფელი ახალხიბულის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. ზ.დ. 70 მ., ხობიდან 22 კმ. ესაზღვრება გაშფერდი, ახალხიბულა და ზუბი (საჯიჯაოს თემის საკრ.) ადგ. ვარიანტი: **ხიბლაშ ზუბი**. ზუბელთა მთავარი რელიგიური დღესასწაულია გერგობა, ე.ი. გიორგობა, რაც აღინიშნებოდა 23 აპრილს (ძვ. სტ.). ინფ.: "ამ დღეს ჭალეში იმართებოდა ჯარობა, ცხენიშ მორქია, ჯილითი".

1996 წელს სოფელში მკვიდრობდა 39 გვარის 113 კომლი. მათგან შედარებით მრავალკომლიანია: ლომაია – 23 კ. (130 სული), კემულარია – 13 კ. (50 სული), ქვარცხავა – 12 კ. (60 სული), ჭილაია – 10 კ. (40 სული), ბერაია – 9 კ. (29 სული), გოგია – 7 კ. (26 სული), მაღანია – 6 კ. (35 სული).

2002 წელს სოფელში მკვიდრობდა 825 სული (კაცი – 398, ქალი – 427).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 19. 09. 83, ინფორმატორები და მეგზურები იყვნენ:

ბერია იულონ ფარნას ძე, 84 წ.

გედენიძე ქსენია გვეჯეს ას., 63 წ.

გოგია ვლადიმერ (ჩიხო) ფერემის ძე, 45 წ.

ვეკუა გრიგოლ პროფილეს ძე, 69 წ.

ვეკუა ზაურ პლატონის ძე, 43 წ.
ვეკუა ჭიჭიკო ვასილის ძე, 48 წ.
კემულარია ნოდარ ჯოტოს ძე, 29 წ.
ნარსია ტრიფონ პავლეს ძე, 88 წ.
ქვარცხავა ამროზ ზაქროს ძე, 72 წ.
ქვარცხავა ბიკენტი გიორგის ძე, 62 წ.
ღვინჯილია იონა კოსტას ძე, 79 წ.
ჭილაია ვალოდია ვასილის ძე, 80 წ.
ხარამიშვილი გრიშა ნესტორის ძე, 72 წ.
ხარამიშვილი გუგუ მელიტონის ძე, 53 წ.
ღვინჯილია იონა კოსტას ძე, 79 წ.

ადამიეფიშ ფერდი – ბექი ღადიდის ნაპირას.

ავალიანიშ მინდორი – მინდორი ჯახუმ ღალის ნაპირას.

ამროზიშ ოის,რე – ისლნარი საქვარცხაში.

აპოშ წყურგილე – წყარო საღვინჯილიოში.

არჩაიაშ მართუ – მორევი ხობისწყალზე. არჩაია გვარია. **მართუ** "წყალტრიალა მორევი".

არჩაიაშ მოხილი – კლდე ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, არჩაიაშ მართუსთან. **მოხილი** "ჩამორღვეული, ჩამოშლილი".

არჩილიშ ნოხორი – მინდორი ოკიბორჩხაღეს მარცხ. ნაპირას.

აფაქიაშ ფონი – ფონი. იგივე წისქვილიშ ფონი.

ბათუშ მოხილი – მორევი ხობისწყალზე.

ბახვაიაშ შეკებული – ტყე სავეკუოში. **შეკებული** "შემოკავებული".

ბერაიეფიშ ნოხორი – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში.

ბერიაშ ნოხორი – სახნავი ოკიბორჩხაღეს მარჯვ. ნაპირას.

ბიქტორიშ წყურგილე – წყარო ხობისწყლის ჭალაში.

გაბარი – ბექი. ჭალას გასდევს ზუბის სკოლიდან სოფ. გაშფერდამდე. **გაბარი** "ვაკე-სერი, ზეგანი".

გეაჩიშ ნოხორი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

გიორგიშ ნოხორი – სახნავი ოკიბორჩხალეს ნაპირას.

გოგიაშ წყურგილე – წყარო საღვინჯილიოში.

გოგიშ მუხური – სახნავი ლეტეშში.

დავითიშ შეკებული – ტყე ხობისწყლის ჭალაში.

დრიმიტიშ დიხა – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

დუტუშ წისქვილი – წისქვილი ოკიბორჩხალეზე.

ელაგირბე "წაგრძელებული" – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ენწერი – ტყე-ჭაობი. იგივე უღები.

ერასტოშ ნოხორი – სახნავი საქვარცხაში.

ვალეკოშ ნოხორი – სახნავი საქვარცხაში.

ვეკუფიშ ნოხორი – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.

ზუბიშ ოხვამე – ეკლესია. იგივე წიმდა გიორგი.

ზუბიშ ჭალე – ხობისწყლის ჭალა სკოლის შენობიდან ზემოთ, სოფ. გაშფერდამდე.

კაჭიაშ წყურგილე – წყარო ხობისწყლის ჭალაში.

კემლარიეფიშ ნოხორი – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, ზუბის (საჯიჯაოს თემი) საზღვარზე.

კიზირიაშ ნოხორი – ჩაის ფართობი ოკიბორჩხალის მარჯვ. ნაპირას.

კინაშ სტოლბა – სახნავი ხობისწყლის ჭალაში, ყანის ბოლოში. ელექტროგადამცემი ხაზის ბოძი დვას.

კოსტაშ ტყა – ტყე ოკიბორჩხალის მარცხ. ნაპირას.

კოტო "ქოთანა" – მორევი ოკიბორჩხალეზე, სავეკულოში.

ლეფონონი – ტყე ხობისწყლის ჭალაში. **ლეფონი "ლაფანი"**.

ლომეკვირკვიაშ ტყა – ტყეა სახარამიშვილოსა და წიფურღალს შუა. ლომ(ი) პირსახელია.

მაღანიაშ ნოხორი – მინდორი ჯახუშ დალის ნაპირას.

მელე'ვანა "გაღმაყანა" – ტყე სავეკულოში, ოკიბორჩხალის მარცხ. ნაპირას.

მიქეშ ოის,რე "მიქეს საისლე" – ბუჩქნარი ოკუორჩხალის ნაპირას.

ნაკაზარმუ – ჩაის ფართობი ოკიბორჩხალის ნაპირას.

ნაოის,რ "ნასაისლერი" – ჩაის ფართობი ოკიბორჩხალეს ნაპირას.

ნაოსხაპ(უე) – მინდორი ოკიბორჩხალის მარცხ. ნაპირას, სავეკულოში. ოსხაპუე ის ადგილია, სადაც სოფლის ან უბნის მოსახლეობა შაბათ-კვირას თავს იყრის და ერთობა, იმართება ცეკვა-თამაში. **სხაპუა** "ცეკვა; ხტომა".

ნაოხვაძე – სახნავი საჭილაიოში.

ნარსიეფიშ ნოხორი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ნა'ალწყარი – ფშანი, დელე ხობისწყლის ჭალაში, სადაც ამჟამად სტადიონია. **ნა'ალი** "ნატოტარი" ← 'ა "ტოტი".

ნაშხურუ "ნაცხვარალი" – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. ცხერის ნადგომი ადგილია.

ნაწისქვილ "ნაწისქვილარი" – ბუჩქნარი ოკიბორჩხალეზე, სავეკულოში.

ნახოპწყარი – მინდორი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, სადაც შემდეგ სტადიონი და ფერმა იყო.

ნესტორიაშ შეკებული – ტყე სავეკულოში.

ნესტორიაშ დიხა – სახნავი ჭალეში.

ნეძონი "კაკლიანი" – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ნოტოშ ნოხორი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. ნოტო კაცის სახელია.

ოგინე "სახბორე" – ჩაის ფართობი. იგივე სხულიშ-ჯინჯი.

ოთუთუმე/ოთუთუმეშ ფართობი – ჩაის ფართობი საქვარცხაში. **ოთუთუმი** "ოთუთუნი".

ოთუთუმეშ ფართობი – ჩაის ფართობი. იგივე ოთუთუმე.

ოკ(ი)რეში "საკირე" – საკირე ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ზანის პირდაპირ, სადაც წვაგდნენ კირს.

ოკურჩხალე – ღელე. გაშფერდიდან გაედინება საქვარცხას უბანში, მერე გადაჭრის საჯიჯაოს და უერთდება ხობისწყალს მარჯვ. მხრიდან. იშვიათი ვარიანტები: **ოკიბორჩხალე**, **ოკუბორჩხალე**.

ოკიბორჩხალე – ღელე. იგივე **ოკურჩხალე**.

ოკუბორჩხალე – ღელე. იგივე **ოკურჩხალე**.

ოლართელი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. **ოლართელი** "ჩაფერდებული, დაქანებული".

ო(ლ)ის, რე – ჩაის ფართობი საქვარცხაში.

ონძილე "ჯილე" – ტბორი, წყარო ჩიხუეფიშ პარტიკის ნაპირზე.

ოტომ წყურგილე – წყარო კემლარიეფიშ ნოხორთან. პარტიკის ერთ-ერთი სათავე საჯიჯაოს ზუბის საზღვართან.

ოქაჯე/ოჩოკოჩიშ ოხორუ – ერქვა უღრან ტყეს ოკურჩხალეს ხეობაში. დასასახლებლად მოსულ ჭილაიებს აქ ქაჯი თუ ოჩოკოჩი უნახავთ და სასწრაფოდ გასცილებიან ამ ადგილს.

ოჩე – ერქვა სახნავს ხობისწყლის ჭალასა და საკემლარიოს შუა. **ოჩე** "ფართო ყანა; საბატონო ყანა".

ოწერე – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. **წერი** თევზია ერთგვარი. **ოწერეში** ალბათ წყალი იდგა.

ოხოჯური – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. თავად კაცია ჩიხუას ჰქონია შემოღობილი ხარებისათვის.

ოჯაპე – სახნავი ოჩესთან. **ჯაპი** "თუთა".

პარტიკი/ჩიხუეფიშ პარტიკი – ტბორი საშონიოსა და ჭალეს შუა. მდ. პარტიკის სათავეა. ეს ტერიტორია ეკუთვნოდათ ჩიხუებს.

პაჭუშ ნოხორი – მინდორი ოკიბორჩხალის მარცხ. ნაპირას. **პაჭუ** კაცის სახელია.

პეტრეშ ოის, რე – ბუჩქნარი ოკურჩხალის ნაპირას.

პესუმ წყურგილე – წყარო კემლარიეფიშ ნოხორის ტერიტორიაზე.

უღები//ენწერი – ტყე, ჭეჭეობი საქვარცხასა და საშონიოს შუა.

საანგურო – ჩაის ფართობი სავეკუოში.

საბერაიო – უბანი საქვარცხასა და საკემლარიოს შუა, სოფ. ახალხიბულის საზღვართან.

საკემლარიო – უბანი სოფ. გაშფერდისა და ახალხიბულის საზღვართან. კემლარია ← კემულარია.

სავეკუო – უბანი ჯახუმ ღალის ნაპირას, სოფ. ახალხიბულის საზღვართან.

სალომაიო – უბანი საჭილაიოს გვერდით.

სანარსიო – უბანი ახალხიბულა-ზუბის გზაზე. ნარსიების წინაპრები ჩამოსულან ჯოლევიდან (მარტვილის რ.) და რამდენიმე ათეული წლის წინ კიდევაც დადიოდნენ იქ დარჩენილ ნათესავებთან.

სანდროშ დიხა – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

სანდროშ ნოხორი – სახნავი ოკიბორჩხალის ნაპირას.

საქვარცხა – უბანი სოფ. საჯიჯაოსა და ახალხიბულის საზღვართან. ქვარცხავეების წინაპრები ჩამოსულან ნაჯაგუღან (ჩხოროწყუს რ.) და მამა-პაპანი კიდევ მიდიოდნენ იქ მირსობის დღესასწაულზე.

საღვინჯილიო – უბანი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირის ბექობზე, გაშფერდის საზღვართან. ღვინჯილების წინაპრები წალენჯიხიდან ჩამოსულან.

საშონიო – უბანი ხობისწყლის ჭალასა და საქვარცხას შუა.

საჭილაიო – უბანი ხობისწყლის ჭალასა და სალომაიოს შუა. ინფორმატორ ვ. ჭილაიას (დაბად. 1903 წ.) მამის ბაბუა ბურდღუია ჩამოსულა სოფ. ბობოთიდან (მარტვილის რ.) ახალგაზრდობისას. თვით ვ. ჭილაია რამდენჯერმე არის ნამყოფი ბობოთში.

სახარამიშვილო – უბანი გაშფერდის საზღვართან.

სესიშ წისქვილი – წისქვილი წიფურღალზე.

სხულიშჯინჯი//ოგინე – ჩაის ფართობი ოკიბორჩხალის ნაპირას. **სხულიშჯინჯი** "მსხლისძირი"; **ოგინე** "სახბორე".

უშქურონა "ვაშლნარი" – ერქვა ტყეს სოფ. საჯიჯაოს საზღვართან.

უშქურონაშ ჩაი – ჩაის ფართობი უშქურონასთან.

უჩანაშ წყურგილე – წყარო ოკურჩხალის მარცხ. მხარეს.

უჩა ტობა – მორევი ხობისწყალზე.

ფართო დიხა – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ფადვაშ მართუ – მორევი ხობისწყალზე.

ფადვაშ მოხილი – კლდე, მორევი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.

ფერდონა – სახნავი, ხობისწყლის ბექის ნაწილი საჭილაიოსა და სალომაიოში. აქ გზა ჩადის ხობისწყლის ჭალაში.

ფიღოშ წისქვილი – წისქვილი ოკიბორჩხალეზე.

ფიღუშ ოჩაიე – ჩაის ფართობი ოკიბორჩხალის ნაპირას.

ფრიალე "ვერხვი" – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ქვარცხეფიშ ნოხორი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ქუცონა – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. საზიარო სოფ. საჯიჯაოსთან. **ქუცი** – ქაცვი; ჯავი. აქ ხარობდა **თუნთიშ ძილი** ("დათვის ჯავრცხილა" – პ. ც.). ისაა **ქუცი** – ეკლიანი ხე. ისხამს წვრილ შავ მარცვალს, ზღმარტლს ჰგავს, იჭმევა. ქუნცი სხვაა. ესეც ეკლიანია, მაგრამ აქვს წითელი ნაყოფი, რაც არ იჭმევა".

ღვინჯილიეფიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი წისქვილიშ წყარზე.

ღვინჯილიეფიშ წყურგილე – წყარო, დელე საღვინჯილიოში.

შოთაშ ნოხორი – სახნავი ოკიბორჩხალეს ნაპირას.

შონიეფიშკარი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

შონიეფიშ დალ – დელე, პარტიკის ერთ-ერთი სათავე. გაედინება საჯიჯაოს ზუბში.

შონიეფიშ წყურგილე – წყარო საშონიოში.

ჩაგუშ წყურგილე – წყარო საღვინჯილიოში.

ჩიჩუეფიშ პარტიკი – ტბორი. იგივე პარტიკი.

ჩქონი – საძოვარი ხობისწყლის ნაპირას, უჩა ტობასთან. ჩქონი "კუნძული; ნახევარკუნძული; ბუჩქნარი".

ცხემურიშჯინჯი "რცხილისძირი" – მორვეი ოკიბორჩხალეზე, სავეკუოში.

წიმლა გიორგი/ზუბიშ ოხვამე – ეკლესია, სასაფლაო სოფლის ცენტრში. "აქ აღინიშნებოდა გერგობა" 10 ნოემბერს. კლავდნენ ჯაკელს ან მოზვერს".

წისქვილიშ წყარი – ხობისწყლის ტოტი საღვინჯილიოში.

წიფურღალ "წიფლის დელე" – დელე. წისქვილიშ წყარის მარჯვ. შენაკადი სახარამიშვილოში, გაშფერდის საზღვართან.

ჭალე – ჭალა ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.

ჭილაიეფიშ დიხა – ჩაის ფართობი საჭილაიოში.

ჭილაიეფიშ დალუ – დელე, პარტიკის შენაკადი.

ჭუჭუშ ნოხორი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ხიბლაშ ზუბი – სოფ. ზუბი, რომელიც შედის ახალხიბულის თემის საკრებულოში (ადგ. სახელწოდება).

ხოპწყარიშ გაბარი – ბექი ხობისწყლის ნაპირას.

ხუსენიაშ ნოხორი – მინდორი ოკიბორჩხალის ნაპირას.

ჯაბურიაშ ნოხორი – ჩაის ფართობი ოკიბორჩხალის მარჯვ. ნაპირას.

ჯახუშ დალი(ი) – დელე, სოფ. ზუბის საზღვარი სოფ. გაშფერდთან და ახალხიბულასთან. სოფ. ზენში (საჯიჯაოს საკრებულო) ეწოდება ოღეჯედალ. ერთვის ჭანისწყალს.

ჯახუშ დალიშ წყურგილე – წყარო ჯახუშ დალის ნაპირას.

ჯინორიაშ ნოხორი – ჩაის ფართობი ოკურჩხალის მარცხ. ნაპირას.

ჯიქიაშ ნოხორი – ჩაის ფართობი ოკურჩხალის მარჯვ. ნაპირას.

ბიის თემის საკრებულო

ბიის თემის საკრებულო – საკრებულო ხობის რაიონში, ხობისწყლის მარცხ. მხარეს, სენაკის რ-ნის საზღვრამდე. შედის სამი სოფელი: ბია (ც.), ბია-საშონიო, ზემო ბია.

1997 წელს საკრებულოს სამივე სოფელში ცხოვრობდა 47 გვარის 262 კომლი. მათგან მრავალრიცხოვანია: იოსავა – 53 კ., ალანია – 25 კ., დავითიანი – 25 კ., ადამია – 21 კ., ჭითაშვილი – 17 კ., თუთბერიძე – 16 კ., თოდუა – 12 კ. (ცნობას ხელს აწერენ გამგეობის თავმჯდომარე ჯ. ჩარტია და მდივანი ჭ. ბერულავა).

2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების თანახმად, ბიის თემის საკრებულოში სულ ცხოვრობს 825 სული, (მათგან კაცი – 392, ქალი – 433). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

ბია – 513 სული (297 კაცი, 316 ქალი);

ბია-საშონიო – 203 სული (92 კაცი, 111 ქალი);

ზემო ბია – 9 სული (მათგან კაცი – 3, ქალი – 6). ყველა ქართველია.

ბია

ბია – სოფელი ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფ. ნოჯიხევსა და ბია-საშონიოს შორის. ბიის თემის საკრებულოს ცენტრი. ზ.დ. 40 მ., ხობიდან 5 კმ. სოფელში არის სამკურნალო გოგირდოვანი წყარო (ქსე, ტ. 2). ბიაში შედის ხობისწყლის მარჯვ. ნაპირიც სოფ. საკვიკეინომდე. ადგილობრივი ბერძნები, გვარად აიანი-დები, ამტკიცებენ, რომ "ბია ბერძნული სიტყვაა, ნიშნავს წყაროს და სოფელს ეს სახელი ფოქვეშის წყაროსა და ოხვამეკარის წყაროს გამო დარქმევია". ადგ. ვარიანტი: ქვემო

ბია//მეორე ბია (პირველ ბიად ითვლება ზემო ბია. სწორედ იქიდან ჩამოსახლებულებმა შექმნეს ეს მეორე ბია).

ქართული სამართლის ძეგლებში სოფელი ბია დასტურდება მე-18 საუკუნის დამდეგიდან. 1700 წელს დაწერილი "შეწირულების წიგნის" მიხედვით, აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძეს ბიჭვინტის ღმრთისმშობლის ეკლესიისათვის შეუწირავს **ბიას** მცხოვრები ხოსია სიჭინავა და ხუხუ ჩიჩუა (ქსძ, III, გვ. 647. იხ. აგრეთვე გვ. 670). 1733 წლის 16 ოქტომბერს შედგენილ "შეწირულების წიგნში" კი იგივე კათალიკოსი წერს: "სახობოში **ბიას** კოჩივარე სიჭინავა ჩიჯავაძის ნიშანში ბეჟან დადიანმან მოგვცა" (ქსძ, III, გვ. 732); ამავე პერიოდში გრიგოლ კათალიკოსს ბიჭვინტის ღმრთისმშობლისათვის უბოძებია "**ბიას**: კოჩივარე სიჭინავა და მისი გლეხი ამაცალა ცხადაია. კიდევ **ბიას** ჯვებე ბიგვა და მისი ძმისწული მათის ცოლშვილითა", რომელთა საეკლესიო გადასახადს წელიწადში შედაგენდა ხუთ-ხუთი ლოლარიკი სანთელი (იქვე, გვ. 768. იხ. გვ. 771).

საქართველოს და მის კუთხეებში არაა იშვიათი, როცა სხვადასხვა სახის გეოგრაფიულ ობიექტს მცენარის სახელი ჰქვია (მაგ.: ცაცხვი, ჭანდარი...). ამგვარ ოიკონიმთა რიგში დგება ბიაც ("კომში"). ამ სოფელში, კერძოდ, უთუთია იოსავას სახლში, გაზრდილა მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია. მას ამ სოფლის ადგილის სახელებიც ჰქონია ჩაწერილი.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1983 წლის 15 აგვისტოს. ინფორმატორები იყვნენ:

აიანადი იპოლიტე ხრისტოს ძე, 81 წ.

ბერულავა კალი ილიას ძე, 75 წ.

ბუსქანძე პროფილე კოსტანტინეს ძე, 75 წ.

იოსავა რაუდენ ბესარიონის ძე, 73 წ.

ნანეიშვილი არველოდი ბეგლარის ძე, 44 წ.

ღაღუა პანტე (ღეონ) პართენის ძე, 47 წ.

შონია ვალოდია ლევანის ძე, 65 წ.

შონია მიშა ძიკის ძე, 59 წ.

აბანოშ ტყა – ტყე ჭითა დაღუშ აბანოს გვერდით.

ანდრიაშ წყურგილე – წყარო საფიფიოში.

ბათლომეშ წყურგილე/მაროშ წყურგილე – წყარო
ონასუმორის ნაპირას.

ბერძემეფიშ წყარი – წყარო-ნაკადული, ჩამოედინება
ორზეში. ერთვის ხობისწყალს დაღუშ ნოშქვიდთან.

ბიბლაშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი ხობისწყლის
მარცხ. ნაპირას.

გაბწყუ – წყარო სახურცულაში.

გალენჭალე/პაპაშ დისა – სახნავი ხობისწყლის მარცხ.
ჭალაში, მუხურსა და მაფერს შუა. **გალენჭალე** "გარეთა
ჭალა", **პაპაშ დისა** "მღვდლის მიწა".

გილახონი ნო'უნი – სახნავი ოგანის მარჯვ. ნაპირას.

გოხორხილი//სახურცილაშ გოხორხილი – გზა-ვიწრო-
ბი, რომლითაც გადადიან სახურცილადან ნაფოშტუში. **გო-
ხორხილი** "გახერხილი" გადაქცეულა ორონიმულ ნომენად
და აღნიშნავს ბორცვის გარდიგარდმო ვიწრობს, რომელ-
ზეც გზა გადადის.

გრიგოლიშ წყურგილი – წყარო საღადულოში.

გუთუშ ოწიფურონი – ბორცვი სოფლის ცენტრსა და
ოგანეს შუა. წიფლნარი ეკუთვნოდა გუთუა ჭითაშვილს.

გუთუშ წყურგილე – წყარო გუთუშ ოწიფურონთან.

გუჯუშ წყურგილე – წყარო საფაფიოში.

დაღიაშ ნაოჩ(,) – სახნავი. იგივე ნაოჩ(,).

დიდნიშია – მდინარე. იგივე ნიშია.

დიდპალოტი//ტომბა პალოტი – ტბორი ხობისწყლის
მარცხ. ნაპირას. მუხურსა და მაფერს შუა.

დომეშ წყურგილი – წყარო საღადულოში.

დრაბილკა//კარიერი – სახნავი ხობისწყლის მარცხ.
ნაპირას. ქვა-ხრემის კარიერი იყო. (რუს.) ქვის
სამსხვრევი მანქანა.

დღვაბუ – ხევი ოგანის მარჯვ. ნაპირას, ჭითასქუაშ ნოხორის ქვემოთ.

ვასილიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი ოგანეზე.

ზერგვალი – ხობისწყლის ჭალა ონასუმორის შესართავთან. როგორც ჩანს: რხენი (რ)გვალი → ზერგვალი.

თოდუაშ ჩაი//თოდუეფიშ ნოხორი – ჩაის ფართობი ნაბერუში, ზემო ბიის საზღვართან.

თოდუეფიშ ნოხორი – ჩაის ფართობი. იგივე თოდუაშ ჩაი

თხირფონი "თხილის ფონი" – ფონი ხობისწყალზე, ოგანის შესართავს ზემოთ.

ივაკაშ გოლა – გორა სოფ. ნოჯიხევის საზღვართან.

ივაკაშ ობულე – ტყე ონასუმორესა და ივაკაშ გოლას შუა. ობულე "საბლე, ბლიანი".

იოსეშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი ოგანეზე.

კაზარმა – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, ორხესა და ჩელალს შუა.

კარიერი – სახნავი. იგივე დრაბილკა.

კიტიაშ ნოხორი – ნასახლარები სოფ. ნოჯიხევის საზღვართან, ონასუმორესა და ოგანეს შუა. ოდესღაც აქ კიტეებს უცხოვრიათ.

კოსტაშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი ოგანეზე.

კუტა პალოტი – ტბორი ორხესა და ნაოჩს შუა, ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში, სოფ. საკვიკვინოს საზღვართან.

კუტა "მოკლე". პალოტი ← რუს. "ჭაობი".

კუტხეშ ნოხორე – სახნავი. იგივე ქრისტინეშ ნოხორე.

მაფერი – ჭალა ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფ. ნოჯიხევის საზღვართან.

მაფერიშ წისქვილი – ნაწისქვილარი მაფერთან.

მენჯი – მლაშე წყალი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

მუხური – სახნავი ხობისწყლის მარცხ. ჭალაში.
მუხური – მხარე, კუთხე; მდინარის რკალში მოქცეული ადგილი.

ნააბან – მინდორი ნიშიის მარცხ. ნაპირას.

ნაბადა – უბანი სოფლის ცენტრსა და ოგანეს შუა. ცხოვრობენ იოსავეები და აიანიდები.

ნაკირი – სამოვარი ნიშიასა და ხობისწყლის შესართავს შუა.

ნალაშქარფონი – ფონი ხობისწყალზე. სოფ. ბიას აერთებდა ჯახუთთან.

ნაოჩ(,)//დადიაშ ნაოჩ(,) – სახნავი ხობისწყლის ჭალაში, სოფ. საკვიკვინოს საზღვართან. ოჩე, ანუ ფართო სახნავი, დადიანს ეკუთვნოდა.

ნაჯვარუ – გორა სოფ. ნოჯიხევის საზღვართან, ივაკაშ გოლას აღმ-ით.

ნეძონი//ონეძე "კაკლნარი" – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.

ნიკოშ ნაინჭუ "ნიკოს ნაჭავარი" – მინდორი ონასუ-მორის მარჯვ. ნაპირას.

ნიშია//დიდნიშია – მდინარე. ერთვის ხობისწყალს მარცხ. მხრიდან ხობისწყალ-ჭანისწყლის შესართავის ქვემოთ 1 კმ-ზე (საზიარო სოფ. ბია-საშონიოსთან).

ნოხორი – ჩაის ფართობი საშონიოში.

ობორიანწე//ობორიენწერი "საქარე ეწერი" – ბორცვი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. ოგანესა და ონასუმორეს შუა. მეორე ვარიანტი უწინარესია.

ობორიენწერი – ბორცვი. იგივე ობორიანწე.

ოგანე – ღელე, ხეობა. იწყება ზემო ბიაში. ერთვის ხობისწყალს. ინფ.: "განზე მიედინება. ამიტომაა ოგანე".

ოზომეხე "ძმერხლნარი" – მინდორი საშონიოში.

ონასუმორე "სამესამედო" – ღელე, ხეობა, ხობისწყლის მარცხ. შენაკადი. საზღვარი სოფ. ნოჯიხევეთან და ნაფომ-ტუსთან.

ონეძე – სახნავი. იგივე ნეძონი.

ორზე – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. 10 კმ-ზე მეტია, ყოფენ: უჩა ორზე (მიწაა შავი) და ჭითა ორზე (მიწაა

წითელი). "ორზე ტყის შავი მიწაა". შდრ.: **ორ(ი)ზა** (მეგრ.) "ბრინჯი".

ოცხენე "საცხენე" – ტყე, ხევი ოგანის მარცხ. ნაპირას.

ოცხენეჭალე – ტყე ხობისწყლის ნაპირას, სოფ. ნოჯიხევის საზღვართან.

ოძილე "ჯილე" – წყლისქვეშა დარანი ფოქვაშის ძირას.

პაველემ ონიშოდ "პაველეს სანავე" – მორევი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, საშონიოში.

პაპაშ დიხა – სახნავი. იგივე გალენჭალე.

პეტრემ წყურგილე – წყარო ონასუმორის მარჯვ. ნაპირას.

რაჟდენიშ წყურგილი//ნართიშ წყურგილი – წყარო ნართში.

საბიგვა – უბანი ოგანის მარცხ. ნაპირას. ბიგვა(ვა) გვარია.

სათუთბერიძო – უბანი საბიგვასა და სოფლის ცენტრს შორის.

საფაფიო – ტყე-მინდვრები სახურცილასა და კიტიანო ხობორს შუა. ფაფია ძალზე მცირერიცხოვანი გვარია (სულ 50 სული საქართველოში). კომპაქტური დასახლება ამჟამად არც მოეპოვებათ.

საღადუო – უბანი ოხვამეფერდის დას. კალთის ძირას.

საშონიო – უბანი. ნიშიის მარცხ. ნაპირიდან ხობისწყლის მარცხ. ნაპირამდე გრძელდება.

საცხომარიო – ტყე სახურცილასა და ივაკაშ გოლას შუა, სოფ. ნაფომტუს საზღვართან. გვარი ცხომარია დასახელებულია XVI ს-ის საბუთში ხოფის ეკლესიის მეტეგრეთა შორის.

სახურცილა – უბანი სოფ. ნაფომტუს საზღვართან.

სახურცილაშ გოხორხილი – გზა-ვიწრობი. იგივე გოხორხილი.

ტომბა პალოტი – ტბორი. იგივე დიდპალოტი.

ტორჩინეფიშ ონიშოლ "ტორჩინაეების სანავე" – მორვეი ხობისწყალზე, საიოსას პირდაპირ. "ნავმისაბმელი იყო. ნავით აბასთუმანში გადიოდნენ".

ტორჩინეფიშ საანგურო – მინდორი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

ტუტუშ ნოხორი – საკარმიდამო ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

ტუტუშ წყურგილე – წყარო ტუტუშ ნოხორთან.

უჩაშონა – მინდორი კიტიამ ნოხორსა და ოგანეს შუა. უჩაში ყურძნის ჯიშია.

უჩა ორზე – სახნავი. იხ. ორზე.

ფედოსიაშ ნოხორი – სახნავი კიტიამ ნოხორის აღმ-ით.

ფოქვაში – მაღალი კლდე ხობისწყალ-ჭანისწყლის შესართავთან (მარჯვ. მხარეს). კლდეში ბევრია ფოქვა "მღვიმე".

ქრისტინაშ ნოხორე/კუტხეშ ნოხორე – სახნავი ოგანის მარჯვ. ნაპირას, სადაც უწინ ქვრივი ქალი ქრისტინა კუტია ესახლა.

ღაღუაშ ნოშქვიდი – მორვეი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, ბერძემეფიშ წყაროს შესართავთან.

ღაღუაშ ნოხორი – მინდორი ოცხენის სათავესთან.

შაჰანიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი ოგანეზე.

ჩელალ "თეთრი ღელე" – ღელე, სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირის ჭალაში. ღელე ჩამოედინება საკვიკვი-ნიოდან.

ჩქონი – კუნძული, საძოვარი ხობისწყალზე.

წიფანაკოკი – ვაკე-ბორცვი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, საშონიოში. წიფანა "წიფლნარი"; კოკი "კუნძული; ბორცვი".

წიფურონა "წიფლნარი" – ტყე საშონიოში, ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

ჭითა ორზე – სახნავი. იხ. ორზე.

ჭითასქუამ ნოხორი – გორა. იგივე ჭითასქუამ ფერდი.

ჭითასქუაშ ფერდი/ჭითასქუაშ ნოხორი – გორა სოფლის ცენტრსა და ოგანის ხეობას შორის. ჭითაშვილების ნასახლარია.

ჭითა ღალუ – ღელე, ნიშიის მარცხ. შენაკადი. იწყება ნაბერუში, სადაც წყალია ჯანგილი "უანგიანი".

ჭითა ღალუშ აბანო – სამკურნალო გოგირდოვანი წყალი ჭითა ღალუს ხეობაში.

ჭითა ღალუშ ტყა – ტყე ჭითა ღალუს ნაპირზე.

ჯაიანიშ გიმნონთხეფი/ჯაიანიშ გიმნათხეფი – ფერდობი სახურცილასა და ონასუმორეს შუა. **გიმნონთხეფი, გიმნათხეფი** "ჩამონავარდნი". აქ ჯაიანი ჩამოვარდნილა ცხენიდან

ჯაიანიშ გიმნათხეფი – ფერდობი. იგივე ჯაიანიშ გიმნონთხეფი.

ბია-საშონიო

ბია-საშონიო – სოფელი ბიის თემის საკრებულოში, ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, ბიასა და ხორშს შუა. ზ.დ. 40 მ. ხობიდან 6 კმ. სოფელში შემოდის ტერიტორია ხობისწყლის მარჯვ. ნაპირზეც.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1983 წ. სექტემბერში. ინფორმატორები იყვნენ:

იოსავა ივლიანე ზალიკოს ძე, 75 წ.

იოსავა რაჟდენ ბესარიონის ძე, 73 წ.

ნანეიშვილი არველოდ ბეგლარის ძე, 46 წ.

შონია ანა მიხეილის ას, 76 წ.

შონია მიშა ძიკის ძე, 59 წ.

შონია ნიკო ფარნას ძე, 75 წ.

შონია ვალოდია ლევიანის ძე, 65 წ.

ბანკიშ დისა//ბანკიშ მამული – სახნავი საშონიოში.

ბანკიშ მამული – სახნავი. იგივე ბანკიშ დისა.

ბია-საშონიოშ ნახუტურუ – სასაფლაო. იგივე ნახუტურუ.

გერეხონა – სახნავი ნიშიასა და დობრაგიძეს შუა. გ(ე)რეხი, გრეხი ვაზის ჯიშია. ისხამს წვრილ თეთრ ყურძენს.

გეჩხილი – ტბორი ძღანძღონსა და უშქურონას შუა. ნიშნავს "გადატიხრულს, ჯებირით გადაკედლილს". "წყაროს წყალი შემოდოდა ყანაში და იტბორებოდა. კალანდაძემ გადაკედლა და წყალი განზე გაუშვა".

გიგოიაშ ნოხორი – სახნავი, სადაც სამი დეღე ერთდება და იქმნება ნიშია.

გოგიაშ ტები – ტყე ონიშოლთან. ტები "ტევრი; ხშირი ტყე".

გოხორხილი "გახერხილი" – გზა-გადასვლელი უინდობერიდან ზემო ბიაში.

გრიგოლიშ ნაწისქვილ – მინდორი ნიშიის ნაპირას.

გრიგოლიშ ნოხორი – ჩაის ფართობი ნიშიის ნაპირას.

გუჯუშ გოლა "გუჯუს მთა" – ბორცვი ნიშიასა და ხობისწყალს შუა.

გუჯუშ მართუ – მორევი. იგივე გუჯუშ რული.

გუჯუშ რული//გუჯუშ მართუ – მორევი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, ხაპიასა და საშონიოს შუა. "რული იგივეა, რაც მართუ, ე.ი. მორევი, სადაც წყალი ტრიალებს".

დაბალნიშია//კეჭეთიშ ნიშია – საძოვარი ნიშიის მარცხ. ნაპირას.

დაბალჭალე – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში.

დადიაშ წყურგილე – ნაკადული, ნიშიის ერთ-ერთი სათავე. მოედინება სოფ. ხორშიდან.

დალაბოკო – ტყე, ხევი დობერაში, ხაპიის ნაპირას.

დიდი ნიშია – ეწოდება ნიშიის ქვემო დინებას სამი მდგენლის – დადიაშ წყურგილეს, ფორცხაშ წყარისა და კეჭეთის ნიშიის – შეერთების შემდეგ. სიგრძე 2,5-3 კმ. ერთვის ხობისწყალს.

დიხამინჯია – გორა ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, საშონიოში. დიხამინჯია გვარია.

დობერა – ფერდობები ნიშიის მარცხ. ნაპირას, უინდობერის ქვემოთ.

დობრაგბე "გრძელი დობერა" – სახნავი ნიშიის მარცხ. ნაპირას. "გიძელიათ დო ჭ.ფეთ ძ. წყარპიც" (გრძლად და ვიწროდ დევს წყლისპირას). გბე ← გირბე "გრძელი"; დობრა ← დობერა.

დრიმტემ ნაწყურგილ – წყარო ნიშიის ნაპირას.

დრიმტემ ნოხორი – სახნავი ნიშიის მარცხ. ნაპირას.

დრიმტიმ ნაწისქვილ – მინდორი ნიშიის ნაპირას.

ელაგინბე – სახნავი ნიშიის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ხორშის საზღვართან. **ელაგინბე** "წაგრძელებული" – მდინარის ნაპირას ან მთის ძირას მდებარე გრძელი და ვიწრო ადგილი.

ენწერი – ტყე ნიშიის მარცხ. ნაპირას.

ზოსმემ ნოხორი – ჩაის ფართობი ნიშიის ნაპირას.

თუთერი – ტყე-ფერდობი ნიშიის მარცხ. მხარეს, კეჭეთის გვერდით.

თუთერიშ ღაღ. – ღელე, ნიშიის მარცხ. შენაკადი. გაღის თუთერსა და კეჭეთს შუა.

კალანდხემ ნოხორი – საძოვარი ნიშიის მარჯვ. ნაპირას.

კეჭეთი – სახნავი, ტაფობი თუთერიშ ღაღის მარცხ. ნაპირზე, სოფ. ხორშის საზღვართან.

კეჭეთიშ ნიშია – ღელე. იგივე დაბალნიშია.

კვაშილეფიშ ნოხორი – ჩაის ფართობი ნიშიის ნაპირას.

კონდრაშ ნოხორი – ჩაის ფართობი ნიშიის ნაპირას.

ლაღიშ ნოხორი – სახნავი ნიშიის მარცხ. ნაპირას.

ლეფონიშ ჯინჯი "ლაფნისძირი" – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.

ლუკაშ ნოხორი – ჩაის ფართობი ნიშიის ნაპირას.

ლუკაშ ოთხირე – ტყე ნიშიის ნაპირას.

მაქსიმუმ ნაწყურგილ – წყარო, ოხარჩალის სათავე.

მენჯი – მლაშე წყალი ხობისწყლის მარცხ. მხარეს, საღადუოს ქვემოთ.

მილანდარიშ ნოხორი – ჩაის ფართობი ნიშიის ნაპირას.

მიხეილიშ ნაწყურგილ – წყარო. იგივე მიხეილიშ წყუ.

მიხეილიშ წყუ/მიხეილიშ ნაწყურგილ – წყარო, საკვაშილადალის სათავე.

მიხელიშ ნოხორი – ჩაის ფართობი ნიშიის ნაპირას.

მორთელი – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, დაბალჭალესთან. **მორთელს** იტყვიან ახალგადანაბრუნებ მიწაზე.

ნაბერუ – სერი ნიშიის მარცხ. მხარეს.

ნაბოსკელ – საძოვარი ნიშიის მარჯვ. ნაპირას.

ნანწყვი – ფერდობი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

ნაოჩ, – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში, სოფ. საჯიჯაოს საზღვართან.

ნაოხვამ(უ) – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში.

ნართი "განაყოფი" – სახნავი საშონიოში. გადმოცემით, ძმებს სახნავი გაუყვიათ.

ნართიშ წყურგილი – წყარო. იგივე რაჟდენიშ წყურგილი.

ნაფაცხუ – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში.

ნაშხურუ – მინდორი ჟინდობერაში.

ნაჩისა – მორევი ნიშიაზე. **ნაჩისა** "ნაგუბარი". ე.ი. ადგილი, სადაც წყალი დააგუბეს, ან არხში გადაუშვეს ჯებორით.

ნაცამადუ – სახნავი ჟინდობერასა და ნაბერუს შუა.

ნახოჯური – სახნავი ნიშიის მარჯვ. ნაპირას, საიოსაში. როგორც ჩანს: ნაოხოჯური → ნახოჯური,

ნახუტურუ/ბია-საშონიოშ ნახუტურუ – სასაფლაო ძრანდლონაში. გახსნეს გასული საუკუნის 30-იან წლებში.

ნაჯარგვალუ – საძოვარი ჯელეკონის თავზე, სადაც ოდესღაც ჯარგვალი მდგარა.

ნეძონა "კაკლნარი" – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ნიშია – მდინარე. ხობისწყლის მარცხ. შენაკადი. სათავეა დადიაშ წყურგილე სოფ. ხორშში. (საზიარო სოფ. ბიასთან)..

ნიშიაპიჯი – საძოვარი ნიშიის ნაპირას.

ნოლა – სახნავი ხობისწყლის ნაპირას. **ნოლა** "მდინარისპირა ნაყოფიერი ვაკე".

ობორიე "საქარე" – გორა ნიშიის მარჯვ. ნაპირას.

ომუნჩქევი "სამახვე" – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში.

ონიშოლ(ი) "სანავე" – ღრმა წყალი კლდისძირას, ხობისწყალზე, საშონიოში. ნავი გაღმა-გამოღმა დაცურავდა. მარიამობის დღესასწაულზე (ძვ. სტ. 15 აგვისტო) აქ ამოდიოდა ნავი ჭალადიდიდან და 20 დღე იდგა.

ოტურე "სატურე" – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.

ოხარჩალე "ჩხრიალა" – ღელე, ნიშიის მარცხ. შენაკადი. "ტკილს მეურც დო იხარჩალ".

პაპინოშ ნოხორი – ჩაის ფართობი ნიშიის მარცხ. ნაპირას.

პარტიკი – ღელე, ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი, იწყება ზუბში. საზღვარი სოფ. აბასთუმანთან.

ჟინ(ი)დობერა – სერი ნიშიის მარცხ. მხარეს. ხორშისა და ზემო ბიის გამყოფია.

სათუთბერიძეო//სათუთბერძო – უბანი ნიშიასა და ხობისწყალს შუა.

სათუთბერძო – უბანი. იგივე სათუთბერიძეო.

საკვაშილა – უბანი ნიშიის მარცხ. ნაპირას.

საკვაშილაღალ – ღელე, ნიშიის მარცხ. შენაკადი.

საიოსა – უბანი ნიშიის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ბიის საზღვართან. გადმოცემით, იოსავები არიან მშობლიური კუთხიდან ლტოლვილი და აქ დამკვიდრებული სამი ძმა

იოსელიანის შთამომავლები. ინფორმატორი რობერტ იოსავა (სოფ. მეორე გურიფული) თვლის, რომ იგი ერთ-ერთი ძმის შვილის – ბოკოჩიას – მეოთხე თაობაა. გამოყოფენ იოსავების რამდენიმე "გამნარყს", ანუ "გამნაჭყონს" (შტოს, განაყარს). მაგალითად, ბოკოჩიაშ გამნაჭყანი, მურხაყანიშ გამნაჭყანი და სხვ. სხვა გადმოცემით, იოსავები წარმოშობით იაშვილები არიან.

საშონიო – უბანი სოფ. ბიის საზღვართან, ნიშიასა და ხობისწყალს შუა.

სტეფანეშ ნოხორი – ჩაის ფართობი ნიშიას ნაპირას.

სუსანაშ ფერდი – ფერდობი ნაჯარგვალუს თავზე.

სუსანაშ წყურგილი – წყარო, ქუამენჯის სათავე.

უშქურონა – ტყე ნიშიის მარჯვ. ნაპირას.

ფილუშ ნოხორი – ჩაის ფართობი ნიშიის მარცხ. ნაპირას.

ფილუშ წყუ – წყარო ფილუშ ნოხორთან.

ფროსტოშ ნოხორი – სახნავი ნიშიის ნაპირას. ფროსტო ქალს ერქვა.

ქორცხაშ წყარი – ნაკადული, ნიშიის ერთ-ერთი სათავე.

ქუამენჯი "ქვის ვეძა" – ხევი, ნიშიის მარჯვ. შენაკადი საშონიოში.

ღვაჭითა სხული "ლოყაწითელი მსხალი" – მსხლის ხე შურამნიშიაში.

შამშეშ ნოხორი – სახნავი ნიშიის ნაპირას.

შევასტიანიშ ნოხორი – ჩაის ფართობი ნიშიის ნაპირას.

შურამნიშია "სუნიანი ნიშია" – მინდორი, დეღე, ნიშიის მარცხ. შენაკადი. აქ წყალს გოგირდის სუნი ადის.

ჩემონა – საძოვარი სოფ. ხორშის საზღვართან. ჩემი ყურძნის ჯიშია.

ჩუყურიშ ჭაღე – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.

ძერწონა "ძეწნარი" – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.

ძიბიაშ ნოხორი – ჩაის ფართობი ნიშიის ნაპირას.

ძრანძღონი/წკირონი – ტყე ნიშიის მარჯვ. ნაპირას.
ძღანძღონი – უხმარი, უსარგებლო. "ირფელ აკოძღანძღილო ჩანს.". ხარობს ქაცვი, წკირი და სხვ. **წკირი** – ეკალია (მცენარე, რომელსაც ასხია კალია ანუ ეკალა).

წკირონი – ტყე. იგივე ძრანძღონი.

წყვირი "ნამეწყერი" – ჩამონამეწყერი ფერდობი ნიშიის მარცხ. ნაპირას.

წყვირიშ გოხორხილი – გზა-გასასვლელი წყვირის თავზე. გადადის ზემო ბიაში.

ჭერეხი – ჭალა ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. "წყარი დიტენს ხრეშის,ნი, თინა რე ჭერეხი".

ჭითასქუაშ ნოხორი – სერი სოფ. ხორშის საზღვართან.

ჭითასქუეფიშ ნაწისქვილ – მინდორი ნიშიის ნაპირას.

ჭითა უშქური "წითელი ვაშლი" – სახნავი ნიშიის მარჯვ. ნაპირას.

ჭითა ღალუ – დელე. მოედინება ნაბერუდან, ნიშიის მარცხ. შენაკადი.

ჭითა ღალუშ ტყა – ტყე ჭითა ღალუს ნაპირას.

ხაპია – სერი, უბანი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფ. ხორშის საზღვართან.

ხაპიაშ წისქვილი – ნაწისქვილარი, მინდორი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

ხობისწყალი – დას. საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარე. სათავეს იღებს ეგრისის ქედის სამხრ. კალთებიდან, გამოივლის ჩხოროწყუსა და ხობის რაიონებს და ყუღვევთან ერთვის შავ ზღვას. სიგრძე 250 კმ.

ხოპწყარი – მდინარე. იგივე ხობისწყალი.

ხოპწყარძგა – საძოვარი ხობისწყლის მარცხ. ნაპირის ჭალაში.

ჯელეკონა/ჯელეკვანა – სახნავი ნიშიასა და ხობისწყალს შუა. ჯ.ლეკი, დ.ლეკი მცენარეა ერთგვარი.

ზემო ბია

ზემო ბია – სოფელი ბიის თემის საკრებულოში, მდ. ხობისწყლის მარცხ. მხარეს, სოფ. ბიასა და სოფ. ხორშს (სენაკის რ-ნი) შორის. ზ.დ. 50 მ. ხობიდან 7 კმ. სოფ. ბიასთან შედარებით მდებარეობს მაღლობზე, ამიტომ დაერქვა ზემო ბია.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 16.09.83. ინფორმატორები იყვნენ:

აიანადი იპოლიტე ხრისტოს ძე, 81 წ.

ალექსანდრია ნოე ანდრონიკეს ძე, 65 წ.

ბერულავა კალისტრატე ილიას ძე, 75 წ.

იოსავა შოთა ბესარიონის ძე, 77 წ.

ნანეიშვილი არველოდი ბეგლარის ძე, 45.

დადუა პანტელეიმონ პარმენის ძე, 47 წ.

შონია ვალოდია ლევანის ძე, 65 წ.

ხარებავა მიხეილ ბესარიონის ძე, 77 წ.

ბუაღეთი – სერი დარღულის ხეობასა და სოფ. ხორშს შუა. მიჰყვება თუთურღალსა და დიდი დარღულის მარცხ. ნაპირს. გადმოცემით, აქ ბუაღავეები ცხოვრობდნენ.

ბუაღეთიშ ტუნგო – ტუნგის ნარგავეები ბუაღეთში.

ბუტაშ ფერდი – ფერდობი. იგივე პაჭკორიაშ ფერდი.

გერასიმეშ თხირონა "გერასიმეს თხილნარი" – ბუჩქნარი ოსხამეფერდის სამხრ.-დას. კალთაზე.

გილახონი ნო'უნი "ქვემოთა ნაყანევი" – სახნავი ოგანის მარჯვ. მხარეს.

გოხორხილი//სახურცილაშ გოხორხილი – გადასასვლელი სახურცილაში.

გუკოშ ნოხორი – ჩაის ფართობი ონგერეშში.

გ. შახორხილი "გამოხერხილი" – გზა-გადასვლელი, ჩა-
დაბლება ომუნქევემ სუკსა და ბჟალეთს შორის.

ღიახონიშ წყუ – წყარო, ღელე. სააღესანდრიოდან გა-
ღის სოფ. ხორშში. **ღიახონი** "დაბლა (ქვემოთ) მდებარე
ადგილი".

დიდი საიოსა – უბანი. საიოსას ნაწილი დიდი ღარ-
ღულის მარჯვ. ნაპირას.

დიდ(ი)ღარღულა – მდინარე და მისი ხეობა. სათავეა
თუთურუშ დალი. გაღის სოფ. კუთხენოჯიხევეში.

ღღვაბუ – ხევი, ჭეჭყობი ოვანის მარჯვ. მხარეს.

ზურგი – სერი მატახანის მარცხ. ნაპირას, სოფ. კუთ-
ხენოჯიხევის საზღვართან. **ზურგი** ქცეულა ოროგრაფიულ
ნომენად და აღნიშნავს ბორცვს, შემადლებას.

თარანგელოზი//თარანგელოზიშ ოხვამე – ეკლესია,
სასაფლაო ზემო ბიის ყველაზე მაღალ წერტილში, ოხვამე-
ფერდში. თარანგელოზი ← მთავარანგელოზი.

თარანგელოზიშ ოხვამე – ეკლესია. იგივე თარანგე-
ლოზი.

თუთურუ – ფერდობები თუთურუღალის მარცხ. ნაპი-
რას, ბჟალეთის დას. კალთაზე.

თუთურუღალ – ღელე, დიდი ღარღულის სათავე,
იწყება სააღესანდრიოში.

იასონიშ ნოხორი – სახნავი ნაფაცხუსთან.

კვაკვიშ ოღალარი – მცირე მინდორი ოხვამეფერდში,
მთავარანგელოზის ეკლესიის გვერდით. 15 აგვისტოს,
მარიამობის დღეს, ზემო ბიის ეკლესიაში იმართებოდა
მაღანურობა, რასაც მოსდევდა "კვაკვიშ დალა". **კვაკვი**
არის გრძელი ჯოხი – ჭოკი. შედგებოდა ორი გუნდი: **დადია**
და **მაფა** (დადიანი და მეფე). გუნდებს დაამწყვედებდნენ
ეკლესიაში. ზარის ხმაზე გამოცვივდებოდნენ და ამ ჭოკს
ეწოდნენ თავისკენ... სწორედ ამ ადგილს ეწოდა კვაკვიშ
ოღალარი "ჭოკის წასართმევი".

კირიძიაშ ნოხორი – საძოვარი ჭიჭე საიოსაში.

კიტია(შ)ნოსორი – ნასახლარი საიოსას გვერდით. კიტია გვარსახელია.

ლადფარღალაშ ნოსორი – სახნავი საალესანდრიოს აღმ-ით. ფარღალაგა გვარია. ლადი ← ვლადიმერი.

ლადშონიაშ ნოსორი – სახნავი საალესანდრიოში.

მატახანა – ხევი. ჭიჭე ღარღულას ერთ-ერთი სათავე. იწყება ჭიჭე საიოსაში. **მატახა** მცენარე ჩანს. სამეგრელოში სხვაგანაც გვხვდება ტოპონიმები მატახალა, მატახონა.

მაფა(შ)წყუ – წყარო ოხვამეფერდში. "ტყეში ტყაშ მაფა ცხოვრობდა და იქ ყოველივეს განაგებდა. ერთი ღორი არ დაემორჩილა და დაწყევლა. ბერიკიას წილი იყავიო. ის ღორი იმ დღესვე მოკლა ბერიკიამ. ეს წყარო ტყაშ მაფას ეკუთვნოდა". სინამდვილეში მაფაშწყუ "მეფეწყარო" ჰიდროგრაფიული ნომენია, რომელიც აღნიშნავს საუკეთესო სასამელ წყალს, უხვდებიტიანს.

ნაკობ (← რუს "სანგარი") – მინდორი ნიშიის მარჯვ. ნაპირას, საშონიოს პირდაპირ.

ნაბოსტან, "ნაბოსტნარი" – სახნავი ნაკობთან.

ნაბერუ – გორა ნიშია-სასიჭინაშ ღალის წყალგამყოფი სერის დას. მხარეს.

ნაკილას/ხურცილაშ ნოსორი – სახნავი ოხვამეფერდსა და საალესანდრიოს შუა. აქ ოთხწლიანი სკოლა ყოფილა. **კილასი** "სკოლა".

ნაფაცხუ "ნაფაცხარი" – სახნავი თუთურუღალის სათავესთან.

ოგანე – დეღე, ონასუმორეს შენაკადი. სათავეა სასიჭინაშ ღალ. გაედინება საიოსასა და კიტიაშ ნოსორს შუა.

ომუნჩქვეშ სუკი "სამაჩვის გორა" – გორა ბჟაღეთის აღმ. ნაწილში, სოფ. ხორშის საზღვართან.

ონასუმორე "სამესამედო" – დეღე ხობისწყლის ჭალაში.

ონგერე "სამგლე" – ტყე, გორა ბჟაღეთსა და კუთხე-ნოჯიხევს შუა.

ო(ჩო)კოჩე – ხევი, ჭიჭე ღარღულის მარჯვ. სათავე-შენაკადი სოფ. ნაფოშტუს საზღვართან. "ხევში ოჩოკოჩი ცხოვრობს. ღამით გამოდის. მკერდზე საჩეხელი აქვს და თუ დაგინახავს, დაგჩხვლევს".

ოყალეში – სახნავი ოგანის სათავესთან. ალბათ: ოყა-ყალეში "საყიყინო" → ოყალეში (ჰაპლოლოგიის გზით).

ოხვამეფერდი – გორა, ყველაზე მაღალი ადგილი სოფ. ზემო ბიაში. აქაა ეკლესია თარანგელოზი. "გადმოცემით, იგი აუშენებიათ ფოქვეშის ქვით. გვერდიგვერდ მდგარან და ხელიდან ხელში აწვდიდნენ ქვას. უწინ ერქვა შიოშ ოხვამე. შიო იოსავა მღვდელი ყოფილა. ამ ეკლესიასთან იმართებოდა მაღანურობა 15 აგვისტოს. მაღანურები, ე.ი. უცო-ლო ახალგაზრდები, ორი მეტრი სიგრძის ჯოხებით მიდიოდნენ ოჯახებში, ბავშვებს დალოცავდნენ. კეტებს იმა-ვე დღეს გადაადგებნენ ხელის ქვევიდან ზევით აქნევით. მერე იმართებოდა კვაკვიშ ღალა" (იხ. კვაკვიშ ოღალარი).

ოხვამეფერდიშ წყურგილე – წყარო ოხვამეფერდის კალთაზე.

პაპაშ ნოხორი "მღვდლის ნასახლარი" – სახნავი დიდი ღარღულის სათავესთან.

პაჭკორიაშ ფერდი/ბუტაშ ფერდი – ფერდობი სასი-ჭინაშ ღალსა და ნიშიას შუა. აქ ბუტა პაჭკორია ესახლა.

პახვალაშ ნოხორი – საძოვარი ჭიჭე საიოსაში.

პოხოროშ ნოხორი – საძოვარი ჭიჭე საიოსაში.

პოხოროშ წყარი – ღელე საიოსაში. ღარღულის შენაკადი.

საალე(ქ)სანდრიო//საესანდრიო – უბანი სოფ. ხორშის საზღვართან. ინფ.: "ერთ დროს ალექსანდრიები გაუწყვეტია "ხორიალს". დარჩენილა ერთი ქალი. მას გასჩენია ვაჟი და მისთვის სახელად დაურქმევია დოსქიდია ("დანარჩომი"). გამრავლებულა. მათ შთამომავლებს უწოდებენ "დოსქდიაშ გამნაჭყონს" ("დოსქიდიას შთამომავლები"). ერთ-ერთ ოჯახ-

ში აქვთ "ოხვამური ლაგვანი" ("სალოცავი ქვევრი"), იქ აღნიშნავენ მარიამობას, კლავენ გოჭს, მამალს..."

საგვალიო – გორა საესანდრიოშ დალსა და საქვარა-იოშ დალს შუა. გვალია გვარია.

საგვალიოშ დალ – ღელე, საჭიჭინაშ დალის შენაკადი. ჩაედინება საალესანდრიოდან.

საესანდრიო – უბანი. იგივე საალე(ქ)სანდრიო.

საესანდრიოშ დალ – ღელე, სასიჭინაშ დალის ერთ-ერთი სათავე. გაედინება საესანდრიოდან.

საიოსა – უბანი ჭიჭე ღარღულას სათავესა და დიდი ღარღულის წყალგამყოფზე. იყოფა: დიდი საიოსა და ჭიჭე საიოსა. ცხოვრობენ იოსავები.

საფაფიო – ტყე-მინდვრები სახურცილასა და კიტიაშ ნოხორს შუა. ფაფია მცირერიცხოვანი გვარია.

საქვარაიო – სახნავი წისხურასა და საალესანდრიოს შუა. ცხოვრობენ ქვარაიები.

საქვარაიოშ დალ – ღელე. სასიჭინაშ დალის ერთ-ერთი სათავე.

სადადუო – ერქვა უბანს ოხვამეფერდსა და სახურ-ცულას შუა.

საცხომარო – უბანი სახურცილასა და ივაკაშ გოლას შუა.

სახურცილა//სახურცულა – ერქვა უბანს ნოჯიხევის საზღვართან. ხურცილა. ხურცულა გვარ ხურცილავას არაოფიციალური ვარიანტია.

სახურცულა – უბანი. იგივე სახურცილა.

უჩაშონა – მინდორი კიტიაშ ნოხორსა და ოგანეს შუა.

ფედოსიაშ ნოხორი – მინდორი კიტიაშ ნოხორის აღმ-ით.

დადუაშ ნოხორი – ნასახლარი. იგივე სადადუო.

ღარღულა – ღელე. ქმნის მატახანის, ოკონესა და წყუ-იშის შეერთება. გაედინება კუთხენოჯიხევიში.

შიომ ოხვამე/თარანგელოზიშ ოხვამე – ეკლესია. აუშენებიათ მღვდელ შიო იოსავას თაოსნობით. საშენი ქვა ფოქვეშიდან მოუტანიათ (იხ. ოხვამეფერდი).

ჩქონი – კუნძული, საძოვარი ხობისწყალზე.

ცხენბუზონა – ხევი ჭითასქუაშ სუკის დას. კალთაზე, შურამნიშიას მარცხ. ნაპირას. ამოსავალი უნდა იყოს მცენარის სახელი **ცხეზი**. მაშასადამე, თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ცხეზონა. ცხენბუზონა გადააზრების შედეგია.

წისხურა/წინხურა – ხევი, საქანდრიოშ დალის მარჯვ. შენაკადი, გაედინება საგვალისა და საქვარიოს შუა. სიგრძე 400 მეტრამდე.

წინხურა – ხევი. იგივე წისხურა.

წინხურაშ წყურგილი – დაუმშრალი წყარო წინხურაში.

წუ(ლ)იში – წყარო, ხევი. ჭიჭე ღარღულის ერთ-ერთი სათავე ოხვამეფერდის სამხრ. კალთის ძირას. ინფ.: **წუიში** წყაროს ნიშნავს: მეტი არაფერია.

ჭითასქუაშ სუკი – გორა სოფ. ხორშის საზღვარზე, გადასცქერის ნიშიის ხეობას.

ჭიჭე საიოსა – უბანი. საიოსას ნაწილი ოხვამეფერდის აღმ. კალთაზე.

ხურცილაშ ნოხორი – სახნავი. იგივე ნაკილას.

ჯაგუშ ნოხორი – მინდორი ჭიჭე საიოსაში.

ბულიწყუს თემის საკრებულო

ბულიწყუს თემის საკრებულო – საკრებულო ხობის რ-
ნში, ოდიშის დაბლობზე, ქ. ხობსა და ხეთის თემის საკ-
რებულოს შუა. შედის სოფლები: ბულიწყუ (ც.), საკვიკვი-
ნიო, ჭიხუ. საბჭოთა პერიოდში ერქვა პირველი მაისის
სასოფლო საბჭო.

1996 წელს ბულიწყუს საკრებულოს სამივე სოფელში
ცხოვრობდა 133 გვარის 840 კომლი. მათგან კომლმრავალი
გვარებია: ბუკია – 124 კ., კვიკვინია – 83 კ., გაბრავა – 38
კ., კობახიძე – 36 კ., გაბისონია – 31 კ., ესებუა – 30 კ.,
ქანდარია – 29 კ., ნაჭყებია – 28 კ., ტურავა – 24 კ., პერ-
ტია – 22 კ., ფილიპია – 22 კ., ყორშია – 20 კ., ჯობავა – 20
კ., ჭითანავა – 19 კ., ლაგვილავა – 15 კ., ბუსქანძე – 14 კ.,
თოდუა – 14 კ., ლომია – 12 კ., სარჩმელია – 11 კ.,
წოწერია – 10 კ.

2002 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის
პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის თანახმად, ბუ-
ლიწყუს თემში აღრიცხულია 2727 მოსახლე (მათგან 1336
კაცი და 1391 ქალი). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

ბულიწყუ – 1657 სული (კაცი – 790, ქალი – 867).

საკვიკვინიო – 697 სული (კაცი – 345, ქალი – 352)..

ჭიხუ – 373 სული (კაცი – 201, ქალი – 172).

ბულიწყუ

ბულიწყუ – სოფელი და თემის საკრებულოს ცენტრი
ოდიშის დაბლობზე, ურთის სერის სამხრ.-აღმ. ბოლოსთან,
მდ. მუნ-ჩიის მარცხ. ნაპირზე, ხობი-ზუგდიდის
მაგისტრალზე. ზ. დ. 20 მ., ხობიდან 4 კმ. უწინ ბულიწყუ

იყოფოდა ორ სოფლად: პირველი ბულიწყუ (ამჟამინდელი ბულიწყუ) და მეორე ბულიწყუ (ამჟამინდელი საკვიკვინიო). **ბულიწყუ** ნიშნავს ბლის წყაროს. სოფელს საბჭოთა პერიოდში ერქვა პირველი მაისი.

ბულიწყუს ტოპონიმია ჩაწერილია 1983 წლის ოქტომბერში. ინფორმატორები იყვნენ:

ბუკია ვანო რემას ძე, 60 წ.

ბუკია ზურაბ ვანოს ძე, 30 წ.

ბუკია ნოე მიხეილის ძე, 78 წ.

გაბისონია ბათუ ზოსიმეს ძე, 90 წ.

გაბისონია მელენტი ანდრიას ძე, 69 წ.

გაბრავა ჟორა პოკროს ძე, 57 წ.

კობახიძე ნოდარ ვლადიმერის ძე, 49 წ.

პერტია აბრამ პავლეს ძე, 71 წ.

პერტია ოთარ რაქდენის ძე, 56 წ.

ტურავა დურუ ჩაქას ძე, 67 წ.

ტურავა მირიან გიორგის ძე, 69 წ.

ფილიპია კალი მიხეილის ძე, 73 წ.

ჩოკორაია ოთარ მერაბის ძე, 60 წ.

ალექსანდრეშ ნაკარუ – საძოვარი მუხნის ნაპირზე.

ალეშ კარე – საძოვარი მუხნის მარცხ. ნაპირას. **კარე** (← კარავი) – მწყემსის დროებითი საზაფხულო სადგომი.

ბათუშ გოლა "ბათუს მთა" – გორა სოფ. ჭიხუს საზღვართან, მაჩხომერსა და ვაკეს შუა.

ბაკეადალ – ღელე ოქროს საწმისში.

ბასილიშ ნაკარუ – საძოვარი მუხნისა და ჭითა წყარს შუა, სადაც ბასილს კარე ჰქონია.

ბოჭკა მუხნია "ორტოტა მუხნია" – ქვიშამღალის შესართავი მუხნისთან.

ბოჭკა შუკა – შუკა საბუკიოსა და საჩოკორაიოს შუა. შუკა ორ ტოტად გრძელდება.

ბუკიეფიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი მუხნიაზე.

ბუკიეფიშ წისქვილი – ნაწისქვილარი მუნჩიაზე, ოქროს საწმისში.

გაბღაიაშ ნოხორი – მინდორი ოქროს საწმისის შემოგარენში.

გეგუწია – უტორის შესართავი ჯვეშ მუნჩიასთან.

გვაღიაშ ნაკარუ – საძოვარი ოქროს საწმისის შემოგარენში.

გვიტიშ გა – სერი დელიძგაშ რობუს მარჯვ. ნაპირას, სოფ. ხეთის საზღვართან.

გინოსოფილი "განარღვევი" – საძოვარი, მდ. ტოტი მუნჩიის მარჯვ. ნაპირას.

დიდი დიხაგუძბა – ბორცვი ოტორონჯეში. 1 კმ-ზე არის ჭიჭე დიხაგუძბა.

დიდი ოტორონჯე – სახნავი. იხ. ოტორონჯე.

დიხაგუზბა – ბორცვი. იგივე უჩა პალოტიშ დიხაგუძბა.

დომეშ ნოხორი – მინდორი ოქროს საწმისის შემოგარენში.

ეთმეშ კარე – საძოვარი ოქროს საწმისის შემოგარენში.

ენუქიშ ნა'ვან – სახნავი ჭიჭე ოტორონჯეში.

ესებუეფიშ ნანო'უნ – საძოვარი გინოსოფილთან.

თხუმღონღალ "თხმელნარის დელე" – დელე ოტორონჯეში, ფორზღვინდის მარჯვ. შენაკადი.

კობახიეფიშ მამული – სახნავი საპერტიოში.

კოღაშ ნოხორი – მინდორი ბაკვაღალის მარჯვ. მხარეს, ოქროს საწმისში.

ლაგვილეფიშ ნოხორი – სახნავი მუნჩიის მარჯვ. ნაპირას.

ლანჯონა "კოპიტნარი" – ტყე მუნჩიასა და ჭითა წყარს შუა.

ლევეშ ნაკარუ – საძოვარი უჩა პალოტთან.

ლომაიაშ ნო'უნი – სახნავი წათიაღალის ნაპირას.

მაკარიშ მუხური – მინდორი მუნჩიის მარცხ. ნაპირას. მუხური "მხარე, კუთხე, უბანი; მიმწყვდეული ადგილი".

მარკოზიშ ნაკარუ – საძოვარი ოქროს საწმისის შემოგარენში.

მოსოსიაშ ნაკარუ – საძოვარი უჩა პალატთან. მოსოსია ჭითანავას აქ კარე ჰქონდა და საქონელი ეყენა.

ნამარაკუ – ბორცვი საკობახიოსა და საფილიპიოს შუა. მარაკა "თხის სამწყვდევი ნაგებობა".

ნამუნჩუ – ტბორი. მდ. მუნჩიის ყოფილი კალაპორტი სანამ არხში ჩაუშვებდნენ.

ნარჩაბუ//ნარჩაფუ – დელე. იწყება ბათუმ გოლასთან, საჭაკულოში. ერთვის ფორზღვინდეს სოფ. ჭიხუში.

ნარჩაფუ – დელე. იგივე ნარჩაბუ.

ნაფოშტუ "ნაფოსტარი" – მინდორი სოფლის ცენტრში.

ნაჭყებიეფიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი მუნჩიაზე.

ნიკოიაშ ნოხორი – სახნავი საკობახიოში.

ოგანე – მდინარის ტოტი მუნჩიის მარჯვ. ნაპირას. ინფ. "მუნჩიაქ გან გაკეთ, გეგნოსოფ დო მიდართ, ტყას იფაჩუ".

ონწერე – ნაჭაობარი ოქროს საწმისის შემოგარენში.

(ნ)წერი ჭაობის თევზია ერთგვარი.

ოქროს საწმისი – ერქვა საბჭოთა მეურნეობას ჯვეშ მუნჩიისა და ოჩხომურის შესართავთან და შემდეგ იქცა სოფლის სახელად. ესახლნენ აჭარლები და მეზობელი სოფლებიდან გადმონაცვლებულნი.

ოტორონჯე "სამტრედე" – სახნავები ჯვეშ მუნჩიისა და ფორზღვინდეს შუა სოფლის ბოლოდან 3-4 კმ-ზე. იყოფა: დიდი ოტორონჯე და ჭიჭე ოტორონჯე. შუაში ტყეა.

ოტორონჯეშ დიხაგუძბა – ბორცვი ოტორონჯეში, მუნჩიის მარცხ. მხარეს 1,5 კმ-ზე.

ოტორონჯეშ წყურგილე – წყარო ოტორონჯეში.

პეპუიაშ ნოხორი – სახნავი საკობახიოში.

პირველი ბულიწყუ – ერქვა უწინ, დღევანდელ სოფ. ბულიწყუს.

პიტაშონა – მინდორი საბუკიოში, რკინიგზის ხაზსა და საავტ. ტრასას შუა. **პიტა** – ძალზე პატარა რაიმე, ერთი ბეწო. მაგ.: პიტა ქობალი "ნამცეცი პური"; პიტა ადგილი "ხელისგულისოდენა მიწა". გამოთქმა: ართი პიტა ოჭკომალი ვამიღუნა ("ერთი ნამცეცი საჭმელი არა გვაქვს").

რგვალო'ვანე – სახნავი. იგივე რგვალო'უნე.

რგვალო'უნე/რგვალო'ვანე "მრგვალი საყანე" – სახნავი ნარჩაფუს ნაპირას, სოფ. ჭიხუს საზღვართან.

საბუკიო – უბანი მუნჩიის მარცხ. ნაპირას.

საესებუო – უბანი სოფლის ცენტრის ჩრდ-ით.

საკობახიო – უბანი ურთის მთის ძირას, უბან ძაღრის გვერდით (სოფ. საკვიკვინიო). ცხოვრობენ კობახიები. მათი წინაპრები ყოფილან კობახიძეები. დადიანს გააზნაურებული კობახიძეებისათვის მიუცია ტერიტორია კობახიაშ როქელიდან (სოფ. ჭაქვინჯი) შავ ზღვამდე, მდ. ხობის-წყალსა და ჯუმს შუა.

სამსონიაშ წყურგილი – წყარო საკობახიოში.

საპერტიო – უბანი მუნჩიასა და ჭითაღალს შორის. პერტიების წინაპრები სოფ. დიდი ჭყონიდან ყოფილან. აქ საქონელი ჰყოლიათ და დარჩენილან.

სარაგო – ერქვა ტყეს დღევანდელი ოქროს საწმისის შემოგარენში. ტყეში დგამდნენ **რაგვს** – ნადირის შესაპყრობ ხაფანგს.

საჩოკორაიო – უბანი მუნჩიის მარცხ. ნაპირას. ჩოკორაია გვარია.

სახურცულა – სახნავები ოჩხომურის მარჯვ. ნაპირზე. უწინ ხურცილავეები ესახლნენ.

ტარიელიშ ნაკარუ – სახნავი წათიაღალის ნაპირას.

ტექნიკუმიშ ნა'ვან – სახნავი ოქროს საწმისის შემოგარენში.

ტობაია – ღელე, მინდორი ნარჩაფუს მარჯვ. ნაპირას. ტობაია "მცირე ტბა".

ტობაიაძეა – სახნავი ტობაიასთან.

ტურეფიშ დინა – სახნავი უჩა პალოტის გვერდით. ეკუთვნოდათ ტურავეებს.

უტუიაშ კარე – საძოვარი საპერტოს დას-ით.

უჩა პალოტი "შავი ჭაობი" – ჭაობი მუნჩიის მარცხ. მხარეს, სოფლის ბოლოდან 1 კმ-ზე. შდრ. რუს.: "ჭაობი".

უჩა პალოტიშ დინაგუბა//დინაგუზბა – ერქვა ბორცვის უჩა პალოტთან, მუნჩიიდან 1 კმ-ზე. მოასწორეს.

ფარნაშ ნოხორი – მინდორი ოჩხომურის მარცხ. მხარეს, ოქროს საწმისში.

ფორზღვინდე//ფორზღვინდია – დელე, ჭაობი. მუნჩიის მარცხ. ტოტი. 4 კმ. შემდეგ ისევ მუნჩიას ერთვის. იქვე: ნარჩაბუ-ფორზღვინდის შენაკადი ჭიხუში.

ფორზღვინდეშ წყურგილე – წყარო ფორზღვინდის ნაპირას.

ფორზღვინდია – დელე, ჭაობი. იგივე ფორზღვინდე.

ქეშილი "მოსილული" – ერქვა ტყეს დღევანდელი ოქროს საწმისის შემოგარენში.

ღაიჩა – ერქვა დელეს დღევანდელი ოქროს საწმისის შემოგარენში. **ღალიუჩა** "შავი დელე" → ღაიჩა.

დელიძგაშ რობუ – ხევი, მიკიანწყუს ქვემო წელი. ჩამოდის საფილიპოში.

ომურბოვა "ტყემლის ბოგირი" – დელე, ერთვის უჩა პალოტს.

ჩეფიაშ ნო¹უნი – სახნავი წათიაღალის ნაპირას. ჩეფია მამაკაცს ერქვა.

ჩა¹უში – ერქვა ტყეს დღევანდელი ოქროს საწმისის შემოგარენში.

ჩიხილიშ ტომბა – წისქვილის სათავე, მორვეი მუნჩი-აზე. **ჩიხილი** "ჩახერგილი; მცირე კაშხლით წარმოქმნილი საგუბარი".

ჩხერიონი – ტყე წათიაღალის მარჯვ. ნაპირას. -ონ სუფიქსი დაერთვის მცენარეთა სახელს და აღნიშნავს სიმრავლეს, კრებილობას.

ძიკიშ ნოხორი – მინდორი ოქროს საწმისის შემოგარენში.

ძიძარიაშ ნაკარუ – საძოვარი ოქროს საწმისის შემოგარენში.

წკვიბლალ – ღელე, ნარჩაბუს მარჯვ. შენაკადი. **წკვიბი**, **წკვიპი** "წვრილი, ვიწრო".

წყურგილი – წყარო ჭიჭე ოტორონჯეში.

ჭველონია – ტყე საპერტიოს დას-ით. **ჭველა** "ნორჩი თხმელა".

ჭითაწყარი "წითელი წყალი" – ღელე, მუნჩიის მარჯვ. შენაკადი, სახლვარი სოფ. ხეთასთან.

ჭიჭე დიხაგუძა – ბორცვი. იხ. დიდი დიხაგუძა.

ჭიჭე ოტორონჯე – სახნავი. იხ. ოტორონჯე.

ჭყოლოფიაშ ნოხორი – სახნავი საპერტიოს დას-ით. **ჭყოლოფია** ლაგვილავას ნასახლარია.

ჯუკუშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი გინოსოფილზე.

საკვიკვინიო

საკვიკვინიო – სოფელი ბულიწყუს თემის საკრებულოში, ურთის მთის კალთაზე, ბულიწყუს აღმ-ით. ზ.დ. 100 მ. სობიდან 6 კმ., ხეთის რკინიგზის სადგურიდან – 2 კმ. უწინდელი სახელწოდება: მეორე ბულიწყუ (პირველი ბულიწყუ ერქვა რკინიგზის ხაზის სამხრეთით, სადაც ამჟამად ბულიწყუს თემის ცენტრია). საკვიკვინიო აღნიშნავს კვიკვინიების დასახლებას. გადმოცემით, კვიკვინიების წინაპრები (სამი ძმა კიკნაძე) წამოსულან ხარაგაულიდან. ერთი ძმა აქ დარჩენილა, მეორე – აბასთუმანში, ხოლო

მესამეს ტკვარჩელისაკენ გაუწევია და ამჟამად გვარად კვიწინიები არიან.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1983 წლის 16-18 ოქტომბერს. ინფორმატორები იყვნენ:

ბერაია ნიკოლოზ აღმასხანის ძე, 59 წ.

ბუსქანძე პორფილე კონსტანტინეს ძე, 75 წ.

გაბისონია მელენტი ანდრიას ძე, 71 წ.

კვარაცხელია შალვა პროფილეს ძე, 61 წ.

კვიკვინია ბიქტორ ერასტოს ძე, 67 წ.

კვიკვინია დათიკო სარდიონის ძე, 47 წ.

კვიკვინია ვალოდია გრიშას ძე, 67 წ.

კვიკვინია ვარლამ ილარიონის ძე, 76 წ.

კვიკვინია ველოდი გრიშას ძე, 47 წ.

კვიკვინია იპოლიტე პეტრეს ძე, 76 წ.

კვიკვინია მაკარ ალექსანდრეს ძე, 74 წ.

კვიკვინია პართენ ელიზბარის ძე, 74 წ.

კობახიძე ნოდარ ვლადიმერის ძე, 49 წ.

კობახიძე ნოე ნიკოლოზის ძე, 77 წ.

ლომაია გოგი აბრამის ძე, 26 წ.

ლომაია ნესტორ დიმიტრის ძე, 71 წ.

ფილიპია კალი მიხეილის ძე, 73 წ.

ქადარია მიხეილ (კუკური) ექვსევის ძე, 53 წ.

ქანდარია ლუკა ივანეს ზე, 78 წ.

შონია ვალოდია ლევანის ძე, 65 წ. (ქ. ხობი).

აბანაშ წყარი//ისლამიშ წყარი – წყარო. ჩამოედინება ხირხუდან. ისლამ კობახიამ აქ, მუწხიასა და ჩხაიას შუა, სამკურნალო აბანოები მოაწყო.

აბანაშ ხირხუ – კლდე. იგივე ხირხუ.

ალაგინძია//ოლაგინძე – ტყე მუწხიის მარცხ. ნაპირას, სალომაიოს ზემოთ. **ალაგინძე** "მდინარის ნაპირის ან ფერდობის ძირას მდებარე წაგრძელებული ადგილი".

არსანაშ ტახტი – მორევი. იგივე ჯობეფიშ ტახტი.

ახალაიაშ ნოხორი – სახნავი ჯახუთში.

ბიძიაშ ნაკარუ – ტყე, საძოვარი ურთის მთაზე, მიკიან-
წყეს ზემოთ.

ბეგლარიშ ნოხორი – ჩაის ფართობი საკობახიოში.

ბერიშ სადგომი – ტყე. იგივე ნაბერუ.

ბერსქუაშ სუკი – ბორცვი ბერსქუაშ დალის მარცხ.
ნაპირას. ბერსქუა ბერიშვილის ადგ. ვარიანტია.

ბერსქუაშ დალ – დელე, ხობისწყლის მარჯვ.
შენაკადი სოფ. აბასთუმნის საზღვართან.

ბერძენეფიშ წყურგილე "ბერძენების წყარო" – წყარო.
იგივე ოკარკალაია.

ბოშიშ ნაშქეიდ(ღ) – მორევი მუნჩიაზე, სალომაიოში.

გიორგიშ ტახტი – მორევი და კლდე მუნჩიის ნაპირას.
სალომაიოში. კლდე ფართო საფეხურებად ჩადის მორევიში.

გუჯუშ ნა'ვან – სახნავი ჯახუთში.

ღიმიტრიშ ნა'ვან – მინდორი ოდაბუნეში.

ღიმიტრიშ წყურგილი – წყარო ოდაბუნეში.

ერმინეშ ნაშინ – მინდორი ჯახუთის ადმ. ნაწილში.
ნაშინ "განაშენებული ადგილი; მამული, ბაღნარი".

ერმინეშ წყარი – წყარო წათიადალის ნაპირას.

თურქიშ ჯიხა//კურუმულიაშ ჯიხა – კოშკი ჩხაიის
მარჯვ. ნაპირას, სოფ. აბასთუმნის საზღვართან. თურქებს
აუშენებიათ, როცა ამ მხარეში დათარეშობდნენ. კურუმუ-
ლია კობახიძე კობახიათა ერთ-ერთი წინაპარია, რომელიც
აქ ჩამოსულა ძმა ლეღვიასთან ერთად.

ისლამიშ წყარი – წყარო. იგივე აბანაშ წყარი.

კაკუანაკარუ – საძოვარი საქადარიოსა და ხობის-
წყლის ჭალას შუა.

კერაშ ნა'ვან – სახნავი ჯახუთში. კერა კაცის
სახელია.

კვარაცხელიაშ ნოხორი – სახნავი მუნჩიის მარჯვ.
ნაპირას.

კობახიეფიშ ნაწისქეიდ – მორევი მუნჩიაზე.

კოკოჩი//კოკოჩიშ ფერდი – ფერდობი სალომაიოში.

კოკონიშ ფერდი – ფერდობი. იგივე კოკონი.

კოსტაშ ნანო¹უნ – მინდორი ჩეღალის სათავესთან. სანამ კოსტა დათესავდა, ალბათ უკვე ერქვა **ნო¹უნი** "ნაყანევი".

კოსტაშ წყურგილი – წყარო საქადარიოში.

კოჭოიაშ რობუ – ხევი, ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი, საზღვარი სოფ. აბასთუმანთან.

კურკუცი – მრგვალთავა ბორცვი ხობისწყლის ჭაღლაში, ჯახუთის ძირას. **კურკუცი** "მრვალი ბორცვი; შემადლება ვაკეზე".

კურუმულიაშ ჯიხა – კოშკი. იგივე თურქიშ ჯიხა.

ლომაიეფიშ ტახტი – მორევი მუნჩიაზე, სალომაიოს ქვემოთ.

ლუხუიაშ რობუ – ხევი, მუნჩიის მარცხ. შენაკადი. ლუხუია მამაკაცის სახელია.

მაჩხომერი "მეთევზე" – ხეობა, უბანი საქანდარიო სუკსა და ჭიხუშ გოლას შუა.

მაჩხომერიშ დაღ – დეღე. იგივე როქელიშ დაღ.

მახუშ ნოხორი – საძოვარი მენჯიშ დაღის მარჯვ. ნაპირას.

მენჯი "ვეძა" – ტლაპო მენჯდაღის მარცხ. ნაპირას.

მენჯ(იშ)დაღ – დეღე, ხევი, ჩეღალის მარჯვ. შენაკადი.

მეორე ბულიწყუ – სოფ. საკვიკვინიოს უწინდელი სახელი.

მიკიანწყუ – ტყე, წყარო ურთის მთაზე, ბულიწყუსა და ხეთის სატყეო ზონის საზღვარზე.

მიკიანწყუშ რობუ – ხევი. მიკიანწყუდან ჩამოედინება.

მისაშ ნა¹ვან – სახნავი, ჯახუთში.

მუმულიაშ ნადიხუ – დაფნარი. იგივე ჭითანაშ ნადის.

ნაბაკუ – სახნავი, წყარო მუნჩიის მარჯვ. ჭაღლაში, საჯობაოში. "საქონელიშ გინარინა ოკო რდას.". **ბაკი** ლაზურშიც და მეგრულშიც იგივეა, რაც ქართული ბაკი.

ნაბარჯანკუ – ფერდობი საჯობაოს თავზე.

ნაბერუ/ბერიშ სადგომი – ტყე ურთაში, ხეთის თემის სახლვართან.

ნაისირუ "ნაისლარი" – ტყე მუნჩიის მარცხ. ნაპირას, ქვაბის ზემოთ.

ნაისირუმ რობუ – ხევი მუნჩიის მარცხ. ნაპირას, სოფ. აბასთუმნის სახლვართან.

ნანწყვი "ნამეწყვი" – ფერდობი ჩელალის სათავესთან.

ნაოფთურ//ნაფთ,რ – გორა, ტყე. ნექგოლის გაგრძელებაა ჩრდ.-აღმ-ით. "მეშხურეს გინოდგე აფთ,რა, შხურში ოხვილუ". აფხაზური სიტყვა ააფთრა მეგრულში შემოვიდა და გაგრძელდა როგორც აფთურა "მწყემსის საზამთრო სადგომი ბარში".

ნაოხვამ – გორა. იგივე ოხვამეშ ფერდი.

ნაოხვამ – სასაფლაო. იგივე სოფიაშ ოხვამე.

ნაჟდერუ – ბორცვი საფილიპიოსა და საკობახიოს შუა. ესახლნენ გვარად ჟდერიები.

ნასიბუ – მინდორი ჯახუთის დას. ნაწილში. შესაძლოა შემოღობილი იყო და ჰქონდა **სიბაკარი**.

ნასქალუ "ნაფუტკრალი" – მინდორი სალომაიოს თავზე.

ნაფთ,რ – გორა, ტყე. იგივე ნაოფთურ.

ნაქობაღ – ტყე სალომაიოში. ქობაღი "პური, ხორბაღი".

ნაწამუთი – ფერდობები ნაჯახუს ქვემოთ, ჯათუმ წყურგილემ რობუს მარჯვ. ნაპირას. "აკ წამლისათვის საჭირო ბალახებს ეძებდნენ. კერძოდ, ადამკორენს, რევატიზმის წამალს. ამიტომაც წამუთი".

ნაჭვი "ღამწვარი, ნახანძრალი" – ტყე მუნჩიის მარჯვ. ნაპირას.

ნახაჯუ "ნაცერცვალი" – ტყე, ფერდობი სალომაიოში, ჯათუმ წყურგილემ რობუს მარჯვ. ნაპირას.

ნეძ(იშ)გოლა – მთა, ურთის მთის ბოლო ნაწილი, რომელიც გადასცქერის მუნჩიის ხეობას. **ნეძი** "კაკალი, კაკლის ხე".

ნიკოშ ტახტი – მორევი მუნჩიაზე, სალომაიოში.

ოდაბუნე – ერქვა ტყე-ხეობას მუნჩიის მარცხ. ნაპირას. შდრ. ქართ.: უდაბნო.

ოლაგინძე – ტყე. იგივე ალაგინძე.

ომუნჩქვე "სამახვე" – ფერდობი ჩელალის მარცხ. ნაპირას.

ოფაჩაფუ – ხეობა, სახნავი ჩელალსა და ჭიხუშ სუკს შუა. ნაწვიმარზე აქ ფართოდ იშლებოდა ღელე შურამღალ.

ოფაჩაფუშ ღალ – ღელე. იგივე შურამ(ია)ღალ.

ოფთურე – მინდორი საჯობაოში, მუნჩიის მარჯვ. ნაპირას. შდრ.: ნაოფთურ.

ოფთურეშ ბოგა – ხიდი მუნჩიაზე.

ოციონი – მინდორი მუნჩიას მარჯვ. ნაპირას, სალომაიოს პირდაპირ. ამოსავალია ც. "თელა".

ოციონიშ რობუ – ხევი, ოციონიდან ჩადის მუნჩიაში.

ოსარკალაია/ბერძემეფიშ წყურგილი – წყარო, გამოდის მღვიმიდან ჯიხის ძირას. ოსარკალაია "რაკუნა, რახუნა, ფხაკუნა".

ოსვამეშ რობუ – ხევი, ოსვამეფერდიდან ჩადის მუნჩიაში.

ოსვამეშ ფერდი/ნოსვამ – გორა, რომელზეც დგას ეკლესია "ჯვეშ სოფიაშ ოსვამე". **ოსვამე** "სალოცავი; ეკლესია".

პახვალაშ ნოსორი – სახნავი საკობახიოში.

რეხი – ტყე ნაბერუს ზემოთ, ზუგდიდის რ-ნის საზღვართან. **რეხი** ქვიანი ადგილია.

როქელი – ტყე, ტაფობი ოფაჩაფუსა და მანხომერს შუა.

როქელიშ ღალ/მანხომერიშ ღალ – ღელე, როქელში იწყება, გადის მანხომერში, წათიაღალუს სათავეა.

საბუსქანძო – უბანი ხირხუს თავზე, ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. ბუსქანძეების წინაპრები მღვდლები ყოფილან, იმერეთიდან გადმოსულან სოფ. მოხაშში (სენაკის რ.), ხოლო იქიდან ერთი ნაწილი აქ გადმობარგებულა.

სალომაიო – უბანი მუნჩიის მარცხ. ნაპირას, სოფ. აბასთუმნის საზღვრის სიახლოვეს. აქაური ლომაიები ზუბიდან არიან გადმოსულნი. ინფ.: "ლომას შვილებს – კონასა და ამაჭედას – აფხაზეთიდან ხატი წამოუსვენებიათ და ნარაზენში დაუსვენებიათ მუხის ძირას. კონა აფხაზებს მოუკლავთ. ამაჭედას კი კობახიძის ასული შეურთავს. მათი შთამომავლები, ჯახუთსა და ამჟამინდელ სალომაიოში დასახლებულან და გვარად ლომაია მიუღიათ წინაპრის სახელის მიხედვით".

სალომაიოშ წისკვილი – წისკვილი. იგივე ხაიაშ წისკვილი.

სანაჭყეობიო – უბანი რკინიგზის ხაზსა და ძაღრას შუა.

საფილ(ი)პიო – უბანი რკინიგზის ხაზსა და საკობახიოს შუა. საფილპიო ← ფილიპია (გვარია).

საფილპიოშ ოხვამე – სასაფლაო საფილპიოში.

საქა(ნ)დარიო – უბანი ჯახუთსა და სოფ. ჭიხუს შუა. ცხოვრობენ ქანდარიები.

საქანდარიოსუკი – სერი ჯახუთსა და მანხომერს შუა.

საჯობაო – უბანი მუნჩიის მარჯვ. ნაპირას.

სოფიაშ ოხვამე//ნაოხვამ – სასაფლაო ძაღრაში. იდგახის ეკლესია. ინფ.: "საჯობაოს თავზე არის აია სოფიას სახელობის ეკლესია "ჯვეშ სოფიაშ ოხვამე". იქ მღვარი ხის ეკლესია აქ ჩამოუტანია მღვდელ შუშანიას".

სხულეფი//სხულონა – სახნავი იმ ადგილას სადაც უწინ მსხალნარი იყო. ზოგი ინფორმატორის გადმოცემით, სხულეფა გვარია.

სხულონა – სახნავი. იგივე სხულეფი.

ტახტი – მორვეი მუნჩიაზე, სალომაიოში. ტახტი ამ შემთხვევაში აღნიშნავს ტახტისებურ ადგილს მდინარისპირა კლდეზე.

ტოტიაშ ფერდი – ფერდობი ჩელალის სათავესთან.

ფარნაშ ნოხორი – ტყე სალომაიოში.

ფაჭუმ ნოხორი – სახნავი. იგივე ფეფიშ ნოხორი.

ფეფიაშ ღალ – ღელე, შურამღალის სათავე, სადაც ესახლა ფეფია (ქალის სახელია).

ფეფიშ ნოხორი//ფაჭუმ ნოხორი – სახნავი ძაღრაში. დები – ფეფი და ფაჭუ კვიკვინიები – იყვნენ მონაზვნები და აქ ცხოვრობდნენ პატარა სახლში.

ქვაბი – მაღალი კლდე მდ. მუნჩიის მარჯვ. ნაპირას, ჩხაიის შესართავს ზემოთ, სოფ. აბასთუმნის საზღვართან. კლდეში გამოქვაბულებია.

ქვაბიშ რობუ – ხევი, ქვაბიდან გადის.

ქვაბიშ წისქვილი – ნაწისქვილარი მუნჩიაზე, ქვაბის ძირას.

ქუთულაშ ნა'ვან – სახნავი ჯახუთში.

ღელიძეაშ რობუ – ხევი ხეთის საზღვართან. ჩამოედინება ურთას მთიდან. ფაქტობრივად, მიკიანწყუმ რობუს გაგრძელებაა.

შურამ(ია)ღალ//შურამინჯი//ოფაჩაფუმ ღალ – ღელე, საქადარიოსა და ჭიხუმ სუკს შუა გადის, ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი. ინფ. "მუნწიშ შური რე თექი. მუნწი რე მუნტური მოღრაკილი". **შურამი** "სუნიანი".

შურამინჯი – ღელე. იგივე შურამ(ია)ღალ.

შუშანიაშ ნასკოლ – სახნავი ძაღრაში. გადმოცემით, სკოლა გაუხსნია ესტატე შუშანიას.

ჩელალ "თეთრი ღელე" – ღელე, გადის ჯახუთიდან. ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი.

ჩხაიაშ წისქვილი//სალომაიოშ წისქვილი – წისქვილი სოფ. აბასთუმნის საზღვართან, მდ. ჩხაიაზე.

ძაღრა – უბანი მუნჩიასა და საკობახიოღალს შუა.

ძვაძვალაშ წყურგილი – წყარო ძაღრის ქვემოთ.

ძუგუმ ნოხორი – საძოვარი საკობახიოში.

ჭათიაღალ – დღე, ნარჩაფუს მარჯვ. შენაკადი. იწყება მაჩხომერში.

ჭაჭხემ ნოხორი – მინდორი ჯვეშ სოფიაშ ოხვამესთან. მონაზონი ქალი ჭაჭია აქ განმარტოებით ცხოვრობდა.

ჭითანაშ ნადის/მუმულიაშ ნადისუ – დაფნარი ძაღრის ქვემოთ.

ჭითანეფიშ ნოხორუ – სახნავი ოხვამეფერდის კალთაზე.

ხირხუ – კლდე ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, საიდანაც ჩაედინებ, ჯახუთში. **ხირხუ** "კლდოვანი ადგილი, ქვიანი გზა".

ხირხუ/აბანაშ ხირხუ – კლდე მუნჩიის მარჯვ. ნაპირას, სოფ. აბასთუმნის საზღვართან. აქედან მუნჩუაში ჩაედინება აბანაშ წყარი.

ჯათუშ წყურგილე – წყარო ოდაბუნის თავზე.

ჯათუშ წყურგილეშ რობუ – ხევი, მუნჩიის მარცხ. შენაკადი.

ჯახუთი – მაღლობი, უბანი სოფ. აბასთუმნის საზღვართან, ხობისწყალსა და მუნჩიას შუა. ძირითადად კვიკვინიები ცხოვრობენ. ხალხური ეტიმოლოგიით ტოპონიმისათვის ამოსავალია **ჯა ხუთი** (ხუთი ხე). სინამდვილეში, ჯახუთი უნდა იყოს შტოგვარის სახელი: ჯახუ+თი "ჯახუს ოჯახი".

ჯვეშ სოფიაშ ოხვამე – ეკლესია ნაბარჯანკუს თავზე, ურთის მასივის განშტოებაზე. გორაზე დგას ძველი ეკლესია, გალავანშემორტყმული. ეს ეკლესია აია სოფიას სახელობისა იყო. იგი შემდეგ სოფელში ჩამოუტანიათ (იხ. სოფიაშ ოხვამე).

ჯიხა "ციხესიმაგრე" – გორა ჯახუთში სოფ. აბასთუმნის საზღვართან. გადმოცემით, ციხესიმაგრე იდგა და ხობისწყლამდე გვირაბი ჩადიოდა.

ჯობეფიშ ტახტი/არსანაშ ტახტი – მორევი მუნჩიაზე. "ტახტი რე ფართო გილახუნალ ქუა".

ჭიხუ

ჭიხუ – სოფელი ბულიწყუს თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, ქ. სობსა და სოფ. ბულიწყუს შუა. იყოფა ორ ნაწილად: პირველი ჭიხუ – რკინიგზის ხაზის სამხრ.-დას-ით (პ. გურიფული) და მეორე ჭიხუ – რკინიგზის ხაზის ჩრდ.-აღმ-ით (სოფ. ბულიწყუ).

მასალა ჩაწერილის 1983 წლის სექტემბერში. ინფორმაციორები იყვნენ:

აღონია მელენტი სიმონის ძე, 55 წ.

ნიკოლავა ნანული ალექსანდრეს ას., 37 წ.

ქანთარია ანდრი მიხეილის ძე, 78 წ.

ქანთარია მაკარი გუდუს ძე, 69 წ.

ყურუა არსანა ბარდღუს ძე, 69 წ.

შეშანია დურუ კონსტანტინეს ძე, 72 წ.

ჭაკუა ვალიკო ჯაგუს ძე, 71 წ.

ჯოლია ვასილ ივანეს ძე, 83 წ.

ალექსიმ წყურგილე – წყარო პ. ჭიხუში, ნაჯიხუს აღმ. კალთაზე.

ასუა//ასუაწყარი – დელე პ. ჭიხუში, იწყება საბაგრატიოში. ერთი ტოტი ჩაედინება წყაბუში.

ასუაწყარი – დელე. იგივე ასუა.

ბებურიამ წყურგილე – წყარო პ. ჭიხუში, საბებურიოს განაპირას.

ბესომ დაღ – დელე პ. ჭიხუში, ნარჩაფუს მარცხ. შენაკადი. სათავეა მიმართულში.

გვატიშ ნოხორი – სახნავი საქანთარიოში.

დიანოზიშ რობუ//მუხვიაშ რობუ – ხევი პ. ჭიხუში, უჩა დალის სათავე ქანთარიაშ გოლასა და საშეშანიო გოლას შუა. მუხვია მამას ერქვა. დიანოზი – შვილს. ხევის გვერდით ესახლნენ.

ეგიაშ წყურგილი – წყარო საბაგრატიოს უბანში. ეგია პირსახელიცაა და გვარსახელიც.

თხირიონი "თხილნარი" – ტყე ასუასა და ნარჩაბუს შუა. -ონ სუფიქსის წინ სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი იშვიათად ჩანს.

იგაკა ჯოჯიგიაშ ნო'უნი – სახნავი პ. ჭიხუში, ხობის-წყლის ჭალაში.

ისაკიშ წყურგილი – წყარო პ. ჭიხუში, ასუაწყარის ნაპირას.

კაზაშ ნაკარუ//კაზაშ ტყა – ტყე ასუაწყარის ნაპირზე.

კაზაშ ტყა – ტყე. იგივე კაზაშ ნაკარუ.

კოკიაშ დიხა//კოკიაშ ტყა – ტყე ნარჩაბუსა და ასუა-წყარს შუა.

კოკიაშ ტყა – ტყე. იგივე კოკიაშ დიხა.

ლუკაშ მინდორი – მინდორი საშუშანიოში.

მანხომალეფიშ გოლა – სერი. იგივე მანხომერიშ გოლა.

მანხომერიშ გოლა//მანხომალეფიშ გოლა – სერი საშუშანიო გოლასა და ბათუშ გოლას (სოფ. საკვიკვინიო) შუა. მანხომერი ხეობაა სოფ. საკვიკვინიოში, ამ სერს გადაღმა.

მეორე ჭიხუ – ერქვა ქ. ხობის მიმდებარე სოფელს რკინიგზის ხაზის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. ხობისწყლიდან სოფ. ბულიწყუმდე. შედიოდა ქ. ხობის საქალაქო საბჭოში. გაერთიანდა სოფ. პირველ ჭიხუსთან და ჭიხუს სახელწოდებით შედის ბულიწყუს თემში.

მიმართელი – ფერდობი მანხომერიშ გოლის დას. ფერდობზე. მიმართელი იგივეა, რაც ინორთელი, ე.ი. ჩაბრუნებული, ჩაფერდებული.

მიმართელიშ წყურგილი – წყარო მიმართელში.

მუხვიაშ რობუ – ხევი. იგივე დიანოზიშ რობუ.

ნარჩაფუ – ღელე. იწყება პ. ჭიხუში, საქანთარიოში. წყაბუს მარჯვ. შენაკადი. "ნარჩაფუ უბედური ღელეა, ლიგე

("უგემური"), უფსკერო. კაცი რომ ჩავარდეს, იძირება და იძირება, სულ ქვევით მიდის".

ნა'უ – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. **ნა'უ** "მდინარის ტოტი".

ნაწისქვილ – მინდორი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.

ნაჩისა "ნახერგი" – წისქვილის არხის სათავე ხობისწყალზე.

ნაჯიხუ "ნაციხარი" – გორა საქანთარიოშ გოლის სამხრ. ნაწილში, ქვა-ცემენტზე დიდი რგოლია. გადმოცემით, ზღვა ყოფილა და ამ რგოლით თურმე ნავი ება.

ნიკოშ ნოხორი – სახნავი მიმართელის ძირას.

ნიკოშ წყარი – წყარო საქანთარიოში.

ოზინთხე – ტბორი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, საქანთარიოსა და რკინიგზას შორის. **ზინთხი** – "ზუთხი". ერთნი ამტკიცებენ: ზუთხი იცოდაო. სხვები: ხობისწყალი ნაპირიდან გადასულიყო წყალდიდობის გამო. აქ ზუთხები შერჩენოდა ბუჩქებს, ხარებით წამოუღიათ.

ორწუბელე/პალოტი – ტბორი, სახნავი საქანთარიოს დას-ით. ტბორი იყო. დააშრეს. **ორწუბელე** "საწურბლე": **პალოტი** "ჭაობი". შდრ. რუს.: .

ომუნჩქე "სამაჩვე" – სახნავი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

ოფაჩაფუ – ტყე, ფერდობი ჭიხუს გოლასა და ჯახუთს შუა. ჯახუთის დას. კალთაზე.

ოფაჩაფუშ **ღაღ** – ღელე, ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი.

ოწურბელე – ღელე. ნარჩაფუს მარჯვ. შენაკადი.

ოჯაპე "თუთნარი" – დაფნარი ოზინთხესთან.

პაველე ცქირიაშ **ნო'უნი** – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

პალოტი – ტბორი. იგივე ორწუბელე.

პირველი ჭიხუ – ერქვა ქ. ხობის მიმდებარე სოფელს რკინიგზის ხაზის სამხრ.-დას-ით, სოფ. პ. გურიფულიდან

ბულიწყუმდე. შედიოდა გურიფულის სასოფლო საბჭოში. შეუერთდა მეორე ჭიხუს და შეიქმნა სოფელი ჭიხუ ბულიწყუს თემში.

საბაგრატიო – უბანი სოფლის დას. ნაწილში. ცხოვრობენ ბაგრატიები. ბაგრატია შედარებით მცირერიცხოვანი გვარია (სულ 122 სული საქართველოში).

საბებურიო – უბანი საშუშანიოსა და საქანთარიოს შუა.

საგამსონიო – ჩაის ფართობი პ. ჭიხუში. ესახლნენ გამისონიები.

სანაჭყეობიო – უბანი. იგივე საშუშანიო.

სანაჭყეობიოგოლა – გორა. იგივე საშუშანიოგოლა.

სასოსელიო – უბანი მეორე ჭიხუში.

საქანთარიო – უბანი მეორე ჭიხუში. აქაური ქანთარიები ირწმუნებიან, რომ ისინი სინამდვილეში ცაგერიდან ჩამოსული ქავთარაძეების შთამომავლები არიან.

საქანთარიოშ გოლა – სერი ჭიხუშ გოლის სამხრ. ნაწილში, ხობისწყლამდე. საქანთარიოს დასცქერის.

საშუშანიო//სანაჭყეობიო – უბანი ჭიხუს გოლის ძირას. ამჟამად ცხოვრობენ შუშანიები. ნაჭყებიები უწინ სახლებულან.

საშუშანიოგოლა//სანაჭყეობიოგოლა – გორა. ჭიხუშ გოლის ნაწილი მანხომერიშ გოლასა და საქანთარიოშ გოლას შუა.

საჭაკუო – 1. უბანი ხობი-ზუგდიდის ცენტრ. გზაზე; 2. სახნავი საშუშანიოსა და ბათუშ გოლას შუა. ესახლნენ ჭაკუები. ჭაკუა მცირერიცხოვანი გვარია (სულ 118 სული საქართველოში. ძირითადად ხობის რაიონში ცხოვრობენ).

უჩაღალ "შაველე" – დეღე პ. ჭიხუში. იწყება საბებურიოში. ერთვის ასუას. გაივლის სათევზაო წყალსატევს.

ფაშუშ წყურგილე – წყარო პ. ჭიხუში, ასუაწყარის მარცხ. მხარეს. ფაშუ კაცის სახელია (არაიშვიათად ქალსაც ერქმევა).

ქარჩეფიშ ნოხორი – ბუჩქნარი საქანთარიოში.

ქორქიაშ ნაწისქვილ – სახნავი ოზინთხესთან, სადაც ხობისწყლიდან წისქვილის წყლის არხი გადიოდა.

ქუცი – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, ოზინთხესთან. ქუცი "ქაცვი, ეკალ-ბარდი".

შორშეპიჯი "შოსესპირი" – ერქვა მინდორს საავტ. გზის გვერდით. ამჟამად საკარმიდამოა.

წათიაღალუ – ღელე. იწყება საქადარიოში. ერთოდა ნარჩაბუს მარჯვ. მხრიდან.

ჭიხუშ გოლა – სერი სოფ. ჭიხუსა და სოფ. საკვიკვინოს შუა, ხობისწყლიდან ჩრდ.-დას-ით, მუნჩიამდე.

გურიფულის თემის საკრებულო

გურიფულის თემის საკრებულო – საკრებულო ხობის რ-ში, ხობისწყლის ორივე ნაპირზე. შეიქმნა რამდენიმე წლის წინ. შედის: მეორე გურიფული (ც.) და პირველი გურიფული. საბჭოთა პერიოდში ეს სოფლები შედიოდა ხობის საქალაქო საბჭოში. ადგ. ვარიანტი: **გურფული//გურფური**.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერით გურიფულის თემის საკრებულოში 1043 მცხოვრებია (კაცი – 485, ქალი – 558). მათი 99% ქართველია.

მეორე გურიფული

მეორე გურიფული – სოფელი და გურიფულის თემის საკრებულოს ცენტრი, ოდიშის დაბლობზე, ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 10 მ. ხობიდან 3 კმ. ესაზღვრება: ქ. ხობი, ახალსოფელი, ჭითაუშქური. ადგ. ვარიანტი: მაჟია გურფური.

1996 წელს მეორე გურიფულში მკვიდრობდა 66 გვარის 193 კომლი. მათგან მრავალკომლიანია: დანელია – 14 კ., არზიანი – 8 კ., ტყებუჩავა – 8 კ., ჭანტურია – 8 კ., აბურჯანია – 7 კ., კულუა – 7 კ., სახეიშვილი – 7 კ., გვალია – 6 კ., ზარანდია – 8 კ., გვასალია – 6 კ.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით მეორე გურიფულში ცხოვრობდა 542 სული (კაცი – 260, ქალი – 282). მოსახლეობის 99% ქართველია.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1983 წლის სექტემბერში. ინფორმატორები იყვნენ:

აბურჯანია დურუ ვლადიმერის ძე, 52 წ.

აღანია ნიკოლოზ ტაიას ძე, 80 წ.
არზიანი ალიოშა გიორგის ძე, 59 წ.
ბებურიან რაული პეტრეს ძე, 44 წ.
იოსავა რობერტი ანდრიას ძე, 42 წ.
კვარაცხელია გივი მიხეილის ძე, 51 წ.
მიქაეა შოთა ვასილის ძე, 56 წ.
სალაყაია ნიკოლოზ ალექსის ძე, 74 წ.
ხასია ვლადიმერ სოგრატის ძე, 33 წ.

ბიარეფიშ ნა'ვან//ფილიალი – საცდელი ნაკვეთი სოფ. ხორგის საზღვართან. სოფ. ბიას ჰქონდა დასამუშავებლად.

ბადუშ ნა'ვან(უ) "ბადუს ნაყანევი" – მინდორი ოცხენის მარჯვ. ნაპირას.

ბიქტორიშ ნაკარუ – ტყე ოცხენის ნაპირას.

გ.ნასოფა "განარღვევი" – კუნძული, სახნავი ხობის წყალზე. მდინარე აღიდდა, ნაპირი გადმოარღვია და კუნძული შეიქმნა.

დავითიშ ნაწისქვილ – მინდორი ზღვაიის ნაპირას.

დამბა – სახნავი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. აქ 1935 წელს გააკეთეს დამბა.

დანელიაშ ნოხორი – მინდორი. იგივე ერმინეშ ნოხორი.

დიშ ნოხორი – ბორცვი. იგივე ნანდემუ.

ელიზბარიშ ნა'ვან – სახნავი ოცხენის მარჯვ. ნაპირას.

ერმინეშ ნოხორი//დანელიაშ ნოხორი – მინდორი. სადაც ერმინე დანელია ესახლა, ხოლო შემდეგ მელორეობის ფერმა იყო.

ერმინეშ ღალ(უ) – ღელე, ოცხენის მარჯვ. შენაკადი.

ზღვია – მდინარე. გამოედინება ზემო ქვალონიდან. გადის სოფ. ხორგაში. "რომ მოწვიმდა, ზღვასავით გაიშლუბოდა. ამიტომაა ზღვია".

ივანეშ ნაკარუ – ტყე ოცხენის მარჯვ. ნაპირას.

ლაუშ ნაკარ(უ) – მინდორი ზღვაიის ნაპირას.

მათეშ ნაჩისა – მინდორი ოცხენის ნაპირზე, სადაც მათეს გაუდვია ბოგა "ბოგირი".

მალხაზიშ ნაკარუ – ტყე ოცხენის მარჯვ. ნაპირას.

მამანტიშ ნაჭვარა "მამანტის ნაკაფი" – მინდორი ოცხენის მარჯვ. ნაპირას.

მაჟია გურ(ი)ფული – სოფ. მეორე გურიფულის ადგილობრივი ვარიანტი.

მუხურჭალე – მინდორი. იგივე ნაჯიხურ.

ნაგეჩუ/ნახაჯუ – მინდორი ხობისწყლის ჭალაში. ერთ დროს მდ. ტოტზე გეჩა "ფაცერი" იდგა. აქვე ხაჯიც "ცერცვი" ითესებოდა.

ნადუქან – მინდორი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, საკვარაცხელიოში. აქ თავად ჯორჯიკიას ჰქონია დუქანი.

ნაესქავატორ//პრისმანიშ შარა – გზა, სენაკი-ფოთის გზის მონაკვეთი. მიუყვება პრისმანიშ ნათხორას.

ნაკუტალუ/ნაკუტალუ(შ)ჭალე – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. ეკუთვნოდა კუტალიებს – აზნაურებს, რომლებიც გლეხებს ათოხნინებდნენ "სანახევროდ" (ე.ი. მიჰქონდათ მოსავლის ნახევარი)..

ნაკუტალუ(შ)ჭალე – სახნავი. იგივე ნაკუტალუ.

ნამაშინ – მორევი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. "იდგა მაზუთზე მომუშავე სახერხი ქარხანა და იმას ერქვა მაშინა".

ნანდემუ//დიშ ნოხორი – ბორცვი, ტყე ოცხენის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ხორგის საზღვართან. 5-6 მ. სიმაღლისაა. ზედ 0,5 ჰა ვაკეა. დიშ ნოხორი "დევის ნასახლარი". ზოგადად ეწოდება დიხაგუძების ტიპის ბორცვს, რომელიც ხელოვნურია და უძველეს ნასახლარს წარმოადგენს.

ნაჭიშკარ//ნაჭიჭკარ – მინდორი პრისმანიშ ნათხორთან.

ნაჭიჭკარ – მინდორი. იგივე ნაჭიშკარ.

ნახაჯ – მინდორი. იგივე ნაგეჩ.

ნახოპწყარ – გუბე ხობისწყლის ნაპირზე, ნოჯიხევის საზღვართან.

ნახუტურუშ სასაფლაო – სასაფლაო ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. **ნახუტურუ** ისეთი სასაფლაოა, რომელიც მღვდელმა კი აკურთხა, მაგრამ ეკლესია არ დგას.

ნაჯიხურუ – მინდორი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. სოფ. გამოდმა პ. ხორგის საზღვართან. ჯიხურ "ჯარ-გვალი".

ობუნეში – ტყე-მინდვრები ოცხენის ორივე ნაპირას, სოფ. ხორგის საზღვართან.

ოფუჯე – ტყე, ღელე სოფ. ქვალონის საზღვართან, ზღვაიის მარცხ. შენაკადი.

ოცხენე – ტყე, ღელე, ერთვის ზღვაიას სოფ. ახალსოფელში, გამოედინება სოფ. ხორშიდან. გამოივლის ჭითა-უშქურს.

ოხაიონე – ღელე, ოცხენის მარჯვ. შენაკადი ობუნეშთან. ხაია ჭილისნაირი მცენარეა.

პავლეშ ტყა – ტყე ოცხენის ნაპირასაა.

პრისმანიშ ნათხორა – არხი, რომელიც მ. გურიფულიდან მიემართება ხორგისაკენ. პრისმანი ერქვა ექსკავატორს, რომელიც ამ არხს თხრიდა.

პრისმანიშ შარა – გზა. იგივე ნაესქავატორ.

რეკვაჭალე – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. ეკუთვნოდა რეკვაჭას.

სააბურჯანიო – უბანი ხობისწყლის ნაპირას, სოფ. ახალსოფლის საზღვართან. ეკიდან გადმოსული პავლე ქომოკორდის ძე აბურჯანია აქ დამკვიდრებულა და გამრავლებულა.

საალანიო – უბანი ხობისწყლის ნაპირას. აქაური ალა-ნიები გადმოსულან ქვალონიდან. "სალოცავი ღვთისშობელი" კი ჰქონიათ პ. გურიფულში.

საალანიოტყა – ტყე საალანიოს სამხრეთით.

საბერაიო – მინდორი ბერაიების დასახლების უკან.

საგვალიო – ტყე ოცხენის მარცხ. ნაპირას.

საკვარაცხელიო – უბანი ხობისწყლის ნაპირას. კვარაცხელიები აქ ჯგალიდან (წალენჯიხის რ.) ჩამოსულან.

სასაჯაიო – ტყე ზღვაიის მარჯვ. ნაპირას.

საძიძა – მინდორი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. ძიძავას ეკუთვნოდა.

საჭაჭიო – სახნავი. იგივე ჭაჭია(შ)მუხური.

საჭოჭუო – სახნავები ხობისწყლის ჭალაში.

საჯორჯიკიო – ტყე ოცხენის მარცხ. ნაპირას. ეკუთვნოდათ ჯორჯიკიებს – თავადებს.

ფილიალი – საცდელი ნაკვეთი. იგივე ბიარეფიშ ნა'ვან.

ფულარიაშ ჭალა – სახნავი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

ღვინჯილიეფიშ ნაკარუ – მინდორი ზღვაიის ნაპირას.

შამათია//შამათიაშ ჭალე – სახნავი ხობისწყლის ნაპირას.

შამათიაშ ჭალე – სახნავი. იგივე შამათია.

ჩე ხიდეშ შარა "თეთრი ხიდის გზა" – გზა, ნაესქავატორის ნაწილი.

ჩვენია – ტყე-მინდვრები ოცხენის ორივე ნაპირას.

ჩქონი – საძოვარი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. ჩქონი ეწოდება წყალდიდობის შემდეგ დარჩენილ კუნძულს.

ჭაჭია(შ)მუხური//საჭაჭიო – სახნავი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. "ეკუთვნოდა ჭაჭიას. მუხური კი იმიტომაა, რომ მრგვალია და მოქცეულია მდინარის რკალში".

ჭერეხი – ჭალა ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. "ჭერეხი არის წყალმარჩი ქვა-კენჭიანი ადგილი წყლისპირზე.

პირველი გურიფული

პირველი გურიფული – სოფელი გურიფულის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, ხობისწყლის მარჯვ. მხარეს, სოფ. ბულიწყუმდე და ქ. ხობიდან დასავლეთით, შუა ხორგის თემამდე. ზ.დ. 10 მ., ხობიდან 3 კმ. ამჟამად მასში შედის უწინდელი სოფელი პირველი ჭიხუც.

1996 წელს მკვიდრობდა 41 გვარის 92 კომლი. მათგან შედარებით მრავალკომლიანია: კვარაცხელია – 8 კ., წურწუშია – 8 კ., ალანია – 7 კ., გვასალია – 7 კ., ტყებუჩავა – 6 კ., სახურია – 4 კ.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემებით, პირველი გურიფულის მცხოვრებთა რაოდენობა აღწევდა 501 სულს (კაცი – 225, ქალი – 276). მათგან 99% ქართველია.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილის 13. 09. 83. ინფორმატორები იყვნენ:

ადონია მეღენტი სიმონის ძე, 55 წ.

ბასილაია ჩაქა კიკოს ძე, 81 წ.

გვასალია გრიგოლ (გუგუტა) ჯოტოს ძე, 60 წ.

ვადაქარია იროდი ანტონის ძე, 67 წ.

კეკელია მეღენტი პეტრეს ძე, 81 წ.

ნიკოლავა ნანული ალექსანდრეს ას., 37 წ.

ქანთარია ანდი მიხეილის ძე, 78 წ.

ქანთარია მაკარი გუდუს ძე, 68 წ.

ქირია დავით გრიგოლის ძე, 51 წ.

ყურუა არსანა ბარდღას ძე, 69 წ.

შუშანია ღურუ კონსტანტინეს ძე, 72 წ.

წურწუშია ვანო დომენტის ძე, 84 წ.

წურწუშია ნაირა შოთას ძე, 30 წ.

წურწუშია შოთა სოლომონის ძე, 62 წ.

ჭაკუა ვალიკო ჯაგუს ძე, 69 წ.

ჯოლია ვასილ ივანეს ძე, 83 წ.

ასუა//ასუაწყარი – ღელე. გამოედინება მეორე ჭიხუდან, ჩაუვლის პ. გურიფულს და ერთვის ნარჩაბუს.

ბერაიამუსური//საბერაიოშ ჭალე – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ბოსელიშ მინაჯინუ//ჯორჯიკიაშ ფონი – ფონი ხობისწყალზე. მინაჯინუ "რაც გამოდმიდან გაღმა მოჩანს"

(ობიექტი მდინარის გაღმა მდებარეობს. მისი სახელი კი მხოლოდ ამ მდინარის გამოღმა არის გავრცელებული).

დიხაძუგა//ხობიშ დიხაძუგა – ბორცვი სოფლის ჩრდ. ნაწილში, ქ. ხობის საზღვართან, წყაბუს მარცხ. ნაპირას. დიხაძუგა ზოგადად მცირე ბორცვია, დიხაზურგაზე ნაკლები, მაგრამ იმავე დანიშნულებიანა.

დიხაძუგა//ხორგაშ დიხაძუგა – ბორცვი ნახანგარუში, სოფ. ხორგის საზღვართან. ზედ არხმა გაიარა. როცა თხრიდნენ, ქვევრები ამოიყარა.

თხინაღიდი – ტყე წიფრონიშ დალის მარჯვ. მხარეს, წყაბუს ნაპირებზე.

ისაკიშ წყურგილე – წყარო ასუაწყარის მარცხ. მხარეს.

კაზაშ ნაკარუ – ტყე. იგივე კაზაშ ტყა.

კაზაშ ტყა//კაზაშ ნაკარუ – ერქვა ტყეს ასუაწყარის ნაპირზე.

კოკიაშ დიხა//კოკიაშ ტყა – ტყე ნარჩაბუსა და ასუაწყარს შუა.

კოკიაშ ტყა – ტყე. იგივე კოკიაშ დიხა.

კულეშ შარა – ნაგზაური. გზა ხობიდან გადიოდა ყულეშში. კულე იგივე ყულეგია.

ლანჯონა – ერქვა ტყეს კოლხეთის მეურნეობის დას. ნაწილში.

მურზაშ მინოჯინუ – მორევი ხობისწყალზე. ნიშნავს: "ადგილი, საიდანაც მურზას სახლი მოჩანს". მურზა გაღმა ცხოვრობდა (ამ შემთხვევაშიც სახელდარქმეული ობიექტი მდინარის გაღმაა, სხვა სოფელში, სახელწოდება კი მხოლოდ გამოღმა ფუნქციონირებს).

ნარჩაბუ – დეღე. მოედინება ბათუმ გოლიდან და გაივლის პ. ჭიხუსა და ბულიწყუს შუა.

ნასუშ მუხური – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. ნასუ კაცის სახელია.

ნაფაცერ – სახნავი. ერქვა ხობისწყლის ტოტს წმინდაკვირიკეს ქვემოთ. ფაცერი, ანუ გეჩა, არის თევზის დასა-

ჭერი მახე, წნელით მოწნული. წყალი გადის და თევზი ზედ რჩება. დგამენ მდინარის ტოტზე.

ნახანგარუ – ტყე სოფ. ხორგის საზღვართან.

ონოშქვერე "სანახშირე" – ტყე საკობახიოში, სოფ. ხორგის საზღვართან.

ოუშქურე "სავაშლე" – საძოვარი სოფ. ხორგის საზღვართან.

ოცხენელა – ღელე, ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი.

ოსარჩალე – წყარო, ნაკადული. გამოედინება ქ. ხობიდან.

პალოტი – ღელე-ჭაობნარი, ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი სოფ. ხორგის საზღვართან.

პალოტბეა – მინდორი პალოტის ნაპირას.

პაპაშ დიხა "მღვდლის მიწა" – სახნავი საწურწუმიოში.

რგვალო¹უნე "მრგვალი საყანე" – სახნავი ნარჩაბუს მარცხ. მხარეს.

საალანიო – უბანი ხობი-ფოთის გზაზე.

საბერაიოშ ჭალე – სახნავი. იგივე ბერაიამუხური.

საგვასალიო – უბანი ხობი-ფოთის გზატკეცილზე. ხორში (სენაკის რ.) მცხოვრებ მაღონ გვასალიას აქ ზამთრობით საქონელი ჰყოლია, მერე სულაც აქ დარჩენილა და გამრავლებულან.

საერემადო//საირმადო – უბანი ქ. ხობის საზღვართან. ცხოვრობენ ერემადეები.

საერემადოშ ჭალე//ცაგურიას ნოხორი – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირის ჭალაში.

სავადაქარიო – უბანი ხობი-ფოთის გზატკეცილზე.

საირმადო – უბანი. იგივე საერემადო.

საკვარაცხელიო – უბანი ხობი-ფოთის გზატკეცილზე.

საკობახიო – ერქვა ტყეს წყაბუსა და ასუას ნაპირებზე. ეკუთვნოდა კობახიას.

საკორტა – უბანი სოფ. ხორგის საზღვართან. კორტავა გვარია.

საწურწუმით – უბანი ხობი-ფოთის გზატკეცილზე. წურწუმიების წინაპრები სოფ. ლეწურწუმედან (ჩხოროწყუს რ.) არიან ჩამოსულნი.

ფარუ(შ)წყურგილი – ერქვა წყაროს ასუაწყარის მარჯვ. მხარეს, ფარუ აფშილავას ნასახლარზე.

ფაშუშ წყურგილი – წყარო ასუაწყარის მარცხ. მხარეს. ფაშუ კაცის სახელია.

ღაღჩა "შავღელე" – ღელე, მუნჩიის მარცხ. შენაკადი. იწყება პ. გურიფულში.

შქა რეჭეხი – კუნძული ხობისწყალზე. **რეჭეხი** იგივეა რაც ჭერეხი, ე.ი. წყლისპირა წვრილქვიანი ადგილი.

ცაგურიას მუხური – სახნავი. იგივე საერემაძოშ ჭაღე.

წიფურონი – ტყე სოფ. ჭიხუს საზღვართან.

წიფ(უ)რონღალ – ღელე, წყაბუს მარჯვ. შენაკადი.

წმინდა კვირ(ი)კ(ე)ე/წმინდა კვირკ(ე)ეშ ნახუტურუ – სასაფლაო შემადღებაზე, ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. აქ მდგარა წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესია. იგი აუშენებიათ წურწუმიას, ალანიას, ირემაძესა და ვადაქარიას, ხოლო აღუდგენიათ XX ს-ის დამდეგს. ინფ.: "ჩვენს ნახუტურუს წმინდა კვირკეე ჰქვია".

წმინდაკვირკ(ე)ეშ ნახუტურუ – სასაფლაო. იგივე წმინდა კვირკ(ე)ე.

წყაბუ – ღელე, მუნჩიის მარცხ. შენაკადი. იწყება საჭაკუოში (პირველი ჭიხუ) და გადაჭრის პ. გურიფულს. სათავეა ოხარჩაღე (ქ. ხობი).

წყაბუძგა/წყაბუშ მინდორი – საძოვარი წყაბუს მარცხ. ნაპირას.

წყაბუშ მინდორი – საძოვარი, იგივე წყაბუძგა.

ხობიშ დიხაძუგა – ბორცვი. იგივე დიხაძუგა.

ხორგაშ დიხაძუგა – ბორცვი. იგივე დიხაძუგა.

ჯორჯიკიაშ ფონი – ფონი. იგივე ბოსელიშ მინაჯინუ.

ზემო ქვალონის თემის საკრებულო

ზემო ქვალონის თემის საკრებულო – საკრებულო სენაკის რ-ნის საზღვართან (საბჭოთა პერიოდში ეწოდებოდა ალიონის სასოფლო საბჭო). შედის სოფლები: ზემო ქვალონი, საალანო-საფაჩულიო, სახოჭოლაგო.

ქვალონი "ქვანარი" თავდაპირველად ეწოდებოდა ერთ მცირე ადგილს სოფ. ნოჯიხევის საზღვარზე, შემდეგ კი ფართო ტერიტორიის აღმნიშვნელი გახდა, რაც დაიყო სამ სოფლად: ზემო ქვალონი, შუა ქვალონი, ქვემო ქვალონი.

ზემო ქვალონი

ზემო ქვალონი – სოფელი, ზემო ქვალონის თემის საკრებულოს ცენტრი სენაკის რ-ნის საზღვართან. ზ. დ. 25 მ. სობიდან 10 კმ. შავი ზღვიდან 35 კმ. სოფელს საბჭოთა პერიოდში ერქვა **ალიონი**. ოდიშ-ლენჩხუმის დავით დადიანი-სეული დაყოფით (XIX ს. 40-იანი წლები), სოფელი ქვალონი შედიოდა ზუბის მაზრაში, ისევე როგორც ზუბი და ზენი (მეუნარგია, 1939, გვ. 112).

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ, დ. შონიამ (1984 წ.) და პ. ცხადიამ (1986 წ.). ინფორმატორები იყვნენ:

ალანია დომენტი (დურუ) ბეგლარის ძე, 74 წ.

ალანია გუგუ ესტატეს ძე, 75 წ.

ალანია ვახტანგ (დურუ) ისმანდის ძე, 66 წ.

ალანია ომეხი პლატონის ძე, 56 წ.

ალანია შალვა (კაჭუ) ესტატეს ძე, 78 წ.

თურქია ჯურუ ბესარიონის ძე, 79 წ.

მეფიშვილი ციალა ვალიკოს ძე, 46 წ.

ქანთარია კონსტანტინე სევერიანეს ძე, 73 წ.

ჩიჩუა პეტრე ბიქტორის ძე, 83 წ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფლის მკვიდრის – მარინა ღულუნის ასულ ჯღარკავას ხელშეწყობა, რაც გამოიხატა მეგზურობის გაწევასა და ინფორმატორთა შერჩევაში. მასვე ეკუთვნის ქვალონის ზოგი ტოპონიმის შესახებ გააზრებული და მეცნიერული თვალსაზრისით მისაღები კომენტარები (იხ. მისი "აღიონისა და მისი შემოგარენის ტოპონიმი", გაზ. "კომუნიზმის მშენებელი", სობი, 1. 10. 87).

აღიონი "განთიადი, ცისკარი" ერქვა მე-20 ს. 30-იან წლებში მიწის დამუშავების ამხანაგობას სააღანიოს უბანში. 1937 წელს ეს სახელი ეწოდა საარჩევნო უბანს ბეგი ბერიძის წინადადებით. შემდგომ პერიოდში აღიონი იქცა სოფელ ზემო ქვალონის სახელად და სასოფლო საბჭოს ცენტრად.

ბასილიშ ტები – ტყე ნოხოძულის ნაპირას.

ბადირიაშ ნოხორი – ბუჩქნარი სკურიის მარჯვ. მხარეს. ბადირია კაცის სახელია.

ბეხვეშ ნოხორი – მინდორი სკურიის მარჯვ. ნაპირას.

ბუდორილი//ბუდორიშ მინდორი – სახნავი სოფ. შუა ქვალონის (ჭითაუშქურის) საზღვართან.

გოლეტე(რი) – ჭეჭყობი და ღელე, რომელიც ხორშიდან (სენაკის რ.) შემოედინება ზემო ქვალონში. **გოლეტერი** "გატალახიანებული".

დიდი ნოხოძული – სახნავი ნოხოძულის ნაპირას.

ღობერა – სახნავები სათურქიოში, დღვების მარცხ. ნაპირას.

ღღვაბა – ღელე, სადაღალის მარჯვ. შენაკადი. იწყება ცხიმონში. გაედინება შუა ქვალონში.

ღღვაბაწყარიშ ობონეში – საბანაო ღღვაბაზე.

დინონწყვილი "ჩაქცეული" – ტბორი სოფ. გვიმარონის საზღვართან.

ზემო ქვალონი – სოფელი და რკინიგზის პლატფორმა.
კომკავშირიშ ჩაი – ჩაის ფართობი სადაღალის მარცხ. ნაპირას. გაუშენებიათ კომკავშირლებს XX ს 30-იან წლებში.

ლაგვანწყუ "ქვევრის წყარო" – წყარო სადაღალის ნაპირას.

ლანჯონა "კოპიტნარი" – სახნავი დღვაბის მარჯვ. ნაპირას.

ლეჟერი – ჩაის ფართობი სადაღალის მარჯვ. მხარეს, ოხვამეკარის ჩრდ-ით. **ლეჟერი** ეწოდება ნესტიან ადგილს. შდრ.: ლეჟერი დიშქა "ნედლი შეშა".

მაგარ(ო)ნა – დელე. საალანიო-საფაჩულიოდან გაედინება ზღვაიისაკენ.

მიხაშ ნოხორი – მინდორი სკურიის მარჯვ. ნაპირას.

ნათურქუ – საძოვარი. იგივე ნალანგერ.

ნაკალამ – ჩაის ფართობი ნალანგერთან, სოფ. ბიის საზღვრის სიახლოვეს. კალამი მცენარეა.

ნალანგერ(უ)//ნათურქუ – საძოვარი ნოჯიხევისა და ხორშის საზღვართან, ქვალონის გვერდით.

ნალანგერუშ ჩაი – ჩაის ფართობი ნალანგერუსთან.

ნარუსუ – ნაგზაური. გზა საალანიო-საფაჩულიოდან გადიოდა მენჯში. კვეთდა სადაღალსა და ჯაფხენს.

ნაწისქვილუ – მორევი სადაღალზე.

ნაწყარუ – ბუჩქნარი ნოხომულის მარჯვ. ნაპირას. აქ წყალდიდობის შემდეგ ნოხომულის წყალი დგება.

ნდიშ ნაკარუ "დევის ნაკარვალი" – სახნავი, ნატყევარი სადაღალის მარჯვ. მხარეს.

ნოხომული – დელე. სკურიის მარჯვ. მხარეს მოჰყეფბოდა და გადიოდა შუა ქვალონში – ზღვაიაში. უბანსაც ნოხომული ერქვა.

ნოხომულიშ ჭალე – სახნავები ნოხომულის ნაპირას.

ოკაწიონი – დელე ხორშის საზღვარზე. მიერთვის მდ. ცივს. თავდაპირველად ოკაწიონი, როგორც ჩანს, ერქვა იმ

ადგილს, სადაც ოთხი დეღე ერთვის ერთმანეთს. შემდგომში ხერთვისის სახელი დელის სახელად იქცა.

პაპაშ წყუ – წყარო სადაღალის ნაპირას.

პისტოშ ტყა – ტყე რკინიგზასთან.

პოხოროშ წყარი – წყარო, დეღე. ჭიჭე საიოსადან ჩაედინება დიდღარღულაში.

რედუტკალეშ შარა – ნაგზაური. იგივე სავაჭრო შარა.

რზენ(ი)ძგა – საკარმიდამოები სადაღალის მარცხ. მხარეს.

როკონა – საძოვარი სადაღალის მარცხ. მხარეს. **როკი** "გამხმარი ტოტი".

როკონაშ წყუ – წყარო სადაღალის ნაპირას.

რუსიშ ნოხორი – ჩაის ფართობი სადაღალის მარცხ. მხარეს, სოფ. ხორშის საზღვართან.

სადაღალი – დეღე. იწყება სოფ. ციხეთში. გაივლის საფახულის და ჩაედინება ზღვაიაში.

სავაჭრო შარა//რედუტკალეშ შარა – ნაგზაური. რედუტკალედან (დღევანდელი ყულევი) ხონელი ვაჭრები ზღვაიის ჭაობის, შემდეგ ქვალონის, პერტულის, ხონის გავლით ჩადიოდნენ ქუთაისში.

სათურქიო – უბანი დღვების მარცხ. მხარეს, სადაღალის ნაპირებზე, თვით სკურიაამდე. თურქიების წინაპარი, ჯარში წაყვანას გამოქცეული ქაუჩია, სოფ. ნაადან (სოხუმის ახლოს) ჩამოსულა და აქ დამკვიდრებულა.

საკუჭა – უბანი ჭითაუშქურის საზღვართან.

სიმონაშ ნოხორი – სახნავი დღვების ნაპირას.

სკურია – მდინარე, ჯაპხენის ზემო წელი. სოფლის აღმ. საზღვარი.

სკურიაშდღუდი//ღვინკილურიშ წყურგილე – წყარო ღვინკილურში.

სკურიაშ მინდორი – საძოვარი სკურიის ნაპირას.

უჩაღალ – დეღე, სადაღალის მარცხ. შენაკადი. გამოედინება სოფ. ხორშიდან.

ფართოშ ტები – ტყე ნოხოშულის ნაპირას. "ჩვენ ტებს ვუწოდებთ 3-4 წლის ხეებს. იგი მერე იქცევა ტყედ".

ქუალონი "ქვალონი" – საძოვარი ჩე ოხვამიდან ჩრდ.-აღმ.-ით, სოფ. ხორშამდე. გადმოცემით, ამ ადგილის სახელი დაედო საფუძვლად ქვალონს – ზემოს, შუას და ქვემოს.

ღვანაკე – სახნავი დღვების მარჯვ. მხარეს სადაღალამდე, სოფლის ცენტრის აღმ.-ით. ჩადაბლებული ვაკეა, სადაც წვიმისას წყალი დგება. ღვანაკე დაკლაკნილს ნიშნავს. შდრ.: მოღვანკილი კოჩი "მოხრილი კაცი".

ღვინკილური – ბუჩქნარი ხორშის საზღვართან, სკურის ნაპირას. **ღვინკი** – წალდის წვერი. **ღვინკილუა** – ტყის კაფვა ღვინკით ("წალდით"). გამორიცხული არ არის, ღვინკილია მეტსახელი იყოს. გადმოცემა (ჩაწერილია მ. ჯღარკავას მიერ): საუკუნენახევრის წინ გლეხი ძაკავა (ძაკუ კანკავას მეტსახელი) შეხვედრია ბატონს და მიწა უთხოვია. ბატონს კი შეუთავაზებია, სანამდისაც წალდს გატყორცნიდა, იქამდე უბოძებდა მიწას. გატყორცნილი წალდი უძებნიათ და უპოვიათ ღვინკით (მოკაუჭებული წვეტი) მიწაში ჩარჭობილი. ამიტომ ამ ადგილს დარქმევია ღვინკილური".

ღვინკილურიშ წყურგილე – წყარო. იგივე სკურიაშ-დული

შაგულორი – მინდორი ნოხოშულის მარჯვ. მხარეს.

შეკებული – სახნავი. დობერის ნაწილი.

ცქიცქარაშ ნოხორი – საძოვარი სადაღალის მარჯვ. მხარეს. ცქიცქარავა გვარია.

ცხემნა – უბანი. იგივე ცხიმ(ონ)ა.

ცხიმ(ონ)ა//ცხემნა – სახნავი, უბანი ნოხოშულის მარცხ. მხარეს.

ჭიჭე ნოხოშული – სახნავი ნოხოშულის ნაპირას.

ჭყონა – საკარმიდამოები ჭითაუშქურის საზღვართან.

ჭყონიშჯინჯი – მორევი სადაღალზე.

ჯაფხენი//ჯაფხინჯი – მდინარე. საზღვარი სენაკის რთთან. ზემო წელის ეწოდება სკურია. ინფ.: "1930 წელს

ჯაფხენში ჩაყარეს კანაფის კონები, რათა დამლბალიყო და შემდეგ კანი გაეცალათ, მაგრამ ჩარჩა და დაღპა. ამის შემდეგ მდინარეში თევზი გაწყდა". ჯაპხინჯი ← ჯაპ(იშ)ხინჯი "თუთის ხიდი".

ჯაფხენიშ ფართობი – სახნვი ჯაფხენის ნაპირას.

საალანიო-საფაჩულიო

საალანიო-საფაჩულიო – სოფელი ზემო ქვალონის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, სადაღალსა და მაგარნას შუა. ზ.დ. 75 მ. ხობიდან 10 კმ. სოფელი წარმოიქმნა ორი უბნის, საალანიოსა და საფაჩულიოს – გაერთიანებით. ესაზღვრება ჭითაუშქური და სახოჭოლაგო.

მასალა ჩაწერილია 1986 წელს. ინფორმატორები იყვნენ: ალანია აპალონ მეთოდის ძე, 66 წ.

ალანია ლიანა რაჟდენის ას. 34 წ.

ბედია მიხეილ იაკობის ძე, 72 წ.

დათჩაშ მინდორი – მინდორი. იგივე ობირეში.

დღვაბა – მინდორი, საძოვარი.

ზენ(ი)ძგა – სახნავი.

კაკაშკარი – მინდორი მაგარნის მარჯვ. მხარეს.

მაგანური//მაგარ(ო)ნა – დეღე. გაღის სააღამიოსა და საჭატურიოს შუა. ერთოღა ზღვაიას. ამჟამად ჩაედინება ლუბეკის არხში.

მაგარ(ო)ნა – დეღე. იგივე მაგანური.

ობირეში//დათჩაშ მინდორი – მინდორი საფაჩულიოს უბანში. უქმეებსა და დღესასწაულებზე აქ იყო სოფლელთა თავშეყრის ადგილი. **ობირეში** "სიმღერის ადგილი".

ორზე – საძოვარი მაგარნის მარცხ. მხარეს. **ორზე** მოსავლიან ადგილს ნიშნავს.

პერტული – სახნავი სოფ. პერტულის საზღვარზე.

სააბაკელი – უბანი მაგარნის მარცხ. მხარეს.

საალანი – უბანი მაგარნის მარცხს. მხარეს.

სალოლო – სახნავეები სადაღალის მარჯვ. მხარეს.
ესახლნენ ლოლუები.

საფაჩული – უბანი მაგარნასა და სადაღალს შუა, რკინიგზის ხაზიდან საურიომდე (საურიო ერქვა ნოჯი-ხევის სას. საბჭოში შექმნილ სოფელ "სოციალისტურ სოფ-ელს").

საჭატური – მინდორი – საძოვარი მაგარნის მარცხ. მხარეს.

უთუიაში ნოხორი – სახნავი სადაღალის მარჯვ. მხარეს.

ძეაძეაში ნოხორი – სახნავი მაგარნის მარცხ. მხარეს.

სახოჭოლა

სახოჭოლა – სოფელი ზემო ქვალონის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე. ზ.დ. 70 მ. ხობიდან 10 კმ. აღმით ესაზღვრება სკურია და პერტული (სენაკის რ), ჩრდ-ით – კუთხენოჯიხევი, სამხრ-ით – ჭითაუშქური და გვიმარონი.

გადმოცემით, ხოჭოლაეების უწინდელი გვარია ხოჭავა: გადმოსულან ოჩამჩირიდან (იქ კაცი მოუკლავთ). "ძველები" სალოცავად დადიოდნენ ილორში.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს 1984 წ. ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ. მათი ინფორმატორები იყვნენ:

მეფიშვილი ციალა ვალოდიას ას., 47 წ.

ქანთარია კონსტანტინე სევერიანეს ძე, 73 წ.

ჩიჩუა პეტრე ბიქტორის ძე, 83 წ.

მასალა შეავსო პ. ცხადაიამ 1986 წლის სექტემბერში. ინფორმატორები იყვნენ:

აღანია ლიანა რაჟდენის ასული, 41 წ.

პაჭკორია გიგა გერასიმეს ე, 51 წ.

ჭანტურია აკაკი იაკიმეს ძე, 61 წ.

ჭანტურია არსენიკ ზოსიმეს ძე, 70 წ.

ჭანტურია კოკი იაკიმეს ძე, 64 წ.

ხოჭოლავა გიგი გერასიმეს ძე, 56 წ.

ხოჭოლავა ნიკოლოზ ანტონის ძე, 75 წ.

ბარზემსქუაშ ნოხორი – სახნავი წულაღის ნაპირას.

გორდილღალ//გორდიშ ღალ – ღელე, წყურგილიშ წყარის მარჯვ. შენაკადი. **გორდილი** "შემოზრდილი". ინფ.: "ხეებით იყო შემოზღუდულ-შემორაგული".

ღღვაბა – ღელე, სადაღალის მარჯვ. შენაკადი.

ეგგენიაშ წყურგილი – წყარო, გორდილღალის სათავე.

ვალოდიაშ ტრანშიე – ჩაის ფართობი ოხვამეკარის ჩრდ-ით. ვალოდია თურქია იყო ბრიგადირი XX ს-ის 30-იან წლებში. ჩაი მან გააშენა.

ზოს(ი)მეშ წყურგილი – წყარო, წყურგილიშ წყარის სათავე.

თურქიშ ნოხორი – მინდორი სადაღალის ნაპირას. "აჭარელი ესახლა და თურქს იმას უწოდებდნენ".

კაკაშ ხიდე – ნახიდარი წულაღზე.

კინოთხორილი – საძოვარი სადაღალის მარცხ ნაპირას. არხით იყო შემოზღუდული. **კინოთხორილი** "ნათხარი ამა თუ იმ ადგილის კუთხეში, კლდის ძირას და სხვ."

ლეჟერი – ბორცვი, ჩაის ფართობი. **ლეჟერი** ნესტიან-ჭექეციანი ადგილია.

ნათურქალი – ჩაის ფართობი, ნარისუს ნაწილი.

ნაომან//ომანე – ფერდობი საჭატურიოში. **ომანე** "ნადირის ბუნავი".

ნარისუ//ნარ,სუ – სერი საჭანტურიოში. აქ რუსების ჯარს გაუვლია და დროებით დაბანაკებულა კიდევ. **რისი, რ,სი, რუსი** "რუსი".

ნარისუშ შარა – ნაგზაური საჭანტურიოში.

ნარ,სუ – სერი. იგივე ნარისუ.

ნდიშ ნაკარუ "ღვევის ნაკარვალი" – სახნავი სადაღალის მარჯვ. მხარეს.

ოგერე "სამგლე" – ერქვა ტყეს საჭანტურიოში, მაგარნის ზემო წელის ხეობაში.

ოის,რე "საისლე" – საძოვარი ლეჟერსა და ოხვამეკარს შუა.

ოლებე – მინდორი წუღალის მდგენლების შეერთების ადგილას, საჭანტურიოში. უწინ ტლაპო ყოფილა. **ლები** ჭაობის მოღურჯო მიწაა, რბილია და ნაბდის, ჩოხის... შესალება იყენებდნენ.

ომანე – ფერდობი. იგივე ნაომან.

ო(ნ)გერეშ დალ – დელე, მაგარნის ზემო წელი.

ოხვამეკარი – ბორცვი სოფ. ზემო ქვალონის საზღვარზე. აქ დგას ეკლესია "ჩე ოხვამე".

პაპაშ ნოხორი – ბუჩქნარი, მინდორი, გამოუყენებელი ადგილი.

პაპაშ წყუ "მღვდლის წყარო" – წყარო პაპაშ ნოხორთან.

რთხინა – სახნავი წუღალის მარცხ. ნაპირას.

როკონა – საძოვარი სადაღალის მარცხ. მხარეს.

როკონაშ წყუ – წყარო როკონაში.

რუსიშ ნოხორი – ბორცვი სადაღალის მარცხ. მხარეს.

სადაღალ(უ) – დელე, ჯაფხინჯის მარჯვ. შენაკადი საალანოში. გაედინება საპაჭკორიოდან.

სატაბალუო – უბანი. იხ. საშამათო.

საშამათო – უბანი საჭანტურიოსა და ჩე ოხვამეს შუა. ამჟამად ეწოდება სატაბალუო, რადგან შამათაჟა მხოლოდ ერთი ოჯახი დარჩა, ხოლო ტაბალუები ბევრნი არიან.

საჭა(ნ)ტურიო – უბანი კუთხენოჯიხევის საზღვართან. გადმოცემით, სამი ძმა ჭა(ნ)ტურია – გუტიელი, თასკოჩი და ბეჩუ – გამოქცეულა ლაკადისპირა სოფელ ჯვარიდან (იქ დადიანთან ჰქონიათ კონფლიქტი). გუტიელი აქ დამკვიდრებულა, თასკოჩი – აბაშაში, ხოლო ბეჩუ – გურიაში.

საჭანტურიოშ ტყა – ტყე ნარისუში.

სკურია – დელე, ჯაპხენის ზემო წელი. სათავეს იღებს სენაკის რ-ში.

უჩაღალ – დელე, სადაღალის მარცხ. შენაკადი. მოედინება ხორშიდან.

ურუაშ წყურგილი – წყარო ოხვამეკარის დას. ფერდობზე. ონგერემ დალის სათავე,

ჩე ოხვამე – ეკლესია სოფ. ზემო ქვალონის საზღვარზე, ოხვამეკარის გორაზე.

ჩეხირი – წულაღის მონაკვეთი ოღებესთან. "ჭინუ დო ქუათ გუჩეხ,ნა ლეტა დო შარა უკეთებუნა ნოჯიხ,შა".
ჩეხირი ← 1. (გინო)ჩეხუა "მდინარის გადატისვრა, დაგუბება";
2. (გე)ჩეხუა "ტალახიან გზაზე ჭოკებისა და ხის შტოების დაწყობა".

ცქიცქარაშ ნოხორი – საძოვარი სადაღალის მარჯვ. მხარეს. ცქიცქარავა გვარია.

ძაკუშ ნოხორი – მინდორი სადაღალის ნაპირას.

წულაღ//წულაღწყარი – დელე. ერთვის მაგარონას მარცხნიდან. ქმნის წყურგილიშ წყარისა, გორდ(იშ) დალისა და ზოსიმემ წყურგილიშ შეერთება. ხალხური ეტიმოლოგია: 1. "წულა ქალამანია. ქალამნით მოჰქონდათ მიწა ჩეხირში ტლაპოს ამოსაშრობად"; 2. "ამ ტლაპოში ვიდაცას წულა ჩარჩენია". სავარაუდოა: წულაღ ← წყულაღ ← წყუმღაღ "წყაროს დელე". თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მეგრულში წუ აღნიშნავს ჭვავის დეროს, ბზეს, რომელსაც სახლის გადასდახურავად იყენებდნენ.

წულაღიშ ჩაი – ჩაის ფართობი წულაღის ნაპირას.

წულაღწყარი – დელე. იგივე წულაღი.

წყურგილიშ წყარი – დელე საჭან(ნ)ტურიოში, წულაღის ერთ-ერთი მდგენელი. სათავეა ზოსიმემ წყურგილი.

ჯაფხინჯი – დელე. სათავე აქვს სახოტოლაგოში.

თორსა-დღვების თემის საკრებულო

თორსა-დღვების თემის საკრებულო – საკრებულო ხობის რაიონში, ოდიშის დაბლობზე. შედის სამი სოფელი: თორსა (ც), დღვაბა, საბუკიო. 1996 წელს სამივე სოფელში ერთად ცხოვრობდა 74 გვარის 303 ოჯახი (ცნობას ხელს აწერს საკრებულოს გამგე გ. კვაშილავა). მრავალკომლიანი გვარები დასახელებულია თითოეული სოფლის მასალაში.

თორსა

თორსა – სოფელი და თორსა-დღვების თემის საკრებულოს ცენტრი ოდიშის დაბლობზე, უტორსა და ოჩხომურს შუა. ზ.დ. 10 მ. ხობიდან 13 კმ. ხეთის რკინიგზის სადგურიდან 3 კმ. სოფელი შეიქმნა XIX ს-ს შუა წლების შემდეგ. შედარებით მშრალი ადგილი იყო და ჩამოსახლდნენ ჭოლიდან შელიები, წულაიები, ქადარიები, სორდიები. ესაზღვრება სოფლები: ხამისკური, ლარჩვა, საბუკიო, დღვაბა, დიდი ნეძი. მეგრულში თორსა აღნიშნავს ჭაობს, ღრმა ტლაპოს, სადაც ყველაფერი იძირება.

1996 წლის მონაცემებით, სოფელ თორსაში მკვიდრობდა 38 გვარის 133 კომლი. მათგან შედარებით მრავალკომლიანია: ლატარია – 25 კ., წულაია – 16 კ., შელია – 15 კ., ბერიშვილი – 6 კ., ბუკია, გულუა (5-5 კომლი), კოდუა, სორდია, ქირია, ჯგერენაია (4-4 კომლი).

მასალა ჩაწერილია 1984 წ. (ვ. ჯოჯუა, დ. შონია) და 1991 წ. (პ. ცხადაია). ინფორმატორები იყვნენ 1984 წელს: ბუკია ვლადიმერ პეპუს ძე, 89 წ.

ბულია გრიშა კაიას ძე, 58 წ.
კიკაღვიშვილი კირილე ტარასის ძე, 63 წ.
ლატარია კაკო არტემის ძე, 73 წ.
ლატარია ალექსანდრე მიხას ძე, 63 წ.
სორდია რომან გვანჯის ძე, 33 წ.
1991 წელს:
კვაშილაგა გოგი გოგლას ძე, 30 წ.
ლატარია აკაკი იულონის ძე, 74 წ.
ლუკავა გიგლა ალექსანდრეს ძე, 30 წ.
შელია უშანგი ანდრიას ძე, 68 წ.
წულაია კატუ თედოს ძე, 78 წ.

არზაკვათილი//მავეთა ვერსი – ტყე უტორსა და ოლან-
დალს შუა. მდებარეობდა რკინიგზაზე, ხეთიდან მეათე კმ-
ზე. ამიტომ დაერქვა "მავეთა ვერსი". არზაკვათილის მნიშ-
ვნელობა და მოტივაცია ინფორმატორებმა ვერ განმარტეს.
შედიოდა სატყეოს უბნის ზონაში.

აფხათხორილი – ვრცელი ტერიტორია სალატარიოში,
უტორის მარცხ. მხარეს. აქ უწინ დიხაგუძუბაც ყოფილა,
მაგრამ ჩაის პლანტაციის გაშენებისას გადაუსწორებიათ.
აფხა ბეჭია (მასზე მკითხაობდნენ კიდევ). **თხორილი** "თხრი-
ლი, დაფლული". მოტივაცია ვერ დადგინდა.

ახალშარა – უბანი.

გვიმარონი "გვიმრნალი" – სახნავი. ადრე ტყე ყოფილა.

გიორგი ლატარიაშ ნოხორი – ერქვა ნასახლარს სოფ-
ლის ცენტრში.

გუდუიაშ ნაკარუ – სახნავი, ჩაის ფართობი.

გუდუშ ნოხორი – ერქვა ნასახლარს სოფლის ცენ-
ტრთან.

დიდმინდორი – მინდორი საშედიოში, უტორის მარცხ.
მხარეს.

დიხაგუძუბა – მიწაზვინული აფხათხორილში. არქეოლო-
გებმა აქ იპოვეს ბრინჯაოსა და რკინის ნაკეთობანი.

დინაგუძბა//საშელიოშ დინაგუძბა – მცირე ბორცვი თოლსკურის მარცხ. მხარეს.

დინაგუძ(უ)ბა – ჩაის ფართობი, უწინ მიწაყრილს ერქვა.

დღვაბაღალ – დელე, მუნჩიის შენაკადი.

თარაზხანიშ ნაკვახირ – სათევზაო დულა უტორზე.
კვახირი – თევზის საჭერი მოწყობილობაა.

თოლსკური – დელე. იგივე თო(ლ)სკური.

თო(ლი)სკური//თოლსკური – დელე, დულა ხამსკურის შენაკადი. დელის ნაპირებზეა განლაგებული სოფლები თორსა და საბუკიო. ზოგი თელის, რომ თოლსკური არის დულა ხამსკურის მონაკვეთი. **თოლი** "წყაროსთვალი". სკური, სკური ტყიან-ხეობიანი მცირე მდინარეა.

ისირონი "ისლნარი" – სახნავი უტორის სანაპიროზე. უწინ ტყე ყოფილა.

კაკულიაშ ნაშქვიდ(ა) – მორვეი უტორზე, საშელიოში. "მამა-შვილი კაკულია მოდიოდა დღვაბაში. შვილი ჩავარდა წყალში და მამა ჩახტა, რათა გადაერჩინა. ცურვა არ იცოდა და ორივენი დაიხრჩვენ".

ლატარიეფიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი უტორზე, აფხათხორილთან.

მაგანაღალ – დელე, ოჩხომურის მარჯვ, შენაკადი ლარჩვაში. იწყება სალატარიოში. მეგრულში მაგანა (ნამგალი) მრუდე მდინარესაც აღნიშნავს მეტაფორულად.

მაგითა ვერსი – ტყე. იგივე არზაკვათილი.

მიხელიაშ ნაშუკუ – ნაგზაური საშელიოში.

ნანგურ "ნააგურალი" – მინდორი აფხათხორილში.

ნაზავოდ – სოფლის კუთხე. რუს. მეგრულში აღნიშნავს სახერხ ქარხანასაც და არყის სახდელ ქვაბსაც.

ნაწყურგილ – ბუჩქნარი, საძოვარი. უწინ წყარო ყოფილა.

ნახუტურ(უ) – ერქვა ახალ სასაფლაოს სალატარიოში, თოლსკურის მარჯვ. მხარეს.

ობონეში "საბანაო" – საბანაო უტორზე, სკურჩის შე-
სართავთან.

ობურთე "საბურთაო" – სკოლის ეზო სოფლის ცენ-
ტრთან. უწინ უქმე დღეებსა და დღესასწაულებზე სოფლელ-
თა თავშესაყარი ადგილი ყოფილა.

ოისირე "საისლე" – სახნავი წუქუროს გვერდით.

ოკაწიონი "წყალთშესართავი; ხერთვისი" – ქვიშილ-
ღალის შესართავი ღულა უტორთან. არის საზღვარი სამი
სოფლისა (თორსა, ხამისკური, დიდი ნეძი).

ომეხიშ გინნანთხორა – საწისქვილე არხი, რომელშიც
ჩაუშვეს პაპაშ ღალ და სკურჩა. გაათხრევიანა დღვაბელმა
ომეხი ჭითანავამ.

ონახვეშია – ადგილი უტორზე, სადაც მუხის მორთან
ქალები სარეცხს რეცხავდნენ. ნახუა "რეცხვა" → **ონახუეში**
"რეცხვის ადგილი".

სალატარიო – უბანი თო(ლი)სქურის ნაპირებზე, სოფ-
ლის ცენტრიდან საბუკიომდე. აქ მცხოვრები ლატარიების
ერთი ნაწილი თვლის, რომ ისინი წარმოშობით სვანი ჩარ-
კვიანები არიან. იქ კაცი მოუკლავთ და ხეთაში მოსულნი,
ლატარიებს მინდობიან, მათი გვარი მიუღიათ და ამავე
უბანში დამკვიდრებულან.

სარაგო – ტყე ოჩხომურსა და ოლანღალს შუა. **რაგვი**
– ნადირის საჭერი მახე, დგამდნენ ტყეებში.

საქირიოღალ – დელე. ოჩხომურის მარჯვ. შენაკადი
საშელიოში.

საშელიო – უბანი თოლისქურის ნაპირებზე. ცხოვ-
რობენ სოფ. ჭოლიდან (ჩხოროწყუს რ-ნი) ჩამოსული შელი-
ების შთამომავლები. შელიები და წულაიები ერთად ჩამო-
სულან, ერთმანეთის გვერდით დასახლებულან და
ერთმანეთში ქორწინება აუკრძალავთ.

საშელიოშ დიხაგუძა – ბორცვი. იგივე დიხაგუძა.

საწულაიო – უბანი საშელიოსა და ხამისკურს შუა.
აქაური წულაიების წინაპარი ნიკოია და მისი ორი შვილი –
მაძინია და გვაჩია – ჩამოსულან სოფ. ჭოლიდან (ჩხორო-

წყუს რ.). დადიანს მათთვის მიუცია მიწები ცაცხეში, მაგრამ არ მოსწონებიათ, გზასთან ახლოს არისო და აქეთ გადმობარგებულან. ნიკოია გარდაიცვალა 100 წლისა, "კომუნისტობამდე".

სვისვარონი/სუსარონი – მინდვრები სუსარონდალის ზემო წელზე. უწინ ტყე ყოფილა.

სკურჩა – დელე, უტორის შენაკადი.

სუსარონი – მინდვრები. იგივე სვისვარონი.

სუსარონდალ – დელე, უტორის მარცხ. შენაკადი.

სხულონკალო – საძოვარი გეგუწიასა და ოლანდალს შუა. "კალო მშრალი ადგილია, სადაც ხაია იზრდება და თითქოს ჭაობი უნდა იყოს, სინამდვილეში კი მაგარი მიწაა, წყალდიდობისას წყლით არ იფარება". შდრ.: ქართ.-მეგრ. კალო.

ტუტუშ ნაკვასირ – ჯვეშ ოჩხომურის მონაკვეთი. კვასირი თევზის საჭერი მახეა.

უტ(უ)ორი – დელე, ერთვის მუნჩიას თორსის ტერიტორიაზე. თვით უტორს კი მარჯვნიდან ერთვის ფართოდალ, ონწერედალ და ოჩხომური. მოედინება დიდი ნეძიდან. არაა გამორიცხული: უტ(უ)ორი ← "დაუტევარი" (ყოველი წვიმის შემდეგ დელე დიდდებოდა და კალაპოტში ვერ ეტეოდა).

უჩა პალოტი – ტყე, ჭაობი უტორსა და ოჩხომურს შუა, ურთხელადან სხულონკალომდე. შედიოდა სატყეო უბანში.

ფართოდალ – დელე, უტორის მარჯვ. შენაკადი.

ქარსაფარი – თხმელნარი ჯაფხინჯში.

ქვიშილდალ – დელე, დულა უტორის მარცხ. შენაკადი.

დალჩა – დელე მუნჩიასა და ოჩხომურს შუა.

დულა უტორი "მრუდე უტორი" – უტორის მონაკვეთი ხამისკურის საზღვართან.

ცი'ონა – ჭაობი უტორსა და საბუკიოს შორის. უწინ ტყე ყოფილა. ალბათ: ცა, ცუ "თელა" → ცი'ონა "თელნარი".

ცი'ონადალ – ნამდინარევი. უწინ ცი'ონის ტოტი გადიოდა, ახლა ამომშრალია.

ძოკიაშ ნაინჭუ – მინდორი ძოკიაშ ნაკარუსთან.

ძოკიაშ ნაკარუ – მინდორი ევკალიპტონში, ოჩხომურის მარჯვ. მხარეს.

წუქურო – ტყე-საძოვრები წუქუროღალის ნაპირებზე.

წუქუროღალ – ღელე, ოჩხომურის მარჯვ. შენაკადი. იწყება საშელიოში, გადის ლარჩვაში.

წყურგილე – წყარო საშელიოში. ინფ. "პაპანწყვირეშ თოლი გიორე დო ირო რე წყარი კაკაბიჯგურა".

ხიჭკონი – ტყე, თხილნარი ოჩხომურის მარჯვ. ნაპირზე. ხი(ნ)ჭკი "კუნელი".

ჯაფხინჯი – ღელე. იგივე ჯახვინჯი.

ჯახვინჯი/ჯაფხინჯი – ღელე, უტორის შენაკადი.

ჯვეშ ოჩხომური – ღელე, ერთვის ჯვეშ მუნჩიას.

დღვაბა

დღვაბა – სოფელი თორსა-დღვაბის თემის საკრებულოში, მდ. დღვაბის ნაპირებზე. ზ.დ. 10 მ., ხობიდან 13 კმ. ხეთის რკინიგზის სადგურიდან 7 კმ. ესაზღვრება: მოგირი (ზუგდიდის რ.), თორსა, სამხრ-ით – საბუკიო, აღმ-ით – ხამისკური. შავი ზღვისაგან გამოყოფს ენწერი (სოფ. ყულევი). დღვაბა ნიშნავს დაგუბებულ, ტალახიან წყალს.

1996 წელს სოფელ დღვაბაში მკვიდრობდა 25 გვარის 80 კომლი. ამათგან შედარებით მრავალკომლიანია: ლატარია – 25 კ., ნანეიშვილი – 11 კ., აბშილავა – 7 კ., სიჭინავა – 4 კ.. დანარჩენი გვარები წარმოდგენილია 1-3 კომლით.

მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ (1984 წ.) და პ. ცხადაიამ (2. 09. 1991 წ.). ინფორმატორები იყვნენ 1984 წელს:

აბშილავა იპოლიტე მაცის ძე, 80 წ.

აბშილავა მურთაზ ჯანჯის ძე, 22 წ.

ლატარია პართენ ნაუს ძე, 72 წ.

1991 წელს:

აბშილავა ბიბი იპოლიტეს ძე, 59 წ.

აბშილავა გივი (ძვინი) გერმანეს ძე, 72 წ.

ბებურია თენგიზ ნაპოს ძე, 32 წ.

ბებურია ნაპო ალექსანდრეს ძე, 60 წ.

კვაშილავა გოგი გიგლას ძე, 30 წ.

ლატარია დავით ივანეს ძე, 53 წ.

ლუკავა გიგლა ალექსანდრეს ძე, 30 წ.

ქარჩავა რადიონ კაპიტონის ძე, 53 წ.

ატამონი – 1. ღელე. მუნჩიის მარჯვ. შენაკადი. ახლო-მახლო ატამს არ მოსწრებიან. 2. სახნავი სუფუნათში, გაშლალის ნაპირას.

ახალუტორი – არხი, რომელშიც ჩაუშვებს უტორი.

გამნაჩხომი – ტყე-ჭაობი და ღელე, რომელიც იწყება ტაბაკონში და ერთვის ხაიონას.

გაშლალ – ღელე, უტორის მარცხ. შენაკადი.

გაჯაშ ნა¹ვანუ – მინდორი მაღლიმიის მარცხ. მხარეს.

გეგუწია – ღელე, უტორის შენაკადი.

გვაჩალა – ღელე, მოგირღალის შენაკადი.

გვიმარონი "გვიმრნარი" – ჩაის ფართობი ჯაფხინჯის ნაპირებზე.

დიხაგუძ(უ)ბა//ტაბუჩაშ დიხაგუძ(უ)ბა – მიწაზვიწული ტაბუჩაში, დღვაბაღალის მარჯვ. ნაპირზე.

დღვაბა//დღვაბაღალ – ღელე, მუნჩიის შენაკადი. იწყება ხაიონაში. სიგრძე 7-8 კმ.

დღვაბაშ ნაკარუ – მინდორი სუფუნათში, მუნჩიის მარჯვ. მხარეს.

თედორიაშ ნაჯარგვალ//კატიაშ ნოხორი – სახნავი ნაფსქალმუხურთან.

თხირიში "თხილისა" – უბანი მდ. დღვაბასა და სოფ. მოგირს შუა.

ის(,)რონი – ტყე ჯაფხინჯის ნაპირას. ისლი ამჟამად არ ხარობს.

კალიშ ნაკეახირუ – სათეუზაო ადგილი უტორზე. აქ კალის გამართული ჰქონია **კეახირი** – თევზის საპყრობი. გამოუთქვეს ლექსი, რომელიც ასე იწყებოდა:

"კალის კეახირი გუკეთებუ
მესიშ დალიას,
ი კეახირი ქოგურაფუ
ზესქვიშ გალიას".

კატიამ ნოხორი – სახნავი. იგივე თედორიამ ნაჯარგვალ.

ლანჯონი "კოპიტნარი" – ტყე მუნჩიის მარჯვ. ნაპირზე, დიდგვიმარის საზღვართან.

მადგუმუ – ჯაგნარი ენწერში, ქარიატის საზღვარზე.

მალიმია – დელე, დღვაბის შენაკადი. იწყებოდა მოგირში (ზუგდიდის რ.), გამოდიოდა თხირიშში და მერე უერთდებოდა მოგირდალს. **ლიმა** "ომი, მდინარის გადასვლა ნაპირიდან" → მალიმე "მდინარე, რომელიც ხშირად გადაღის ნაპირებიდან" → მალიმია

მოგირდალ – დელე, დღვაბის შენაკადი ხობისა და ზუგდიდის რაიონების საზღვარზე.

ნალებუ – ერქვა ტყეს და მინდორს სუჯუნათში.

ნალინუ/მატავოზიშ ნაშარ – ნალიანდაგარი. უწინ ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გამოდიოდა ხეთიდან ჭყონკაკუტში. **მატავოზი** ერქვა ორთქლმავალს, რომელიც ხე-ტყით დატვირთულ ვაგონებს ეწეოდა ამ ლიანდაგზე. ლინია (რუს.:) აღნიშნავს რკინიგზის ხაზს, ლიანდაგს.

ნაფსქალ(ი)მუხური – მინდორი უტორის მარჯვ. ნაპირზე. უწინ ტყე ყოფილა და ხის ფულუროებში ფუტკარს ჰქონია საბინადრო. **ფსქა** "ფუტკარი".

ნაწისქვილუ – ჩაის ფართობი ტაბუჩაში, დღვაბაღალის ნაპირას. აქ წისქვილი ედგათ ხუხუ და ჯამა ლატარიებს. გამოუთქვეს ლექსი:

"აი, ვირვილი, ვირვილი,
ხახუ დო ჯამაშ წისქვილი.
მელე-მოლე ბიჯილი,
ხასლა ელადირვილი.
ეუკუნანს – ჯგარჯგალანს,
დოეუკუნანს – სარსალანს,
მუჟამს წყარი მიოკორდნ,
ხუხუ ინმანხარხალანს".

ნახირზანუ – ტყე.

ოდიშიშ კარე – მწყემსის სადგომი სუჯუნათში, მუნჩიის მარჯვ. მხარეს. იდგა სოფ. ოდიშის საქონელი.

ოკამეჩე "საკამეჩო" – ტლაპო უტორის მარჯვ. მხარეს.

ოკაწიონი "ხერთვისი" – ღელე, დღვაბის მარცხ. შენაკადი (ერთვის მალიმიას შესართავს ქვემოთ).

ონოშქერე "სანახშირე" – მინდორი სქირაფილის ნაპირზე, სადაც "ტყე იყო და ორთქლმავლისათვის ნახშირს ამზადებდნენ".

პაპაშ ნო¹უნი "მღვდლის ნაყანევი" – მიწაზვინული ტაბაკონაში.

პაპაშ დაღ – ღელე, სკურჩის მარჯვ. შენაკადი.

სკურჩა (← სკურჩა "შავი სკური") – ღელე, უტორის მარჯვ. შენაკადი სუჯუნათში.

სოსრანიშ ნაკარუ – მინდორი ჯაფხინჯის ნაპირას. სოსრანი კაცის სახელია.

სუჯინათი – უბანი. იგივე სუჯუნათი.

სუჯუნათი//სუჯინათი – უბანი მდ. დღვაბის მარცხ. მხარეს, თორსის საზღვართან.

სუჯუნათიშ დინაგუშუბა – მცირე ბორცვი სუჯუნათში.

სქირაფილი "(და)მშრალი" – ღელე. მიედინება დღვაბა-ღალის პარალელურად და ერთვის მუნჩიას მარცხ. მხრიდან დღვაბაღალის შესართავს ზემოთ. სათავე აქვს ნაფსქალ-მუხურში.

სქირაფილმინდორი – მინდორი სქირაფილის ნაპირზე.

ტაბაკონა – ტყე-ჭაობი სუფუნათში. აქედან გაედინება გამნახსომი. ტაბაკონა სამეგრელოში რამდენიმე გეოგრაფიულ ობიექტს ეწოდება.

ტაბუჩა – უბანი დღვაბის ნაპირებზე. **ტაბ(ა)უჩა** "შავი ტაბ" (?).

ტაბუჩადალ – დელე, დღვაბადალის მარცხ. შენაკადი.

ტაბუჩაშ დიხაგუძ(უ)ბა – მიწაზვინული. იგივე დიხაგუძ(უ)ბა.

უღუდედალი – დელე, უტორის შენაკადი. **უღუდედალ(ი)** "უთავო დელე", ე.ი. დელე, რომელსაც სათავედ წყარო არა აქვს.

ურეკი – დელე, მუნჩიის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 5-6 კმ. **ურეკი** უღრანი და ეკალ-ბარდიანი ტყეა, რომელშიც საქონელი ვერ შედის. შდრ.: ქართ.: სარეკი და გურ. ურეკი.

უტორი – მდინარე. მუნჩიის შენაკადი.

უჩანასქუალეფიშ ნოხორი – მინდორი სუფუნათში, წკვიბდალის ნაპირას. უჩანასქუა ← უჩანეიშვილი.

ქვიშილი "მოსილული" – დელე, სკურჩის მარჯვ. შენაკადი. იწყება საჭითანოში (დიდი ნეძი).

ციონა "თელნარი" – დელე, უტორის შენაკადი.

ძაბტასქუაშ ნაკარუ – საძოვარი გეგუწიის ნაპირზე.

წიფურდალ "წიფლის დელე" – დელე, დღვაბადალის მარცხ. შენაკადი სუფუნათში.

წკვიბდალ – დელე, დღვაბადალის მარცხ. შენაკადი. **წკვიპი** "ვიწრო; წვრილი".

ხაიონი – ჭაობნარი მდ. დღვაბის სათავესთან. ხაია ისლისებური მცენარეა.

ხეცერალეფიშ ნაკარუ – მინდორი სუფუნათში. სოფ. ხეცერის (ზუგდიდი რ.) საქონელი ეყენათ საძოვარზე.

ჯაფხენჯი – ერქვა დელეს, მუნჩიის მარჯვ. შენაკადს. გაედინებოდა ტაბაკონიდან. ამჟამად კვალი დაკარგულია. ზედ ჩაია გაშენებული. **ჯაფხენჯი** ← **ჯაპხენჯი** ← **ჯაპიშ** ხინჯი "თუთის ხიდი"

ჯგვიშიეფიშ ნოხორი – ჩაის ფართობი სუფუნათში.

ჯგეშ უტორი – ნამდინარევი, უტორის ძველი კალაპოტი.

საბუკიო

საბუკიო – სოფელი თორსა-დღვაბის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, უტორსა და ოჩხომურს შუა. ზ. დ. 8 მ. სობიდან 14 კმ. ხეთის რკინიგზის სადგურიდან 7 კმ. ესაზღვრება: აღმ-ით – წინაგოლა და მდ. ოჩხომური, ჩრდ-ით – თორსა. ოიკონიმისათვის ამოსავალია გვარი ბუკია.

1996 წელს საბუკიოში მკვიდრობდა 25 გვარის, 90 კომლი. მათგან შედარებით მრავალკომლიანია: ბუკია – 22 კ., ლატარია – 8 კ., ბაჩილავა – 7 კ., ჭუმბურიძე – 5 კ. (ცნობას ხელს აწერს საკრებულოს გამგებელი გ. კვაშილავა).

მასალა ჩაწერეს 1984 წელს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ და 1991 წელს პ. ცხადაიამ. ინფორმატორები იყვნენ:

ბუკია გიქორ ვლადიმერის ძე, 54 წ.

ბუკია ვლადიმერ პეპუს ძე, 89 წ.

ბუკია ტერე(ნტი) ივლიანეს ძე, 76 წ.

ტურავა გრიგოლ გედევანის ძე, 62 წ.

ჭითანავა შარიკი ვანესას ძე, 65 წ.

გაბლაიეფიშ ნოხორი – სახნავი ოჩხომურის მარჯვ. მხარეს.

გეგუწია – დელე. იწყება საბაჩილაში. ერთვის უტორს მარცხ. მხრიდან თოლისქურის შესართავს ქვემოთ რამდენიმე კმ-ზე (ერთოდა ჯგეშ მუნჩიას "მეათე ვერსზე").

გვადიაშ ნაკარუ – მინდორი მუნჩიის არხის მარცხ. მხარეს.

გვაჯიაშ ო'უნე – მინდორი ნანაიაშ ნო'უნთან. ო'უნე "საყანე". გვაჯია კაცის სახელია.

დარჩაღალ – ოჩხომურის მარცხ. შენაკადი. მოედინება ხეთიდან.

თარხვანტიონი – ტყე მუნჩიის არხის მარცხ. მხარეს. **თარხვანტია** "დიდგულა".

თარხვანტიონიშ დიხაგუძუბა – მიწაზვინული თარხვანტიონში. ირგვლივ არხია. შედიოდა სატყეო უბანში.

თოლსქური//თოლ(ი)სკური – დელე, უტორის მარცხ. შენაკადი. იწყება სოფ. ცაცხვში. გაივლის თორსასა და საბუკიოს.

თხუმონე "თხმელნარი"– მინდორი კაკირღალის მარჯვ. მხარეს.

კაკირღალ – დელე, ოლანღალის მარჯვ. შენაკადი. **კაკირი** "ძირშემოკოდილი ან დაჭდევებული ხე" (შემოკოდვა საჭირო იყო მოახოებისათვის, ხოლო დაჭდევება – ტყის საზღვრის მისანიშნებლად).

მუხურკალო – საძოვარი უტორის მარცხ. მხარეს, თარხვანტიონსა და სარაგოს შუა. შედიოდა სატყეო უბანში. "დაბალი ადგილია, მაგრამ მაინც კალოა, მშრალია".

ნაზავოდუ – მინდორი უტორის ნაპირზე.

ნანაიაშ ნო¹უნი – მინდორი ოჩხომურის მარჯვ. მხარეს. ნანაია ქალს ერქვა.

ნაჭკიდუ – სახნავი ოლანღალის ნაპირებზე. უწინ ითესებოდა ჭკიდი "ფეტვი".

ოლანი//ოლანღალ – დელე, ოჩხომურის მარჯვ. შენაკადი.

ონწერე – ერქვა ტყე-ჭაობს უტორსა და მუნჩიას შუა. აქედან გადის დელე, რომელსაც აგრეთვე ონწერე ეწოდება და ერთვის მუნჩიას. ამის ზემოთ მუნჩიას ერთვის ოჩხომური, ხოლო ქვემოთ – უტორი. **წერი** თევზია ერთგვარი.

ოჭაკინუ – მინდორი კაკირღალის მარჯვ. მხარეს, თხუმონეს ქვემოთ. **ჭაკინი** "ხის ბურთის გასაკრავი მოკაუჭებული ჯოხი (ყვანჯი)// → **ჭაკინუა** "ჭაკინით თამაში" → **ოჭაკინე** "რიკტაფელას სათამაშო ადგილი".

პართეშ კვახირი – სათევზაო ადგილი გეგუწიაზე. კვახირი "თევზის შესაპყრობი მახე".

ჟი(ნ)ბოგა "ზემო ბოგირი" – თხილნარი ოლანდალის ნაპირებზე. "შემადლებული, მშრალი ადგილია და მეჯოგეები იდგნენ. გადმოცემით, "ჟი ბოგა გოძღუა".

საბაჩილა – უბანი უტორის მარცხ. მხარეს. ბაჩილავა გვარია.

ტურაშ ნაზავოდ – მინდორი ოჩხომურის მარჯვ. მხარეს, სადაც ტურავას (გვარია) სახერხი ჰქონია.

ურთხელი – ტყე უტორსა და ოჩხომურს შუა.

ფშქერიში – ტყე თარხვანტიონის გვერდით. **ფშქერი** იგივეა, რაც შქერი.

ღაღჩა – დეღე, ოჩხომურის მარცხ. შენაკადი ქარიატაში. გაედინება სარაგოში, ჯვეშ ოჩხომურსა და ჯვეშ მუნჩიას შუა. ღაღჩა ← ღაღ უჩა "შავი დეღე".

ღაღბა "ღელისპირი" – ტყე და დეღე ციონაში, დღვაბაღალის მარცხ. შენაკადი.

ჩაყუში – ერქვა ტყეს ოჩხომურის მარჯვ. მხარეს. შემდეგ გაჩნდა ახალი დასახლება "ოქროს საწმისი".

ჩერეშ ნაკარუ – მინდორი ჩა¹უში. აქ მდგარა მწყემსი ჩერე ბუკია.

ცი(1)ონა "თელნარი" – ტყე უტორის მარცხ. მხარეს.

ხაიონი – ტყე-ჭაობი საბაჩილაში. ხაია ისლისებური მცენარეა.

ხიჭკონი – ერქვა ტყეს უტორის მარცხ. მხარეს. **ხიჭკი** კუნელია.

ნოჯიხევის თემის საკრებულო

ნოჯიხევის თემის საკრებულო – საკრებულო ხობის რაიონში, ხობისწყლის მარცხ. მხარეს. შედის სოფლები: ნოჯიხევი (ც.), ზენი, კუთხენოჯიხევი, ნაფოშტუ. ნოჯიხევის სასოფლო საბჭოში შედიოდა სოფელი "სოციალისტური სოფელი", (ხობიდან 3 კმ. ხობი-სენაკის გზაზე). იქ დაასახლეს ებრაელები. მაგრამ სოფელი მალევე დაცარიელდა და ამჟამად ნოჯიხევის ამ ნაწილს "საურიო" ეწოდება. ცალკე გამოყოფენ ე.წ. "დასახლებას".

ნოჯიხევის საკრებულოს სოფლებში 1998 წელს ცხოვრობდა 186 გვარის 787 კომლი. მრავალკომლიანი გვარებია: ცხადია – 61 კ. გერგაია – 50 კ., ალექსანდრია – 30 კ., ჩიტაია – 29 კ., იოსავა – 27 კ., გვასალია – 27 კ. (იხ. სოფლების მიხედვითაც).

2002 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის თანახმად, ნოჯიხევის თემის სოფლებში ცხოვრობს 3103 სული (მათგან კაცი – 1434, ქალი – 1669). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

ნოჯიხევი – 1642 სული (კაცი – 752, ქალი – 890).

ზენი – 240 სული (კაცი – 100, ქალი – 140).

კუთხენოჯიხევი – 220 სული (კაცი – 107, ქალი – 113).

ნაფოშტუ – 272 სული (კაცი – 129, ქალი – 143).

დასახლება – 729 სული (კაცი – 346, ქალი – 383).

ნოჯიხევი

ნოჯიხევი – სოფელი, საკრებულოს ცენტრი ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 30 მ., ხობიდან 3,5 კმ. სოფელში დგას XII ს. ხობის მონასტერი (ქსე, ტ. VII). გადმოცემით, ნოჯიხევი "ნაციხარი" უწინ ერქვა ამჟამინდელ "კუთხენოჯიხევს".

1996 წელს ნოჯიხევეში დამკვიდრებულ გვართაგან მრავალკომლიანი იყო: ალექსანდრია – 25 კ., გერგაია – 18 კ., გვასალია – 16 კ., იოსავა – 15 კ., კიტია – 12 კ., თოდუა – 10 კ., ცხადაია – 10 კ., ქაქუთია – 9 კ., ჩიტაია – 9 კ., თირქია – 8 კ., შურღაია – 7 კ.

მასალის მცირე ნაწილი ჩაწერილია 1969 წელს თსუ სტუდენტის – იზოლდა კაპიტონის ას ცხადაიას მიერ. მისი ინფორმატორები იყვნენ:

გოგოლი მარიამ რომანოზის ას, 48 წ.

ქაქუთია კატო გერასიმეს ძე, 80 წ.

ქირია დომენტი ქუთუს ძე, 80 წ.

ცხადაია ლუკა მათეს ძე, 77 წ.

1983 წელს მასალა სრულად ჩაიწერა პ. ცხადაიამ. მისი ინფორმატორები იყვნენ:

გერგაია იაკიმე (მამია) ქუთას ძე, 68 წ.

გვასალია ვალერიანე სამსონის ძე, 75 წ.

დოლბაძე კარლო ისლამის ძე, 76 წ.

იოსავა შოთა დიმიტრის ძე, 61 წ.

კიტია აბრამ იულონის ძე, 56 წ.

სასანია ლიპარი დავითის ძე, 83 წ.

ცხადაია ციური კაპიტონის ას., 34 წ.

ბარზენე/ბარძემე – მინდორი, ჭეჭეობი საქაქუთიოში. ბარძენე ერთგვარი ბალახი უნდა იყოს. "ობარზენე რენია თენა, თქუანდეს ჯვეშეფი".

ბარძემე – დელე. იგივე ბარზენე.

გინორჩხილი – მინდორი, სახნავები ჯაპხინჯის ნაპირას. წვიმების დროს ამ დაბლობზე გამავალი დელე (ჯაპხინჯი) აღიდებოდა და ფარავდა მთელ ამ ტერიტორიას. წვიმის შეწყვეტის შემდეგ წყალი ისევ კალაპოტს უბრუნდებოდა და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ეს ადგილი გადარეცხილი ("გინორჩხილი") იყო.

დავითიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი ჯაპხინჯზე.

ვეგენიშ გოლა – გორა მეორე ხობში, მონასტერიშ გოლასა და ნიკოიაშ გოლას შუა.

ზაქარიაშ ნოხორი – სამოვარი ციცაშ გოლას ჩრდ. ფერდობზე.

ზაქარიაშ წყურგილე – წყარო მეორე ხობში.

ზღვია – დატბორილი ადგილი. წყალი წვიმის შემდეგ დგება და ზღვასავით ლივლივებს. საზიარო ქვემო ქვალონის თემის სოფლებთან.

ივაკაშ გოლა//ჯორჯიკიაშ გოლა – გორა, ციცაშ გოლასა და სოფ. ნაფომტუს შორის.

ივაკაშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

ივაკაშ ნოხორი – ფერდობი მეორე ხობის უბანში.

კოდუმე – ბექობი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

ლეზერი//რეზერვი – არხი, რომლითაც ჟულუდან წყალი გადის ხობისწყალში.

მაჟია ხობი – სოფლის ნაწილი. იგივე მეორე ხობი.

მეფტოშ დაღუ – დეღე სოფლის შემოგარენში.

მეორე ხობი//მაჟია ხობი – სოფლის ნაწილი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. მოიცავს ხობის ცნობილი მონასტრის გორასაც. სინამდვილეში ეს არის თავდაპირველი ხობი, ხოლო დღევანდელ ქ. ხობს XIX ს. დამლევეს დაერქვა ახალი ხობი.

მონასტერიშ გოლა – გორა მეორე ხობში. ის მაღლობია, რომლის დას. დავაკებაზე აგებულია ხობის მონასტერი

მონასტერიშ ნახუტურუ – სასაფლაო ხობის მონასტერსა და ხობისწყალს შუა.

მონასტერიშ რობუ – ხევი, ხობის მონასტრიდან ჩადის სოფ. ბიისაკენ.

მონასტერიშ ფერდი – ფერდობი ბიის საზღვართან.

მონასტერიშ წყურგილე//ხობმინდორიაშ წყურგილე – წყარო ხობმინდორიაშ კიდეში.

ნააბან(უ) – მინდორი მეორე ხობში, ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

ნანთხორა "ნათხარი", თხრილი" – უბანი. "გლეხების ერთმა გვარმა თავი დაიხსნა ყმობისაგან, იყიდა მიწა, საზღვრად ირგვლივ თხრილი შემოავლო და ჩაყარა ნახშირი. ასე შემოფარგლეს მათ თავიანთი ნაკვეთი".

ნაოხვამ(უ) – ერქვა სასაფლაოს. "ამჟამად ბოჩია ალანის საკარმიდამოა".

ნარაკალუღალ//ნარაყალუღალ – ღელე, ხობისწყლის მარცხ. შენაკადი.

ნარაყალუღალ – ღელე. იგივე ნარაკალუღალ.

ნარისუ//ნარუსუ – შარაგზა, უწინდელი სოხუმი-თბილისის გზის მონაკვეთი. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ამ გზაზე გაუვლია რუსეთის ჯარს.

ნახუბერი "ნახუბარი" – სახნავი სოფ. ზემო ქვალონის საზღვართან. გადმოცემით, აქ მიწა ერთად დაუმუშავებია რამდენიმე კაცს, მაგრამ მოსავლის განაწილებისას ჩხუბი მოსვლიათ და ერთმანეთი დაუხოცავთ.

ნთხორილი "თხრილი" – ტყე რკინიგზის დას-ით.

ნიკოშ ღალ – ღელე. სათავეს იღებს ნიკო სარსანიაშ გოლიდან.

ნიკო სარსანიაშ გოლა – გორა მეორე ხობში.

ოფუჯე "საფურე" – სახნავი სოფლის დას. ნაწილში.

ოჩაღე – სახნავი კანტორის უკან. "საქონელს უტენდეს ოდიარეთ ეჭკარილი ვარდ, სიმინდინ თეში". **ოჩაღე** – სიმინდის ყანა ჩალის მოჭრამდე; ჩალიანი.

ჟუღუ – ღელე. ჟუღუ ნიშნავს "უწმინდურს", "ჩაგუბებულს" (იხ. ცხადიას მასალიდან).

რეზერვი – არხი. იგივე ლეზერი.

სააღექსანდრიო – უბანი მეორე ხობში.

საბარქვაიო – უბანი. ბარქვაია გვარია.

საკიტიო – უბანი მეორე ხობში.

სამეველო კარე – სახნავი დასახლების განაპირას, სადაც უწინ სიმინდის ყანაში მდგარა მეველეთა კარავი.

სასიჭინა – ჩაის ფართობი სიჭინავების საკარმიდამოების გვერდით.

საურიო – ერქვა სოციალისტურ სოფელს ადგილობრივთა მეტყველებაში. იგი მდებარეობდა ხობი-სენაკის გზატკეცილზე, ხობიდან 3 კმ-ზე. ცხოვრობდნენ ებრაელები.

საქაქუთიო – უბანი რკინიგზასა და საგერგაიოს შუა. ცხოვრობდნენ ქაქუთიები.

საქაქუთიოშ ღალ – ღელე. გადის საქაქუთიოდან.

საცქირიო – ერქვა ცქირიების უბანს. ამჟამად ჩაის ფართობია.

საცხადაიო – ჩაის ფართობი, ცხადაიების უწინდელი საკარმიდამოები.

საჯორჯიკიო – უბანი მეორე ხობში, სოფ. ნაფომტუს საზღვართან.

ტორჩინაშ ფონი – ფონი. იგივე შაჰანიშ ფონი.

ღარღულა – წყარო. საზიაროა სოფ. ბიასთან.

შაჰანიშ ფონი/ტორჩინაშ ფონი – ფონი ხობისწყალზე. მეორე ხობიდან გზა გადიოდა სოფ. აბასთუმნისაკენ.

ციცაშ გოლა – გორა მეორე ხობში. აქ ქვრივი ქალი ციცა წერეთელი ესახლა.

ხობი(შ)მონასტერი – მონასტერი. იგივე ხობიშ ოხვამე.

ხობიშ ოხვამე/ხობიშ მონასტერი – მონასტერი. ხობის ცნობილი მამათა მონასტერი (XIII ს.) ხობისწყლის მარცხ ნაპირის მაღლობზე.

ხობმინდორია – მინდორი, მონასტრის ეზო.

ხობმინდორიაშ წყურგილე/მონასტერიშ წყურგილე – წყარო მონასტრის ეზოში.

ჯაპხინჯი – ღელე ქვემო ქვალონის საზღვართან.

ჯორჯიკიაშ გოლა – გორა. იგივე ივაკაშ გოლა.

ჯორჯიკიეფიშ ღალ – ღელე, ნიკოიაშ ღალის მარჯვ. შენაკადი.

ჯორჯიკიეფიშ წყურგილე – წყარო საჯორჯიკიოში.

ზენი

ზენი – სოფელი ნოჯიხევის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობისწყლის მარცხ. მხარეს. ხობი-სენაკის ცენტრალურ გზასა და სოფ. მეორე გურიფულს შუა. ზ.დ. 30 მ. ხობიდან 3 კმ. ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა სოფ. სოციალისტური სოფელი. **ზენი** "ვაკე".

მასალა ჩაწერილია 1983 წლის სექტემბერში. ინფორმატორები იყვნენ:

აბაშიძე ვენია იოსების ას., 64 წ.

გერგაია იაკიმე (მამია) ქუთას ძე, 67 წ.

გვასალია ვალერიანე სამსონის ძე, 75 წ.

დარსალია ბიქტორ ვლადიმერის ძე, 76 წ.

დოღბაძე კარლო ისლამის ძე, 76 წ.

ზამბახიძე-ცხადაია ტასო ნიკოლოზის ას., 64 წ.

ზარანდია გრიშა კოწიას ძე, 68 წ.

იოსავა შოთა დიმიტრის ძე, 63 წ.

ჩიტაია ბიონა კონსტანტინეს ძე, 68 წ.

ჩიტაია ვალერიან ვასილის ძე, 75 წ.

ჩიტაია კოლია პეტრეს ძე, 56 წ.

ქაჯაია აქესენტი იულონის ძე, 80 წ.

ალესიშ ნაკარ(უ) – მინდორი ზღვაიასა და საგერგაიოს შუა.

ბანკიშ ტყა – ტყე მეორე გურიფულის საზღვარ-თან.

გინორჩხილი – გზა ოფუჯის ნაპირას.

დავითიშ ნაწისქვილ – მინდორი ზღვაიის ნაპირას.

დიდმინდორი – მინდორი ზღვაიის მარჯვ. ნაპირას.

ზღვია – მდინარე, ჭაობი ჭითაუშქურის საზღვართან.

ლუბეკი – გზათგასაყარი სოფლების – ზენის, ქვალონის, მეორე გურიფულის, ხორგის – საზღვარზე.

ლუბეკიშ ტყა – ტყე ლუბეკთან.

ნახოპწყარ – ტბორი საგერგაიოში, სოფ. მ. გურიფულის საზღვართან.

ნოჯიხიშ ტყა – ტყე ზღვაიის ნაპირას.

ოფუჯე – ტყე, ღელე, ზღვაიის შენაკადი.

პალტი – ტბორი. იგივე ჯვეშ ნახოპწყარ.

საგერგაიო – უბანი მეორე გურიფულის საზღვართან.

საგვაძა – საძოვარი საგერგაიოში. გადმოცემით, გვაძავა გვარი იყო. შრდ. გვაზავა.

სამსონიშ ნაკარუ – მინდორი სოფ. მეორე გურიფულის საზღვართან.

სოგიაშ დიხა – სახნავი სოფ. მეორე გურიფულის საზღვართან.

უჩა პალტი – ტბორი ზღვაიის მარჯვ. ნაპირას.

ჭყოროკი – ტყე სოფ. ჭითაუშქურის საზღვართან.

ჭყოროკი ← ჭყონიშ როკი "მუხის გამხმარი კუნძი".

ჯვეშ ნახოპწყარ//პალტი – ტბორი საგერგაიოში, სოფ. მეორე გურიფულის საზღვართან. უწინ აქ გადიოდა ხობისწყალი.

ჯიხაიაშ ნაშქვიდუ – მორევი. იგივე ჯიხაიაშ ნოშქვიდი.

ჯიხაიაშ ნოშქვიდი//ჯიხაიაშ ნაშქვიდუ "სადაც ჯიხაია დაიხრჩო" – მორევი ხობისწყალზე. ჯიხაია ძალზე მცირერიცხოვანი გვარია (სულ 24 სული საქართველოში).

კუთხე-ნოჯიხევი

კუთხენოჯიხევი – სოფელი ნოჯიხევის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, სოფ. ნაფოშტუსა და ქვემო ქვალონის თემს შუა. ზ. დ. 40 მ. ხობიდან 7 კმ. ნოჯიხევი თავდაპირველად აქ ერქვა. ნოჯიხევის სკოლაც აქვე გაუხსნიათ XIX ს-ში სპირიდონ ჯორჯიკიასა და სტეფანე ცხადიას თაოსნობით. XX საუკუნის დამდეგს ცენტრი გადა-

უნაცვლებიათ და მერე დარქმევი კუთხენოჯიხევი. ნოჯიხევი "ნაციხარი".

კუთხენოჯიხევი დამკვიდრებულ გვართაგან შედარებით მრავალკომლიანია: ცხადია – 14 კ, ჩიტაია – 10 კ, სიჭინავა – 7 კ.

მასალა ჩაწერილია 1983 წელს. ინფორმატორები იყვნენ: გერგაია არისტრახო (ჟორჟი) ჯამას ძე, 75 წ.

ნანეიშვილი ციური ბიქტორის ას., 25 წ.

სიჭინავა ლუკიანე სოგრატის ძე, 82 წ.

სიხარულია ვარლამ ალექსის ძე, 80 წ.

ჩიტაია ფლორიდა ვიქტორის ას, 35 წ.

ცხადია ივლიანე გრიგოლის ძე, 68 წ.

ცხადია ციური კაპიტონის ას., 34 წ.

არგვანი – სბანაო. იგივე ნარგვანუ.

ბიაშ სუგი – სერი სოფ. ბიის საზღვართან.

გუკოშ ნო¹უნი – სახნავი სოფ. ბიის საზღვართან.

გურფულიშ ჩაი – ჩაის ფართობი. სოფელ მეორე გურიფულს აქ ჰქონდა აღებული ჩაის ფართობი.

გუქიტიაშ თხორილი – დეღე. იგივე გუქიტიაშ დალ.

გუქიტიაშ დალ//გუქიტიაშ თხორილი – დეღე, გადის რვაწლიანი სკოლის უკან. გუქიტია ქალის სახელია.

ენწერი//ჭითა ენწერი – შემადლება წუღალის მარჯვ. ნაპირას.

ენწერიშ ოჩაიე – ჩაის ფართობი ენწერში.

ენწერიშ დალ – დეღე, დარღულის შენაკადი.

ნარგვანუ/არგვანი – საბანაო წუღალის ვიწრობში.

ნათურქუ – ტყე ენწერში, სოფ. ბიის საზღვართან.

ნამეშხურ – საძოვარი ენწერიშ დალის სათავესთან, სადაც მეცხვარეები მდგარან. **მეშხურე** "მეცხვარე".

ოთიფურე – საძოვარი წუღალისა და ჭითა დალის შესართავთან. **თიფი** "თივა, სათიბი; მწყემსის სადგომი" → **თიფუა** "თიბვა" → **ოთიფურე** "სათიბი".

ოის, რე "საისლე" – საძოვარი ჭითა ღალის ნაპირას.

ოკუედალ – ღელე. უერთდებოდა ერთმანეთს წუღალი, ჭითა ღალი, ენწერიშ ღალ, ღარღულა და მერე ერქვა ჟულუმდე. ღელეში იცოდა კუ და სახელიც ამის მიხედვით დარქმევია.

ონგერე "სამგლე" – ერქვა ტყეს სოფ. ზემო ბიის საზღვართან.

ონგერეშ ჩაი – ჩაის ფართობი ონგერესთან.

ოჭოლე/ოჭყოჭყუე – საძოვარი წუღალსა და ჭითა ღალს შორის, საჩიტაიოში. **ოჭოლე** "საჭილე". **ოჭყოჭყუე** "ჭეჭყობი".

ოჭორთე – მინდორი წუღალსა და ჭითა ღალს შუა. **ოჭორთე** – ნორჩი მურყნის ტყე, სადაც ჭორთებს ("ლატანებს") ჭრიან.

ოჭყოჭყუე – საძოვარი. იგივე ოჭოლე.

ოსვამე(მე)დგამუ – უბანი. საცხადაიოს ის ნაწილი, რომელიც ეკლეხიის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. **მედგამუ** "მრეველი".

საბერიო – ბორცვი სოფ. ზემო ბიის საზღვართან.

სასიჭინა – უბანი საცხადაიოსა და საჩიტაიოს შუა.

სასიჭინაშ ჩაი – ჩაის ფართობი ჭითა ღალის ნაპირას.

საჩიტაიო – უბანი წუღალსა და ჭითა ღალს შუა, ქვემო ქვალონის თემის საზღვართან.

საცხადაიო – უბანი სოფ. ნაფოშტუს საზღვართან. აქაური ცხადაიების წინაპრები, გვარად ცხადაძეები, ჩამოსულან იმერეთიდან.

საცხადაიოშ ჩაი – ჩაის ფართობი საცხადაიოს გვერდით.

საცხომარიო – უბანი საცხადაიოსა და ჟულუს შუა.

საცხომარიოშ მინდორი – მინდორი საცხომარიოში.

ტარიელიშ ნოხორი/ჯორჯიკიაშ ნოხორი – მინდორი საცხადაიოსა და საქაქუთიოღალს შუა.

ღალუბგა – ღელე. იგივე ღარღულა.

ღარღულა//ღალუბა – ღელე. იწყება სოფ. ზემო ბიაში. ჩაედინებოდა ჟულში (იხ. სოფ. ნოჯიხევი).

ცაშხადიდიშ ოხვამე – ეკლესია საცხადაიოში, სადაც აღდგომასა და ახალკვირას შუა, აღინიშნებოდა რელიგიური დღესასწაული **ცაშხადიდი** "დიდი ხუთშაბათი".

ძეგუმ ნოხორი – საძოვარი სოფ. ბიის საზღვართან.

წულაღ – ღელე. იწყება ენწერში, ხოჭოლეფიშ წყურგილიდან. საზღვარი ქვემო ქვალონთან.

ჭითა ენწერი – შემადღება. იგივე ენწერი.

ჭითა ღალ//ჭითა წყარი – ღელე, წულაღის მარჯვ. შენაკადი. გადის სასიჭინასა და საჩიტაიოს შუა. ნაწვიმარზე წითლად იღებება.

ჭითა წყარი – ღელე. იგივე ჭითა ღალ.

ხოჭოლეფიშ წყურგილე – წყარო ენწერში, წულაღის სათავე.

ჯორჯიკიაშ ნოხორი – მინდორი. იგივე ტარიელიშ ნოხორი.

ნაფოშტუ

ნაფოშტუ – სოფელი ნოჯიხევის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე, ნარაკალუსა და სოფ. კუთხენოჯიხევეს შუა. ზ. დ. 60 მ., ხობიდან 4,5 კმ. ჩრდ-ით ესაზღვრება სოფ. ბია, სამხრ-ით – სოფ. ნოჯიხევი. "XIX ს-ში აქ გადიოდა სოხუმი-ქუთაისის მთავარი გზა და იყო ფოსტის ცხენების გამოსაცვლელი ადგილი". ნაფოშტუ ← ფოშტა ← რუს.

ნაფოშტუს ძირითადი მაცხოვრებლები არიან: გერგაია – 16 კ., იოსავა – 9 კ. სხვა გვარები ძალზე კომლმცირეა.

მასალა ჩაწერილია 1983 წლის 13 სექტემბერს. ინფორმატორები იყვნენ:

გერგაია იაკიმე (მამია) ქუთას ძე, 68 წ.

ცხადაია ივლიანე გრიგოლის ძე, 68 წ.

ბანკიშ გოლა – გორა საგერგაიოს ჩრდ.-აღმ-ით, სოფ. კუთხენოჯიხევის საზღვართან.

გერახონა – ფერდობები საქაქუთიოლალის მარჯვ. ნაპირას. **გერახი, გერეხი** ყურძნის ჯიშია.

გერახონაშ წყურგილე – წყარო გერახონაში.

ნათურქუ – მინდორი ნათურქუშ გოლაზე. აქ ერთ თურქს თუთუნი ეთესა (თურქში იგულისხმება ლაზიც და აჭარელიც მუსულმანობის გამო).

ნათურქუშ გოლა//ნათურქუშ სუკი – სერი სოფ. ბიის საზღვართან. ნათურქუ მინდორია ამ სერზე.

ნათურქუშ სუკი – სერი. იგივე ნათურქუშ გოლა.

ნარაკალუ – მინდორი რკინიგზის ხაზის ჩრდ-ით, ნოჯიხევის საზღვართან.

ნარაკალუდალ – დელე, იწყება სოფ. ზემო ბიაში, იოსაშ წყურგილესთან. გაივლის ნაფომტუს და ნოჯიხევიშ უერთდება ხობისწყალს მარცხ. მხრიდან.

საგერგაიო – უბანი დარღულის ორივე ნაპირას.

საქაქუთიო – უბანი კუთხენოჯიხევის საზღვართან.

საქაქუთიოდალ – დელე. გადის დარღულასა და დალუძგას შუა. საზღვარი სოფ. კუთხენოჯიხევთან.

საცქირიო – უბანი სოფ. ნოჯიხევის საზღვართან. ცქირია მცირერიცხოვანი გვარია (სულ 92 სული საქართველოში). დასახელებულია XVI ს. შუა წლების წყალობის წიგნში.

საცქირიოშ ჩაი – ჩაის ფართობი ბანკიშ გოლას ქვემოთ.

დარღულა – დელე. მოედინება ზემო ბიიდან. იქ ეწოდება ჭიჭე დარღულა. ჩაედინებოდა უღელში.

დარღულაშ წყურგილე – წყარო დარღულის ნაპირას.

პატარა ფოთის სოფლის საკრებულო

პატარა ფოთი – სოფელი და სოფლის საკრებულო ოდიშის დაბლობზე, რიონის მარჯვ. მხარეს. ზ.დ. 15 მ. ფოთიდან 2 კმ. სოფელი, ფაქტობრივად, წარმოადგენს ერთ ქუჩას, სენაკი-ფოთის გზატკეცილის მონაკვეთს. პატარა ფოთს სოფლის სტატუსი ჰქონდა ჯერ კიდევ დავით დადიანის დროს, XIX საუკუნის შუა წლებში. ამ საუკუნის დამლევს კი შედიოდა საჭილაოს მაზრაში ისევე როგორც ჭალადიდი და საღვამიჩაო. ადგ. ვარიანტი: ჭიჭე ფუთი.

გადმოცემით, დღევანდელი პატარა ფოთის ტერიტორია ძირითადად წარმოადგენდა ტყეს და მარტვილის, ჭიათურისა და ვანის რაიონებიდან ჩამოსახლებულებს 1934-38 წლებში შეუქმნიათ ახალი სოფელი 40-მდე კომლით.

საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარის თანახმად (ტფილისი, 1930), სოფელი და სასოფლო საბჭო პატარა ფოთი შედიოდა ფოთის საქალაქო საბჭოში (მოსახლეობა 55 კომლი, 257 სული). შემდეგ შეიქმნა დამოუკიდებელი პატარა ფოთის სოფლის საბჭო, რომელშიც შედიოდა სოფ. ყულევიც და, საერთოდ, 5 კოლმეურნეობა: საგოროდოს ნინოშვილის სახელობისა (სადაც შავდელეში შეიქმნა აჭარელთა დასახლება), საქორქიოსი, პირველი ფოთისა, ნაბადასი, ყულევისა.

1996 წელს სოფ. პატარა ფოთში ცხოვრობდა 125 გვარის 326 კომლი (დასახლება "მეგობრობის" გამოკლებით). კომლმრავალი გვარებია: წულაია – 29 კ. (118 სული), ხურცილავა – 25 კ. (81 სული), ბუღალავა – 14 კ. (61 სული), ბართია – 12 კ., (37 სული), სილაგავა – 12 კ. (69 სული), ჯანჯღავა – 12 კ. (49 სული), ადამია – 9 კ. (13 სული), კოკაია – 9 კ. (49 სული), მოდებაძე – 7 კ. (29 სული)...

(ცნობას ხელს აწერს პატარა ფოთის გამგეობის თავმჯდომარე ჯ. სილაგავა).

2002 წლის პირველი საყოველთაო აღწერის მონაცემების თანახმად, პატარა ფოთში ცხოვრობს 1944 სული (მათგან 949 კაცი, 995 ქალი).

სოფლის ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს 1984 წელს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ, ხოლო 1991 წელს – პ. ცხადაიამ. ინფორმატორები იყვნენ 1984 წელს:

მესხი დავით ანდრიას ძე, 65 წ.

მესხი ნიკოლოზ ანდრის ძე, 69 წ.

ღვამბერია გიორგი იპოლიტეს ძე, 56 წ.

1991 წელს:

მირცხულავა გული (დავით) დიმიტრის ძე, 80 წ.

პირტახია ნუცა მიხეილის ას., 74 წ.

სილაგავა ჯემალ დავითის ძე, 47 წ.

ჭეჭია მურად დავითის ძე, 30 წ.

ხურცილავა ივანე პავლეს ძე, 78 წ.

ჯაკობია ლენა (ძიგუ) ფილუს ას., 85 წ.

არგვანიშ ჩქონი – კუნძული რიონზე.

ახალი დასახლება – უბანი. იგივე მეგობრობა.

ბაბუშ ნო'ონი – მინდორი სოფლის ჩრდ-დას. ნაწილში. ნო'ონი "ნაყანევი". ბაბუ "ბაბუა" პირსახელიცაა.

ბადუშ ჩქონი – მინდორი ჯვეშ ჭიჭე ფოთში, რიონსა და მის მარჯვ. ტოტს შუა. ბადუ ხომტარია აქ მიწას ამუშავებდა. ჩქონი "კუნძული, ნახევარკუნძული, ეკალ-ბარდიანი რიყე".

ბაწარიონი – ტყე-საძოვრები ჯვეშ პატარა ფოთში, სოფ. საჭოჭუელს საზღვართან. ინფორმატორის მტკიცებით, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო პაწარიონი "პატარა რიონი", რადგანაც აქ რიონის ტოტი გადის. სინამდვილეში ამოსავალი ფუძეა ბაწარი(ა). ასე ეწოდება იმერულში ერთგვარ ოქროსფერ სოკოს. ბაწარა მარწყვაბალახიცაა (ა. მაყა-

შვილი). შდრ. ტოპონიმები ქვემო იმერეთში. ბაწარია//ბაწარიონის ჭალა – ჭალა სოფ. ილორში (სამტრედიის რ.); ბაწარიაჭალა – ჭალა სოფ. ქუტირში (ხონის რ.).

ვოენტორგიშ კანალი – არხი სოფლის ჩრდ. ნაწილში. ინფ.: "ფოთის "ვოენტორგს" აქ ჰქონდა დამხმარე მეურნეობა". კანალი ← რუს. "არხი".

იმერლების დასახლება – ქუჩა სოფლის ცენტრალურ ნაწილში. იმერლები ჩამოსახლდნენ ბაღდათის რაიონიდან.

კადალიონი/კატალიონი – ჭაობი საჭოჭუოსა და ყუღევის საზღვართან. ინფ.: "ომის წინა წლებში აქ მოაშენეს მცენარე, რომელსაც კატალიპა ექვა".

კატალიონი – ჭაობი. იგივე კადალიონი.

კვარაცხელიეფიშ კარე – ერქვა მწყემსების სადგომს რკინიგზის საზის გვერდით.

კოწიაშ კარე – მწყემსის სადგომი რიონის მარჯვ. მხარეს.

მათრახიაშ ჩქონი – სახნავი. იგივე მართახიაშ ჩქონი.

მართახიაშ ჩქონი//მათრახიაშ ჩქონი – სახნავი რიონის ჭალაში. მართახია ბუჩქოვანი მცენარეა, მათრახის ტარად იყენებენ.

მეგობრობა//ახალი დასახლება – დაზარალებულ აჭარელთა დასახლება რიონის მარცხ. ნაპირზე, შავღელეში. 1998 წელს ცხოვრობდა 25 გვარის 94 კომლი. მათგან: ცეცხლაძე – 19 კ. (90 სული), მამულაძე – 10 კ. (58 სული), ქამაშიძე – 10 კ. (59 სული), დარჩიძე – 7 კ. (40 სულია).

ო¹ორეში – ერქვა ჭაობს საჭოჭუოს საზღვართან. **ო¹ორუა** – ყორის აგება, შემოყორვა → **ო¹ორეში**.

შქეითვერსი – რკინიგზის ბაქანი რიონის ხიდთან. 7 კმ. მანძილია ქ. ფოთის ცენტრიდან პატარა ფოთის ცენტრამდე.

ჩე ხიდე – რკინიგზის ხიდი რიონზე. თავდაპირველად თეთრად იყო შეღებილი და სახელი დღემდე შერჩა.

ჩქონი – კუნძული რიონზე.

ცაგერიშ დიხეფი – საძოვრები რიონის მარჯვ. ნაპირსა და რკინიგზის ხაზს შუა. ზამთრობით აქ ცაგერის რაიონის საქონელი მდგარა.

ცი(ა) – ერქვა ღელეს. იწყებოდა რკინიგზის ხაზთან, ე.წ. წყალსაქაჩთან. რიონიდან 3 ჯმ-ზე. "ცი'ა იგივე ცივია. იგი რიონის პარალელურად მიედინებოდა და მდინარე ხობისწყალს უერთდებოდა, სანამ არხში გადააგდებდნენ".

ბეგვეშ კარე – მწყემსის სადგომს რიონის მარჯ. მხარეს.

ბველი პატარა ფოთი//ვეშ ჭიჭე ფუთი – ერქვა სოფელს რიონის მარჯვ. ნაპირზე, დამბის შიგნით. ცხოვრობდნენ: ნაჭყებიები, კანდელაკები, ხოშტარიები, მესხიები, მირცხულავეები, გაბესკირიები. ამჟამად დაცარიელებულია.

წილური – სახნავეები რიონის მარჯვ. ნაპირზე.

წყალსაქაჩი – ცივის არხის მონაკვეთი. აქ წყალი გადაიქაჩებოდა მდ. ცივიდან მდ. ციაში.

წყონა – ერქვა ჭაობს სოფ. საჭოჭუოს საზღვართან. ინფ.: "წყონა არის ჭაობი, სადაც ადამიანი იძირება". სხვა ინფორმატორის ცნობით, აქ ხარობდა წყოლი ანუ წყავი. სავარაუდოა: წყოლი "წყავი" → წყოლონა → წყონა.

ჭითა ხიდე//ჭიჭე ხიდე – ხიდი ციაზე.

ჭიჭე ფუთი – პატარა ფოთის ადგ. სახელწოდება.

ჭიჭე ხიდე – ხიდი. იგივე ჭითა ხიდე.

ჭოჭუეფიშ ნოდის – ერქვა სახნავს რიონის ჭალაში.

ხაბონა – რიონის ფლატე წილურში, სოფ. საჭოჭუოს საზღვართან. **ხაბო** "ხრამი, ხევი". ხაბონა შესაძლოა ნიშნავდეს ჩამონარღვევ ფლატესაც და ხრამ-ხევეებიან ადგილსაც.

ხაბონაშ ჩქონი – ერქვა სახნავს ხაბონაში, რიონის-პირზე.

ხოშტარიეფიშ ნაჩქონ(ი) – ერქვა სახნავს რიონის კუნძულზე, სოფ. საჭოჭუოს საზღვართან.

ჯვეშ ჭიჭე ფუთი – ერქვა სოფელს. იხ. ბველი პატარა ფოთი.

პირველი ხორგის სოფლის საკრებულო

პირველი ხორგის სოფლის საკრებულო – საკრებულო ოდიშის დაბლობზე, ხობის რ-ნში. შედის ერთადერთი სოფელი გამოდმა – პირველი ხორგა. იგი მდებარეობს ხობისწყლის მარჯვ. ნაპირზე. საერთოდ, ხორგა ერქვა ვრცელ ტერიტორიას ხობისწყლის ორსავე მხარეს ხობიდან ყულევამდე და არაერთგზის არის დასახელებული შუა საუკუნეების საეკლესიო სამართლებრივ ძეგლებში.

როგორც 1673-1696 წლებით დათარიღებული "შეწირულების წიგნი" გვამცნობს, კათალიკოს დავით ნემსაძეს ბიჭვინტის ღმრთისმშობლისათვის შეუწირავს ხორგას მცხოვრები ერთი კომლი აზნაურიშვილი მორდებუ გიგობერია და ცხრა (კვამლი) გლეხი: დასტურაი თომხილი, დასტურაი ბაბუა, დასტურაი კოჩილა, ხოჭალავა ბაბაკონი, ხაზავა ხუხუტა, ხაზავა ზვამივალი, ხოჭალავა ხეინა, ცხალონია ჯვებიბლე "მათის ცოლშვილითა, სახლკართა, ჭურბელელ-მარნითა, ტყითა, წყლითა, სანადიროთა, ეკლესიის კართა, სასაფლაოთა. დღეს რასაც მქონებელნი იყონ მისით ყოვლისფერთა" (ქსძ, III, გვ. 612). 1706 წელს შედგენილ ასეთსავე "შეწირულების სიგელში" დასახელებულია ნაპარკევის სასახლე (სხვა საბუთებში: "ნაპარკეულის სასახლე") ხორგაში და საეკლესიო ბეგრის გადამხდელნი: აზნაური მორდებ გეგებერია და გლეხები: ჭუჭუ დასტურაია, მამაში დასტურაია, სოგიჯუმა ხოჭოლავა, სარჯელია ხაზავა და ბაბადიმა ხაზავა (ქსძ, III, გვ. 646. იხ. აგრეთვე გვ.გვ.: 669, 670, 778, 1016). ამავე საბუთში დასახელებულია გვარი მირცხულავა, ხოლო სხვა საბუთში – ხორგის უბანი, საკუტალიო (იქვე, გვ. 732).

ხორგა, ისევე როგორც ხოფი და ხიბულა, აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის "სამეგრელოს რუკასა" და ე.წ. "ლათინურენოვან რუკაზე", რაც პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება (ორივე 1654 წ.). ვახუშტი ბატონიშვილი თავის საისტორიო-საგეოგრაფიო ნაშრომში აღნიშნავს: "ზღუას შესდის ხორგისწყალი, მოიგო სახელი ხორგისაგან, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაც არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა (ვახუშტი, 1973 გვ. 777-778).

გამოდმა პირველი ხორგა

სოფელი ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას პირველი ხორგის სოფლის საკრებულო. ზ. დ. 11 მ. ხობიდან 8 კმ. ესაზღვრება: დას-ით – შუა ხორგა, აღმ-ით – პ. გურიფული., ჩრდ-ით – სატყეოს უბანი. ამ სოფელში დაიბადა პოეტი ა. მირცხულავა. სახელწოდების ადგილობრივი ვარიანტია "პირველი ხორგა" (სოფლის გამგებელმა კ. ბერაიამ აღნიშნა: "სიტყვა "გამოდმა" ზედმეტია. იგი არც შტამპზეა და არც ბეჭედზე. ვამბობთ "პირველ ხორგას". მაგრამ საქ სსრ ადმ.-ტერიტ. დაყოფის ბოლო გამოცემაში (1987 წ.) და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის (2002 წ.) შედეგების ოფიციალურ ცნობარში აღნიშნულია სოფელი "გამოდმა პირველი ხორგა".

1997 წლის 1 იანვრის მონაცემებით, გამოდმა პირველ ხორგაში ცხოვრობდა 61 გვარის 281 კომლი. მათგან მრავალკომლიანია: ბერაია – 70 კ. (198 სული); კორტავა – 42 კ. (134 სული); შელია – 17 კ. (44 სული); ჩარგაზია – 12 კ., დოლბაია – 11 კ. (48 სული); ჭაჭია – 11 კ. (44 სული); 25 სული); ჩარგაზია – 10 კ. (36 სული); ნაროუშივილი – 9 კ.(ადგ. ვარიანტი: ნარსქუა, 28 სული); მირცხულავა – 8 კ. ((ადგ. ვარიანტი: მერცხულა) ქობალია – 7 კ. (21 სული)

გვარამია – 6 კ. (17 სული), (ცნობის შემდგენელი – საკრებულოს მდივანი ზ. ქირია. ხელს აწერს გამგებელი).

2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალების მიხედვით, გამოღმა პირველ ხორგაში ცხოვრობს 788 სული (კაცი – 386, ქალი – 402).

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ 1984 წელს, პ. ცხადაიამ – 1991 წლის აგვისტოში.

ინფორმატორები იყვნენ 1984 წელს:

ბერაია დავით კაჟას ძე, 52 წ.

ბერაია ჯემალ გიორგის ძე, 51 წ.

გელოზია ბილიარდი კოსტას ძე, 67 წ.

დოლბაია დავით კაჟას ძე, 52 წ.

ღეფონავა გიორგი მიხეილის ძე, 88 წ.

1991 წელს:

ბერაია იადონ დოროთეს ძე, 68 წ.

ბერაია კოტე ლავრენტის ძე, 55 წ.

დოლბაია ამბროსი ვასილის ძე, 72 წ.

კორტავა დურუ გიორგის ძე, 88 წ.

კორტავა მიშა გიორგის ძე, 87 წ.

ნაროუშვილი შალიკო ზაქარიას ძე, 73 წ.

შელია ბორის ბიქტორის ძე, 68 წ.

ჩარვაზია ტრიფო ზოსიმეს ძე, 85 წ.

ანდრიშ ნაკარუ – მინდორი წყაბუში.

ასუა – დედე. გაედინება ო¹უნესა და წყაბუს შორის.

ახალშარა//ახალშოშე – სასოფლო გზა სადოლბაიოში, გადაჭრის კოდორეს.

ახალშოშე – გზა. იგივე ახალშარა.

ბეგოშ ნაკარუ – მინდორი წყაბუში.

ბერუღეფიშ კარე – ერქვა მინდორს ო¹უნესთან.

ბულიში – ტყე ნაბერუსა და წყაბუს შორის.

გვიმარონი "გვიმრნალი" – მინდორი სქვიის მარჯვ. მხარეს.

გვიმარონიშ დინაგუძუბა – მიწაზვინული გვიმარონში.
გირგოლიშ ნაკარუ – მინდორი საგამსონიოში.

გ.ნასოფა – ერქვა ტბორს ჭალემუხურში. ინფ.: "დაშრობა უნდოდათ და დინამიტის აფეთქებით გაარღვიეს გზა წყლისათვის". **გოსოფუა** "გახევა, გახლეჩა, გარღვევა" → **გ.ნასოფა** "განარღვევი".

დიშ ნოხორი – სახნავი პირველი გურიფულის საზღვართან. "დი არის ტყაშკოჩი ("ტყისკაცი)". აქ უღრანი ტყე ყოფილა და იქ ცხოვრობდა თურმე". კოლხეთის დაბლობზე **დიშ ნოხორი**, როგორც ოროგრაფიული ტერმინი, იმასვე აღნიშნავს, რასაც **დინაგუძუბა**, ე.ი. ოდინდელი ხელოვნური საცხოვრებელი ბორცვი.

დინაკიცი – ტყე, შემაღლებული ვაკე წყაბუს მარჯვ. მხარეს. "სხვაგან რბილი მიწაა, აქ კი – მაგარი. ამიტომაც დინაკიცი".

დინაკიციშ დინაგუძუბა – მცირე ბორცვი დინაკიცში.

დოფაჩილი "დაფენილი" – ტყე შქადალსა და წყაბუს შორის. დაბალი ადგილია და წვიმების შემდეგ წყალი ფართოდ იშლებოდა, იფანტებოდა ("იფანუდუ წყარი"); "აქედან რომ დეფე გადის, წყაბუს უერთდება. იმასაც დოფაჩილს უწოდებენ".

დურუშ ნა'ვანუ "დურუს ნაყანვეი" – ერქვა ტყეს კოდორეში.

ელაგიძე "წაგრძელებული, მოგრძო" – ტყე.

ვეხი "ვერხვი" – მინდორი საკორტაში, სქვიის სათავესთან. "ერთი დიდი ხე იდგა თურმე და იმას ერქვა ვეხი. მერე მესი დაეცა და მოისპო. ახლა ჰგონიათ, რომ მესის დაცემის გამო დაერქვა ვეხი".

ზაკალონი "ბზანარი" – ბზანარი მუნჩიის მარცხ. მხარეს.

თეოშ ნაკარუ – მინდორი წყაბუში.

თოთო სორო – ჭაობი ასუასა და მუნჩიას შუა. "რბილი ჭაობია. ამიტომაც თოთო".

იასონიშ ნა'ვანუ – მინდორი ო'უნეში.

ივანეშ ნა'ვანუ "ივანეს ნაყანვეი" – ერქვა ნაყანვეს ო'უნეში.

ივანეშ დინანთხეი "ივანეს ჩანავარდნი" – ღელე, წყაბუს მარცხ. შენაკადი.

კარცხაბი//კარცხაბი – ღელე, ლესქურის მარცხ. შენაკადი.

კარცხაბი – ღელე. იგივე კარცხაბი.

კარცხაბიჯი – ტყე სკვიის მარჯვ. მხარეს, კარცხაბის ნაპირებზე,

კეხუცაშ ოის,რე "კეხუცას საისლე" – ერქვა ისლნარს სამერცხულაში.

კირცხალეფიშ ნაკარუ – მინდორი, სადაც უწინ სოფ. კირცხის საქონლის ფერმა მდგარა.

კოდორე – ამადლებული ვაკე მდ. სკვიის მარცხ. მხარეს, სადოლბაიოში.

კოკჯალე//კობჯალე – საბანაო ხობისწყალზე, საბერიოს ჭალის ტერიტორიაზე. კოკი ჭალის პატრონს ერქვა.

კუჭუშ ნაკარუ – მინდორი წყაბუში.

ლესქური – ღელე, წყაბუს მარცხ. შენაკადი. იწყება ჭიხუშ გოლაში, გამოივლის სამერცხულას. ინფ.: "საძოვარი იყო უწინ და იტყოდნენ, ლესქურს გერენია სქანი საქონელი".

მამული//მამულიშ მინდორი – მინდორი სამერცხულაში, სადაც უწინ სანერგე მეურნეობის ცენტრი ყოფილა.

მუნჩია – ღელე, საზღვარი სოფ. ბულიწყუსთან.

ნაკობ – ერქვა მინდორს საკორტაში, სადაც სამამულო ომის დროს სანგრები ამოუთხრიათ. რუს.:

→ ქართ. აკობი, აკობი.

ნაბერუ – ტყე და ღელე – წყაბუს მარცხ. შენაკადი. იწყება საკორტაში.

ნაკვანწუ – მინდორი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირზე, ოცხენებოვის შესართავთან. აქ, საწყობში, იღებდნენ

სიმიინდს და შემდეგ ნაგებით გაჰქონდათ ყულევში. აქვე ტარდებოდა ჯარალობაც და, როგორც ჩანს, საქანელაც ("ოკვანწაია") ექნებოდათ გამართული.

ნარჩაბუ – ღელე, მუნჩიის მარცხ. შენაკადი.

ნაფერმუ – სახნავეები წყაბუს სათავესთან.

ნაღემ კარე – მინდორი წყაბუს მარჯვ. მხარეს.

ნაწისქვილუ – ოცხენებოგას მონაკვეთი ქვემო წელზე.

ნახოპწყარუ – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. აქ მდინარეს მოსაბრუნეი ჰქონია, მაგრამ წყალმა პირდაპირ გაჭრა სადინარი.

ნეძონა – ჭალა ხობისწყლის ნაპირას, სალევონას გვერდით.

ნიკოლაშ ნაკარუ – მინდორი საგამსონიოში.

ოლაკაციონე – მინდორი ო¹უნეში.

ონიშოლი "სანავე" – ღრმა წყალი, საბანაო ხობისწყალზე, საბერიოში.

ონოშქვერე/პილაშ ონოშქვერე – ერქვა ტყეს ო¹უნეში, ასუას მარჯვ. ნაპირზე. ინფ. "ტყე იყო და ნახშირს წვავენენ. ახლა ტყე აღარსადაა". **ონოშქვერე "სანახშირე"**.

ოსქალე "საფუტკრე" – ტყე ლესქურში.

ოტორონჯე "სამტრედე" – ტყე ასუას მარჯვ. მხარეს. ინფ.: "გაზაფ-ხულზე გარეული მტრედები პირველად აქ მოფრინდებოდნენ".

ოფაშ ნა'ვანუ "ოფას ნაყანვეი" – ერქვა ნაყანვეს ნაბერუში. ოფა ← ოლიფანტე.

ოქოთომე "საქათმე" – ტყე ლესქურსა და წყაბუს შორის. ინფ.: "იცოდა ტყის ქათამი, ანუ ქილორი".

ოღლაძე "საღლავე" – მორევი ხობისწყალზე, შუა ხორგის საზღვართან. შემდეგ დაერქვა **ჭყიშიშ ნაშქვიდა "სადაც მწყემსი დაიხრჩო"**.

ო¹უნე "საყანე" – სახნავეები ასუის მარჯვ. ნაპირზე.

ო¹ურზენე "საყურძნე, ვენახი" – ტყე ლესქურში. გაშენებული იყო ადესა.

ოცხენებოვა – დეღე, ჭეჭეობი ხობისწყლის მარჯვ. მხარეს. დეღე ერთოდა ხობისწყალს ნაკვანწუსთან. ოცხენე "საცხენე", ბოვა "ბოვირი".

ოხვამეკარი – მორევი, საბანაო ხობისწყალზე, ჭალემუხურში, სადაც მდგარა ოხვამე ("ეკლესია").

პროფილემ ნა'ვანუ "პროფილეს ნაყანევი" – ერქვა ნაყანევს ნაბერუში.

რამინიშ ნაჯოლ – ერქვა ხის სათრევე გზას სანარსქუოსა და სამერცხულას შორის. **ჯოლა** "სათრეველა; ხის სათრევი მსხვილი ჯაჭვი ან დვლერჭი".

საანგურო – ერქვა მინდორს სადოლბაიოში. ამჟამად საკარმიდამოებია.

საანთალა – ერქვა უბანს სამერცხულასა და საშეღიოს შუა. ახლა სხვადასხვა გვარისანი ცხოვრობენ.

საბერაიო – უბანი ხობი-ფოთის გზაზე, სოფლის ცენტრში.

საბერაიოშ ჭალე – სახნავი ხობისწყლის ჭალაში..

საგამსონიო – ერქვა გამსონიების უბანს წიფრონასა და ასუას შორის.

სადოლბაიო – უბანი ხობი-ფოთის გზაზე, საბერაიოსა და სოფ. შუა ხორგას შორის. ინფ.: "დოლბაიები აფხაზეთიდან მოსულან. ეკლესია და სასაფლაო ჰქონდათ შუა ხორგაში, მაგრამ სალოცავად დადიოდნენ ილორსა და ხეთის მიქამგარიოში, სადაც იყო "საქონელიშ ოხვამური", ილოცებოდნენ, რომ საქონელი გამრავლებულიყო".

სადოლბაიოშ ჭალე – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

საკორტაო – უბანი ხობი-ფოთის საავტ. გზაზე, სამირცხულასა და საბერაიოს შუა.

საკორტაოშ ჭალე – სახნავი ხობისწყლის ჭალაში..

სალეფონა – ჭალა-სახნავეები ხობისწყლის ჭალაში. ცხოვრობდნენ ლეფონავეები.

სამერცხულა – უბანი. იგივე სამირცხულა.

სამირცხულა//სამერცხულა – უბანი ხობი-ფოთის საავტ. გზაზე, საშელიოსა და საბერაიოს შუა.

სანარსქუო – მიკროუბანი საკორტასა და სამერცხულას შუა. ცხოვრობენ ნაროუშვილები.

საპაჭკორიო – ერქვა პაჭკორიების უბანს ამჟამინდელი საშელიოსა და საჩარგაზიოს ტერიტორიაზე.

საპაჭკორიობოგა – დეღე, ხობისწყლის მარჯვ. შენაკადი. საზღვარი სოფ. პ. გურიფულთან.

სასკური//სქასქური – დეღე, ნაბერუს მარცხ. შენაკადი. იწყება სადოლბაიოში. ზემო წელს ეწოდება კარცხაპი. ერთვის ჭურიას. მოსალოდნელია: შქასქური → სქასქური → სასქური.

საშელიო – უბანი პ. გურიფულის საზღვართან, ხობი-ფოთის გზაზე. ბ. შელია გადმოსცემს: "წინაპარი საჩინოდან გამოქცეულა: იქ მღვდელი მოუკლავს და თავად ჯაიანს მინდობია. იმას კი აქ დაუსახლებია. შესძენია 4 ვაჟი. გამრავლებულან. ამჟამად სოფელში ამ გვარისა 700-მე სულია. "ძველებს" ერქვათ ქაქუჩია, ქომხედა, ივანე და ჯათუია. საჩინოში მოვხვდი და ერთმა 125 წლის კაცმა, იმ მღვდლის შთამომავალმა რომ გაიგო, ხორგიდან ვიყავი, კეტიც კი მომიქნია".

საჩარგაზიო – უბანი პ. გურიფულსა და საშელიოს უბანს შუა. "ჩარგაზიები ლაკადიდან გამოქცეულან და აქ ანთელავას მინდობიან".

საჭაჭიო – ერქვა უბანს ჭალემუხურში. ესახლნენ ჭაჭიები.

საჭაჭიომუხური – ჭალა საჭაჭიოს გვერდით, ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. დაახლოებით 80 ჰა. აქ იყო უბანი საჭაჭიო. აქვე შემოდრიოდა ჭალემუხურიც.

სკვია//სქვია – დეღე, იწყება საკორტაში. გადის შუა ხორგაში და იქ მის მონაკვეთს ეწოდება საჯობაშ სკვია. ერთვის ლესქურს.

სკვიაშ ოლონტყეში – ტლაპო სკვიის ნაპირზე. ოლონტყეში ჰიდროგრაფიული ნომენია და აღნიშნავს ტლაპო-სალაფაოს.

სტავროშ ნაკარუ – მინდორი წყაბუს მარჯვ. მხარეს.

სტეფაშ ნა'ვანუ "სტეფას ნაყანევი" – ერქვა ნაყანევის ნაბერუში. ეკუთვნოდა სტეფანე პაჭკორიას.

ს(ქ)ასქური – დელე. იგივე სასკური.

სქვია – დელე. იგივე სკვია.

უჩა სორო – ჭაობი, გრძლად და ღრმად ჩაგუბებული წყალი ო'უნეში.

დათო – ერქვა ტყეს სამერცხულაში, ლესქურის მარჯვ. მხარეს.

შელიაშ ნაკარუ – სახნავი ხობისწყლის მარცხ. მხარეს.

შქაღალ – დელე, ასუის მარცხ. შენაკადი. "ტერიტორიულად არის შუა. ტყეა აქ და იმასაც შქაღალ ეწოდება".

ჩეჯაღონი (← ჩეჯა "აღვის ხე") – ტყე ასუის მარჯვ. მხარეს, ე.წ. "სახელმწიფო ტყეში".

წინსვლაშ ნაფერმუ – მინდორი წყაბუს მარცხ. მხარეს. აქ კოლმეურნეობა "წინსვლის" საქონელი იდგა.

წიფრონი "წიფლნარი" – ტყე და დელე წყაბუს მარჯვ. მხარეს. დელე ერთვის ასუას.

წურწუმიეფიშ წისქვილი – ნაწისქვილარი სამერცხულაში, სადაც "იდგა წისქვილი, რომელიც მაზუთ-ზე მუშაობდა".

წყაბუ – დელე, ასუის მარცხ. შენაკადი. იწყება სამერცხულასა და საკორტაში, გადის საბერაიო-სადოლბაიოში. ერთვის შქაღალს, შქაღალ ერთვის ასუას, ასუა კი – მუნჩიას.

წყაბუშ ოლონტყეში – ტლაპო-სალაფაო წყაბუს ნაპირზე.

ჭალემუხური – ჭალა-სახნავე სობისწყლის მარჯვ. ნაპირზე, სამერცხულაში. "უწინ აქ ხალხი ესახლა, ჰქონიათ ხის ეკლესია და სასაფლაო".

ჭანდართნი "ჭადრიანი" – ტყე, მინდორი ო¹უნეში. ჭაღარი გააშენა სატყეო მეურნეობამ.

ჭიტაშ ნაკარუ – მინდორი ნარჩაბუს მარცხ. მხარეს. ჭიტა ერქვა მეჯოგეს, რომელსაც აქ "კარე" ჰქონდა.

ჭყიშიშ ნაშქვიდა – მორევი. იგივე ოღლაძე.

ხობწყარი//ხობწყარი – მდინარე. ჩაუდის სოფელს. გამოდმა პირველ ხორგას ყოფს სოფ. ახალსოფლისაგან.

ხობწყარი – მდინარე. იგივე ხობწყარი.

ხუნტუშ ნაკარუ – მინდორი წყაბუსა და შქაღალს შუა. ხუნტუ კაცის სახელია.

ჯაღურელი – ტყე ასუასა და მუნჩიას შუა. ინფ.: "ხარობდა ყოველგვარი ხე: მუხა, რცხილა, თელა, თხმელა. მაგრამ იქაური ხე არ იპობოდა, მხოლოდ ითლებოდა, ე.ი. ცუდი ხე იყო. ღურელი ხომ მკვდარია".

საგვიჩიოს სოფლის საკრებულო

საგვიჩიო – სოფელი და სოფლის საკრებულო ოდიშის დაბლობზე, რიონის მარჯვ. მხარეს სოფ. საღვამიჩავოსა და სენაკის რ-ნის საზღვარს შორის. ზ. დ. 5 მ. ხობიდან 20 კმ. ჭალადიდის რკინიგზის სადგურიდან 6 კმ. შედიოდა ქვემო ჭალადიდის სასოფლო საბჭოში. გამოეყო მას 1990 წელს. ძირითადად საჩხერის რაიონიდან ჩამოსახლებულნი ცხოვრობენ. მაგრამ საგვიჩიო, ე.ი. გვიჩიების დასახლება, მანამდეც ერქვა. გადმოცემით, გვიჩიების წინაპრები სვანები ყოფილან. სვანეთიდან წამოსულა ორი ძმა გვიჩიანი და დასახლებულა რიონს გაღმა-გამოდმა. მათმა შთამომავლებმა შექმნეს ორი საგვიჩიო: 1. საგვიჩიო – სოფელი რიონის მარცხ. ნაპირზე (სენაკის რ.), 2. საგვიჩიო – სოფელი რიონის მარჯვ. ნაპირზე (ხობის რ.). "ძველები" დადიოდნენ სვანეთში სალოცავად, სწირავდნენ ხარს და ხურდა ფულს. ამჟამად ამ სოფლებში იმ პირველ მოსახლეთა V-VI თაობა მკვიდრობს. შემონახული აქვთ საგვარეულო გენეალოგიური სია.

1997 წელს საგვიჩიოში ცხოვრობს 38 გვარის 193 კომლი. მათგან მრავალკომლიანია: შუბითიძე – 40 კ. (147 სული), მეგრელიშვილი – 23 კ. (92 სული), გოგატიშვილი – 18 კ. (49 სული), გოგოლაძე – 15 კ. (46 სული), ხარშილაძე – 11 კ. (38 სული), ხარაიშვილი – 10 კ. (37 სული), ტაბატაძე – 9 კ. (32 სული), გვიჩია – 7 კ. (20 სული). (სათანადო ცნობას ხელს აწერს საგვიჩიოს საკრებულოს გამგებელი რ. გვიჩია).

2002 წელს საგვიჩიოში ცხოვრობდა 645 სული (კაცი – 319, ქალი – 326).

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ 1984 წელს (მათი ინფორმატორები იყვნენ: გვიჩია

ვალოდია ბეგლარის ძე, 66 წლისა და ცანავა პორფილე თედორეს ძე, 74 წლისა) და პ. ცხადაიამ 1991 წელს.

1991 წელს ინფორმატორები იყვნენ:

გვიჩია ვლადიმერ ბეგლარის ძე, 73 წ.

გვიჩია რობერტ რეზოს ძე, 27 წ.

ცანავა პორფილე თედორეს ძე, 81 წ.

ლეკიში – რიონისპირი. რიონის დანალექ სილას ლეკს უწოდებენ.

მერია – ერქვა ნარიონალ ტყე-ჭაობს რიონსა და ციას შორის.

მესტია – მიკროუბანი. ძირითადი დასახლებიდან შორსაა და ამიტომ დაერქვა.

მუხური – უბანი რიონის რკალში მოქცეულ ტერიტორიაზე.

ნადოხორუ – სახნავი ციის ნაპირას. დოხორე "სასახლე; ბატონის სახლი".

ნარიონალი – ტბორი რიონის ჭალაში.

ნეძონა – ერქვა მინდორს რიონის მარჯვ. ნაპირზე.

ნოსქალენი "ნაფუტკრალი" – მინდორი რიონის მარჯვ. ნაპირზე.

ნოხორი – საბალახო საჭაკუოში.

ობერგული – ერქვა ტყე-ჭაობს ციის მარცხ. ნაპირზე. **ობერგული** საერთოდ ერქვა ისეთ ადგილს, სადაც შეიძლებოდა თოხით სიმინდის ჩათესვა-ჩაფლვა. **ბერგი** "თოხი" → **ბერგუა** "თოხნა" → **ობერგ-ული** "სათოხარი, თოხით დასამუშავებელი" (ანტ. ოხოჯური).

ოჩხომე – სათევზაო ადგილი რიონზე.

ოცჰექტარიანი – სახნავი სოფლის ცენტრში.

საბერძენე – სახნავები. იგივე ჩაიგრუზია.

საგვიჩიოჩქონი – ჭალა-სახნავები. იგივე ჭალა.

სამიქაო – უბანი. ადრე უღრანი ტყე ყოფილა.

საჭაკუო – უბანი სოფ. საღვამიჩაეოს საზღვართან. ჭაკუა გვარია.

უსპორე/ოსპორე – ერქვა ტყეს რიონის მარჯვ. მხარეს, საჭოჭუოს საზღვართან. "სადავო იყო ამიტომ დარქმევია".

¹ომუსკური – სახნავი სოფლის სამხრ. ნაწილში. ადრე ამ ადგილას გადიოდა ღელე ამავე სახელწოდებისა. ერთ-ოდა ციას მარჯვ. მხრიდან. ახლა მისი კალაპორტი ამოვსებულია მიწით. **¹ომუსკური** ← **¹ომურსკური** "თყემლის სკური".

ჩაიგრუზია – სახნავები სენაკი-ფოთის საავტ. გზის სამხრ-ით. უწინ ერქვა საბერძენო.

ცი(ა) – მდინარე, რიონის ტოტი. მოედინება ზემო ჭალადიდიდან. "უწინ გადიოდა საღვამინავოში. დაცურავდა ნავეები. გაჰქონდათ ხე-ტყე. შემდეგ ჩასვეს არხში. ამჟამად გაედინება წითელი ხიდის ქვეშ და უერთდება ყორათწყარს".

ჭალე/საგვიჩიოჩქონი – ჭალა, საძოვარები მდ. რიონის ნაპირზე.

ჭყონიშჯინჯი "მუხისძირი" – ტყე რიონის მარჯვ. ნაპირზე. "სალოცავი მუხა იდგა, მიჰქონდათ შესაწირავი".

საჯიჯაოს თემის საკრებულო

საჯიჯაოს თემის საკრებულო – საკრებულო ხობის რაიონში. შედის სოფლები: ზენი (3.), გაღმა საჯიჯაო, ზუბი, ჯაფშაქარი (დაბადების მოწმობაში იწერება სოფ. საჯიჯაო, ე.ი. მსაზღვრელი "გაღმა" ზედმეტია).

ოღიშ-ლენხუმის ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით, რაც განახორციელა დავით დადიანმა XIX ს-ის შუა წლებში, ზუბის მაზრაში შედის სოფელი საჩიჯაო, რაც დღევანდელი საჯიჯაო უნდა იყოს.

1993 წელს საჯიჯაოს თემში მკვიდრობდა 143 გვარის 877 კომლი (ზენი – 447 კ., გაღმა საჯიჯაო – 116 კ., ზუბი – 46 კ., ჯაფშაქარი – 248 კ.). გვართაგან მრავალკომლიანია (ოთხივე სოფლის მასშტაბით): ჭანტურია – 69 კ. (227 სული), თირქია – 55 კ. (205 სული), შამათავა – 42 კ. (156 სული), ახალაია – 34 კ. (224 სული), ქაჯაია – 33 კ. (140 სული), ზარანდია – 30 კ. (229 სული), შეროზია – 25 კ. (77 სული), კილასონია – 24 კ. (94 სული), კვარაცხელია – 24 კ. (85 სული), კუჭავა – 23 კ. (96 სული), სერგია – 20 კ. (88 სული), ნარსია – 19 კ. (82 სული), ნადარაია – 18 კ. (70 სული), ტყებუჩავა – 17 კ. (63 სული), ნოდია – 15 კ. (74 სული), ფოცხორაია – 14 კ. (55 სული), ნანეიშვილი – 13 კ. (34 სული), ლომაია – 12 კ. (29 სული), ხუნჯუა – 11 კ. (58 სული), შოგრაძე – 11 კ. (33 სული), ლიპარტია – 11 კ. (52 სული), უბილავა – 10 კ. (43 სული), თუთბერიძე – 10 კ. (35 სული), ჩიქოვანი – 9 კ. (37 სული), გვასალია – 9 კ. (54 სული), ალექსანდრია – 9 კ. (15 სული) (ცნობას ხელს აწერენ: გამგებელი რ. ნადარაია, მდივანი მ. შელია).

2002 წელს ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის ეროვნული აღწერის მიხედვით, საჯიჯაოს თემის ოთხივე

სოფელში ცხოვრობს 3329 სული (მათგან კაცი – 1596, ქალი – 1733).

ზენი

ზენი – სოფელი ოდიშის დაბლობზე, მდ. ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, საჯიჯაოს თემის საკრებულოს ცენტრი. ზ.დ. 40 მ. ხობიდან 13 კმ. ესაზღვრება: ბია, ხორში, ზუბი, ჯაპშაქარი. სოფელი ზენი, ოდიშ-ლექსუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით (XIX ს. შუა წლები) შედიოდა ზუბის მაზრაში. გადმოცემით, სოფლის პირველ მოსახლეთა შორის ყოფილან ძმები ლომიკია, გუდუღია და გვატილია ზარანდიები.

2002 წელს სოფელში მუდმივად ცხოვრობდა 1348 სული (მათგან კაცი – 649, ქალი – 699).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1983 წლის ნოემბერში. ინფორმეტორები იყვნენ:

ადამია იაკიმე (გაჯი) ყარამანის ძე, 72 წ.

ახალაია ლავრენტი ლევანის ძე, 68 წ.

ზარანდია გვანჯი გიგიშას ძე, 48 წ.

ზარანდია აპალონ ტრიფონის ძე, 59 წ.

კვარაცხელია რადიონ ირაღკის ძე, 67 წ.

კილასონია ტარიელ შალვას ძე, 29 წ.

კუჭავა სილოვან გახუს ძე, 83 წ.

მიქავა იური იასონის ძე, 41 წ.

ნადარაია ჯონდი ესტატეს ძე, 55 წ.

ნანეიშვილი გვადი ივლიანეს ძე, 77 წ.

ტყეშჩავა ვლადიმერ სამსონის ძე, 68 წ.

ფოცხოორაია კოკი ეგნატეს ძე, 70 წ.

ქარცხია ნინ(ი)ჩქა იასონის ას., 71 წ.

ქაჯაია აქესენტი იულონის ძე, 80 წ.

ქაჯაია თათაოზ მახაზის ძე, 81 წ.

წირღვავა იასონ პახვალას ძე, 70 წ.
ხუნჯუა ოლიფანტე გრიგოლის ძე, 81 წ.
ჯახია დავით ნიკოს ძე, 64 წ.

აესანდრიაშ ნო¹უნი – ტყე წიფურღალსა და სახუნჯუოს შუა.

ანდიოშ ნო¹უნი – მინდორი ჩაის ფაბრიკასა და სახუნჯუოს შუა.

ბაღჩა//ჩიჩუეფიშ ოუშქურე – ბაღი საკვარაცხელიოსა და პარტიკს შუა.

ბაბუშ ტანიშ ობონუე – მორევი ოკურჩხალეზე.

ბეგი – ბექი. იგივე ენწერიშ გაბარი.

ბენიაშ წყურგილე – წყარო სამიქაოში.

ბოჩიაშ მართუ – მორევი ხობისწყალზე.

გერნათხორა – სახნავი პარტიკის მარცხ. ნაპირას, როკონის გვერდით. გადმოცემით, აქ მგელი დაუმარხავთ. მაგრამ გერი პირსახელიცაა. ამ შემთხვევაში გერნათხორა ნიშნავს "გერის ნათხარს".

გესახვილე – დელე, პარტიკის მარჯვ. შენაკადი საზარანდიოში. გაედინება სოფლის ცენტრიდან. ინფორმატორთა განმარტებანი: 1. აქ ადამიანი ემწყვდეოდა ("იხვილუედუ"); 2. გესახვილე ნიშნავს საჭირო რამეს. ეს საჭირო რამე კი იყო აქ მდებარე წყარო.

გოჭიფე "ვიწრობი" – მინდორი წიფურღალის ნაპირას.

გრიშაშ გიოჯინუ – მორევი ხობისწყალზე. ნიშნავს: "გრიშას "დასახედი", ე.ი. რასაც გრიშა დასცქერის. გრიშა ცხოვრობს ბორცვზე.

გუნაშ მართუ – მორევი ხობისწყალზე. გუნა(ვა) გვარია.

დაგირებუელი "დაგირავებუელი" – სახნავი პარტიკსა და ხობისწყალს შუა. ჩიჩუებისაგან დაუგირავებიათ ხუნჯუებს, მერე მიუთვისებიათ..

დათუ კოსტაშ ნოხორი – სახნავი. იგივე დათუშ ნოხორი.

დათუშ ნოხორი//დათუ კოსტაშ ნოხორი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. დათუ გვარად კოსტავა იყო.

დილართელი//დოლართელი – სახნავი პარტიკის მარცხ. ნაპირას, ლახხონის პირდაპირ. ინფ.: "დაქანებული და კუზიანია".

დოლართელი – სახნავი. იგივე დილართელი.

დუტუშ ტობა – მორევი პარტიკზე.

ელაგირძე "წაგრძელებული" – ჩაის ფართობი საშეროზიოში, გზისპირას.

ენწერიშ გაბარი//ბეგი – ბექი ენწერსა და ოკურჩხალეს შუა.

ზედა ზენი – სოფლის აღმ. ნაწილი.

თუნთიაშ კარე – სახნავი პარტიკის მარცხ. ნაპირას. თუნთია გვარია.

იბლოშ წყურგილე – წყარო საწირღვაში.

კატიაშ ტობა – მორევი წიფურღალზე.

კეკუსანძეფიშ ოჭინუე – ტყე წიფურღალის მარჯვ. ნაპირას. ოჭინუე "საწნელე". ადგილი სადაც წნელს ჭრიან.

კვარაცხელიეფიშკარი – ჩაის ფართობი საზარანდიოში.

კოლო სხული "მწარე მსხალი" – სახნავი საზარანდიოშ დაღსა და პარტიკს შუა. ერთი ძირი მსხალი იდგა.

კოწიაშ ნოხორი – სახნავი პარტიკის ნაპირას.

კულუაშ ნოხორი – სამოვარი წიფურღალის მარჯვ. ნაპირას. კულუა გვარია.

ლაჩხონი – სახნავი პარტიკსა და წიფურღალს შუა.

ლოლუაშ კარე//ლოლუაშ ნაკარ – სახნავი პარტიკის მარცხ. ნაპირას.

ლოლუაშ ნაკარ – სახნავი. იგივე ლოლუაშ კარე.

მატაშ პალოტი – ტბორი უჩა ზენთან. მატა კაცის სახელია.

მიხაშ ტობა – მორევი წიფურღალზე სახუნჯუოში.

ნადარაიაშ ნოხორი – ჩაის ფართობი სოფლის დას. ნაწილში.

ნადარაიაშ წყურგილე – წყარო ხუდნათში.

ნაკოლე – სახნავი სახორშოში, ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. "კოლს უჭკომუ სიმინდი დო დაურათ გინურა'უნა".

ნალანგერ – მინდორი ზუბის საზღვართან. ჯარის ნადგომია.

ნაოხვამუ – სახნავი. იგივე ნახუტურუ.

ნაპარონ "ნაბორნალი" – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ბიის ხიდის ზემოთ.

ნაფაცხუ "ნაფაცხევი" – სახნავი პარტიკის ნაპირას.

ნაჩიხა – მორევი პარტიკზე.

ნაწიარღალ//ნაწიორღალ – დეღე, ოკურჩხალის მარცხ. შენაკადი საშეროზიოში. იწყება ხიბულის საზღვართან.

ნაწიორა ფართობი – ჩაის ფართობი საშეროზიოში.

ნაწიორღალ – დეღე. იგივე ნაწიარღალ.

ნაწისქვილე – სახნავი პარტიკის ნაპირას.

ნაჭვიკარე – სახნავი. იგივე ნაჭუკარე.

ნაჭკვერე – სახნავი. იგივე ნაჭუკარე.

ნაჭუკარე//ნაჭვიკარე//ნაჭკვერე – სახნავი წიფურღალუსა და გესახვილეს შესართავთან, ხუდნათის გვერდით.

ნახანგარუ – სახნავი პარტიკის მარჯვ. ნაპირას. ხანგარია გვარი უნდა ყოფილიყო.

ნახუტურუ//ნაოხვამუ – სახნავი ხობისწყლის ჭალაში, სოფ. ბიის საზღვართან.

ნიკოიაშკარი – ჩაის ფართობი სასიგულოში.

ნოჩიაშ ნოხორი – სახნავი საზარანდიოში.

ოგინე "სახბორე" – სახნავი კოლო სხულთან.

ოის,რე "საისლე" – ტყე ნაწიორაღალსა და წიფურღალს შუა.

ოტურე "სატურე" – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ხორშის საზღვართან.

ოუშქურე "ვაშლნარი" – სახნავი ხორშის საზღვართან.

ოჩე – სახნავი პარტიკის მარცხ. ნაპირას, საზარანდიოს პირდაპირ. **ოჩე** – ფართო ყანა, საბატონო ყანა.

პალოტი – ტბორი პარტიკის მარცხ. ნაპირას.

პარტიკი – მდინარე. გასდევს ხობისწყლის მარჯვ. ჭაღას.

პეპუიაშ ნოხორი – სახნავი პარტიკის მარჯვ. ნაპირას.

პერტახიაშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი წიფურღალის ნაპირას.

რემაშ ტობა – მორევი პარტიკზე.

რეყე – ვაკე-მაღლობი, სოფლის ნაწილი ჭაღეშ გაბარსა და ენწერიშ გაბარს შუა.

საადამიო – უბანი საზარანდიოსა და ჭაღეს შუა. აქაური ადამიები კოტიანეთიდან ჩამოსული მიტა ადამიას შთამომავლები არიან.

საბეკი – სახნავი პარტიკის მარცხ. ნაპირას, ოჩეს გვერდით. **საბეკი** – ადგილი, სადაც წვიმისას ცხენები წრეში დგებიან და მიწა იტკეპნება.

საგვასალიო – უბანი ოკურჩხალის მარცხ. ნაპირას.

საზარანდიო – უბანი პარტიკის მარჯვ. ნაპირას. პირველი დასახლება ხობისწყალ-ჭანისწყალს შუა მდებარე ჭაღა-ვაკის შემდეგ.

საზარანდიოშ დაღ – დეღე. პარტიკის მარჯვ. შენაკადი საზარანდიოში.

საკილასონიო – უბანი საგვასალიოსა და საზარანდიოს შუა.

საკვარაცხელიო – უბანი სანანეისქუო-საჭაჭუოს შუა.

საკუპესქუო – უბანი გესახვილესა და სახუნჯუოს შუა. ცხოვრობენ კუპრეიშვილები.

საკუპესქუოშ დაღ – დეღე, წიფურღალის მარცხ. შენაკადი.

საკუჭა – უბანი სამიქას გვერდით.

სამიქა – უბანი სოფლის ცენტრში. აქაური მიქავეების წინაპარ გახუნია მიქავას ღარა-მედანში (წალენჯიხის რ.) თავადი მოუკლავს, გამოქცეული და აქ დამკვიდრებულა.

სანანეისქუო – უბანი ხიბულის ზუბის საზღვართან. აქაური ნანეიშვილების წინაპრები (ხუტუტი და სხვ.) ვანის რაიონიდან ჩამოსულან.

- საპერტახიო** – უბანი წიფურღალის მარჯვ. ნაპირას.
- სასიგუო** – უბანი ოკურჩხალის მარცხ. ნაპირას.
- სატყებუჩო** – უბანი ოკურჩხალესა და საქაჯაიოს შუა.
- საქაჯაიო** – უბანი გესახვილესა და წიფურღალს შუა.
- საღაღუო** – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.
- საშეროზიო** – უბანი წიფურღალ-ოკურჩხალეს შუა.
- საწირღვა** – უბანი წიფურღალის ნაპირას. აქაური წირღვაეების წინაპარი შატუ აბაშიდან ჩამოსულა.
- საჭაჭუო** – უბანი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ზუბის საზღვართან.
- სახორში** – ჭალა ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. სოფ. ხორში ამუშავებდა.
- სახუნჯუო** – უბანი წიფურღალის მარცხ. ნაპირას.
- სიგუეფიშკარი** – ჩაის ფართობი სასიგუოში.
- სიკოშ ბეგი** – ტყე. იგივე სიკოშ ენწერი.
- სიკოშ ენწერი//სიკოშ ბეგი** – ტყე, ჭეჭყობი საწირღვასა და ჩაის ფაბრიკას შუა.
- სიკოშ შეკებული** – ტყე საწირღვაში. **შეკებული** – "შემოკავებული, შემოდობილი".
- სუმოშ ნაჩისა** – მორევი პარტიკზე. სუმო ← სვიმონ.
- ტები "ტევრი"** – ტყე საშამათასა და ენწერიშ გაბარს შუა.
- ტვერენა** – ტყე ოკურჩხალის ნაპირებზე, სოფ. ჯაპშაქარის საზღვართან, საადამიოს უკან.
- ტობა პარტიკი** – პარტიკის მონაკვეთი ხობისწყალთან შეერთების ადგილას..
- ტოტოშ ნაწისქვილ** – ნაწისქვილარი ტოტოშ წყურგილესთან.
- ტოტოშ წყურგილე** – წყარო პარტიკის ნაპირას.
- უჩა რზენი** – სახნავი პარტიკის მარჯვ. ნაპირას, საზარანდიოში.
- ფართო მუხური** – სახნავი ხობისწყალსა და პარტიკს შუა.
- ფართო ღალ** – ფონი წიფურღალზე.

ქარჩევიშ ოის,რე – ისლნარი ბეგში.

ქვედა ზენი – სოფ. ზენის დას. ნაწილი.

ქუა – მინდორი საკვარაცხელიოში, ჭალემ ფერდში.

ქ.რცხონა – ბუჩქნარი ხობისწყლის ჭალაში. **ქ.რცხი** – ჯაგრცხილა.

შამათევიშ წყურგილი – წყარო სატყეუხოში.

შუა ზენი – სოფლის ნაწილი ზედა ზენსა და ქვედა ზენს შუა.

ჩიჩუევიშ ოუშქურე – ბალი. იგივე ბაღჩა.

ცხაცხუ – სახნავი ნაკოლუსთან.

ცხიცხონა – სახნავი. ეტიმოლოგიურად უკავშირებენ ცაცხვის ხეს, რომელიც აქ მდგარა. სინამდვილეში ცხიცხ, არის მშრალი, გამოფიტული მიწა.

ძაგიაშ ნოხორი – სახნავი ლახხონში.

ძაგიაშ წყურგილი – წყარო ლახხონის ნაპირზე.

ძღანძღა – ტყე-ჭეჭყობი სააღამიოში. "ძღანძღა არის წყლით გაჯერებული ადგილი, ჭეჭყობი". სხვათა განმარტებით, **ძღანძღა** ღრმა ჭაობია.

წისქვილიშკარი – სახნავი პარტიკის მარცხ. ნაპირას.

წიფურღალ – ღელე. პარტიკის მარჯვ. შენაკადი. მოედინება ახალხიბულის ზუბიდან.

ჭალემ გაბარი – ბექი. გასდევს ხობისწყლის ჭალას.

ჭერეხი – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.

ჭითა ჭყონა "წითელი მუხნარი" – ჩაის ფართობი.

ხახუმ ნაწისქვილარი – ნაწისქვილარი პარტიკზე.

ხუღნათი – სახნავი პარტიკის მარცხ. ნაპირას ნაოხვა-მუმდე, რომელიც ეკუთვნის სოფ. ბიას.

ხუხუმ ნოხორი – სახნავი პარტიკის მარჯვ. ნაპირას. ხუხუ იყო ქვრივი ქალი.

ჯიხა – სიმაგრე ხობი-საჯიჯაოს გზისპირას.

ჯიხაიაშ ნაშქვიდუ/ჯიხაიაშ ნოშქვიდი "სადაც ჯიხაია დაიხრჩო" – მორევი ხობისწყალზე. ჯიხაია გვარია.

ჯიხაიაშ ნოშქვიდი – მორევი. იგივე ჯიხაიაშ ნაშქვიდუ.

ჯიხიააშ ნოხორი – ჩაის ფართობი წიფურღალის ნაპირას.

ჯობაიაშ წყურგილი – წყარო სასიგუოში.

გაღმა საჯიჯაო

გაღმა საჯიჯაო – სოფელი საჯიჯაოს თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე (მდ. ზანის შესართავთან), სოფ. ზუბისა და სოფ. ზენის პირდაპირ. ზ.დ. 50 მ., ხობიდან 28 კმ., სენაკის რკინიგზის სადგურიდან 19 კმ.

დასახლებული პუნქტის სახელი საჯიჯაო გულისხმობს, რომ იგი ჯიჯავების დასახლებაა. ჯიჯავა მცირერიცხოვანი გვარია (1995 წელს საქართველოში ცხოვრობდა ამ გვარის მატარებელი 101 სული: მარტვილის რ-ნში – 55; ზუგდიდის რ-ნში – 9; სენაკის რ-ნში – 7 და სხვ.), მაგრამ გაღმა საჯიჯაოს საკრებულოს სოფლებში ამჟამად ჯიჯავა არ ცხოვრობს. გადმოცემით, აქ ესახლნენ ჩიუაგები, მაგრამ გამწყდარან. ცნობარი "გვარ-სახელები საქართველოში" (თბ., 1997) ასეთ გვარს არ იცნობს. ისტორიულ წყაროებში გვხვდება ფორმა საჩიჯაო.

საჯიჯაოს თემი არსებობდა XIX ს. ბოლოშიც. იგი შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის რედუტკალეს უბანში 4 სოფლით:

ზენი – 273 კომლი, 1606 სული (კაცი – 883, ქალი – 723);

ზუბი – 189 კომლი, 1049 სული (კაცი – 570, ქალი – 479);

მაცხოვარისკარი – 49 კომლი, 274 სული (კაცი – 142, ქალი – 132);

საჯიჯაო (ც.) – 117 კომლი, 600 სული (კაცი – 320, ქალი – 280) (იხ. ... , 1893, გვ. 7.)

2002 წელს გაღმა საჯიჯაოში ცხოვრობდა 701 ადამიანი (კაცი – 335, ქალი – 366).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 3. 10. 83. ინფორმაციები იყვნენ:

თოდუა არონ იროდის ძე, 36 წ.

თოდუა იროდი ანდრიას ძე, 64 წ.

კილასონია ტარიელ შალვას ძე, 29 წ.

კოხია ჯოდო დომენტის ძე, 50 წ.

კუჭავა აკაკი სპირიდონის ძე, 51 წ.

ლომიაა შორჟი ილარიონის ძე, 58 წ.

ნადარაია ჯონდო ესტატეს ძე, 55 წ.

ჭანტურია ვეგრაფი (ხოთია) ნექტარის ძე, 67 წ.

ჭანტურია ველოდი პროკობის ძე, 62 წ.

ჭანტურია მირიანი არსენის ძე, 57 წ.

ჭანტურია ნოე ალექსანდრეს ძე, 58 წ.

ჭანტურია შორჟი ილარიონის ძე, 58 წ.

ჭანტურია შოთა ილიკოს ძე, 54 წ.

ქაჯაია რეზო კალისტრატეს ძე, 45 წ.

ადოშ შეკებული – სახნავი ზანაძის მარცხ. ნაპირას.

ადოშ ტყა – ტყე ცამდალის ხეობაში.

ანდრიაშ შეკებული – სახნავი ნაჯოდორთან.

არიაშ ნადიხუ – მინდორი ზანაძის მარჯვ. ნაპირას.

ბარდლაშ ღალ – ღელე. იგივე ღორჯიელი.

ბასილიაშ შეკებული – საძოვარი ზანაძის ხეობაში.

ბატულაშ ნოხორი – სახნავი სოფლის ცენტრთან.

ბაღჩა – ჩაის ფართობი ზანაძის მარცხ. ნაპირას. უწინ ვენახი ყოფილა გაშენებული.

ბახვაშ ნოხორი – სახნავი ცამდალის ხეობაში.

ბესლამიშ მართუ – მორევი ხობისწყალზე.

ბუკიანო(ა)უნი – ჩაის ფართობი ეკოხონმუხურში.

ბულღალ "ბლის ღელე" – ღელე, ზანაძგის მარჯვ. შენაკადი ეკონონმუხურში.

ბუხუტიშ ნოხორი – სახნავი სოფლის ცენტრთან.

გაიაშ ნოხორი – სახნავი სოფლის ცენტრთან. გაია ქალს ერქვა.

გაჯაშ ნოხორი – წყარო სოფ. ხორშის საზღვართან.

გაჯაშ წყურგილე – წყარო ცამღალში. ამ ღელის სამი სათავე-შენაკადიდან ერთ-ერთია.

გებენიშ ნაბოგ – ნაბოგირალი ზანაძგაზე. გებენ ავალიანმა ზანაძგაზე გადო ჭადრის ხე.

გერაშ წყურგილე – წყარო, ნაკადული, მაღლაკონის მარჯვ. შენაკადი ცამღალის ქვემოთ.

გერაშხასლა – ჩაის ფართობი ცამღალსა და სოფლის ცენტრს შორის. ხასლა "გვერდი".

გვიმარასაჩეხი – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, როკონას გვერდით.

გირძე ტობა – მორევი ზანაძგაზე.

გრიშაშ მართუ – მორევი ხობისწყალზე.

გუგითი – საძოვარი ნაჯლოდორღალის მარჯვ. ნაპირას.

გუდნაშ შეკებული – საძოვარი ზანაძგის ხეობაში.

გუჯაშ ფერდი/გუჯაშხასლა – ჩაის ფართობი ზანაძგის მარცხ. ნაპირას.

გუჯაშხასლა/გუჯაშ ფერდი – ჩაის ფართობი. იგივე გუჯაშ ფერდი.

გ. შახორხილი – გზა-გასასვლელი გუგითის თავზე, გზა გაღადის ობუკოლში და გაღადის ხორშში.

დაბალჩქონი – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.

დათიკოშ ნოხორი – ბორცვი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას.

ღუსიაშ ნოხორი – სახნავი მაღლაკონის მარცხ. ნაპირას.

ეკონომიკური – უბანი ზანაძის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ზანას საზღვართან. **ეკონი** "ზემოთა; აღმოსავლეთით მდებარე".

ერმინეშ ნოხორი – სახნავი სოფლის ცენტრთან.

ვადაკაჩა – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირის ჭალაში. აქ იდგა ჩაის ფაბრიკის წყალსაქანი სადგური.

თედორე ჯვარამიშ ნოხორი – ჩაის ფართობი ცამდალსა და სოფლის ცენტრს შუა. თედორე ჭანტურიას ჰქონდა მიღებული გიორგის ჯვარი და სოფელში თედორე ჯვარამს "ჯვარიანს" ეძახდნენ.

თედორეშ დიხა – საძოვარი ზანაძის ნაპირას.

თემშარა – ნაგზაური ზანაძესა და ხობისწყალს შუა.

თემშარაშ ფონი – ფონი, მორევი ზანაძეზე.

თომიაშ ნოხორი – სახნავი მაღლაკონის მარცხ. ნაპირას.

თუდოლენიშური "ქვემო მუხური" – უბანი ხობისწყალსა და ზანაძეს შუა.

თხირდალ – დეღე, ხობისწყლის მარცხ. შენაკადი. მოდის სოფ. ზანადან.

ილიკოშ ფერდი – ფერდობი ზანაძის მარცხ. ნაპირას.

იოსებიშ ფერდი – ფერდობი, ტყე ცამდალში.

ისლამიშკარი – ჩაის ფართობი ზანას საზღვართან.

ისლამიშ კარობა – ჩაის ფართობი ზანაძის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ზანის საზღვართან. "კარობა საერთოდ ნასახლარია".

კადარდალ – დეღე, მაღლაკონის მარჯვ. შენაკადი. **კადარი** – მზისკენ მიქცეული ფერდობი.

კაჟონა – ტყე ზანაძის მარცხ. ნაპირას.

კემლარიაშ ნოხორი – ჩაის ფართობი თუდოლენიშურში.

კინომ(უ)ხურა – სახნავი. იგივე კინომხორა.

კინომხორა//კინომ(უ)ხურა – სახნავი. ზანაძის მარჯვ. ნაპირასაა მრგვლად შეჭრილი. სავარაუდოა: კინომ(უ)ხურა ← კინონომიშური "ქვემო მუხური".

კინომხორაშ ფონი – ფონი ზანაძგაზე, კინომხორასთან.
კოდრაშ ნოხორი – ჩაის ფართობი სოფ. ზანას საზღვართან.

კოკია//ნაჭარხალ – სახნავი ზანაძგასა და ჩხვილადლის შესართავთან.

კოსტაშ ნაოჩ – სახნავი ზანაძგის მარცხ. ნაპირას. **ოჩე** – ფართო ყანა, დადიანის ყანა.

კუპატა – სახნავი ზანის მარჯვ. ნაპირას, რცუონსა და ფერმას შუა. "კუპატიშნერო ალაძ, წყარპიც, ლაგ.რძიათ" (კუპატივით წავრძელებულად დევს წყლისპირას).

ლევაშ ნოხორი – მინდორი მადლაკონის მარცხ. ნაპირას.

მაიაშ ნოხორი – სახნავი ცამდალის ხეობასა და სოფლის ცენტრს შუა.

მაქსიმეშ ნაჭვარა "მაქსიმეს ნაკაფი" – ტყე თუდოლენ-მუხურში.

მადლაკონი – მდინარე, ზანაძგის მარცხ. შენაკადი, სიგრძე 3 კმ. მოედინება ხორშიდან. გასდევს ხორშის საზღვრის ნაწილს. **მადლაკია** წყლის ცხოველია ერთგვარი.

მენჯი "ვეძა" – ჩაის ფართობი, მლაშე წყალი სოფ. ზანის საზღვართან.

მენჯლალ – დელე, მადლაკონის მარჯვ. შენაკადი.

ნარგუს(უ) – სახნავი ზანაძგის მარჯვ. ნაპირას, საჭანტურიოში, ზედ წყლის პირას. ნამოსახლარს არ ჰგავს. ინფ.: "ვილაც ზარმაც კაცხ აგვისტოში დაუთესავს სიმინდი".

ნაბამუე "ნაბამბარი" – გორა ნაჯოლორდალისა და ჩხვილადლის წყალგამყოფზე.

ნაბოგუე – მორევი ზანაძგაზე. **(გო)ბოგუა** – ძელფიცრის ხიდის გადაბა.

ნადოხორუე – ჩაის ფართობი ეკოხონმუხურში, თხირდალის მარჯვ. ნაპირას. **დოხორე** – დადიანის სასახლე.

ნადოხორუშ ჩაი – ჩაის ფართობი თხირდალის ნაპირას.

ნათხალუ – ჩაის ფართობი სოფ. ზანის საზღვართან, თხირღალის მარჯვ. ნაპირას. **ნათხალუ** – ადგილი, სადაც თხა ჰყავდათ.

ნაიონჯ – სახნავი ზანაძგის მარცხ. ნაპირას, სადაც ერთ დროს იონჯას თესდნენ.

ნაოხხვარუ – დელე. იგივე ოხხვარუე.

ნარტყი – მინდორი ეკოხონმუხურში. **ნარტყი** – ერთმანეთში გადახლართული ეკალ-ბარდი. გამოიყენება ცოცხალ ღობელად.

ნაჩხაშდული – მორევი ზანაძგაზე. გადატხრეს წისქვილის არხისათვის. ნაჩხა ← ნაჩხა ← (გო)ჩხუა – მდინარის დაგუბება, გადაკედლვა.

ნაწისქვილუ – მინდორი ზანაძგის მარცხ. ნაპირას.

ნაჭარხალ – დელე. იგივე კოკია.

ნაჭკარა "ნაკაფი" – სახნავი, ჩაის ფართობი თხირღალის მარცხ. ნაპირას.

ნაჯიხუ "ნაციხარი" – ბორცვი, სიმაგრე სალოლუოში.

ნაჯოღორ – ტყე ნაჯოღორუშ ღალის სათავესთან, სოფ. ხორშის საზღვართან. **ჯოღორი** "ძაღლი". ჯოღორია პირსახელია.

ნაჯოღორუ(შ)ღალ – დელე, მალლაკონის მარცხ. შენაკადი.

ნობოდენი – სახნავი ზანაძგისა და ხობისწყლის შესართავს შიგნით.

ნოხორი – გორა ჩხვილაღალისა და ნაქობაღალის წყალგამყოფზე.

ობუკოლი – ტყე, გორა ნაჯოღორუღალისა და მალლაკონის ხეობათა წყალგამყოფზე, ხორშის საზღვრის ახლოს. აქ ამზადებდნენ ბუკის ქვას. **ბუკი** "კერიის ქვა; შეშის თავის მისაყუდებელი" ("დიშქაშ დუდიშ გილაღ-ვაღარი").

ოლიგაშ პანაშონა – ტყე ნაბამბუზე, სოფ. ხორშის საზღვართან. **ოლიგა** პირსახელია. **პანაში** ყურძნის ჯიშია.

ომანდარნე "სამანდარინე" – ტყე ნაჯოღორუღალის მარჯვ. ნაპირას, გუგუთს ქვემოთ.

ომუნჩქეე "სამაჩვე" – ტყე, ფერდობი მაღლაკონის მარცხ. ნაპირას.

ონახუე – მორევი ზანაძგაზე. **ონახუე** ის ადგილია დელეზე, სადაც სარეცხს რეცხდნენ.

ონახუეშ ფონი – ფონი ზანაძგაზე.

ორესტიშ ნოხორი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ორწუბელე "საწურბლე" – მორევი ზანაძგაზე.

ოტკილე – მორევი. იგივე ტკილონა.

ოტუნგოლ – ტუნგის ნარგავები ზანაძგის მარცხ. ნაპირას.

ოტურე "სატურე" – ტყე კოკიასთან.

ოქობალე – ტყე თხირღალის მარცხ. ნაპირას, სადაც ხორბალს თესდნენ.

ოჩხვარუე/ნაოჩხვარუ – დელე, ხობისწყლის მარცხ. შენაკადი თუდოლენმუხურში. "ოჩხვარუე გინოდგუნა ღუმუშო. ჭიჭე წყარი მეურც" ("ღომის საცეხველი მღგარა მცირე წყალზე").

ოხვამეშკარი – ჩაის ფართობი ცამღალის მარჯვ. ნაპირას.

პილაშ ფონი – ფონი ხობისწყალზე.

პიკაზიშ მართუ – მორევი თხირღალისა და ხობისწყლის შესართავთან. აქ პიკაზ ჭანტურია ესახლა.

რეყე – რიყე, ტბორი. ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. "რეყე ეწოდება წყლიან ნაპირს მდინარისას".

როკია – ფერდობები, ტყე-საძოვრები ზანაძგის მარცხ. ნაპირას, სკოლის ქვემოთ, სადაც ერთ დროს გამხმარი წიფლის ძირები ჩანდა.

როსტოიაშ ნოხორი – ტყე სოფ. ზანის საზღვარზე.

(რ)ცუონი – ტყე ზანაძგის მარჯვ. ნაპირას, მაღლაკონის შესართავის პირდაპირ. ც. "ნეკერჩხალი".

საკუჭა – კუჭავების უბანი ზანაძგის მარცხ. ნაპირას.

საკუჭადობერა – ჩაის ფართობი, ფერდობები ნაჯლოღორუღალის მარცხ. ნაპირას.

სალოლუო – ჩაის ფართობი ზანაძგის მარცხ. ნაპირას. ესახლენ ლოლუები – თავადები.

საქარჩადობერა – სერი სოფ. ხორშის საზღვართან.

საქვარცხა – უბანი ზანაძგისა და მალლაკონის წყალ-გამყოფზე.

საჭანტურიო – უბანი ზანაძგასა და ხობისწყალს შუა. ჭანტურია ერთ-ერთი ფართოდ გაგრცვლებული გვარია საქართველოში (6698 სული: 39-ე ადგილი ქვეყნის მასშტაბით. სამეგრელოს მხარეში კი მე-6 ადგილზეა). ამ გვარის თავდაპირველი სამკვიდრო ჩანს სოფ. ჯვარი. გაღმა საჯიჯაოში მცხოვრებ ჭანტურიებში ასეთი გადმოცემა არსებობს: ჭანტურიები ცხოვრობდნენ ჯვარში. მიწა ჰქონდათ მაგანის გაღმა (მარჯვ. მხარეს) და სვანები ეცილებოდნენ. ერთი სვანი ზამთარში დარჩენილა ჭანტურიას სახლში. ოჯახში "ოდუდიაშ ოხვამური" ქვევრი ჰქონიათ, დიდზე დიდი. სვანს მასპინძლის ბავში იქ ჩაუხრჩვია. ჰგონებიათ თოვლში დაიკარგაო. აღდგომაზე ქვევრს თავი მოსხნეს და ბავშვის გვამი იპოვეს. ოჯახის პატრონმა დაპატიჟა სვანები, მოწამლული ღვინო დააღვეინა და სახლი დაწვა. შურისძიების შიშით სამი ძმა ჭანტურია იქიდან წამოსულა: ერთი საჯიჯაოში მინდობია დადიანს, მეორე ქვალონში – ლოლუას, მესამე აბაშაში – თოფურიას. 1983 წელს სოფელში ცხოვრობდა 40-მდე კომლი ჭანტურია. "ძველების" სახელებია: თედორე, უჩანა, ბეჩუნა, ბახვა, მაგუია...

სიორდიაშ ნოხორი – სახნავი ზანაძგასა და ხობისწყალს შუა.

სოსრანიშ ნოხორი – სახნავი ცამდალსა და სოფლის ცენტრს შუა.

სუმონიშ ნოხორი – სახნავი ცამდალის ხეობასა და სოფლის ცენტრს შუა.

ტაგუიაშ ნოშქვიდუ "სადაც ტაგუია დაიხრჩო" – მორევი ხობისწყალზე.

ტკილონა//ოტილე – მორევი ზანაძეაზე. ტკილი "მერგელის ქანი".

ქაჯაიაშ წყურგილი – წყარო თუდოლენმუხურში.

ქვარცხეფიშ წყურგილე – წყარო, მაღლაკონის მარჯვ. შენაკადი.

ფართო მინდორი – მინდორი ეკოხონმუხურში.

ღორჯიელი//ბარდლაშ ღალ – ღელე, მაღლაკონის მარჯვ. შენაკადი. მოედინება საქარჩადობერიდან. საზღვარი სოფ. ხორშთან.

ურუაშ ნოხორი – ჩაის ფართობი თუდოლენმუხურში.

შეკებული – ჩაის ფართობი საშუალო სკოლის შენობის უკან.

შქაწყარი "შუა წყალი" – სახნავი ზანაძის მარცხ. ნაპირას. მრგვლადაა შეჭრილი მდინარეში.

შქაჭერეხი – მინდორი, საძოვარი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. ყოფილი კუნძული.

ჩოკორაიანოხორი – ჩაის ფართობი ეკოხონმუხურში.

ჩხვილაღალ – ღელე, ზანაძის მარცხ. შენაკადი. ხობისწყლის შესართავიდან 300 მეტრზე. მოედინება სასერგიოდან, რაც სოფ. ხორშშია.

ცამღალ – ტყე, ხეობა, ღელე ხორშის საზღვართან.

ცუტუშ ტყა – ტყე ცამღალის ხეობაში.

ცხიცხონა – მინდორი. "ცაცხვები იღვა და ამოტომ დაერქვა".

ძიკიშ მაღალი – სახნავი, ხობისწყლის რიყის ნაწილი.

ძიკიშ რეყე – სახნავი, ხობისწყლის რიყის ნაწილი.

ძიძაშქარი – ჩაის ფართობი ჩხვილაღალსა და ნაქობალს შუა.

წკვატარიონი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. წკვატარია მცენარეა ერთგვარი.

წისქვილიშ კარობა – მინდორი, ტყე ზანაძის ნაპირას.

ჭანდარონი – სახნავი მაღლაკონის მარცხ. ნაპირას. ჭანდარი "ჭადარი".

ხურცილეფიშ ნოხორი – დაფნარი საქვარცხაში.
ჯინორიაშ ნოხორი – სახნავი ზანაძის მარჯვ.
ნაპირას.

ზუბი

ზუბი – სოფელი საჯიჯაოს თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობისწყლის მარჯვ. ნაპირზე. ზ.დ. 60 მ. ხობიდან 15 კმ. ტერიტორიულად ამ სოფლის გაგრძელებაა ახალხიბულის თემის საკრებულოში შემაგალი სოფელი ზუბი. ოდიშ-ლენხუმის დავით დადიანისეული დაყოფის მიხედვით, ზუბი არის სოფელი და ზუბის მაზრის ცენტრი (XIX ს. შუა წლები).

2002 წელს ზუბში ცხოვრობდა 890 სული (კაცი – 432, ქალი – 458).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1983 წლის ნოემბერში. ინფორმატორები იყვნენ:

კემულარია ნოდარ ჯოტოს ძე, 30 წ.

ნანეიშვილი შალვა გუჯუს ძე, 71 წ.

ნარსია დურუ ფილიპეს ძე, 70 წ.

პერტაია ხარიტონ ტრიფონის ძე, 48 წ.

ქარჩავა ჯოგო ალექსის ძე, 79 წ.

ქვარცხავა ბიკენტი გიორგის ძე, 62 წ.

არტენიშ ნადიხუ – ჩაის ფართობი ენწერიშ გაბარში.

არჩილიშ ფონი – ფონი. იგივე ჭატურიეფიშ ფონი.

აფაქიაშ ფონი – ფონი. იგივე წისქვილიშ ფონი.

ბინეხონი "ვაზიანი" – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ბულონი "ბაღნარი" – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ბულონწყარი – დელე, პარტიკის მარცხ. შენაკადი.

გრიშაშ ტობა – მორევი ხობისწყალზე.

გურანდაშ ნოხორი – სახნავი პარტიკის ნაპირას.

დღეებუ "ღრმა ტლაპო" – ტლაპო ხობისწყლის ჭალაში.
ენწერიშ გაბარი "ეწრის ბექობი" – ფართო სერი,
ზეგანი ოკურჩხალის მარცხ. ნაპირას.

ერაკლიშ ფონი – ფონი შონიეფიშ ღალზე.

ვაკაციონი – ბუჩქნარი ნოხორიეფთან. ვაკაცია,
ლაკაცია "აკაცია".

ზანაშ ჭალე – სახნავი. იგივე ნაჭყებიეფიშ ფართობი.

ზოგრატიშ ნადიხუ – ჩაის ფართობი ენწერიშ გაბარში.

თომაშ ფონი – ფონი შონიეფიშ ღალზე, სატაბალუოში.

იბლოშ ნოხორი – სახნავი პარტიკის მარჯვ. ნაპირას.

ინალისქუაშ ტობა – მორვეი ხობისწყალზე. ინალისქუა
იგივე ინალიშივლია.

ირაკლიშ წყურგილე – წყარო ხობისწყლის ჭალაში.

მაშაშ ნოხორი – ჩაის ფართობი საპერტაიოსა და
ოკურჩხალეს შუა.

მოხილი "(ჩა)მორღვეული" – კლდე ხობის-წყლის პირას.

მოხილიშ ტობა – მორვეი ხობისწყალზე, მოხილის
ძირას.

ნაპერელუ – სახნავი საპერტაიოსა და პარტიკს შუა.
"პერილა ეთესა. საქონლის ბალახია".

ნაწიარ(უ) – დელე. გაედინება სარეკვიდან.

ნაწისქვილ – სახნავი პარტიკის ნაპირას.

ნაჭყებიეფიშ ფართობი/ზანაშ ჭალე – სახნავი ხობის-
წყლის ჭალაში. აქ სოფ. ზანის სახნავი იყო.

ნახანგარ – სახნავი შონიეფიშ ღალის მარჯვ. ნაპირას.

ნეძონა "კაკლნარი" – სახნავი პარტიკის ნაპირას.

ნოხორიეფი "ნასახლარები" – სახნავი პარტიკის მარჯვ.
ნაპირას.

ოკიბორჩხალე – დელე. იგივე ოკუ(ბო)რჩხალე.

ოკუ(ბო)რჩხალე/ოკიბორჩხალე – დელე. იწყება საბასი-
ლაიოში, აღ. ბასილაიას ეზოში. "დელეში ბევრი კიბორ-
ჩხალა იცოდა, უხვად იჭერდნენ, განსაკუთრებით სინათლის
შუქზე".

ოლართელი//ქუნცონაშ დაბალი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. **ოლართელი** – დაქანებული, დამრეცი. **დაბალი** – (ოროგრაფიული ტერმინი), "დაბლა მდებარე ადგილი".

ოქობაღე – სახნავი პარტიკის ნაპირას. ეთესა ხორბალი.

ოღეჯეღალ – ღელე, ოკურჩხალესა და სარეკვას შუა გადის, ჩაის ფაბრიკის უკან.

ოწრუბელე "საწურბლე" – სახნავი პარტიკის ნაპირას.

ოჭყენჭყე – ჭეჭყობი პარტიკის მარჯვ. ნაპირას.

პარტიკი – ღელე. ხობისწყლის მარჯვ. ნაპირის ბექის ძირებს გასდევს. სათავეა ორი წყარო ხიბულის ზუბში.

რეყე – ბუჩქნარი ოღეჯეღალსა და ნაწისქვილარს შუა.

როკონა – სახნავი პარტიკის მარჯვ. ნაპირას.

საანგურო – სახნავი სარეკვასა და პარტიკს შუა.

საიწყო – უბანი, სადაც უწინ ესახლნენ ჩიხუები.

სანანესქყო – უბანი ცენტრალურ გზაზე. **ნანესქუა** იგივე ნანეიშვილია.

საპერტაიო – უბანი სოფ. ზენის საზღვართან.

საპერტაიოჩაი – ჩაის ფართობი საპერტაიოს უკან.

სარეკვა – უბანი ცენტრალური გზის პირას.

სატაბაღყო – უბანი ცენტრალურ გზაზე.

სატაბაღყოშ ფონი//ტაბაღუეფიშ ფონი – ფონი პარტიკზე, სატაბაღყოს უკან.

საჯიჯაშ ჭერეხი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

უშქურონა – ჩაის ფართობი სარეკვასა და ოკურჩხალეს შუა.

უთუთიაშ ნოხორი – ჩაის ფართობი ოკურჩხალესა და სარეკვას შუა.

ტაბაღუეფიშ ფონი – ფონი. იგივე სატაბაღყოშ ფონი.

ფრიმულდიდი – სახნავი პარტიკის მარცხ. ნაპირას, ჭალაში. ფრიმული წვერიცაა და სიმინდის ტაროს ფოჩიც.

ქუცონა "ჯაგნარი" – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას.

ქუნცონაშ დაბალი – სახნავი. იგივე ოლართელი.

შაურიანი – სახნავი პარტიკსა და ხობისწყალს შუა. ხალხ. ეტიმოლოგიები: 1. შაურივით პატარა ადგილია; 2. ოქროს შაურით უყიდიათ.

შონიეფიშ დალ – ღელე, პარტიკის ერთ-ერთი სათავე. ხობულის ზუბიდან მოედინება.

ჩქონი – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას. ჩქონი "კუნძული; ჯაგიანი წყლისპირი".

ჩიჩუაშ ნადოხორ – საკარმიდამო საპერტაიოში.

ციცხონა – სახნავი ხობისწყალსა და პარტიკს შუა. "ძლილი დო ქუნცი ნოჩე" (ე.ი. ჯაგრცხილა და ქაცვი ხარობდა).

ციხმურიშჯინჯი "რცხილისძირი" – ჩაის ფართობი საპერტაიოსა და ოკურჩხალეს შუა.

ციხმურონი "რცხილნარი" – ერქვა ტყეს საპერტაიოსა და ოღეჯელალს შუა.

ძლილონა – სახნავი სარეკვაში. ძლილი ჯაგრცხილაა.

წისქვილიშ ფონი//აფაქიაშ ფონი – ფონი ხობისწყალ-ზე. აქ გადის სოფ. ზანაში მიმავალი გზა.

ჭალეშ გაბარი – ბექი. ხობისწყლის ჭალის შემდეგ პირველი შემადლებაა.

ჭაჭიეფიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი ხობისწყლის ჭალაში. ჭაჭია გვარია.

ჭატურიეფიშ ფონი//არჩილიშ ფონი – ფონი ხობის-წყალზე.

ჭვიტ(ილ)აჭყონა – ჩაის ფართობი ოკურჩხალესა და სარეკვას შუა. "ურყი ორდ., ჩიტის ვაითაღედ, კვარკვან-ტელა. ჭვიტე ვაითორჩქდ.". ჭვიტე "ჭუჭრუტანა".

ჭითასქუაშ ნოხორი – ჩაის ფართობი ოკურჩხალესა და სარეკვას შუა.

ჯაბურიეფიშ ნოხორი – ჩაის ფართობი ოკურჩხალესა და სარეკვას შუა.

ჯვეშ ოჩაიე – ჩაის ფართობი საპერტაიოს უკან.

ჯაპშაქარი

ჯაპშაქარი – სოფელი საჯიჯაოს თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფ. ახალხიბულიდან დას-ით ხობისწყლისა და ჭანისწყლის შესართავამდე. ზ.დ. 60 მ., ხობიდან 18 კმ., ქსე-სა და "საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ ლექსიკონში" მოცემულია ფორმით "ჯაფშაქარი", მაგრამ "საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში" (1987 წ.) დაფიქსირებულია "ჯაპშაქარი". ეს ვარიანტია გავრცელებული ადგილობრივ მეტყველებაშიც. აქედან მომდინარეობს ხალხური ეტიმოლოგია: "ლაკადაშე მოღურთუმ მეორინჯეს, ათაქი აკოსერუუ, ქუძირ ჯაპი დო ჯაპკაკალი უტკუმუ. გემუანი ოფე დო მუ ჯაპიშ შანქარი ოფენია, უთქუალ".

2002 წელს ჯაპშაქარში ცხოვრობდა 390 სული (მათგან კაცი – 180, ქალი – 210).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1983 წლის ნოემბერში. ინფორმატორები იყვნენ:

- ახალაია ლავრენტი ლევანის ძე, 68 წ.
- ერქვანია არსანა დავითის ძე, 84 წ.
- ვეკუა მირო კიმოთეს ძე, 69 წ.
- თირქია დევე ჩვეფეს ძე, 46 წ.
- თირქია მაკარი თატაოზის ძე, 67 წ.
- თირქია მიშა ალექსანდრეს ძე, 77 წ.
- თირქია საშა ეგნატეს ძე, 68 წ.
- კვარაცხელია ვესევი კონსტანტინეს ძე, 68 წ.
- კილასონია თენგიზ კონსტანტინეს ძე, 55 წ.
- ნადარაია დურუ მიხას ძე, 61 წ.
- ნარსია სვეერიან ზოსიმეს ძე, 36 წ.
- შამათავა ომარ პროფილეს ძე, 36 წ.
- ჯახია ნაპო თათაოზის ძე, 53 წ.

ალექსიმ წყურგილე – წყარო სათირქიოში.

აფთურა//ფოცხორაიეფიმ ნორტყი – ტყე ოღეჯესა და ოკურჩხაღეს შუა. აფთურა აფხაზური სიტყვაა და ნიშნავს საქონლის სადგომს. გავრცელებულია მწვემსთა შორის. **ნორტყი** იგივეა, რაც ნარტყი, ანუ ერთმანეთში გადახლართული ეკალ-ბარდი.

აფთურაში ჩაი – ჩაის ფართობი აფთურაში.

ბაკუიაში ნოხორე – ტყე ოკურჩხალის ნაპირას.

ბეგი/ენწერი – ტყე სოფ. ახალხიბულისა და ზუბის საზღვრებთან.

გარსაგანიში წყურგილე – წყარო ქვემო ჯაპშაქარში.

გარსაში სხულონი – ერქვა მინდორს იქ, სადაც საშუალო სკოლის შენობა დგას. ეკუთვნოდა გარსა კვარაცხელიას. **სხულონი** "მსხალნარი".

გოჯოში ღაღ – ღელე, ჭანისწყლის მარცხ. შენაკადი. საშამათო-საკილასონიოდან გაედინება.

დიმიტრიში ნოხორი – სახნავი ქვემო ჯაპშაქარში.

დიტოში ნაჩიხა – მორევი ჭანისწყალზე.

დიტოში შეკებული – ტყე სათირქიოში.

დიტოში წყურგილე – წყარო სათირქიოში.

ეგნატიში წყურგილე – წყარო საშამათოში.

ენწერი – ტყე. იგივე ბეგი.

ერიში ნოხორი – ტყე ოკურჩხალის მარცხ. ნაპირას.

ეეკუაში ფერდი – ფერდობი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას.

ზაკალონი "ზზანარი" – სახნავი ჭანისწყლის ჭალაში.

ზაკალონიში ფერდი – ფერდობი ზაკალონთან.

ზედა ჯაპშაქარი – სოფლის ნაწილი.

თემუში წყურგილე – წყარო სანადარაიოში.

თირქიეფიში ნაჩიხა – მორევი ჭანისწყალზე.

თირქიეფიში ფერდი – ფერდობი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას.

თურქიეფიშ ღალუ – ღელე. იგივე კვარაცხელიეფიშ ღალუ.

ივანეშ ეკალ-აღმართი ზაკალონთან. ეკალ "აღმართი" ივანეშ ნოხორი – საძოვარი ზედა ჯაშაქარში.

ივანეშ ტო(მ)ბა//ტუტუშ ტობა – მორევი ჭანისწყალზე.

ივანეშ წყურგილი – წყარო ზაკალონში.

ილიკოშ წყურგილე – წყარო სათირქიოში.

იოსეშ წყურგილე – წყარო სანადარაიოში.

იოსეშ ფონი – ფონი ჭანისწყალზე.

იძგვირიძეშეკარი – მინდორი ოკიბორჩხალის მარჯვ. ნაპირას. იძგვირიძე გვარია.

კაჟონია "მცირე კაჟნარი" – ჩაის ფართობი ოკურჩხალის მარცხ. ნაპირას.

კერანდუხუშ ფონი – ფონი ჭანისწყალზე.

კვარაცხელიაშ ფერდი – ფერდობი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას.

კვარაცხელიეფიშ ღალუ//თირქიეფიშ ღალუ – ღელე. იწყება სათირქიოში, ლენჭყიდან.

კოსტაშ წყურგილე – წყარო საკილასონიოში.

ლადიშ ტობა – მორევი ოკურჩხალეზე, საახალაიოში.

ლადიშ წყურგილე – წყარო საახალაიოში.

ლენჭყი – ჭეჭყობი სათირქიოში.

მარიაშიშ წყურგილი//წისქვილიშ წყურგილი – წყარო რეყეში, ნაწისქვილუსთან.

მირგატიეფიშ ტობა – მორევი ჭანისწყალზე. მირგატია გვარია.

მიხაშ მოხილი – მორევი ჭანისწყალზე. **მოხილი** – ჩამორღვეული კლდე, ფლატე.

მიხაშ წყურგილე – წყარო სათირქიოში.

მორთელი – სახნავი პარტიკსა და ჭანისწყალს შუა, ჭალაში.

მურღულიაშ ჩაი//ნიკოშ ჩაი – ჩაის ფართობი აფთურის გვერდით. მურღულია გვარია.

ნადარაიეფიშ წყურგილი – წყარო სანადარაიოში.

ნაკაზარმუ – ჩაის ფართობი ოკუერჩხალის მარჯვ. ნაპირას. **კაზარმა** "ფარდული" → ნაკაზარმუ "ნაფარდულევი".

ნაკარუ/ხუთჰექტარიანი – სახნავი პარტიკსა და ჭანისწყალს შუა, ჭალაში.

ნამაღაზ – სახნავი ჩუ¹ურში, სადაც იღვა მაღაზა "სასიბინდე, ნალია".

ნართამუ – საძოვარი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, საახალაიოში. ხალხ. ეტიმოლოგიები: ა) "წყარი ირთუდუა თექი" (იქ წყალი იყოფოდაო); ბ) ახალაიებს გაუყვიათ მიწა.

ნაჩ(ი)ხაშდუდი – მორევი, საძოვარი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, ქვემო ჯაპშაქარში, სადაც წისქვილის არხის სათავე ყოფილა.

ნაწიორა – დელე. იგივე ნაწიორა(შ)ღალ.

ნაწიორა(შ)ღალ//ნაწიორა – დელე ზემო ჭაპშაქარში. ოღეჯელალის მარჯვ. შენაკადი. **ნაწიორა** "ნაწრეტი" – ვიწრო დელე, რომელშიც მხოლოდ ნაწვიმარი წყალი მიედინება.

ნაწისქვილუ – სახნავი ჭანისწყლის ნაპირას.

ნახვამუ – სახნავი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, პარტიკსა და ჭანისწყალს შუა, ჭალაში. **ნახვამუ** ← **ნაოხვამუ** ← **ოხვამე** "სალოცავი".

ნეძფონი – სახნავი ქვემო ჯაპშაქარში, ზაკალონის ქვემოთ.

ნიკოიაშ წისქვილი – ნაწისქვილარი ჭანისწყალზე, ნაწისქვილუსთან.

ნიკოშ ჩაი – ჩაის ფართობი. იგივე მურღულიაშ ჩაი.

ნდღურუ – დელე. იგივე ოღეჯელალ.

ოკურჩხალე – მდინარე, პარტიკის მარჯვ. შენაკადი. არხით გაიყვანეს ჭანისწყლისაკენ.

ოლის,რე – ისლნარი ოღეჯელალის ნაპირას.

ოლის,რეშ ჩაი – ჩაის ფართობი ოლის,რესთან.

ონტყოლაშე – ტლაპო ბეგში. **(ნ)ტყოლაშე** "ღრმა ლაფში სიარული, ჩადირვა, ნებივრობა" → ონტყოლაშე "საღლაფაო, საფლობი".

ოღეჯეღალ//ნდღურუ – დეღე. იწყება ახალხიბულის მეურნეობაში. ერთვის ოკურჩხალეს მარჯვნიდან საახალაიოში. "ღეჯიქ მიონდღურუ" (ე.ი. ღორმა დაიდრუტუნა) და ამიტომ დარქმეგია ნდღურუ.

ოღეჯეღალუშ ჩაი – ჩაის ფართობი ოღეჯეღალის ნაპირას.

ოწურბელე "საწურბლე" – ჭეჭყობი ოღეჯეღალის მარჯვ. ნაპირას.

ოწურბელეშ ჩაი – ჩაის ფართობი ოწურბელესთან.

პავლეშ ტობა – მორევი ჭანისწყალზე.

პეტრეშ ნოხორი – საძოვარი ზედა ჯაპშაქარში.

პეტრეშ ტობა – მორევი ოკურჩხალეზე, საახალაიოში.

რეყე – საძოვარი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, ქვემო ჯაპშაქარში.

როკონი – სახნავი ჭალაში, პარტიკსა და ჭანისწყალს შუა. **როკი** – გამხმარი ხის კუნძი.

რუსიშ ნაკაზარმ(უ) – მინდორი ოკურჩხალესა და ოღეჯეღალს შუა. აქ ერთმა რუსმა დადგა "კაზარმა" – თამბაქოს საშრობი ფარდული..

საახალაიო – უბანი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, ქვემო ჯაპშაქარში. ახალაიების წინაპრები – ძმები ხახუ და ბოშხუხუ – მოსულან სოფ. ნაკიანიდან.

სათირქიო – უბანი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას.

საკილასონიო – უბანი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფ. ახალხიბულის საზღვართან. კილასონიების წინაპარი ხახულია კილასონია და მისი შვილები – სუმოია და აკოია – ჩამოსულან კიწიიდან.

სამსონიშ ნოხორი – საძოვარი ზედა ჯაპშაქარში.

სანადარაიო – უბანი საკილასონიოს ქვემოთ.

სანდროშ ტობა – მორევი ოკურჩხალეზე, საახალაიოში.

საქარაიო – უბანი ოკუპრჩხალეს მარცხ. ნაპირას.
საშამათო–უბანი საკილასონიოსა და სანადარაიოს შუა.
საშეროზიო – უბანი ოკუპრჩხალის მარცხ. ნაპირას.
სიდლოშ ტობა – მორევი ოკუპრჩხალეზე, საახალაიოში.
სისლოშ ტობა – მორევი ჭანისწყალზე, ნეძფონთან.
სორდხემკარი – გზაჯვარედინი ზედა ჯაპშაქარში.

სხულონა "მსხალნარი" – ბორცვი, ტყე ოღეჯელალის მარჯვ. ნაპირას, სადაც ახლა საშუალო სკოლაა.

უჩა ბალოტი//უჩა წყარი – ტბორი ოკუპრჩხალის მარცხ. ნაპირას.

უჩა წყარი – ტბორი. იგივე უჩა ბალოტი.

ფოცხორაიეფიშ ნორტყი – ტყე. იგივე აფთურა.

ქველა ჯაპშაქარი – სოფლის ქვემო ნაწილი ცხენის-წყლის დინების მიხედვით.

ქუა//ქუალონი – სახნავი ჭანისწყლის ჭალაში.

ქუალონი – სახნავი. იგივე ქუა.

ტახილხიდე "დამტვრეული ხიდი" – ბოგირი პარტიკზე.

ტელმანი//ტელმანიშ ჩაი – ჩაის ფართობი ოღეჯელალის ნაპირას. კოლმეურნეობა იყო ტელმანის სახელობისაა.

ტუტუშ ტობა – მორევი. იგივე ივანეშ ტო(მ)ბა.

შამათაშ მოხილი – კლდე ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას, ქვემო ჯაპშაქარში.

შამათეფიშ ფერდი – ფერდობი ჭანისწყლის მარცხ. ნაპირას.

შქაჭყონა "შუა მუხნარი" – ერქვა ტყეს ოღეჯელალის ნაპირას.

ჩაგელ(ო)ური – სახნავი ჭანისწყლის მარცხ. ჭალაში.

ჩეეფეშ ფონი – ფონი ჭანისწყალზე.

ჩუ'ური – სახნავები პარტიკსა და ჭანისწყალს შუა.

ძოკოშ ნო'უნი – ტყე ოკუპრჩხალის ნაპირას.

წისქვილიშ წყურგილი – წყარო. იგივე მარიამიშ წყურგილი.

წმინდა გიორგი – საყდარი სათირქიოში.

ჭყონა – ტყე სათირქიოსა და ოღეჯედალს შუა. ჭყონი
→ ჭყონონა "მუხნარი" → ჭყონა (ჰაპლოლოგიით).

ხუთჰექტიანი – სახნავი. იგივე ნაკარუ.

ჯაპშაქარიშ ჭალე – ჭალა ჭანისწყლის მარცხ.
ნაპირას.

ჯვეშ ნაბოგ "ძველი ნაბოგირალი" – ნახიდარი ოკიბორჩხალეზე.

ჯვეშ ჩაი – ჩაის ფართობი სოფ. ახალხიბულის საზღვართან.

ჰაეროდრომი – ფართო მინდორი ბეგში, ოკიბორჩხალესა და სანადარაიოს შუ, სადაც ომის პერიოდში სარეზერვო აეროდრომი ყოფილა.

ჰაეროდრომიშ ჩაი – ჩაის ფართობი სოფ. ახალხიბულის საზღვართან.

ქარიატის თემის საკრებულო

ქარიატის თემის საკრებულო – საკრებულო ოდიშის დაბლობზე, ხობისწყლის ორივემხარე ედის სოფლები: გაღმა ქარიატა (ვ.) და გამოღმა ქარიატა. 1996 წელს საკრებულოში მკვიდრობდა 82 გვარის 384 კომლი. ქარიატის ხალხური ეტიმოლოგია ასეთია: "ქარია და ლეტა" (ე.ი. ქარია და ტალახი).

2002 წლის ეროვნული საყოველთაო აღწერის თანახმად ქარიატის საკრებულოში 897 მცხოვრებია (კაცი – 426, ქალი – 471).

გაღმა ქარიატა

გაღმა ქარიატა – სოფელი, ქარიატის თემის საკრებულოს ცენტრი ოდიშის დაბლობზე, ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე. ზ. დ. 6 მ. ხობიდან 22 კმ. ჭალადიდის რკინიგზის სადგურიდან 8 კმ. პატარა ფოთისაგან გამოყოფს მდ. ცია//ცივი. აღმ-ით ესაზღვრება გაღმა შუა ხორგა, დას-ით – ყულევი.

1996 წელს სოფელში ცხოვრობდა 28 გვარის 73 კომლი (280 სული). მათგან მრავალკომლიანია: უველია – 7 კ. (17 სული), ამბალია – 6 კ. (9 სული), ბერიშვილი – 6 კ. (15 სული), ზარანდია – 5 კ. (15 სული).

2002 წლის საქართველოს პირველი ეროვნული აღწერის მასალების მიხედვით, გაღმა ქარიატაში 355 სული ცხოვრობს (კაცი – 160, ქალი – 195).

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ (1984 წ.) და პ. ცხადაიამ (1991 წ. აგვისტოში). ინფორმატორები იყვნენ:

1984 წელს:

აბშილავა იპოლიტე მაცის ძე, 80 წ.
ხარბედია კოსტანტინე ლუკას ძე, 73 წ.
1991 წელს:

ბერაია ავთანდილ ლუდუკის ძე, 37 წ.
ბუაღავა კლარა მამანტის ძე, 40 წ.
ბუაღავა ბოჩია ილიას ძე, 63 წ.
გვასალია ვანო კარლოს ძე, 27 წ.
გვასალია კაპიტონ (ხუშუ) იოსების ძე, 72 წ.
ტაბაღუა დოროთე ბესარიონის ძე, 73 წ.
ხარბედია იპოლიტე ლუკას ძე, 80 წ.

ბერული – ხობისწყლის ჭალა საბუღალოში. გადმოცემით, ესახლნენ ბერულაგები.

გიგბერიაში მინდორი//გიგბერიაში მუხური – მინდორი სალოლოში.

გიგბერიაში მუხური – მინდორი. იგივე გიგბერიაში მინდორი.

გოგუეფიში ნაკარუ – ტყე ონიშოლდალის ნაპირას.

გოჯოში ნოხორი – მინდორი ცის მარჯვ. მხარეს.

დიმიტოში ნაკარუ – მინდორი ჭიჭე ცის ნაპირას.

ღურუში ნა'ვან – მინდორი ცის მარჯვ. მხარეს.

ენწერი – ერქვა ისლნარს ჯგემცის მარცხ. მხარეს.

ზანა//ზანაღალუ – ღელე, ცის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 1,5 კმ. იწყება საწულალოში, ი. ხარბედიას სახლთან.

ზანაღალუ – ღელე. იგივე ზანა.

იონაში ნაკარ – მინდორი ცის მარჯვ. მხარეს.

იოსებიში ნაკვახილ – მორევი ონიშოლდალზე.

კოკჭაღე – ხობისწყლის ჭალა სატაბაღლოში.

კონსტანტინეში ნაკვახილ – მორევი ონიშოლდალზე.

კორტაში კანალი – არხი, ცის მარჯვ. შენაკადი. კორტა(ვა) გვარია.

ლეშეციშ კანალი – ერქვა არხს, რომელიც ერთოდა ცის მარჯვ. მხრიდან. გაუთხრიათ გერმანელებს. ლეშეცი "გერმანელი" (რუს.).

ლეფონდალუ – ღელე. შუა ხორგიდან მოედინება და ერთვის ჯვეშცის.

მამაშიაშ კვახილი – ნოქორენის შესართავი დიდცის-თან. კვახილი თევზის მახეა ერთგვარი.

მაყრადალ – ჯვეშცის მარჯვ. შენაკადი. "დასახლებიდან პირველი ღელეა ონიშოლდალ, ეს ღელე იმის იქითაა".

მუხური – ჭალა-სახნავეები ხობისწყლის ნაპირზე. მდინარე აქ უხვევს და ქმნის მუხურს, ანუ კუთხეს.

ნაბრინჯ "ნაბრინჯალი" – ბუჩქნარი საგვასალიოში.

ნაზონა//ხეშ ნაზვენა – მიწაზვინული საგვასალიოსა და ჯვეშ ციას შუა. "გზა გაჰყავდათ და მიწაზვინული გახდა საჭირო". **ხეშ ნაზვენა** "ხელით ნაზვინი".

ნანეფიშ ჭალე – ხობისწყლის ჭალა ყულევის საზღვართან. ნანავა გვარია.

ნაქობალ – 1. სახნავი ყულევის საზღვართან. ნაწიარუს დას-ით. უწინ ხორბალი ("ქობალი") ითესებოდა; 2. მინდორი საგვასალიოში. ხორბალი დათესეს 1953 წელს ვერ იხეირა.

ნაჩამურუ – ღელე, ზანაღალის მარჯვ. შენაკადი. **ჩამური**, ანუ საცეხველი, ზოგან წყალზეც იყო გამართული.

ნაჩსომარუ – სახნავი. იგივე ნაცხომარუ.

ნაცხომარუ//ნაჩსომარუ – ერქვა სახნავს ხობისწყლის ჭალაში. წყალმა წაიღო. ცხომარია გვარია.

ნაწიარუ – ერქვა სახნავს ხობისწყლის ჭალაში. "აქ გადიოდა ხობისწყლის ვიწრო ტოტი. ამიტომ თუ შეერქვა".

ნოქორენი – ღელე. იწყება საწულაიოში, ღურუმ ნა'ვა-ნუსთან. სიგრძე 1,5 კმ. ერთვის ცის.

ნოყორდალ – ღელე, ჯვეშ ცის მარჯვ. შენაკადი ყულევის საზღვართან.

ობერედალ – ღელე, ონიშოლდალის შენაკადი.

ობინახე – ტყე საგვასალიოში, ონიშოლდალის მარჯვ. მხარეს. ბინეხი "ვაზი" → ობინახე "ვენახი".

ოკუროკიედალ – ღელე. იგივე ოკურ(უ)კიედალ.

ოკურ(უ)კიე/ოკუროკიედალ – ღელე, ჭიჭე ცის მარჯვ. შენაკადი. იწყება სატაბალუოში. "კუ ბევრია ამ ღელეში და ამიტომ დარქმევიან".

ონიშო(ლ)დალ "სანავე ღელე" – ღელე, ზანაღალუს შენა-კადი. აქედან ნავით გაჰქონდათ ისლი და სიმინდი ჭალადიდში.

ონოშქერე "სანახშირე" – ერქვა ტყეს საგვასალიოში, წკირონღალსა და ძაგანიფეში წისქვილს შუა. ტყეში ნახშირს წვაენდენ და სამჭედლოებში ყიდდნენ.

ოცხიმურე "რცხილნარი" – ტყე საწულაიოში.

ოხვამეკარი – სასაფლაო საჯოჯუოში.

ოჯუმენე – ტყე ჯგემცის მარცხ. ნაპირზე, ხარობს ჯუმენია.

პალოტდალ – ღელე, ზანაღალუს მარჯვ. შენაკადი საწულაიოში.

პაჭკორიაშ ტყა – ტყე ახალცისა და ონიშოლდალს შუა.

რგვალი – ტყე და ციის მონაკვეთი. მდინარეს აქ აქვს მოსაბრუნე.

რუსიშ ნა'ვან "რუსის ნაყანევი" – მინდორი საწულაიოში.

საბაჩილო – ერქვა უბანს ხობისწყლის მარჯვ. მხარეს. ცხოვრობდნენ ბაჩილაკები.

საბაჩილო მუხური – ხობისწყლის ჭალა საბაჩილოს პირდაპირ.

საბერაიო – უბანი გაღმა შუა ხორგის საზღვართან.

საბჟალო – უბანი სოფ. ყულევის საზღვართან. ბჟა-ლაკა გვარია.

საგვასალიო – უბანი საბერაიოს-სატაბალუს შორის.

საღეფონა – მიკროუბანი, საგვასალიოს ნაწილი. ეკუთვნოდა ლეფონაკებს.

სალოლუო – უბანი საბუალოსა და საწულაიოს შუა.

სალოლუომუხური – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. მხარეს.

სატაბაღუო – უბანი სოფლის ცენტრში. ტაბაღუების წინაპრები მოსულან ხორშიდან. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა პეპუ ტაბაღუა. მისი შვილიშვილი დოროთე (73 წ.) ერთ-ერთი ინფორმატორი იყო.

სატაბაღუომ მუხური – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

საწულაიო – უბანი ხობისწყლის მარცხ. ნაპირზე.

საწულაიომ მუხური – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

სვაიმარი – ტყე ახალციხის მარცხ. ნაპირზე.

სქირცხიმურონი – ტყე. იგივე სქ.რცხიმურონა.

სქ.რცხიმურონა//სქირცხიმურონა "მშრალი რცხილნარი" – ტყე ნო¹ორღალსა და საბერაიოს შუა. ცოტათი ამადლებულია და, მშრალიც შემოგარენთან შედარებით.

ყორათწყარი – არხი. იგივე ახალცი.

ჩაიგაშ ნო¹უნი – სახნავი სალოლუოში, ოხვამეკართან. ჩაიგა ← ჩალიგა(ვა).

ცია – ღელე. იგივე ცი(ი).

ცი(ი)//ცია – ღელე, გაედინებოდა ყორათის ტყიდან. 1935 წელს ჩაუშვეს არხში. გადმოცემით, ეს არის მდ. ცივი, რომელიც ახუთიდან მოედინება. რიონმა მარჯვ. მხარეს გადაინაცვლა და ცივი გაწყვიტა.

ძაგანიეფიშ ნაწისქვილ – ნაწისქვილარი ჯვეშციზე.

წკირონღალ//ოწკირეღალ – ღელე, ონიშოლღალის ზემო წელი. ინფ.: "წკირი მცენარეა, იგივე ძლილი. ესაა სატაბიკე ხე. ისხამს წითელ-წითელ მარცვლებს, აქვს ქაცვები" ("წკირი რე ძლილი, სატაბუკე ჯა; წკირი რე კაკლარი. ქუცი შხვა რე, დაბალი ირღუუ").

ჭიფე ცი – ცის მონაკვეთი. იგივე ჭიჭე ცი.

ჭიჭე ცი//ჯვეშცი//ჭიფე ცი – მდ. ციის ძველი კალაპოტი (არხში ჩაშვებამდე) საწულაიოში. მოედინებოდა საბაჟოდან და ყულევში უერთდებოდა ხობისწყალს.

ჭიჭე ცი – ცის მონაკვეთი. იგივე ჭიჭე ცი.

ხეშ ნაზვენა – მიწაზვინული. იგივე ნაზონა.

ჯვეშცი(ი) – ციის ძველი კალაპოტი. იგივე ჭიჭე ცი(ი).

გამოდმა ქარიატა

გამოდმა ქარიატა – სოფელი ქარიატის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, ხობისწყლის მარჯვ. მხარეს, გამოდმა შუა ხორგასა და ყულევს შუა. ზ. დ. 8 მ. ხობიდან 27 კმ. საბა-ჟოს რკინიგზის სადგურიდან 8 კმ.

უბნების თანმიმდევრობა სოფელ გამოდმა ქარიატაში ასეთია: საამბალიო (გამოდმა შ. ხორგის საზღვართან) → საღურჯიო → საბერაიო → საშამუგიო → საგურალიო → საჟველიო → საწურწუმიო (ყულევის საზღვართან).

1996 წელს სოფელში ცხოვრობდა 52 გვარის მატარებელი 280 კომლი. მათგან კომლმრავალი გვარებია: ბერაია – 23 კ. (67 სული), წულაია – 14 კ. (57 სული), გვასალია – 12 კ. (40 სული), ქაქუთია – 11 კ. (36 სული), ძაგანის – 10 კ. (32 სული), გიგიბერია – 7 კ. (18 სული), ტაბაღუა – 6 კ. (14 სული).

2002 წელს სოფ. გამოდმა ქარიატაში ცხოვრობდა 542 სული (კაცი – 266, ქალი – 276).

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ (1984 წ.) და პ. ცხადიამ (19.08.91). ინფორმატორები იყვნენ

1984 წელს:

აბშილავა იპოლიტე მაცის ძე, 80 წ.

კვინია გიორგი ალექსანდრეს ძე, 55 წ.

1991 წელს:

ალექსანდრია გიორგი (თართა) ჯვებეს ძე, 74 წ.

გურალია როინ პარმენის ძე, 52 წ.

სიჭინავა ბესარიონ პროფილეს ძე, 94 წ.

ღურჯია ომარ პროფის ძე, 61 წ.

შამუგია ბიქტორ (ბიკი) დიმიტრის ძე, 89 წ.

შელია ოთარ ოლიფანტეს ძე, 63 წ

ჩიქოვანი ვაჟა ილარიონის ძე, 57 წ.

აკაკიშ მუხური – სახნავი საბერაიოში.

ანთაძეშ ონოშქვერე – ტყე ოხოჯისა და მუნჩიის შესართავთან. აქ ანთაძე ნახშირს წვაავდა და ყიდდა. ონოშქ(ვე)ერი "ნახშირი".

ბადაშ ნა'ვან – მინდორი ღადიდის მარცხ. ნაპირზე.

ბებია(შ)მუხური – საძოვარი საწურწუმოში. ბებია გვარია.

ბეჟამ(შ)უხური – სახნავი ხობისწყლის ჭალაში, ხატ-მუხურის გვერდით. ბეჟა კაცის სახელია.

ბერაიეფიშ მუხური – სახნავი ხობისწყლის ნაპირზე.

ბიკიშ ნა'ვან – სახნავი ჯიბაღურის მარცხ. ნაპირზე.
ბიკი ← ბიკენტი.

გიგბერიაშ მინდორი//გიგბერიაშ მუხური – ბუჩქნარი, საძოვარი ხობისწყლის ჭალაში.

გიგბერიაშ მუხური – ბუჩქნარი, საძოვარი. იგივე გიგ-ბერიაშ მინდორი.

გოჩაიაშ მუხური – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

გიოჩხაპუ – სანაჩხონოს მონაკვეთი მცირე-მცირე ჩანჩქერებით. ჩხაპუა – წყლის სხურება, ფრქვევა. **გიოჩხაპუ** – დასასხური, წყლის დაფრქვევის ადგილი; მცირე ჩანჩქერი.

გოგიაშ ტყა – ტყე ოჩხომურსა და მუნჩიას შუა.

გოჭიფე "დავიწროებული" – სახნავი საწურწუმოში, ონანთხეს გვერდით.

გრიგოლიაშ მუხური – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

გუთიშ მუხური – სახნავი ხონბისწყლის მარჯვ. ნაპირ-ზე, საგურალოში.

დაბაღვაცია – საძოვარი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირ-ზე, საფაცოში. "ძველად იქ ფაციები ესახლნენ".

დათაშ მუხური – საძოვარი საფაციოში.

დღიბუ "თხელი ტალახი" – ჭაობი ქვიშილში.

ვარდიშ ნა'ვან – სახნავი მუნჩიის მარცხ. მხარეს.

ენწერი/საგურალიოშ ენწერი – ტყე-ბუჩქნარი ყულევის საზღვართან. ეკუთვნოდა აზნაურ გურალიებს.

კოჩაია/კოჩაიაშ მუხური – სახნავი ხობისწყლის ჭალაში, საგურალიოში.

კოჩაიაშ მუხური – სახნავი. იგივე კოჩაია.

მაღეშმუ – ტყე მუნჩიის ნაპირზე, ენწერსა და ოთახუეს შუა. მშრალი ადგილია და მწყემსები იდგნენ. მუნჩიის გაღმა არის ჭყონკაკუტი (ზუგდიდის რ-ნი).

მაღალფაცია – საძოვარი ხობისწყლის მარჯვ. მხარეს საფაციოში. დაბალფაციასთან შედარებით ცოტათი ამალეუბულია.

მიხეილიშ მუხური – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. შემდეგ გააშენეს დაფი და ეწოდა **ოდაფე**.

მუნჩია – მდინარე. სათავეს იღებს ზუგდიდის რ-ნის სოფ. აბასთუმანში, უერთდება ჭურიას.

ნაანგურ – მინდორი. იგივე საანგურო.

ნაფრანცუ – მუნჩიის შესართავი ჭურიასთან. "ფრანგებს ლენინის დროს აქ დაურიგებიათ იარაღი – ბერდენკები".

ნატაბალუ – სახნავები ღადიდის მარცხ. მხარეს.

ნატყაურ – მინდორი საწურწუმოს ჩრდ. შემოვარენში. "უწინ აქ ყოფილა ტყაურუ, ე.ი. სახნავი ახალნაკაფზე, ან ტყისპირა ამონაძირკვზე".

ნაწისქვილ – მუნჩიის არხი ხობისწყლის ჭალაში, სადაც ხობისწყალს ერთოდა მუნჩიის არხი. წისქვილი ამ არხზე იყო".

ნაწისქვილმუხური – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ნახარაჩუ/სახაზინო ტყა – ტყე მუნჩიის ნაპირზე. "სახაზინო ტყა ნიშნავდა სახელმწიფო ტყეს. ტყეს ჭრიდნენ და ხერხავდნენ ხარაჩოს ხერხით (იგივე "ეშაგიმეიანი ხორხი"):

"ერთი მხერხავი ზემოთ იდგა, მეორე ქვემოთ და იხერხებოდა ფიცარი. ამიტომ დარქმევია ნახარაჩუ. ტყე იყო სახელმწიფოსი, ანუ სახაზინო".

ნახობწყარუ – ტბორი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირზე.

ნაჯიხურუ – სახნავი საკვინჩიოში, ყულევის საზღვართან. გარშემო ტყეა. **ჯიხური** მრგვალი ხის ნაგებობაა, შეიძლება იყოს კოშკიც, ან უბრალოდ, სასიმინდე თუ საცხოვრებელი.

ოგანელალ – ჯიბადურის ზემო წელი. "უხვევს, განზე მიდის. ამიტომია ოგანე".

ოგერელალ – დელე, ჯიბადურის მარცხ. შენაკადი. იწყება საშამუგიოში.

ოდაფე – დაფნარი. იხ. მიხეილიშ მუხური.

ოთახვე – ტყე და დელე, მუხნიის მარცხ. შენაკადი. იწყება მადგუმში. მოტივაცია უცნობია. **თახუა** "ჭურჭელში ჩასხმული წყლის ნჯღრევა".

ოკვატიე "საიხვე" – ტბორი ხობისწყლის ნაპირზე. ერთ დროს ამ ტბორზე საიხვე მეურნეობა იყო მოწყობილი.

ონანთხე – ერქვა სახნავს საწურწუმოში. "სქვერი ანთხებე (ე.ი. შველი დაფეთებულა – პ. ც.) და ამიტომ დარქმევია". სინამდვილეში ონანთხე ნიშნავს სამეოთხედოს. იყო მიწის დამუშავების ასეთი წესი: პატრონი მიიღებდა მოსაგლის მეოთხედს.

ონიშო(ლ)ლალ – დელე, საგვიბას ზემო წელი.

ორზე – ტყე საწურწუმოსა და ონიშოლლალს შუა.

ოჩხომური – მდინარე, მუხნიის მარჯვ. შენაკადი. **ჩხომუა** "თევზაობა, თევზის ჭერა" → ოჩხომური "თევზის საჭერი (ადგილი)". შდრ.: **ოჩხომე** "სათევზე ადგილი".

ოციტუელალ – დელე, საგვიბას ტოტი. ერთვის მუხნიას. ციტუ ზოგადად წვრილი თევზია, კონკრეტულად კი აღნიშნავს ჭიჭყინას, ქარსალას.

ოწერელალ – დელე ოჩხომურის მარჯვ. მხარეს. **წერი** ძალზე გავრცელებული თევზია. იგივე ქარიყლაპია.

ოხვამეპიჯი – მორევი ხობისწყალზე ქულურს ქვემოთ.

ოხოჯე "სახარე" – ღელე, ჯიბადურის ქვემო წელი. ზემო წელზე ეწოდება **გიონხაპუ**.

ოჯა(მ)პე/ჯამპონი "თუთნარი" – სახნავი საწურწუმიოში.

პლატონიშ ნოხორი – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ჟველიაშ დისა – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

ჟველიაშ მუხური – სახნავი ხობისწყლის ჭალაში, ხატმუხურთან.

საამბალიო – მიკროუბანი საღურჯუოსა და სატაბაღუოს შუა. ამბალია მცირერიცხოვანი გვარია (სულ. საქართველოში 69 სული. კომპაქტური დასახლება აქვთ მხოლოდ ქარიატაში. გვარი დასახელებულია 1621 წლის საეკლესიო საბუთში).

სანგურო//ნანგურ – მინდორი საწურწუმიოში, სადაც აგურის გამოსაწვავი ღუმელი იდგა.

საბერაიო – უბანი გამოდმა შუა ხორგის საზღვართან.

საგვიბა – ღელე, მუნჩიის მარცხ. შენაკადი. იწყება საწურწუმიოში. ზემო წელზე ეწოდება **ონიშო(ლ)ღალ**. **გვიბე** თევზია ერთგვარი, პატარა, მაგრამ გემრიელი.

საგურალიო – უბანი საწურწუმიოსა და საბერაიოს შუა. გურალია ძალზე მცირერიცხოვანი გვარია (სულ საქართველოში 54 სული)..

საგურალიოშ ენწერი – ტყე-ბუჩქნარი. იგივე ენწერი.

საკვინჩიო – ერქვა უბანს ყულევის საზღვართან. კვინჩიები აქედან გადასახლდნენ ხობისწყლის ადიდების გამო (1939-1940 წლებში).

სალა'აფო ონტყოლეში "სათამაშო ტლაპო" – ერქვა ტლაპოს ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში.

სანაჩხონო – ღელე, ჯიბადურის ზემო წელი. ქვემო წელს ეწოდება **ოხოჯე**.

საჟველიო – ტყე საგვიბას მარცხ. მხარეს, საკვინჩიოს ჩრდ-ით. ჟველია გვარია.

სატაბაღუო – სახნავები საბერაიოში.

საფაციო – ერქვა ფაციების უბანს ხობისწყლის ნაპირზე. 1939-1940 წლებში ფაციები სხვაგან გადასახლდნენ, რადგანაც ხობისწყალი ხშირად გადმოდიოდა ნაპირებზე და ზიანს აყენებდა უბანს. იყოფა: მაღალფაცია, დაბალფაცია.

საღურჯიო – უბანი ლადილის ნაპირას. ღურჯია გვარია.

საღურჯიოსორო – ღელე საღურჯიოში.

საშამუგო – ერქვა უბანს საგურალიოსა და საღურჯიოს შუა. ცხოვრობდნენ სოფ. ლეშამუგედან (წალენჯიხის რ-ნი) გადმოსული შამუგეები.

საცხვიტა – ტყე საგვიბას მარჯვ. მხარეს. ცხვიტა(ვა) გვარია.

სირული – სახნავი საგურალიოში, ხობისწყლის ჭალაში. "ხობისწყალი გადადიოდა ნაპირიდან და სილავედა".

საწურწუმიო – უბანი ხობისწყლის მარჯვ. მხარეს. ამის შემდეგ სოფ. ყულევამდე არის 3 კმ. და ორი ყოფილი უბანია – საფაციო და საკეინჩიო.

სპირდოშ კარე – საძოვარი მუნჩიის მარცხ. მხარეს. სპირდო ← სპირიდონ.

სტეფადალ – ღელე საწურწუმიოში, ონიშოლდალის შენაკადი. სტეფა ამ ღელის ნაპირზე მომკვდარა.

სულანძე – სახნავი ხობისწყლის ჭალაში, საგურალიოში.

სქვამნაკარუ – მინდორი საჟველიოში. "ღამაზი ადგილია. ამიტომ დარქმევია ღამაზი ნაკარვალი". სქვამი პირსახელიცაა.

ზნა ღალუ – ღელე. იწყება საკეინჩიოში და უერთდება საგვიბას მარცხ. მხრიდან.

ფართო მინდორი – მინდორი ოგერედალის მარცხ. ნაპირზე, საგურალიოში.

ფაციამუხური – სახნავები ხობისწყლის მარჯვ. ნაპირზე, საფაციოში.

ქვიშილი "მოსილული" – ტყე შქაშდალის ორსავე ნაპირას.

ქულური – ხობისწყლის ჭალის მონაკვეთი ოხვამე-პიჯის ზემოთ. "აქ ფეხით გადიოდნენ გაღმა. ამიტომაც ქულური". ამოსავალია **ქულა** "კოჭლი" (მეტსახელი), ან ქულავა, მცირერიცხოვანი გვარი (69 სული საქართველოში). **-ურ** სუფიქსი გამოხატავს, რომ ადგილი ეკუთვნოდა საწარმოებელი ფუძით აღნიშნულ პიროვნებას.

ღადიდი – დეღე საღურჯოში. ჯიბადურის მარცხ. შენაკადი.

ღვამბერია//ღვამბერიაშ მუხური – სახნავი საგურა-ლიოში.

ღვამბერიაშ მუხური – სახნავი. იგივე ღვამბერია.

შამგიეფიშ გინანთხორა "შამ(უ)გიების განათხარი" – საწისქვილე არხი ჯიბადურიდან მუნჩიამდე.

შქაშ მანგარი – ტყე შქაშღალის მარჯვ. მხარეს. **მანგარი** არის ეკალბარდიანი გაუვალი ტყე.

შქაშღალ "შუა დეღე" – დეღე, საგვიბას ტოტი, გაედინება ჯაბადურსა და მუნჩიას შუა.

წიფონა "წიფლნარი" – ტყე, სადაც გადის დეღეები უნა ღალ, შქაშღალ, ოციტუელალ. **წიფური** "წიფელი" → წიფურ-ონა → წიფონა (ჰაპლოლოგიით).

წისქვილიშ ღალ – საწისქვილე არხი მუნჩიასა და ოხოჯეს შუა.

წკვიბღალ – დეღე. გაედინება ჯაბადურსა და მუნჩიას შუა, ერთვის უნაღალს. წკვიბი "ვიწრო; წვრილი".

ხატმუხური – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. "ხატის ადგილი იყო".

ჯაიანიშ მუხური – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. ჯაიანი (გვარია) აქ ესახლა.

ჯამპონი – სახნავი. იგივე ოჯა(მ)პე.

ჯიბადური – დეღე. მუნჩიის შენაკადი.

ქვემო ქვალონის თემის საკრებულო

ქვემო ქვალონის თემის საკრებულო – საკრებულო ოდიშის დაბლობზე, სენაკის რ-ნის საზღვარზე. შედის 5 სოფელი: გიმოზგონჯილი (ც.), ბულიში, გვიმარონი, დურდენა, ჭითაუშქური. ამ სოფლების ადგილთა სახელები ჩაწერილია 1986 წელს, ხოლო მონაცემები გვართა და მათს კომპლობრივ რიცხოვნობაზე შედგენილია 1996 წელს (ხელს აწერს განგეობის თავმჯდომარე ლ. ახალაია). ხუთივე სოფელში ცხოვრობდა 228 გვარი.

2002 წელს ქვემო ქვალონის თემის საკრებულოში აღირიცხა 3014 სული (კაცი – 1439, ქალი – 1575). სოფლებს მიხედვით ასეთი სურათია:

გიმოზგონჯილი – 885 სული (კაცი – 424, ქალი – 461).

ბულიში – 509 სული (კაცი – 241, ქალი – 268).

გვიმარონი – 401 სული (კაცი – 196, ქალი – 209).

დურდენა – 876 სული (კაცი – 416, ქალი – 460).

ჭითაუშქური – 343 სული (კაცი – 162, ქალი – 181).

გიმოზგონჯილი

გიმოზგონჯილი – სოფელი და ქვემო ქვალონის თემის საკრებულოს ცენტრი ოდიშის დაბლობზე, სენაკი-ფოთის საავტომობილო გზაზე. ზ. დ. 11 მ. ხობიდან 9 კმ. ქვალონის რკინიგზის სადგურიდან 2 კმ. ესაზღვრება ზემო ქვალონის, ნოჯისხევის და ხორგის საკრებულოებს. **გიმოზგონჯილი** "სწორი, გამოწკეპილი; კოხტად აშოლტილი, ლამაზი" დარ-ქმევი, როგორც ადგილობრივი ხანდაზმულები

ირწმუნე-ბიან, სენაკი-ფოთის სწორი მაგისტრალის გამო. აღმ-ით ესაზღვრება ბუღიში და დურღენა.

1996 წელს სოფელში მკვიდრობდა 126 გვარი. მათგან კომლთა სიმრავლით გამოირჩევა: ალანია – 23 კ (85 სული), ჭანტურია – 17 კ. (52 სული), კიკალეიშვილი – 8 კ. (27 სული), გაბედავა – 6 კ. (19 სული), ოჩხიკიძე – 6 კ. (10 სული), გახარია – 5 კ. (30 სული), ლაგვილავა – 5 კ. (22 სული), ლაზარია – 5 კ. (22 სული).

მასალა ჩაწერილია 1986 წლის სექტემბერში. ინფორმა-ტორები იყვნენ:

- ალანია არდალიონ ომარის ძე, 27 წ.
- დადიანი ილუშა ალექსის ძე, 73 წ.
- თევზაძე ღუღუნი გიორგის ძე, 60 წ.
- თურქია ლუბა (სალუშა) პავლეს ას., 73 წ.
- ლოლუა პიმენი, 83 წ.
- მალანია სევერიან ელიზბარის ძე, 65 წ.
- ქარჩავა ნუგზარ ნიკოლოზის ძე, 45 წ.
- ძიგუა ვალერიან ეპიფანეს ძე, 71 წ.
- ცქიტიშვილი შალვა კოწიას ძე, 73 წ.
- ძიგუა ვალერიან (მუშნი) ეპიფანეს ძე, 71 წ.
- ჭანტურია ევგენი იაკობის ძე, 66 წ.
- ჭანტურია ვასო ყარამანის ძე, 84 წ.

გიმობგონჯილიშ სორო//გიმობგონჯილ(იშ) ღალ – დელე. ქვემო წელზე ეწოდება დურღენაწყარი, ზემო წელზე (გვიმარონში) – ივლიშ ღალ.

გიმობგონჯილიშ ღალ – დელე. იგივე გიმობგონჯილიშ სორო.

გოკვახილი – ტყე სოფ. ჭალადიდის საზღვართან. "შვე-ლი გაკვეხებულა ხეებს შორის და ამიტომაც ეწოდება. **გოკვახილი** გაკვეხებულს ნიშნავს". შესაძლოა ამოსავალი იყოს ზმნა **გოკვახუა** "კვახირის გამართვა თევზის შესაპყრობად".

გ. შართა(ფი)ლი "გამოყოფილი" – ტყე სოფ. ჭალადი-
ლის საზღვართან.

დინახურგა//დინახუგურო – ბორცვი გიმოზგონჯილიმ
ღალსა და ჯაფხენს შუა. დინახურგა და დინახუგა უძველე-
სი ნასახლარი ბორცვებია.

დინახუგურო – ბორცვი. იგივე დინახურგა.

დორთეთშ დინახ – სახნავი სოფლის აღმ. ნაწილში.

დოშართე – მცირე მინდორი სონჯის ნაპირას, საალა-
ნიოშ ტყასა და ჩიხუეფიშ ტყას შუა. **დოშართე** ეწოდება
საზღვარს, სადაც ორმოში ჩაყრილია ნახშირი და ზედ ბო-
დია აღმართული.

თელადოჭყონი – მორევი. იგივე ჭყონიშჯინჯი.

იაკობაშ ნაჭვარა – სახნავი უღუმურში.

კესარიაშ დინახ – სახნავი სოფლის აღმ. ნაწილში.
კესარია ქალის სახელია.

კოლონიაშ ნაფართობუ – ბუჩქნარი წკვიბსოროს ნაპი-
რას. აქ პატიმრებს ტყე გააკაფინეს.

ლევაშ ნაჭვარა "ლევას ნაკაფი" – სახნავი უღუმურში.

ნანგურუ – ჩაის ფართობი სონჯიშ ნაპირას.

ნანდემუ – ბორცვი. ნანდემუ, ისევე როგორც დინახურ-
გა, დიშ ნოხორეი და სხვ. აღნიშნავს ხელოვნურ ბორცვებს.

ოლიაშ ნაკარუ – სახნავი სონჯის ნაპირას. ოლიას –
ქვრივ ქალს – აქ ჰყავდა საქონელი.

ორა'უ – სახნავი სონჯის ნაპირზე. **რა'უა** "საქონლის
გარეკვა" → **ორა'უ** "სარეკი".

პრისმანია – არხი. იწყება სკურიაში, გადაჭრის სოფ.
გვიმარონს, გიმოზგონჯილს და უერთდება ყორათს. პრის-
მანია ერქვა ექსკავატორს, რომელიც ნახშირზე მუშაობდა
და ამ არხს თხრიდა.

ქ. რპიჯი "ორპირი" – მორევი ჯაფხენზე, გიმოზგონ-
ჯილიშ ღალის შესართავთან. **ქ. რპიჯი** საერთოდ ორი მდი-
ნარის შეერთების ადგილია.

საალანიოშ ტყა – ერქვა ტყეს სონჯის ნაპირას.

სასიჭინო – მინდვრები სონჯის ნაპირას, ორა¹უსთან.

საჯღარკა – სახნავი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში.

სონჯი – ღელე. მოედინება ზემო ქვალონიდან, გადაჭრის სოფლის ჩრდ. ნაწილს და მიემართება ხორგისაკენ.

უდ(უ)მური – ტყე სოფლის დას. ნაწილში, გიმოზგონჯილიშ ღალის მარჯვ. ნაპირას.

ქვემო ქვალონი – რკინიგზის პლატფორმა.

ყარა პაპაშ ონტყოლაშე – ტლაპო ჩაჩბაიეფიშ მინდორთან.

ყარაშ ნაჭვარა "ყარას ნაკაფი" – სახნავი უდუმურში.

ჩაჩბაიაშ ონტყოლაშე – ტლაპო გიმოზგონჯილღალის მარჯვ. ნაპირას.

ჩაჩბაიეფიშ მინდორი – მინდორი გიმოზგონჯილღალის მარჯვ. მხარეს.

ჩაჩბაიეფიშ ტყა – ტყე გიმოზგონჯილღალის ნაპირას.

ჩიჩუეფიშ ტყა – ტყე სონჯის ნაპირას.

წკვიბსორო – ღელე. იგივე წკვიბსორო.

წკვიბსორო/წკვიბსორო – ღელე. გადიოდა მერიაში. ამჟამად უერთდება პრისმანიას. წკვიბი, წკვიბი "წვრილი; ვიწრო".

ჭოხონა – სახნავი. იგივე ჭოხორა.

ჭოხორა/ჭოხონა – ერქვა სახნავს სონჯის მარჯვ. მხარეს, სოფ. ხორგის საზღვართან. ამჟამად პრისმანიის მარცხ. მხარესაა.

ჭყონიშჯინჯი//თელადოჭყონი – ერქვა მორევეს ჯაფხუნზე, სადაც იდგა ძირებშეზრდილი მუხა და კოპიტი.

ხურცულეფიშ ნოხორი – მინდორი სონჯის ნაპირას.

ჯუხულური – სახნავი სოფლის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ხორგის საზღვართან.

ბულიში

ბულიში – სოფელი ქვემო ქვალონის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, გოლასკურსა და დურდენას შორის. ზ.დ. 10 მ. სობიდან 10 კმ., ქვემო ქვალონიდან 1 კმ. ბულიში "ბლისა".

ბულიშში 1996 წელს ცხოვრობდა 184 გვარი. მათგან მრავალკომლიანია: პაპავა – 18 კ. (77 სული), გოგუა – 16 კ. (64 სული), ახალაია – 15 კ. (54 სული), ლაგვილავა – 15 კ. (35 სული), აღანია – 9 კ. (47 სული), კვარაცხელია – 9 კ. (32 სული), ბოკუჩავა – 6 კ. (28 სული), ჭანტურია – 8 კ. (20 სული), კანკია – 5 კ. (15 სული), გაბუნია – 5 კ. (19 სული), ჩოკორაის – 5 კ. (19 სული), ცანავა – 5 კ. (20 სული), ძაძამია – 5 კ. (17 სული).

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ (1984 წელს) და პ. ცხადიამ (1986 წელს). ინფორმაციორები იყვნენ:

1984 წელს:

ახალაია კარლო იასონის ძე, 51 წ.

ლაგვილავა სევე სოფრომის ძე, 74 წ.

ლორჩოშვილი შაქრო ისიდორეს ძე, 63 წ.

ჭანტურია ხოთო დოროთეს ძე, 60 წ.

1986 წელს:

აღანია არდალიონ ომარის ძე, 27 წ.

ახალაია აბრამი ძუკუეს ძე, 70 წ.

გაგუა ლოლო ათანასის ას., 63 წ.

ლაგვილავა ძიკა (ბაგრატი) სოფრომის ძე, 68 წ.

პაპავა ალექსანდრე ილიკოს ძე, 80 წ.

პაპავა ვარლამი მათეს ძე, 80 წ.

სხულუხია კლიმენტი გიორგის ძე, 61 წ.

ქარჩავა ბეგლარ გიგოს ძე, 64 წ.

ხელაია ვაჟა ჯოდოს ძე, 33 წ.

ბულიშჯინჯი "ბლისძირი" – მინდორი ოჯუმენედალის მარჯვ. მხარეს.

განიშ კანავო – არხი სანის მარცხ. მხარეს. რუს. "არხი, თხრილი" → მეგრ. კანავო.

თხირიში//თხირიშ ღალ – ღელე. გადიოდა ღურღენაში და უერთდებოდა სანს მარჯვ. მხრიდან. ამჟამად ჩაშვებულა წყალსაწრეტ არხში.

კაკაშ ნაკარუ – სახნავი სანის მარჯვ. ნაპირზე. კაკა კაცის სახელია.

მამული//ნამამულუ – სახნავი სოფ. გოლასკურის საზღვართან. **მამული** – ბად-ვენახი განაშენებული ადგილი.

მეფარისქუაშ მინდორი – მინდორი. მეფარისქუა მეფარიშილის ადგ. ვარიანტია.

ნანგურუ//ოშორთალი – საძოვარი სოფ. გოლასკურის საზღვართან. **ოშორთალი** "ასი ქცევა"

ნაბურღა "ნაბურღი" – წყარო სოფ. გოლასკურის საზღვართან.

ნალაღუმ – არხის ნაწილი სადაც ლაღუმს (დინამიტი) აფეთქებდნენ. თევზის გასაწყვეტად.

ნამამულუ – სახნავი. იგივე მამული.

ოშორთალი "ასი ქცევა" – საძოვარი. იგივე ნანგურუ.

ოჯუმენედალ//ოჯიმოლედალ – ღელე. ერთვის სანს მარჯვნიდან. მოედინება სოფ. რეკიდან. **ჯუმენე "ჯიჯლაყა"** → ოჯუმენე "საჯიჯლაყე". ოჯიმოლე "დასამარილებელი" გადააზრების შედეგი ჩანს.

ოჯიმოლედალ – ღელე. იგივე ოჯუმენე ღალ.

პილაცაშ ნოხორი – მინდორი სოფ. გოლასკურის საზღვართან. პილა ცაავას ნასახლარია (პილა ცაავა → პილა-ცა თავისებური აბრევიატურა).

ჟირჯიკი "ორი ჯირკვი" – სარწყავი არხის ნაწილი.

საალანიო ტყა – ტყე ზემო ჭალადიდის საზღვართან.

საახალაიო – უბანი ბულიშ-ღურღენის საზღვარზე.

სანი – მდინარე, ოჯუმენელაღის ქვემო წელი. იწყება გოლასკურში. გაედინება დურდენაში, ხოლო შემდეგ – ყორათში.

საქორჩაქიოტყა – ტყე სოფ. ზემო ჭალადიდის საზღვართან.

სახაზნო – საძოვარი. ერქვა ტყეს სოფლის სამხრ. ნაწილში. "ეკუთვნოდა სახელმწიფოს, ე.ი. იყო სახაზინო".

სოფროშ ნოხორი – მინდორი სანის მარჯვ. მხარეს.

უჩაღალ – ღელე. თხირიშის მარჯვ. შენაკადი. იწყებოდა დურდენას საზღვართან.

შახსტროი – მინდორი თხირამღალსა და სანს შუა. დასამუშავებლად ჰქონია აღებული ქუთაისის "შახსტროის".

ჩოკორაიეფიშ ნოხორი – სახნავი უჩაღალის მარცხ. მხარეს.

ჯაპხენი//ჯაპხინჯი//ჯაფხინჯი//ჯაფხენჯი – მდინარე სოფლის აღმ. ნაწილში. იშლებოდა რამდენიმე ტოტად. ძირითადი ტოტი გაივლიდა დურდენას და უერთდებოდა ყორათწყარს დუდგიმეჭყონთან. ამჟამად არსებობს ჩაშვებული და ისევ ყორათწყარში ჩაედინება. ჯაპხინჯი "თუთის ხიდი" → ჯაფხინჯი → ჯაფხენჯი → ჯაპხენი

ჯაფხენჯი – მდინარე. იგივე ჯაფხენი.

ჯაფხინჯი – ღელე. იგივე ჯაფხენი.

ჯაფხენპიჯი – სახნავი ჯაპხინჯის ნაპირას, რკინიგზის ხაზთან.

ჯაპხინჯი – მდინარე. იგივე ჯაფხენი.

გვიმარონი

გვიმარონი – სოფელი ქვემო ქვალონის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, სენაკის რ-ნის საზღვართან. უწინ ერქვა შუა ქვალონი//შქა ქვალონი. ზ.დ. 70 მ. ხობიდან

12 კმ. ქვალონის რკინიგზის სადგურიდან 4 კმ. გვიმარონი "გვიმრნარი".

გვიმარონში 1996 წელს ცხოვრობდა 56 გვარი. მათგან მრავალკომლიანია: ალანია – 32 კ. (111 სული), ჯღარკავა – 10 კ. (23 სული), ლოლუა – 7 კ. (17 სული), შურღულაია – 7 კ. (30 სული), აბშილავა – 6 კ. (27 სული), მესხია – 5 კ. (16 სული), კვირკველია – 4 კ. (15 სული), ლევსაია – 4 კ. (16 სული).

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ 1984 წელს (ინფორმატორი: ლევსაია გვეგვე თათაოზის ძე, 83 წ.) და პ. ცხადაიამ 1986 წლის სექტემბერში. ინფორმატორები იყვნენ:

- ალანია დავით ზაქარიას ძე, 66 წ.
- ალანია მავრა ნესტორის ას., 89 წ.
- ლოლუა პიმენ გერასიმეს ძე, 86 წ.
- მესხია ჭიჭიკო კაჭის ძე, 58 წ.
- ჯღარკავა აკაკი ნესტორის ძე, 77 წ.

ატამონა – სახნავი ჯაფხენჯის მარცხ. მხარეს.

ბანკიშ დიხა "ბანკის მიწა" – საძოვარი ნოცხაკთან.

ბუღორიშ მინდორი – მინდორი სახოჭოლაგოს საზღვარზე.

დიდკანაგო "დიდი არხი" – არხი ზემო ქვალონის საზღვართან. იერთებს ნოხოშულს.

კვაკვასკირი – მინდორი ჯაფხინჯის მარჯვ. მხარეს. კვაკვასკირი თავისი სტრუქტურით გვარია.

კვაკვასკირიშ სორო – ღელე, ჯაფხენჯის მარჯვ. შენაკადი

ლაგანძეშ ნოხოტი – სახნავი ჯაფხენჯის მარჯვ. მხარეს.

ლუდიში "ლეღვისა" – სახნავი.

ნაბარაკ – საძოვარი სოფ. გიმოზგონჯილის საზღვართან. "წყალთა მეურნეობის ბარაკები იდგა".

ნაკაკა – სახნავი ომულემსა და ზღვაიას შუა, ნოცხაკის გვერდით, სოფ. გიმოზგონჯილის საზღვართან. **კაკუა** – ხის ძირისათვის კანის შემოცლა (რათა გახმეს); ხის დაჭდეუება საზღვრის ან საკუთრების აღსანიშნავად.

ნანდეუ – ბორცვი საჯღარკაში, ჯაფხენსა და კვაკვასკირიშ სოროს შუა. კოლხეთში ნანდეუ, ნდიშ ნოხორი ხშირად ეწოდება დიხაგუძუბას, ე.ი. უძველეს საცხოვრებელ ბორცვს.

ნანდეუშ მინდორი – მინდორი ნანდეუსთან.

ომულეში – საძოვარი სოფ. გიმოზგონჯილის საზღვართან, პრისმანიის მარჯვ. მხარეს. ამის გაღმაა ჭოხორა. სოფ. ნოჯიხევიშიცაა ომულეში.

ოჯაპე – სახნავი პრისმანიის მარჯვ. მხარეს. ჯაპი "თუთის ხე".

პავლეშ დიხა – საძოვარი სოფლის დას. ნაწილში.

პაპაშ დიხა "მღვდლის მიწა" – საძოვარი ჯაფხენის მარჯვ. მხარეს. ეკუთვნოდა მღვდელს.

საალანიო – უბანი სოფ. ნოჯიხევის საზღვართან.

საალანიო(შ)ტყა – საძოვარი წკვიპსოროსა და პრისმანიის მარჯვ. მხარეს, სოფ. ნოჯიხევის საზღვართან.

საჯღარკა – უბანი სოფ. თეკლათის საზღვართან, ჯაფხენის მარჯვ. მხარეს.

სურუონი "სუროვანი" – სახნავი. იყო ტყე ოხვამეშღალის ნაპირას.

ღალბა – დეღე, უჩაღალის შენაკადი.

შუა ქვალონი//შქა ქვალონი – ერქვა უწინ სოფ. გვიმარონს.

შქა ქვალონი – იგივე შუა ქვალონი.

ცანაშ მინდორი – სახნავი ჯაფხენის მაჯვ. ნაპირზე.

ჯაფხენი – მდინარე. საზღვარი სოფ. ჭითაუშქურთან ფართოდ იშლებოდა და ჰქონდა რამდენიმე ტოტი. ერთ-ერთი ტოტი ერთოდა გიმოზგონჯილიშ ღალს.

ჯაფხენპიჯი – საძოვარი ჯაფხენის ნაპირას.

ჯგემ ნაჯაფხინჯ – ჯაფხენის ძველი კალაპოტი. სადაც მიედინებოდა იგი არხში ჩაშვებამდე.

დურღენა

დურღენა – სოფელი ქვემო ქვალონის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, ბულიშსა და საგვიჩიოს (ქვ. ჭალადიდი) შუა. დურღენი "მაყვალი" (მცენარე) → დურღენონა → მაყვლნარი → დურღენა. ქსე-ში "დურღენა" არაა შეტანილი.

1996 წელს სოფ. დურღენაში ცხოვრობდა 69 გვარი. მათგან შედარებით მრავალკომლიანია: ალექსანდრია – 10 კ. (40 სული), ყალიჩავა – 10 კ. (46 სული), მეფარიშვილი – 9 კ. (40 სული), გაბელია – 6 კ. (21 სული), გვაძაბია – 6 კ. (23 სული), ალანია – 5 კ. (15 სული), შენგელია – 5 კ. (10 სული), ცეკვაშვილი – 5 კ. (23 სული).

მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ (1984 წ.) და პ. ცხადიამ (1986 წ.) ინფორმატორები იყვნენ:

1984 წელს:

ალექსანდრია დოროთე პეხუს ძე, 80 წ.

ქარჩავა ნუგზარ ნიკოლოზის ძე, 33 წ.

1986 წელს:

ალექსანდრია ოთარ პეხუს ძე, 61 წ.

ახალაია აბრამი – 68 წ.

მეფარიშვილი ნიკოლოზ ისიდორეს ძე, 72 წ.

სოხაძე ოთარ ალექსანდრეს ძე, 56 წ.

ყალიჩავა შალვა გიგოს ძე, 66 წ.

ცქიტიშვილი შალვა – 71 წ.

ბუბტესქუაშ ნანთხორა – არხი. უერთდება დიდკანავოს. გაჭრა ბუბუტეიშვილმა. ბუბტესქუა ადგ. ვარიანტია.

გიმობგონჯილიშ დალ – დელე. იგივე გ.მობგონჯილიშ დალ.

გორსიოლ(აფ)ირი – შემადლებული მინდორი დურდენა-წყარის მარცხ. მხარეს, სერგიშ ნაწისქვილამდე. ხელოვნურია. ირგვლივ იყო ფართო თხრილი, რომელშიც წყალი დგებოდა. გააკეთეს ხეტყის დამამზადებლებმა კანტორის დასადგმელად. ადგილობრივთა განმარტება ასეთია: "მრგვალია, ირგვლივ არხითაა შემოზღუდული. ამიტომაა გორსიოლაფირი, ე.ი. წრეშემოკრული, წრეშემოვლებული, მრგვალი". **რსიოლი** "ბრუალი, ტრიალი, თავბრუსხვევა". წყევლაცაა: "გორსიოლაფირი სქანი დუდი".

გ.მობგონჯილიშ დალ//გიმობგონჯილიშ დალ – დელე, დურდენაწყარის ზემო წელი. იწყებოდა ჭითაუშქურში, გამოივლიდა სოფ. გიმობგონჯილს, ჩაუდიოდა ოხვამეკარს.

დურდენაწყარი – დელე. ყორათწყარის მარჯვ. შენაკადი. სიგრძე 4-5 კმ. ზემო წელზე ეწოდება გიმობგონჯილიშ დალ. მოედინება სონჯსა და ჯაფხენს შუა.

ვასაშ ნაკარუ – სახნავი უჩაღალის მარცხ. მხარეს.

ზაკალონი "ბზანარი" – სახნავი დურდენაწყარის ნაპირას. უწინ ბზანარი იყო.

თხირიში//თხირიშ დალ – დელე, ერთოდა სანს მარჯვ. მხრიდან. იწყებოდა ბულიშის დას. ნაწილში.

თხირიშ დალ – დელე. იგივე თხირიში.

ილიაშ ნაკარ – სახნავი დურდენაწყარის მარჯვ. მხარეს.

კირლეშ ნამაღაზ – სახნავი დურდენაწყარის ნაპირას.

ლაშხიაშ ნაკარუ – სახნავი დურდენაწყარის მარჯვ. ნაპირზე.

მერაშ ნაკარუ – საძოვარი ყორათის მარჯვ. მხარეს.

მეფარსქუაშ ნოხორი – მინდორი თხირიშის ნაპირას. მეფარსქუა იგივე მეფარიშვილია.

ნაკარუ – საძოვარი სანის მარჯვ. ნაპირზე.

ნალაღუმეუ – არხი, განიშ კანავოს მარჯვ. ტოტი. ლაღუმით ("დინამიტით") აფეთქებდნენ არხის გასაყვანად.

ნასილა – ფონი განიშ კანავოზე. სილა მხოლოდ აქ მოიპოვება.

ოხვამეკარი – უბანი რკინიგზის ხაზთან.

როგიში – სახნავი გიმოზგონჯილის დალის ნაპირზე. ადრე ტყე ყოფილა.

საანგურო – მინდორი სერგიაშ ნაწისქვილის მარცხ. მხარეს.

საკვარაცხელი – უბანი სოფლის დას. ნაწილში.

სამატახერი – სახნავი როგიშის გვერდით. მატახერია მცირერიცხოვანი გვარია (79 სული საქართველოში). ამჟამად ამ გვარის წარმომადგენლები აქ არ ცხოვრობენ.

სანდროშ ნაკარუ – სახნავი უჩაღალის მარცხ. მხარეს.

საყალჩო – უბანი სოფლის აღმ. ნაწილში. 1905 წელს სამი ძმა ყალიჩავა – სტეფანე, ივანე, ზოსიმე – "მიწის საძებნელად" ნაკიანიდან წამოსულან, აქ დამკვიდრებულან და გამრავლებულან.

სერგიაშ ნაწისქვილუ – სახნავი გ. მოზგონჯილდალსა და ღურღენაწყარს შუა. სერგია გვარია.

შახსტროი – მინდორი თხირიშსა და სანს შუა. ქუთაისის "შახსტროი" ამჟამავებდა.

შეთეშ ნაკარუ – სახნავი ღურღენაწყარის მარჯვ. მხარეს. შეთე პირსახელია.

ჩე ბოგა – ნახიდარი. იგივე ჩეჯაშ ბოგა.

ჩეკაშ მეურნეობა – სახნავები ღურღენაწყარის მარჯვ. მხარეს. "პატიმრებს ამჟამავებინებდნენ ომის წინ".

ჩეჯაშ ბოგა//ჩე ბოგა – ნახიდარი ყორათზე. ჩე ბოგა "თეთრი ბოგირი". ჩეჯაშ ბოგა "აღვის ხის ბოგირი" (გადებული იყო განიშ კანავოზე).

ჯუშითიშ ნაკარუ – სახნავი თხირიშის მარჯვ. მხარეს. აქ სოფ. ჯუშითოს საქონელი ეყენა.

ჭითაუშქური

ჭითაუშქური – სოფელი ქვემო ქვალონის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, ზუგდიდი-სენაკის გზატკეცილის ორივე მხარეს, სოფ. ნოჯიხევის საზღვართან. ზ.დ. 25 მ. ხობიდან 6 კმ. ქვალონის რკინიგზის სადგურიდან 2 კმ. ჭითაუშქური "წითელი ვაშლი".

1996 წელს სოფელში ცხოვრობდა 34 გვარი. მათგან შედარებით მრავალკომლიანია: ალანია – 14 კ. (61 სული), ლეფსაია – 13 კ. (50 სული), გაბელია – 7 კ. (12 სული), ხარჩილავა – 7 კ. (23 სული), გოგია – 5 კ. (20 სული).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1986 წლის 19 ოქტომბერს. ინფორმატორები იყვნენ:

ალანია იზოლდა ონო(ფრეს) ას., 37 წ.

ალანია მიხეილ ზურაბის ძე, 86 წ.

აფშილავა ბონდო ლევანის ძე, 59 წ.

კუჭავა გიორგი ფართხუს ძე, 82 წ.

ლეფსაია ბაგრატ (გვეგვე) თათაოზის ძე, 85 წ.

მესხია ჭიჭიკო – 58 წ.

ჩიქოვანი კოსტანტინე ნაუმის ძე, 66 წ.

ხარჩილავა სამსონ მაქსიმეს ძე, 86 წ.

ბუღორილი//ბუღორიშ მინდორი – სახნავი ზემო ქვალონის საკრებულოს საზღვართან. **ბუღორუა** – ბალახის ერთბაშად გლეჯა, ბურდნა → **ბუღორილი** "ტიტველი, შიშველი ადგილი".

ბუღორიშ მინდორი – სახნავი. იგივე ბუღორილი.

ვარდენაშ ნაკარუ – სახნავი სოფლის ჩრდ. ნაწილში.

ზღვია – ნაჭაობარი, ამჟამად მინდორი სოფ. ნოჯიხევის საზღვართან. ზოგი ზღვიას უწოდებს მდინასრესაც, რომელიც წყალდიდობისას აქ ფართოდ იშლებოდა და ზღვას ემსგავსებოდა. შდრ. ფართო ზღვია.

ზღვიაშ მინდორი – მინდორი ზღვიასთან.

ზღვიააშ ფართობი – სახნავი სოფ. ნოჯიხევის საზღვართან.

ზღვიააშ დალ – დელე, ერთოდა ზღვიაას.

ივლიშ სორო//ოხვამეშ დალ – დელ, გიმოზგონჯილიშ დალის ზემო წელი. ჩაუვლის სასაფლაოს. ამიტომ ოხვამეშ დალსაც უწოდებენ. ივლი ← ივლიტა.

კაჭიშ ნაკარუ – სახნავი სოფლის დას. ნაწილში. კაჭი კაცის სახელია.

კიდიხეშ ტები – ტყე ზღვიააშ დალის მარცხ. მხარეს. კიდიხე – ქალი რომელიც გათხოვებამდე ატარებდა გვარ კიდიას.

ნაწისქვილი – სახნავი ზღვიააშ დალის ნაპირზე.

ნინოიაშ ნოხორი – საძოვარი ზღვიის მარცხ. მხარეს.

ნოცხაკი(ა) – სახნავი სოფ. გიმოზგონჯილის საზღვართან, ზღვიასა და ომულემს შუა.

ნოხომუ(ლ) – მინდორი. იგივე ნოხომუ(ლი)შ მინდორი.

ნოხომუ(ლი)შ მინდორი//ნოხომუ(ლ) – მინდორი ზემო ქვა-ლონის საზღვართან. მოსალოდნელია: ოხვამე → ნოხვამუ → ნოხომუ

ოქოთომე – ტყე სოფლის დას. ნაწილში. ოქოთომე: 1. საქათმე (ქათმის დასამწყვედები ნალია); 2. ადგილი, სადაც ქოთომი (ტყის ქათამი) ბინადრობს.

ოფუჯე "საფურე" – დელე, ზღვიააში ჩადიოდა.

ოხვამეშ დალ – დელე. იგივე ივლიშ სორო.

პაპეფიშ კარე – სახნავი სოფლის დას. ნაწილში.

სადაღალ – დელე, გამოდის სოფ. ზ. ქვალონიდან და გადის სოფ. ხორგაში.

სალეფსაიო – უბანი ცენტრალური გზის პირას. ლეფსაია გვარია.

სამსონიშ ნაკარუ – სახნავი სოფლის ჩრდ. ნაწილში.

საქანთარიო – უბანი სოფლის ცენტრალურ გზაზე.

ტები – მცირე ტყე ბუდორილში.

უშქურონა "ვაშლნარი" – სახნავი ფართო ზღვიასთან.

უჩა პალოტი – ნატბევარი სოფ. ნოჯიხევის საზღვართან, საავტ. ტრასაზე.

ფართო ზღვია – სახნავი, მდინარის მონაკვეთი ნოჯიხევის საზღვართან. ზღვია აქ ფართოდ მიედინებოდა.

ქურთანე/ქურთანეშ მინდორი – საძოვარი სოფლის დას. ნაწილში, ზღვიისა და უჩაღალის მიმდებარედ (აღასტურებს მხოლოდ ორი ინფორმატორი).

ქურთანეშ მინდორი – სახნავი. იგივე ქურთანე.

შუა ქვალონი/შქა ქვალონი – ჭითაუშქურისა და გვიმარონის საერთო სახელწოდება, სენაკი-ხობის ტრასაზე. თავდაპირველად იყო შუა ქვალონის სასოფლო საბჭო, რომელიც გაუქმდა და მისი სოფლები გადანაწილდა ზემო ქვალონისა და ქვემო ქვალონის სასოფლო საბჭოებში.

შქა ქვალონი – სოფელი. იგივე შუა ქვალონი.

ცხიმურგორდილი – ბოგირი ზღვიაზე. რცხილა იყო გადებული და ტოტები ეზრდებოდა. გორდილი "შემოზრდილი".

ჭორთონა – ტყე ზღვიასთან. **ჭორთი** "ნორჩი თხმელან ჭოკი, ლატანი".

ქვემო ჭალადიდის თემის საკრებულო

ქვემო ჭალადიდის თემის საკრებულო – საკრებულო ხობის რაიონში, ოდიშის დაბლობზე, მდ. რიონის ორივე მხარეს, საგეიჩიოსა და პატარა ფოთის საკრებულოებს შორის, გურიის საზღვარზე. შედის სოფლები: საბაჟო (ც.), საქორქიო, საღვამიჩაჟო, საჭოჭუო.

სახელწოდება **ჭალადიდი** წერილობით წყაროებში პირველად დასახელებულია 1616-1639 წლებში დაწერილ "შეწირულების წიგნში", სადაც აღნიშნულია, რომ ლევან დადიანს (1611-1657 წწ.) "ბიჭვინტისათვის" შეუწირავს ღალიძგას, ანაკლიას, ფოთს, ჭალადიდს, წყალიგზას, გულეველისკარს, ეკალს, საქუჩულორიოს მცხოვრები "გამორჩეული" მეთევზენი და სხუა კაცები ოცდაათი მოსახლეები" (ქსმ, III, გვ. 500-501). თვით ლევან დადიანის ერთ-ერთ სიგელში ნათქვამია: "წყლის პირს რიონზედა ჭალადიდსა ნახევარი ბაჟი ხოფისა ღმრთისმშობელისა არის; ქარიატას და კემხელს მესამედი ნავი და ბაჟი ყოვლადწმიდისა; არის ნოხუდენს ოთხი კუამლი კაცი: ყურუა და სხვიტავა ანდალაისშვილი და შონია, მათით მამულითა, წყლითა, ტყითა, სათევზაოთა და ეკლესიის კართა" (ხობის მონასტერი, 2002, გვ. 44). დასახელებული ტოპონიმებიდან კემხელი ყუღევია, ხოლო ნოხუდენი არაა ლოკალიზებული.

ტოპონიმი ჭალადიდი დასახელებულია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, ნატურალისტ იოჰან ანტონ გიულდენშტედტის სამოგზაურო ჩანაწერებში. 1771 წელს იმერეთ-სამეგრელოს საზღვარზე ყოფნისას მისთვის დაუსახელებიათ სამეგრელოს ზოგი სოფელი, მათ შორის ჭალადიდიც (გიულდენშტედტი, 1962, გვ. 323).

სოფელი ჭალადიდი დავით დადიანის მიერ განხორციელებული ოდიშ-ლენხუშის დაყოფის მიხედვით შედის საჭილაოს მაზრაში, ისევე როგორც საღვამიჩაო და პატარა ფოთი (მეუნარგია, 1939 წ. გვ. 113). 1886 წელს ჭალადიდის თემი შედიოდა სენაკის მაზრის ნაქალაქევის საპოლიციო უბანში შემდეგი სოფლებით: პატარა ფოთი, საღვამიჩაო, საქორქიო, საჩაჩაო, სირიაჩქონი, ჭალადიდი (ჭალადიდის მუხური – ცენტრი).

XIX ს-ში იმერეთიდან და მთიანი სამეგრელოდან ნოყიერი მიწების საძებნელად ჩამოსულებს დაახლოებით ამაღმინდელი ქვემო ჭალადიდის თემის ტერიტორიაზე ტყე გაუკაფავთ, ჭაობები ამოუშრიათ და შეუქმნიათ დასახლებანი: ქუთაისის დასახლება (თავკაცი ინდიკო ბანძელაძე), ჩხარის დასახლება, საღვამიჩაო და სხვ.

საქართველოს სსრ პირველი ადმ-ტერიტ. დაყოფის (1930) მიხედვით სენაკის მაზრის სენაკის რაიონში შედის ქვემო ჭალადიდის სასოფლო საბჭო 6 სოფლით: საბაჟო, საგეიჩიო, საღვამიჩაო, საქორქიო, საჭოჭუო, ჭალადიდი. დასახელებულ სოფლებში ამ დროისათვის ცხოვრობდა 274 კომლი (1011 სული).

1996 წელს ქვემო ჭალადიდის თემის საკრებულოში ცხოვრობდა 311 გვარის 724 კომლი (ცნობას ხელს აწერენ საკრებულოს მდივანი ც. სურმავა და გამგებელი ა. რამინაშვილი). კომლმრავალ გვარებს წარმოვადგენთ სოფლების მიხედვით.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით ქვემო ჭალადიდის თემში ცხოვრობს 2584 სული (კაცი – 1259, ქალი – 1325. მათგან ქართველი – 97%). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

საბაჟო – 1759 სული (კაცი – 846, ქალი – 913).

საქორქიო – 45 სული (კაცი 21, ქალი – 24).

საღვამიჩაო – 412 სული (კაცი – 200, ქალი – 212).

საჭოჭუო – 368 სული (კაცი – 192, ქალი – 176).

ჭალადიდი გამჭვირვალე სემანტიკის მქონე სახელ-
წოდებაა. მიუხედავად ამისა, კარლ ჰანი, რომელიც სათანა-
დოდ არ იცნობდა ქართული თუ ქართველური ენების
ლექსიკას, გვთავაზობს ასეთ გულუბრყვილო ეტიმოლოგიას:
ჭალადიდიმუხური "ძველისძველი მუხე-
ბის ტვერი" (ჰანი, 1916).

საბაჟო

საბაჟო – სოფელი, ქვემო ჭალადიდის თემის საკრე-
ბულოს ცენტრი სენაკი-ფოთის საავტ. და სარკინიგზო
გზაზე, ზ. დ. 3 მ. სობიდან 18 კმ. ესაზღვრება: აღმ-ით –
საღვამიჩავო, დას.-ით – საჭოჭუო, ჩრდ.-ით – გაღმა შუა
ხორგა და ყორათი. სოფლის ცენტრშია რკინიგზის
სადგური "ჭალადიდი".

გადმოცემა: რიონის არხი სოფ. ყულევსა და ქარიატას
შუა ერთოდა ხობისწყალს (მერე არხით შეუერთდა ყორათ-
წყარს). ამ არხით გაჰქონდათ სიმინდი და ხეტყე ყულევში.
ერთგან იჯდა კნიაზ მეგრელსკის (ნიკო დადიანის) მოურავი
და ბაჟს ახდევინებდა. ამიტომ ეწოდა საბაჟო და ეს სახელი
შემდეგ სოფელსაც დაერქვა (ჩაიწერა თსუ აღმოსავლეთ-
მცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტმა ლიანა ბანძელაძემ
1965 წელს 1891 წელს დაბადებული თედორე არჩაიასაგან).

1996 წელს სოფელში ცხოვრობდა 229 გვარი. კომლმრავ-
ალი გვარებია: დემანია – 18 კ., ბერაია, გელენიძე, დარ-
ჩიძე, სესკური, ჭოჭუა – (12-12 კომლი), ჯიშკარიანი – 10
კ., კირთაძე, ჯვარელია (9-9 კომლი), ბანძელაძე, გვასალია...
(8-8 კ.) და სხვ.

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 25. 08. 91. ინფორმა-
ტორები იყვნენ:

დარჯანია ტიტოკო ვლადიმერის ძე, 63 წ.

კოსტავა ომარ (ლონდერ) ლუღუნის ძე, 44 წ.

ლაკია ვლადიმერ ჩაგუს ძე, 78 წ.
რამინაშვილი ამირან სილოვანის ძე, 56 წ.
რიჟმაძე გურჯანი ვანოს ძე, 47 წ.
სიჭინავა შოთა ნიკიტას ძე, 67 წ.

ახალი დასახლება//ახალი საღვამიჩაო – დასახლება ცენტრალურ საავტ. გზაზე, ყორათსა და ძველ საღვამიჩაოს შუა. შექმნეს ბაღდათიდან და საჩხერიდან ჩამოსახლებულებმა. შედიოდა საღვამიჩაოს კოლმეურნეობაში, ამიტომაც დაერქვა ახალი საღვამიჩაო, ხოლო ძირეულ საღვამიჩაოს ეწოდა ძველი საღვამიჩაო. უბანი შემდეგ ტერიტორიულად შევიდა სოფ. საბაჟოში.

ახალი საღვამიჩაო – უბანი. იგივე ახალი დასახლება.

დიდი ცია – მდინარე. გადიოდა ყორათში. მის კალაპოტს გაჰყვა ლუბეკის არხი და სწორედ იმას აწერია "მდ. ცივი". საუკუნეების წინათ მდ. ცივი რიონის პარალელურად მიედინებოდა და ხობისწყალს ერთოდა. მაგრამ რიონმა ნელ-ნელა ჩრდილოეთისაკენ გადაიწია და ცივი გაწყვიტა.

დიდი დიხაგუძუბა – ბორცვი ნუტრიაშ დალუს მარჯვ. მხარეს.

დიხაგუძ(უ)ბა – ბორცვი ციის მარცხ. მხარეს, ინფ.: "ამბობენ, თათრების ჯარის ფეხის ნაფხეკიანო".

კადალიონი//კატალიონი – ტყე და ღელე, ყორათწყარის შენაკადი.

კატალიონი – ტყე და ღელე. იგივე კადალიონი.

კოკაიაში ხეივანი – ხეივანი, სენაკი-ფოთის გზის მონაკვეთი. გაუშენებიათ პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის თაოსნობით, 1947 წელს. კოკაია მისი გვარია.

მერაბიშ ნაკარუ – საძოვარი ნუტრიაშ დალუს ნაპირებზე, ყულევის საზღვართან.

ნარიონ – ერქვა ტბა-ჭაობს რიონის ნაპირზე, საღვამიჩაოს საზღვართან. ამჟამად სახნავებია.

ნაფერმე – ერქვა სახნავეებს, სადაც შემდეგ უბანი ახალი საღვამიჩაო შეიქმნა.

ნუტრიაშ დაღუ – დღე, ციის მარცხ. შენაკადი. ერთ დროს აქ, ტყეში, ნუტრია მოუმრავლებიათ.

ონოშქვერე – არხი, რომელსაც აგრეთვე ცივი ეწოდება. იწყებოდა ძველ საღვამიჩაოში (ხანდახან რიონის წყალიც შემოდის), გაივლიდა საბაჟოსთან და ერთოდა ხობის-წყალს ქარიატა-ყულევის საზღვარზე.

საბაჟოშ ჩქონი – კუნძული რიონზე. **ჩქონი** – კუნძული, ნახევარკუნძული, წყლისპირა ჩირგენარი.

საბერძენო – ერქვა უბანს შემდგომდროინდელ რ. ქორქიას ქუჩაზე. ბერძენი გვარია. აქ ცხოვრობდა რამდენიმე კომლი.

სადადიო ტყა – ერქვა ტყეს კადალიონის ნაპირზე.

ჩიხი – უბანი. ინფ.: "ომის დროს რკინიგზის ჩიხი მიდიოდა რიონამდე და იქიდან გაჰქონდათ ხეტყე. ამიტომ დარქმევია".

ცია//ჭიჭე ცია – დღე. შემოდის საღვამიჩაოდან ტბა ნარიონში, შემდეგ საბაჟოში, გადიოდა რკინიგზის ხიდქვეშ და უერთდებოდა ხობისწყალს ქარიატა-ყულევის საზღვარზე.

ცივი – არხი. იხ. ონოშქვერე.

ყორათი – ერქვა გაუვალ ტყე-ჭაობს ხორგასა და ჭალადიდს შუა. დღეს ყორათის ერთი ნახევარი შედის შუა ხორგაში, მეორე ნახევარი – საბაჟოში. ყორათში დასახლება დაიწყო 1930-იან წლებში. მაგრამ საბაჟოს საზღვართან (ყორათში) ძველთაგანვე ესახლნენ ალანია, დოლბაია, სხულუხია, შენგელია.

ჭალადიდი – რკინიგზის სადგური საბაჟოში. უწინ ჭალადიდი "დიდი ჭალა" ერქვა ვრცელ ტერიტორიას რიონის მარჯვ. მხარეს, ცივის ნაპირებზე, სოფ. თეკლათიდან ფოთამდე. ამჟამად აქაა ორი საკრებულო: ზემო ჭალადიდისა (სენაკის რ.) და ქვემო ჭალადიდისა (ხობის რ.). ჭალადიდი როგორც სოფელი დასახელებულია 1616-1639 წლებში დაწერილ ერთ შეწირულების წიგნში.

საქორქიო

საქორქიო – სოფელი ქვემო ჭალადიდის თემში, მდ. რიონის მარცხ. მხარეს (მდ. ფიჩორამდე) – სირიაჩქონსა და საგოროდოს შუა. ზ.დ. 5 მ. ხობიდან – 20 კმ., ჭალადიდის რკინიგზის სადგურიდან 5 კმ.

1996 წელს საქორქიოში მკვიდრობდა 17 გვარის 22 კომლი, მათგან ქორქია – 3 კომლი, ტალახაძე და ფაცია (2-2 კომლი). დანარჩენი გვარი წარმოდგენილია თითო კომლით.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს 1984 წელს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ, ხოლო 1991 წლის 23 აგვისტოს – პ. ცხადაიამ. ორივე შემთხვევაში მეგზურობა გასწიეს ნანი ფანტის ასულმა ჩხეტიამ და ავთანდილ დავითის ძე ფაციამ. ინფორმაციები იყვნენ:

არჯევანიძე ხუტა ნიკოს ძე, 74 წ.

ფაცია ავთანდილ დავითის ძე, 39 წ.

ქორქია გურგენ გიორგის ძე, 54 წ.

ჩალიგავა შალვა ბესარიონის ძე, 39 წ.

ჩხეტია ნანი ფანტის ას., 34 წ.

ჩხეტია ფანტი ისაკის ძე, 57 წ.

ძაძამია ომარ აკაკის ძე, 57 წ.

აკაციონი – სახნავი საწულაიოში, სადაც ერთ დროს აკაცია გაუშენებიათ.

ანანიაშ ნაკარუ – მინდორი სენაკის რ-ნის საზღვართან. ანანია ყოფილა მწირი და აქ, ტყეში, კარავში ცხოვრობდა.

ახალსოფელი – ერქვა უბანს ახალ კანალთან. ამჟამად საძოვარია.

ბაწარიონი – რიონისპირა სახნავები. "დარქმევია იმის გამო, რომ აქ გადის რიონის ტოტი. ე.ი. ბაწარიონი პაწა რიონია". იყოფა: გალენბაწარიონი – რიონსა და დამბას შუა; დინახალენბაწარიონი – დამბასა და სოფელს შუა".

სინამდვილეში ბაწარიონი იმიტომ დარქმევია, რიმ აქ ხარობს ერთგვარი სოკო, რომელსაც ეწოდება ბაწარა//ბაწარია (იგივე მარწყვა-სოკო). საზიარო საჭოჭუოსა და პ. ფოთთან.

ბაწარიონიშ ჩქონი – ტყე ბაწარიონში.

ბუხუშ ნა'ვან – ტყე თხირონდალის ნაპირას.

გალენბაწარიონი – სახნავი. იხ. ბაწარიონი.

გედეშ ნაკარუ – საძოვარი ნოიცვენთან.

გირძე მინდორი – მინდორი სირიაჩქონის საზღვართან. გინძე "გრძელი".

გოგიშ მეურნეობა – მინდვრები. იგივე მამული.

დაბალი – ტყე-ჭაობნარი. იგივე ო'ორიე.

დინახალენბაწარიონი – სახნავი. იხ. ბაწარიონი.

ეკვალბტონი – სახნავი საწულაიოში. ერთ დროს ეკვალბტი იყო გაშენებული.

ემადალია//ქვიშარგვალა – მცირე ბორცვი სიმაგრეში.

ენწერი – ისლნარ-ჭაობნარი ო'ორიესა და ფიჩორს შუა.

თომაიაშ ნათხორა "თომაიას ნათხარი" – არხი სიმაგრეში. იყენებდნენ ხეტყის გასატანად.

თხირონდალ//ოთხირედალ – ღელე. გადის ო'ორიეში. **თხირონი** "თხილნარი"; **ოთხირე** "სათხილე".

კვარაცხელიაშ კარე – მწყემსის სადგომი სიმაგრეში. იდგა ნაკიფუელი მწყემსი, გვარად კვარაცხელია.

კინტირიაშ ნაკარუ – ტყე-საძოვრები ოთხირედალთან. კინტირია კაცის სახელია.

ლაბახუაშ ნაკარუ – მინდორი ტყეში, სირიაჩქონის საზღვართან. ლაბახუა გვარია.

მამული//გოგიშ მეურნეობა – მინდვრები სიმაგრესა და საჯოლიოს (ხემო ჭალადიდი) შუა. "გოგი ბრიგადირი იყო. მიწას ამუშავებდა ჭალადიდის მეურნეობა".

ნანგურუ – სახნავი საწულაიოში. ინფ. "აქ წითელი მიწაა და სააგურედ გაჰქონდათ".

ნაწისქვილე – ღელე. იგივე ჩამ(უ)სქური.

ნედართუმ ღალ – ღელე, ფიჩორის მარჯე. შენაკალი საგოროდოში.

ნოიცვენი – მინდორი ტყეში, რიონიდან 1,5 კმ-ზე. "რუს გეოლოგს უთქვამს, გაზაფხულზე ნოვი ცვეტ ვნახეო".

ობერწულე (← ბერწული "ბროწეული") – სახნავი საწულაიოში.

ოთხირელალ – ღელე. იგივე თხირონღალ.

ოკვატიელალ "სახევე ღელე" – ღელე სიმაგრეში. გადიოდა ნაწისქვილუში.

ომანდარინე – სახნავი საწულაიოში.

ოღორღონჯე "საბატე" – ტყე ჯუმათის (ოზურგეთის რ.) საზღვართან. აქედან გაედინება ოღორღონჯელალუ და გადის ქ. ფოთში.

ოჯაპე – სახნავი საწულაიოში. ჯაპი "თუთა".

ო¹ორიე//დაბალი – ტყე-ჭაობნარი და ტორფნარი სენაკის რ-ნის (ზ. ჭალადიდი, საჯოლიოს უბანი) საზღვრამდე. ¹ორე "ყორე" → ო¹ორიე "ყორიანი".

ო¹ორიელალ – ღელე. ო¹ორიედან გადის ფიჩორისაკენ, მაგრამ იფანტება. ერთი ნაწილი ნაწისქვილუსაც ერთვის.

პირველი კანალი – ნაარხალი საგოროდოს საზღვართან. კანალი (რუს. არხი) ფიჩორში გადიოდა.

რემაშ ნაორტვინ "რემას ნაბოსტნარი" – ტყე სიმაგრეში.

საქორქიოშ ჩქონი – კუნძული რიონზე.

საწულაიო – სახნავები რიონის მარცხ. მხარეს. უწინ წულაიები ესახლნენ.

სიმაგრე – უბანი რიონის მარცხ. ნაპირზე, სოფ. სირიაჩქონის საზღვართან. გადმოცემით, აქ თურქებს ჰქონიათ სიმაგრე მოტაცებული ბავშვების დასამწყვდევად. მისგან მხოლოდ ნაშთია დარჩენილი.

უბირიაშ კარე – მინდორი ოღორღონჯელალუს სათავესთან.

უჩაჯალონი – თხმელნარი. იგივე შხუჯალონი.

ფიფიაშ ნა'ვან – მინდორი წიფურონაში, ოღორღონჯეს-თან. ფიფია პირსახელია.

ქვიშარგვალია – მცირე ბორცვი. იგივე ემაღალია.

შქანაკარუ – მინდორი ნოიცივენის ტყეში.

შხუჯალონი//უჩაჯალონი – თხმელნარი ო'ორიეში. "ღრმა ჭაობია და ვერ ჭვრიან. ამიტომაც შემორჩა". **შხუ ჯა** "მსხვილი ხე"; **უჩა ჯა** "შავი ხე".

ჩამსკური/ჩამ(უ)სქური/ნაწისქვილუ – დელე, ნედართუმ ღალის მარცხ. შენაკადი. იწყება ენწერში.

ჩქონი – საძოვარი რიონის ნაპირზე.

წიფლიძეფეში ნოხორი – სახნავი რიონის ნაპირზე.

ჭიჭე ჩქონი – კუნძული რიონზე.

სადვამიჩავო

სადვამიჩავო – სოფელი ქვემო ჭალადიდის თემის საკრებულოში, რიონის მარჯვ. ნაპირზე, საგეიჩიოსა და საჭოჭუოს შუა. ზ.დ. 4 მ. ხობიდან 24 კმ. ჭალადიდის რკინიგზის სადგურიდან 3 კმ. დვამიჩავა გვარია. სოფლის სახელწოდების ადგ. ვარიანტია "ძველი სადვამიჩაო" (შდრ. "ახალი სადვამიჩაო" საბაჟოში).

თსუ სტუდენტ ლიანა ბანძელაძის მიერ 1965 წელს 87 წლის კარლო დვამიჩავასაგან ჩაწერილი გადმოცემით (ინახება თსუ ონომასტიკის ს/კ ლაბორატორიის არქივში), დღევანდელი სადვამიჩავოს პირველი მოსახლე ყოფილა ბატონს გამოქცეული გლეხი დავით დვამიჩავა. მის ნათესავებს გაუგიათ, რომ ჭალადიდში კარგი, მოსავლიანი სამოსახლო ადგილები იყო, ჩამოსულან და აქ დარჩენილან საცხოვრებლად. ასე გაჩენილა სოფელი სადვამიჩავო.

სოფელი სადვამიჩაო ოდიშ-ლენხუმის ადმ.-ტერიტ. და-ყოფის მიხედვით, რაც განახორციელა დავით დადიანმა მე-

19 ს-ის 40-იან წლებში, შედის საჭილაოს მაზრაში, ისევე როგორც ჭალადიდი და პატარა ფოთი.

1996 წელს საღვამინავოში ცხოვრობდა 55 გვარი. მათგან შედარებით მრავალკომლიანი იყო: ღვამინავა – 8 კ.; გიგაშვილი – 7 კ., ჭუმბურიძე – 6 კ., ზარგინავა – 5 კ., გვასალია, ჩაჩიბაია (4-4 კომლი).

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ 1984 წელს (გრაფი კინტირიას ძე ბაჯალაძისაგან) და პაატა ცხადაიამ, 1991 წლის 27 აგვისტოს. ინფორმაციები იყვნენ:

ბაჯალაძე გრაფი კინტირიას ძე, 64 წ.

გიგაშვილი შიო პლატონის ძე, 62 წ.

გოგიშვილი ტიტე დათას ძე, 69 წ.

კაკულია აკაკი რადიონის ძე, 69 წ.

ღვამინავა ბორის კონდრატეს ძე, 60 წ.

ბულიშჯინჯი "ბლისძირი" – სახნავი ციის მარცხ. მხარეს.

გოჩხილი "ჩახერგილი" – ერქვა დღეს სოფლის ჩრდ. ნაწილში. ამჯერად მიწითაა ამოვსებული.

დუქანიშკარი – ერქვა სოფლის ძველ ცენტრს, სადაც სამამასახლისო შენობა იდგა და სოფლის მცხოვრებთა თავშესაყარი ადგილი იყო.

ღეკიში – ბუჩქნარი რიონის ჭალაში, საგვიჩიოს საზღვართან. უწინ ჭაობნარი ყოფილა. ღეკი მიწაა ერთგვარი, რბილი და შავი.

მანცხვარკარი – ძველი სასაფლაო ციის მარჯვ. ნაპირზე.

მეთევზეთა ფართობი – სახნავი ყორათში.

ნაკლასუ – ბუჩქნარი. ადრე აქ სკოლა ყოფილა.

ნაოხვამ – სასაფლაო. დგას უზარმაზარი ცაცხვის ხეები.

ნაფაცხენი "ნაფაცხარი" – ტყე ოკობრეღალის მარცხ. ნაპირზე.

ნემეციშ ნოხორი – სახნავი საბერძენესთან ახლოს. აქ ნემეცს ("გერმანელი") უცხოვრია.

ობონეში "საბანელი" – საბანაო მდ. რიონზე.

ოკობრელალ – ღელე. იწყებოდა ახალ საღვამიჩაოში, ერთოდა ციას მარჯვ. მხრიდან. **კობრი** თევზია ერთგვარი. უწინ ამ ღელეში ბინადრობდა.

რკინიგზისპირი – სახნავი რკინიგზის გაყოლებაზე.

საბერძენე – უბანი. იხ. საბერძენო.

საბერძენო//საბერძენე – ერქვა უბანს. ამჟამად საკარმიდამოებია. **ბერძენი** გვარია. რამდენიმე კომლი ახლაც აქ მკვიდრობს.

საცდელი – სახნავები ყორათში. ერქვა საცდელ მეურნეობას.

საწულაიო – საძოვარი სოფლის აღმ. ნაწილში, სადაც უწინ წულაიები ცხოვრობდნენ.

ფანცულაიაშ ჩქონი – მინდორი რიონის ჭალაში.

ქვიშილონი – სახნავები ციის მარცხ. მხარეს. იყო ქვიშის ბორცვი.

ქუთაისის დასახლება – ერქვა დასახლებას რკინიგზის ხაზთან.

ჩაიგრუზია//კოლონია – სახნავები ახალ საღვამიჩაოში, რკინიგზის ხაზთან. აქ ერთ დროს პატიმრებს ამუშავებდნენ.

ჩირე "ტლაპო" – ჭაობი ყორათში.

ცია – ღელე. მოედინება საგვიჩიოდან, გაივლის საღვამიჩაოს და ერთვის ნარიონს საბაჟოში.

ბველი საღვამიჩაო//ჯვეშსაღვამიჩაო – სოფ. საღვამიჩაოს იშვიათი ვარიანტი.

ჭიჭე ფუთიშ ჩქონი – კუნძული რიონზე, არგვანიშ ჩქონის სიახლოვეს.

ხარამჭყონი "ლაჯებიანი მუხა" – ერქვა მუხას საცდელი მეურნეობის კანტორასთან, ორ ფეხზე იდგა.

ჯვეშსაღვამიჩაო – იხ. ბველი საღვამიჩაო.

საჭოჭუო

საჭოჭუო – სოფელი ქვემო ჭალადიდის თემში, რიონის მარჯვ. მხარეს, საღვამიჩაოსა და პ. ფოთს შუა. ზ.დ. 3 მ. ხობიდან 24 კმ. ჭალადიდის რკინიგზის სადგურიდან 4 კმ.

საჭოჭუო ჭოჭუების სოფელი იყო. საბჭოთა პერიოდში ჩამოსახლებულან თერჯოლისა და საჩხერის რაიონებიდან. ამჟამად სოფელში სხვადასხვა გვარისანი ცხოვრობენ.

1996 წელს საჭოჭუოში მკვიდრობდა 55 გვარი. მრავალკომლიანი გვარებია: ჭოჭუა – 12 კ., ცინაძე – 7 კ., ბუცხრიკიძე, ბუხრაშვილი, კერესელიძე, ნიკოლაძე (3-3 კომლი).

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ 1984 წელს და პ. ცხადაიამ 1991 წლის აგვისტოში. ინფორმატორები იყვნენ 1984 წელს:

ბურკაძე მიხეილ სილიბისტროს ძე, 78 წ.

დარჯანია ტიტო ვლადიმერის ძე, 56 წ.

ჭოჭუა გრიშა სერაპიონის ძე, 58 წ.

1991 წელს:

ადამია ვალიკო გიორგის ძე, 65 წ.

ბურკაძე მიხეილ სილიბისტროს ძე, 82 წ.

ჭოჭუა გრიშა სპირიდონის ძე, 65 წ.

ჭოჭუა ვახტანგ ლევთერის ძე, 65 წ.

ჭოჭუა ტრიფონა ივანეს ძე, 63 წ.

ბაწარიონი – სახნავი რიონის ჭალაში. ბაწარია ჭალის სოკოა ერთგვარი. -ონ სუფიქსი აღნიშნავს მცენარეთა სიმრავლეს (საზიარო სოფ. პ. ფოთთან).

გარსავანაშ ნაკარუ – მინდორი ჭიჭე ციის ნაპირზე.

დიდრიონი – რიონის მთავარი დინება.

დიდცია – დეღე, რომელსაც ერთვის არხები და ბოლოს ჩაედინება ხობისწყალში ყულევთან.

ზაკალონი "ბზანარი" – ტყე სოფლის ჩრდ. ნაწილში.

ნახვამ – ერქვა სასაფლაოს რიონის ნაპირზე. წაიღო
წყალმა.

ომბეში/ომბეშიშ ტყა – ერქვა ტყეს კადალიონთან.
ომბეში ← ომბალეში ← ომბალე.

ომბეშიშ ტყა – ტყე. იგივე ომბეში.

ო¹ონეში "საყანისი" – ერქვა სახნავს რიონის მარცხ.
მხარეს.

პაჭულიაშ ნაკარუ – მინდორი ჭიჭე ციის ნაპირზე.
პაჭულია კაცის სახელია.

საჭოჭუოშ ოხვამე – სოფლის სასაფლაო.

საჭოჭუოშ ჭალე/ჭალე – ჭალა. იგივე ჭალე.

ჩქონი – კუნძული დიდრიონსა და ჭიჭე რიონს შუა.

ჩხარიშ დასახლება – უბანი. უკავიათ 50-იან წლებში
ჩხარიდან ჩამოსახლებულებს.

წიფურიაშ ნაკარუ – მინდორი ჭიჭე ციის ნაპირზე.

ჭალე/საჭოჭუოშ ჭალე – ჭალა რიონის მარჯვ.
ნაპირზე.

ჭიჭე რიონი/მორჩილრიონი – რიონის მარჯვ. ტოტი.
მორჩილი "მომცრო". ჭიჭე "პატარა"

ჭიჭე ცია – დეღე, ამჟამად არხი საჭოჭუოსა და პ.
ფოთში იკრებს წყლებს და ერთვის დიდციას.

ჭოჭუეფიშ ტყა – უბანი. ადრე აქ ტყე ყოფილა.

ჩხარიშ დასახლება – დასახლება საბჭოს ქუჩაზე.
ჩამოსახლდნენ ჩხარიდან 1947-50-იან წლებში.

ყულევის სოფლის საკრებულო

ყულევი – სოფელი და სოფლის საკრებულო შავი ზღვის ნაპირზე, მდ. ხობისწყლის შესართავთან. ზ. დ. 2 მ. ხობიდან 18 კმ. შემორჩენილია შუა საუკუნეების ციხესიმაგრის ნაშთი. სოფლის მთელი მოსახლეობა განთავსებულია ერთ ქუჩაზე, რომელიც მდ. ხობისწყლის მარჯვენა ნაპირს გასდევს სოფ. ყორათიდან ისტორიული ციხესიმაგრის ნანგრევებამდე.

ბერძნული წერილობითი წყაროების ცნობით (II ს.), მდ. რიონი უძველესი დროიდან იყო დაკავშირებული მდ. ხობისწყალთან სანაოსნო არხით. შემორჩენილია ცივი-ხობისწყლის უძველესი არხის ნაშთი. ყულევის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძვ. წ. IV-III ათასწლეულების ნასახლარები ხელოვნურ ბორცვებზე (მდ. ცივისა და ხობისწყლის ნაპირებზე), აგრეთვე ბრინჯაოს ხანის ნაკეთობანი, რკინის დასამუშავებელი ქურა-სახელოსნოების ნაშთები.

შუა საუკუნეების ქართული და უცხოენოვანი საისტორიო წყაროები ასახელებენ ხობისწყლის შესართავთან მდებარე დასახლება **კემხელს** (//კემხალი). ქართველი მკვლევრები ნ. ბერძენიშვილი, თ. ბერაძე, მ. დუმბაძე, ზ. ქირია კემხელს აიგივებენ შემდგომში ყულევად მოხსენიებულ ობიექტთან (იხ.: ქირია, 2004).

შვეიცარიელი სწავლული დიუბუა დე მონპერე, რომელმაც 1831-34 წლებში იმოგზაურა შავიზღვისპირეთში, ასახელებს რედუტ-კალეს: "ბოლოს 21 ივნისს (2 აგვისტოს) გადავედი ნაპირზე რედუტ-კალესთან. არასტუმართმოყვარე ჩერქეზეთისა და აფხაზეთის ნაპირებზე ორთვიანი მოგზაურობის შემდეგ" (დიუბუა, 1937).

კავკასიაზე საყურადღებო გამოკვლევების ავტორი, წარმოშობით გერმანელი მკვლევარი კარლ ჰანი, რომელსაც ეკუთვნის 900-მდე ქართული ტოპონიმის წარმომავლობის

ახსნის ცდა (მათ შორის ბევრია გულუბრყვილო და მიამიტური ეტიმოლოგია) სახელწოდება ყულევს აკავშირებს სიტყვა **კულა**-სთან (, -). მოტივაცია ასეთია: ამ სოფელში ამზადებდნენ ამგვარ ჭურჭელს (ჰანი, 1908, გვ. 118).

1804 წლის ოქტომბერში რუსთა (კაზაკთა) რაზმმა ყულევი დაიკავა და ამით დაიწყო რუსეთის იმპერიის დამკვიდრება შავი ზღვის აღმ. ნაპირზე (შემდეგში რუსეთმა არჩევანი შეაჩერა ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ნავმისადგომებზე). იმავე წელს დაიწვეს ფიქრი ხობისწყალ-რიონის სანაოსნო მაგისტრალის მშენებლობაზე. 1832 წლისათვის დასრულდა რიონი-ყორათისწყლის შემაერთებელი არხის გაყვანა (ჭალადიდის გავლით), რომელსაც "რუსეთის არხი" უწოდეს. მისი სიგრძე იყო 600 მეტრი, სიგანე – 6 მეტრი. ტვირთი გაჰქონდათ რედუტ-კალიდან რიონში და პირიქით. რედუტ-კალე 1840 წელს ქალაქი გახდა. ამ ქალაქში იდგა 68 ხის სახლი და რამდენიმე ათეული დუქანი. 1855 წელს ყულევში გამაგრება სცადა ომარ-ფაშამ, რუსეთის ჯარმა და სამეგრელო-გურიის პოლიციამ იგი განდევნა, მაგრამ ქალაქი მთლიანად გადაიწვა.

1858 წელს ფოთში ნავსადგური გაიხსნა და ჭალადიდის არხმა დაკარგა მნიშვნელობა. 1872 წელს არხი გადაკვეთა რკინიგზამ და ნაოსნობაც შეწყდა, ხოლო XX ს-ის 30-იან წლებში არხი სულაც მიწით ამოივსო. პარალელურად ყორათის წყალი ახალი არხით ჩაუშვეს მდ. ხობისწყალში.

რატომ დაერქვა ერთ ობიექტს – ხობისწყლის შესართავთან მდებარე ნავსადგურსა და დასახლებას – ორი სახელი – **რედუტ-კალე** და **ყულევი/ყულე**? ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი და არაქართველი მკვლევრების მოსაზრებანი ასეთია: თავდაპირველი სახელწოდებაა **ყულე** (აღგ. ვარიანტი: **კულე**). ასე ეწოდებოდა ჯაიანის ძველ კოშკს. 1804 წელს კაზაკებმა მდინარის მარცხ მხარეს ააგეს რედუტი. მაშასადამე, რედუტ-კალე არაქართული ჰიბრი-

დული სახელწოდებაა. იგი შედგება ორი უცხო სიტყვისაგან: რედუტი (ფრანგ.) "მცირე ციხესიმაგრე" და კალე (თურქ.) "კოშკი" (შდრ.: სოხუმ-კალე, სუჯუკ-კალე და სხვ.).

ტოპონიმ ყულევის წარმომავლობას უკავშირებენ აღმოსავლურ სიტყვა ყულ-//ყულე-ს, რაც თურქულში დასტურდება და ნიშნავს მონას. ხალხური ეტიმოლოგიაც ასეთია: ხობისწყლის შესართავთან თურქებს ჰქონდათ მონათა ბაზარი. ამიტომ დარქმევია ყულე. სხვათა შორის, ჟან მარდენის ცნობითაც, ოსმალებს სწორედ ხობისწყლის შესართავიდან გაჰყავდათ ტყეები (ყოველივე ამის შესახებ იხ.: ჭითანავა, 2002.; ბერაძე, 1970).

საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის ცნობარში (ტფ., 1930) სოფელი ყულევი არ ჩანს. 1998 წელს ყულევში ცხოვრობდა 45 გვარის 104 კომლი. მრავალკომლიანი გვარები არცაა, რადგანაც ახალდასახლებულნი არიან. მაინც დავასახელებთ რამდენიმე გვარს: კაკულია – 7 კ., შამათავა, შონია – 6-6 კ., ქირია – 5 კ., ბერდიაშვილი, კვინჩია, კოპალიანი, ფიფია, წულაია, ხარჩილავა – 4-4 კ. (ცნობა მოგვაწოდა ყულევის საკრებულოს სპეციალისტმა ნონა შონიამ).

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მიხედვით სოფ. ყულევში ცხოვრობს 359 სული (კაცი – 170, ქალი – 189). მათი 98% ქართველია.

სოფლის მიკროტოპონიმია 1984 წელს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ ჩაიწერეს 58 წლის სევერიან ელიზბარის ძე მალანისაგან. 1991 წ. 8 აგვისტოს მასალა გადაამოწმა და შეავსო პ. ცხადაიამ. ინფორმატორები იყვნენ:

ზარანდია ილია შამელას ძე, 64 წ.

კაკულია ალექსანდრე (გაჯი) ბეგლარის ძე, 71 წ.

უჩანეიშვილი თედორე აქსენტის ძე, 75 წ.

ფიჩხაია შოთა ტროფის ძე, 67 წ.

ქირია სერგო ტერენტის ძე, 65 წ.

ქირია ხუნტული მიხეილის ძე, 69 წ.

ჭიჭინაძე ზურაბ ამირანის ძე, 38 წ.

ბაღჩა//ბახჩა – ჭალა ხობისწყლის მარჯვ. ნაპირზე. უწინ გაშენებული იყო მარადმწვანე მცენარეები.

ბახჩა – ჭალა. იგივე ბაღჩა.

ბუკიეფიშ მუხური – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირზე.

ბულაზი – ხობისწყლის შესართავი შავ ზღვასთან. **ბულაზი** თურქული სიტყვაა და ნიშნავს ზღვის ყურეს.

გიმოზგონჯილი – გზა ყულევის ცენტრიდან ქარიატამდე. "სწორი გზაა. ამიტომაა გიმოზგონჯილი. კაციც შეიძლება გიმოზგონჯილი, ანუ ლამაზად გამოწყობილი იყოს".

გობორზო – ტყე ციისა და ცივის შესართავთან, სოფ. პატარა ფოთის საზღვარზე.

ენწერი – საძოვრები და ჭაობები ცივის მარცხ. მხარეს. ხარობს ხაია და ისლი.

ენწერი//მელენენწერი – დაუსახლებელი ზღვისპირი ხობისწყლიდან ჭურიაწყარამდე. ამ ორ მდინარეს შუა 7 კმ-ია.

ენწერძგა "ეწრის ნაპირი" – საძოვარი ენწერისპირზე.

ზღვაპიჯიშ მინდორია – მინდორი ზღვის ნაპირზე.

ია(ნე)შ ნაკარუ//იანიშ ნაკარუ – ზღვისპირა მინდორი.

იანიშ ნაკარუ – მინდორი. იგივე ია(ნე)შ ნაკარუ.

კემხელი//ქემხელი – სოფ. ყულევისა და მდ. ხობისწყლის სახელწოდება შუა საუკუნეების ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების მიხედვით. თ. ბერაძის აზრით, კემხელი ერქვა დღევანდელ ყულევს. ჯიჰან-ნუმეს რუკაზე კი რიონიდან ჩრდ-ით პირველ მდინარეს ეწოდება ქემხელი (ქათიბ ჩელები 1978, გვ. 58-59).

კორტაშ თხორილი – არხი, ცივის მარჯვ. შენაკადი. კორტავამ გაათხრევინა ხეტყის გამოსატანად. **თხორილი** "თხორილი; არხი".

კულე – სოფ. ყულევის იშვიათი ვარიანტი.

ლეკუხონი – ტყე ხობისწყლის მარჯვ. მხარეს. **ლეკუხა** "ხეჭრელი".

ლემეციშ თხორილი – ერქვა არხს კორტაშ თხორილის გვერდით. გერმანელებს გაუთხრევენიებიათ ხეტყის დასაცურებლად.

მელენენწერი "გალმა ეწერი" – ზღვისპირი. იგივე ენწერი.

ნანგურ – სახნავი სასიჭინაში. იღვა აგურის გამო-საწვავე ღუმელი.

ნადარაიეფიშ მუხური – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ნაპირზე.

ნაზავოდუ – მინდორი მდ. ცივის მარცხ. ნაპირზე. აქ ჰქონიათ **ზავოდი** – ხეტყის სახერხი ქარხანა (რუს.).

ნაოხვამ – ნაეკლესიარი სოფლის ცენტრში. ახლა წყლითაა დაფარული.

ნაქობალუ "ნახორბლევი" – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში.

ნაშენმუხური – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში.

ნაჭვიტყა "ტყედამწვარი" – ტყე ციის ზემო წელზე.

ნო'ორღალ – ერქვა დელეს. გალიოდა სასიჭინადან და ერთოდა ცივის არხს.

პალიასონი – ტბა. იგივე პალიასტომი.

პალიასტომი//პალიასონი – ტბა ენწერში, ციის სიახლოვეს. ზედაპირი 2 ჰა. ფოთის პალიასტომისაგან გამოყოფს მდ. რიონი.

პეტრეიაშ მუხური – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. ჭალაში.

სასიჭინა – უბანი ხობისწყლის მარცხ. მხარეს.

საშონიო – უბანი სოფლის ცენტრსა და სასიჭინას შუა.

სახარჩილო – ერქვა უბანს გაღმა ქარიატის საზღვართან. ესახლნენ ხარჩილავები. გადავიდნენ ქ. ფოთში.

სუმჯა "სამი ხე" – საძოვარი საბაჟოს საზღვარზე.

ტყაშტვა "ტყისპირი" – საძოვარი ენწერისა და ტყის საზღვარზე, ციის ნაპირას.

უნა დაღუ – მუნჩიის ტოტი, გაივლის მადგუმუს და ყულევში უერთდება ხობისწყალს მარჯვნიდან.

ფართო წყარი – ტბა რიონის მარჯვ. მხარეს. ყულევის ცენტრიდან 7 კმ-ზე.

ქემხელი – იგივე კემხელი.

შონიეფიშ თხორილი – არხი. სასიჭინას აერთებდა ცივის არხთან. თხორილი "ნათხარი, არხი".

ჩექმაშ ნახეკა – მიწაზვინული. იგივე ჩექუა.

ჩექუა/ჩექმაშ ნახეკა – მიწაზვინული ზღვის პირას, ნაბადა-ყულევის გზაზე. თეთრი ქვა-სვეტი იყო ჩასობილი. ხალხური ეტიმოლოგია: ყულევიდან ფოთისაკენ მიმავალი ჯარი აქ იფხეკდა ჩექმას. ჩექმაშ ნახეკა "ჩექმის ნაფხეკი" ხშირად გვხვდება მცირე ბორცვების სახელებად.

ცია – ლეღე, ცივის (არხის) შენაკადი. იწყება კადალიონში (ჭალა-დიდი). სიგრძე 7-8 კმ.

ცივი – არხი, ხობისწყლის მარცხ. შენაკადი ზღვიდან 1 კმ-ზე. მას ცია ერთოდა მარცხ. მხრიდან.

XVI ს. პირველ ნახევარში ცივი, რიონს კი არ უერთდებოდა, არამედ მიედინებოდა მის პარალელურად და არც ისე შორს. ლევან დადიანის (1611-1657 წწ.) ერთ-ერთ სიგელში ნათქვამია, რომ სახოფოს საზღვრებია მდ. ცივი და მდ. ჭურია: "ჭვირიას და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა ხოფისა ღმრთისმშობელისა არის უცილობელი" (ხობის მონასტერი, 2000, გვ. 45). მაგრამ შემდგომში ცივი შეუერთდა რიონს რადგან რიონმა, როგორც სჩვევია, ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლა. ამიტომ მდინარე ცივი ამჟამად ორია: ერთი – რიონის მარჯვ. შენაკადი და მეორე – ხობისწყლის მარცხ. შენაკადი, რომელსაც შერჩა სახელი ცია. XX ს. 30-იან წლებში ცივი ორ არხში გადააგდეს – ცივი რიონისა და ცივი ხობისწყლისა. ხობისწყლის ცივი ორ არხშია განაწილებული – ლუბეკი (მარჯვენა არხი. ლუბეკი ერქვა ექსკავატორს,

რომელსაც ქ. ლუბეკში უშვებდნენ) და მეორე მაგისტრალური არხი (მარცხენა არხი). ცია მცირე მდინარეა, ერთვის ცივის არხს მარცხ. მხრიდან ყულევის სიახლოვეს (ინფ. მოწერელია ალექსანდრე, 81 წ., ქ. ფოთი).

ჭიპეში//ჭიფეში – ტყე მელენეწერში, ჭურიაწყარსა და ხობის-წყალს შუა. სიგანით 100 მეტრია. ამიტომაც **ჭიფე** "ვიწრო".

ჭიფეში – ტყე იგივე ჭიპეში.

ჯაფმა – სახნავები სასიჭინაში, ხობისწყლის მარცხ. ჭალაში.

ჯიხა "ციხესიმაგრე" – ნაციხარი ხობისწყლის მარცხ. მხარეს.

შუა ხორგის თემის საკრებულო

შუა ხორგის თემის საკრებულო – საკრებულო ხობის რ-ნში, ოდიშის დაბლობზე, ხობისწყლის ორივე ნაპირზე. შედის გამოღმა შუა ხორგა (ც.), გაღმა შუა ხორგა, ყორათი. ინფ.: "ხორგა ეწოდებოდა ვრცელ ტერიტორიას ხობიდან ყულევამდე, ხობისწყლის ორივე მხარეს. ეს ტერიტორია პირველ ხორგასა და ქარიატას შუა მდებარეობს, ამიტომ ეწოდება შუა ხორგა".

მეგრულში **ხორგ-** ფუძისაგან წარმოქმნილი ზმნები გამოხატავენ (სხვადასხვა ზმნისწინებით): 1. ჩახერგვას (გოხორგუა "ჩახერგვა" – მდინარის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე ხერგილის გაკეთება); 2. დახვავენბას, ბარაქიანობას (დოხორგუა "დახვავენბა"). საერთოდ, ქართველური ენებისათვის სავარაუდო **-*ხარგ** ფუძის რეფლექსები ჩანს ქართ. **ხერგი** (← ხარგ) და მეგრ. **ხორგ**, **ხურგ**: ლაზ. **ხორგ**. ზმნური ფუძე რაიმეს დახვავენბასაც აღნიშნავს (მაგ. წყლის მიერ ხეტყის ერთგან მიყრას) და ხელოვნურ თუ ბუნებრივ ხერგილსაც. ხორგელები დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მიწა ხვავიან-ბარაქიანია და ამიტომ ეწოდება ხორგა. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ხობისწყლის ტოტებზე ხშირად დგამდნენ ხორგას – ქვის ან ხის ტოტების საგანგებო ხერგილს, სადაც თევზი საზამთროდ იბუდებს და ადვილი დასაჭერი იყო. ინფ. გ. ბარამია: "ბაბუაჩემი, რომელიც 123 წლისა გარდაიცვალა, ლაზეთში ხშირად დადიოდა, ამბობდა, რომ იქ ხორგა ნიშნავს დოვლათიან ადგილს. ჩვენშიც ასეა".

შუა ხორგის თემის სამივე სოფელში 1996 წელს მკვიდრობდა 112 კომლი (სათანადო მონაცემები წარმოდგენილია სოფლების მიხედვით. ცნობა შეუღლებია საქმის

მწარმოებელ მაგული გეასალიას. ხელს აწერს გამგეობის თავრე ზ. სსულუხია).

2002 წელს შუა ხორგის თემის საკრებულოში ცხოვრობდა 1449 სული (კაცი – 680, ქალი – 769). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

გამოდმა შუა ხორგა – 689 სული (კაცი – 315, ქალი – 374).

გაღმა შუა ხორგა – 478 სული (კაცი – 226, ქალი – 252).

ყორათი – 282 სული (კაცი – 139, ქალი – 143).

ხორგა, ფაქტია, უწინ ვრცელ ტერიტორიას ერქვა მდ. ხობისწყლის ორსავე ნაპირზე. ამჟამად აქ ოთხი საკრებულო (ახალსოფლის, პირველი ხორგის, შუა ხორგის, ქარიატის) საკრებულო და ცხრა სოფელია. ოთხი სოფლის აახელწოდება შეიცავს სიტყვა ხორგას: გამოდმა შუა ხორგა და გაღმა შუა ხორგა შუა ხორგის თემის საკრებულოში; გამოდმა პირველი ხორგა პირველი ხორგის სოფლის საკრებულოში და გაღმა პირველი ხორგა ახალსოფლის თემის საკრებულოში. ვახუშტი ბატონიშვილი მდ. ხობისწყალს მხოლოდ ხორგის წყლის სახელით მოიხსენიებს: "ამ ფოთის ჩრდილოთ კერძ შესდის ზღუას ხორგის წყალი. მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან, ზღუს კიდესა შენისა, სადაც არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა" (ვახუშტი, 1973, გვ. 778). ხალხური ეტიმოლოგია: ხორგა იმიტომ დარქმევიან, რომ ყველაფერი უხვად იყო ("ირფელი ხორგ.დ").

გამოდმა შუა ხორგა

გამოდმა შუა ხორგა – სოფელი და შუა ხორგის თემის საკრებულოს ცენტრი, ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობისწყლის მარჯვ. ნაპირას, გამოდმა პ. ხორგასა და გამოდმა ქარიატას შუა, ხობი-ყუდევის გზატკეცილზე. ზ.დ. 9 მ. ხობიდან 11 კმ.

გამოდმა შუა ხორგაში 1996 წელს მკვიდრობდა 37 გვარი. მათგან კომლმრავალი იყო: ბერაია – 36 კ., ჯობავა – 18 კ., წულაია – 18 კ., დათუაშვილი (ადგ. დათუასკუა) – 12 კ., ცირდავა – 12 კ., ქირია – 11 კ., შენგელია – 10 კ., ლურჯია – 9 კ.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ (1984 წ.), პ. ცხადაიამ (16.08. 91). ინფორმატორები იყვნენ 1984 წელს:

- ბერაია ზაურ ვასილის ძე, 45 წ.
- დოღბაია შოთა ბიქტორის ძე, 71 წ.
- ჯობავა ბაგრატ მურზაყანის ძე, 78 წ.
- 1991 წელს:
 - ბარამია გივი ერმინეს ძე, 65 წ.
 - დოღბაია შოთა ბიქტორის ძე, 88 წ.
 - კიზირია ვესევი ანდრიას ძე, 62 წ.
 - სხულუხია ზურაბ ზეზიკოს ძე, 35 წ.
 - ჯობავა ალიოშა გრიგოლის ძე, 55 წ.
 - ჯობავა ბაგრატ მურზაყანის ძე, 85 წ.

ამტონიშ სორო – გრძელი ტბორი ღადიდის მარჯვ. მხარეს. ამტონი კაცის სახელია, იგივე ანტონი.

ასუა – დეღე, მუნჩიის შენაკადი და მიმდებარე ტყე.

ბერულეფი – მინდორი. იგივე ბერულეფიშ ნაკარუ.

ბერულეფიშ ნაკარუ/ბერულეფი – მინდორი საგიგ(ი)ბერიო ო'უნეში, სადაც სოფ. კურზუს (მარტვილის რ.) საქონლის ფერმა იდგა. ბერულავეები მწყემსები იყვნენ.

ბულნანთხორა – სახნავი საბერაიოში, ღადიდის მარცხ. მხარეს. ნანთხორა, ანუ ნათხარი, ე.ი. არხი, არსად ჩანს.

გიგბერიაშ ნადიხუ – სახნავი საშენგელიოში.

გიოშხაპუ – დეღე. იგივე გიოჩხაპუ.

გიოჩხაპუ/გიოშხაპუ – დეღე, ასუას შუა წელი. ქვემო წელზე ეწოდება წყაბუ. "მცირე-მცირე ჩანჩქერები აქვს და

წყალი შხეფებს ისვრის. ამიტომ დარქმევია". მეგრ. ჩხაპუა იგივეა, რაც ქართ. შხაპუნი.

დოფაჩილი – ნატბევარი გამოღმა პ. ხორგის საზღვართან. **დოფაჩილი** "დაფენილი" (ღელე მოდიოდა და აქ ფართოდ იშლებოდა).

ზანაღალუ – ღელე საჯობაში, სკვიის მარცხ. შენაკადი. გადააზრების ნიადაგზე ზოგი ზინაღალუსაც უწოდებს.

ზინაღალუ – ღელე. იგივე ზანაღალუ.

კვარაცხელიაშ ნაკარუ – საძოვარი ბერულეფთან.

კინტირიაშ ჭალე – სახნავი ხობისწყლის ჭალაში. ეკუთვნოდა მღვდელ კინტირია პაპას (კვირკველიას).

კოკი/კოკმუხური – სახნავი ხობისწყლის მარჯვ. მხარეს. კოკი კაცის სახელია.

კოკმუხური – სახნავი. იგივე კოკი.

ლეფონასკური//ლეფონასხული – ღელე საჯობასა და საწულაიოს შუა. იწყება ჭეჭყობიდან. გაედინება საბერაიოში და ერთვის ღადიდს. სიგრძე 1,5 კმ. კალაპოტი წარმოადგენს ხევს. "ტერიტორია ეკუთვნოდა პახვალა ლეფონას და სახელიც აქედან მიუღია. ლეფონჯა აქ არ იცის". **სკური** ტყიან-ხევიანი მდინარეა.

ლეფონასხული – ღელე. იგივე ლეფონასკური.

ლეფონაშ მუხური – სახნავი ლეფონასკურთან.

ლიპარიშ სორო – ხევი, ტბა ჯიბადურის მარცხ. მხარეს. ლიპარი იმ კაცის სახელია, ვისაც ამ ხევის ნაპირზე სახნავი ჰქონდა.

მოჭვილხაიონი – ტყე-საძოვრები ასუას მარჯვ. მხარეს. შემოდგომაზე ჭრიდნენ ხაიას სახლის სახურავად, ხოლო გაზაფხულზე მოწვავდნენ ("გაზარხულს მოჭუნდეს"). **მოჭვილი** "მომწვარი, გადამწვარი; შეტრუსული".

მუნჩია – ღელე, ერთვის ჭურიას.

ნატაბაღუ – ტყე.

ნოქორენი – გიოჩხაპუს მონაკვეთი ჯიბადურთან. სახელდების მოტივაცია უცნობია.

ობამბუკე – მინდორი ო¹უნეში, პ. ხორგის საზღვარზე. ბამბუკი გააშენეს და ვერ იხეირა.

ოკაწიონი "ხერთვისი" – გიოჩხაპუს ის მონაკვეთი, სადაც მას რამდენიმე უსახელო პატარა ღელე ერთვის.

ოკიბორჩხალე "საკიბორჩხლე" – ღელე, ასუის მარჯვ. შენაკადი.

ონოშქერე "სანახშირე" – ერქვა ტყეს მუნჩიის მარცხ. მხარეს. "მუხის ნახშირს ამზადებდნენ. შეშა გრძელ ორმოში იწვეებოდა და საჭირო დროს წყალს ჩაასხამდნენ".

ოტ(ო)რონჯე "სამტრედე" – ტყე სოფ. გამოდმა პ. ხორგის საზღვართან.

ო¹უნე – ამადლებული ვაკე ასუის ნაპირზე. ტყე იყო და მწყემსის კარვები იდგა. **ო¹უნე** საყანეა, მაგრამ ადგ. ინფორმატორთა აზრით, აქ, მშრალზე, გზა გადიოდა ("შარა გე¹უნდუ") და ამიტომ ერქვა **ო¹უნე**, "გასაყოლი".

ო¹უნეშო ხაიონი – ერქვა ისლნარს ასუის მარჯვ. მხარეს.

ოჩაიე – მინდორი სკვიის მარჯვ. მხარეს, საჯობაში.

ოჩხომური – ღელე, მუნჩიის შენაკადი.

საბა ქირიაშ ნაკარუ – მინდორი გიოჩხაპუს მარჯვ. მხარეს.

საბერაიო – უბანი, ხობისწყლის მარჯვ. მხარეს. გამოდმა ქარიატის საზღვართან.

საგი(გ)ბერიო ო¹უნე – მინდორი ო¹უნეში. ეკუთვნოდათ გიგიბერიებს სოფ. ქარიატიდან.

სადოლბაიო – უბანი პ. ხორგასა და საჯობას შუა. ცხოვრობენ დოლბაიები.

სანახსონი – სახნავი საბერაიოში. ინფ.: "მე კი არა, მამაჩემმა და ბაბუაჩემმაც არ იცოდნენ, თუ რას ნიშნავს ეს სახელი".

სასქური – ღელე, სკვიის შენაკადი. სავარაუდოა შქა სქური → სქასქური → სასქური.

საშენგელიო – უბანი საბარამიოსა და საწულაიოს შუა, ხობი-ყულევის საავტ. გზაზე. აქაური შენგელიების წინაპრები ჩამოსულან ჭოლიდან (ჩხოროწყუს რ-ნი).

საწულაიო – უბანი სოფლის ცენტრში. ცხოვრობენ წულაიები.

საჯობა(ო) – უბანი ხობისწყლის მარჯვ. მხარეს, ხობი-ყულევის საავტ. გზაზე. აქაური ჯობაეები ილორის ეკლესიაში აგზავნიდნენ ხურდა ფულს, ხოლო რეჩხის (გალის რ.) ჯობაეები აქ ჩამოდოდნენ ჯინჯიხატის მოსალოცავად.

საჯობაო¹უნე – მინდორი ო¹უნეში.

სკვია – დელე, ტყე, სახნავი. დელე უერთდება ასუას.

სკვიაშ ხაიონი – ისლნარი სკვიის მარჯვ. მხარეს.

სკურჩა – დელე. გაედინება ტობაშიდან და ერთვის მუნჩიას. სკურჩა ← სკურუჩა "შავი სკური".

სხულფონი "მსხლის ფონი" – ტყე და ფონი მდ. ჯიბადურზე. უწინ ამ ფონთან მსხალი მდგარა.

ტობაში – ღრმა წყალი, ჯიბადურის მონაკვეთი.

ტყაური – სახნავი ტყესთან. საერთოდ, **ტყაური** ეწოდება ტყისპირა სახნავს.

უჩა დალუ – სკურჩის ქვემო წელი ჯიბადურსა და მუნჩიას შუა. გაედინება გამოდმა ქარიატაში.

დადიდი (← დალდიდი "დიდი დელე") – დელე. იწყება საჯობაოში, ასუასა და ლეფონასკურს შუა. გაედინება გამოდმა ქარიატაში

დალიჩა//დალუჩა – დელე. ტყეში იღებს სათავეს და უერთდება მუნჩიას.

დალუჩა – დელე. იგივე დალიჩა.

ჩეჯალონი (← ჩეჯა "აღვის ხე") – ტყე ოკიბორჩხალის მარჯვ. მხარეს.

ხაიონი (← ხაია "ისლურა") – ერქვა ისლნარს საჯობაოში, სკვიის მარჯვ. მხარეს.

ხატმუხური – საძოვარი გამოდმა ქარიატის საზღვარზე.

ხობწყარი – მდინარე. გამოდმა შუა ხორგას გამოყოფს გადმა შუა ხორგისაგან. ერთვის შავ ზღვას ყულევთან.

ჯაიანიშ მუხური – სახნავი ხობისწყლის ნაპირას. ერთი ნაწილი შუა ხორგას ეკუთვნის, მეორე ნაწილი – ქარიატას.

ჯამპონი "თუნარი" – ტყე ოქუნისა და ჩეჯალონის გვერდით.

ჯადურელი – ტყე ასუასა და მუნჩიას შორის.

ჯაჭყონა – ერქვა მუხნარს ჯიბადურის მარცხ. მხარეს. ჯაჭყონი "მუხა → ჯაჭყონონა "მუხნარი" → ჯაჭყონა (ან: ჯაჭყონი → ჯაჭყონა. -ა მატოპონიმებული სუფიქსია)

ჯიბადური – დელე, ტყე. დელე მუნჩიის შენაკადია.

ჯიხა – საკარმიდამო საწულაიოში, ლეფონასხულის მარჯვ. მხარეს. მოსწრებიან ციხესიმაგრის ნაშთს.

გადმა შუა ხორგა

გადმა შუა ხორგა – სოფელი შუა ხორგის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, მდ. ხობისწყლის მარცხ. ნაპირას. ზ.დ. 10 მ. ხობიდან 12 კმ. ჭალადიდის რკინიგზის სადგურიდან 5 კმ.

1996 წელს გადმა შუა ხორგაში მკვიდრობდა 42 გვარი. მათგან მრავალკომლიანია: ნასარაია – 18 კ., ლატარია – 16 კ., ბერაია – 10 კ., თორია და ყურუა – 7-7 კომლი.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ 1984 წელს მასწავლებელ უშანგ ბიქტორის ძე ლატარიასაგან (58 წ.) და პ. ცხადაიამ 1991 წელს. ინფორმატორები იყვნენ:

ბერაია ნოდარ სარდიონის ძე, 34 წ.

კილასონია ალექსი დიმიტრის ძე, 82 წ.

ლატარია უშანგ ბიქტორის ძე, 64 წ.

ლეფსაია კალისტრატე დომენტის ძე, 72 წ.

მირცხულავა ჭიჭიკო (კონსტანტინე) ანთიმოზის ძე, 62 წ.
ჭითაშვილი აბელ გიორგის ძე, 64 წ.

ბესანადელი – ტყე-მინდვრები ზღვაიის მარჯვ. მხარეს.
ბესა აქ ამუშავებდა ნადელს. **ნადელი** (რუს.) მეფის
რუსეთში ერქვა მიწის ნაკვეთს, რომელსაც გლეხის ოჯახს
აძლევედნენ სარგებლობისათვის (საზღაურის ფასად). შდრ.
მეგრ.: ნადველი, ნოდველი "ნადები". იგულისხმება ამა თუ
იმ პირის ნადები (საკუთრებაში ნაქონი) მიწა.

გაგულიაშ მუხური/გაგულიაშ ჭალე – სახნავი ხობის-
წყლის რკალში. "მუხური ჰქვია მშრალ ჭალას, რომელიც
მდინარის რკალშია მოქცეული. გაგულია გვარია".

გაგულიაშ ჭალე – სახნავი. იგივე გაგულიაშ მუხური.

გოგუაშ გიმნა(ნ)თხორა "გოგუას განათხარი" – ერქვა
არხს, რომელიც საგვალიოტყას აკავშირებდა ჭალადიდის
რკინიგზის სადგურთან. გათხარა გვარად გოგუამ და თვით-
ვე გაჰქონდა ხეტყე ნავით.

გუგუაშ გიმნათხორა – სათევზაო ადგილი ხობის-
წყლის ნაპირას.

ვანოშ კარე – საძოვარი ყოფილი ნაკრძალის ტერიტო-
რიაზე.

ზღვაია – მდინარე, იწყება ზემო ქვალონში, მოედინება
ხანჭკოლის პარალელურად, გაივლის ახალსოფელს, გადმა
შუა ხორგას (სალატარაიოში) და უერთდება ყორათწყარს.

ზღვაიაშპიჯი – ერქვა საძოვარს ზღვაიის ნაპირზე.

ლანჯიშ ოლონტყეში – ტლაპო-სალაფაო სანასარაი-
ოში, ოკვინორის მარჯვ. მხარეს. **ლანჯი** "კოპიტი" იდგა
ოლონტყეშის ("სალაფაოს") ნაპირას.

ლუბეკი – ერქვა არხს, რომელიც გადიოდა ყორათში.
"ლუბეკი ექსკავატორია. ლოანდაგზე იდგა და არხს თხრი-
და". ლუბეკი არის ქალაქი გერმანიაში.

მადლეკი – დეღე, ყორათის მარჯვ. შენაკადი. იწყება
სანასარაიოში და გადის ყორათში. "მრუდედ მიედინებოდა,

ამიტომაც მაღლეკი". მაღლეკი სხვაგანაც ეწოდება გამრუდებულ ღელეს.

მკობირი "ჩამონარღვევი" – ერქვა მორევს ხობის-წყალზე, სახოჭოლაოში. მორევი ჩამორღვეულ-ჩამოშიშვლებული ფლატის ძირსაა.

მკობირიშ **ფერღევი** – სახნავეები მკობირთან.

ნაწისქვილ – ერქვა ნაწისქვილარს ზღვიაზე.

ნაჭვი კარე "დამწვარი სადგომი" – საძოვარი ო¹უნეში.

ნაჭვი პალოტი – ტყე-ჭაობი ოკვინორესთან.

ოკამბეშე "საკამეჩო" – ტლაპო სანასარაიოში.

ოკ(ვი)ნორე – ტყე. მდებარეობს ლუბეკის გვერდით. **კვინორი** "კვერნა" → ოკვინორე "საკვერნე" → ოკნორე.

ოკნორეპიჯევი – სახნავეები ოკ(ვი)ნორეს ნაპირებზე.

ონიშალე "სანავე" – საბერაიოშ დალის ქვემო წელი. აქედან ნავეებით გადიოდნენ ყორათში და თევზაობდნენ ბაქირსა და ოკაწიონში.

ონაიე – მინდვრები ზღვიას ორივე ნაპირზე, ერთ დროს ჩაი გააშენეს, მაგრამ ვერ იხეირა.

საბერაიოშ დალ – ღელე, ციის შენაკადი. იწყებოდა ქარიატაში, საბერაიოს უბანში და გადაჭრიდა სოფ. გაღმა შუა ხორვას.

საგვალიო – ერქვა გვალიების უბანს. შემდგომში ლატარაიები მეტნი გახდნენ და ეწოდა სალატარაიო.

საგვალიომუხური – ერქვა სახნავს ხობისწყლის ჭალაში, საგვალიოსთან.

საგვალიოტყა – ერქვა ტყეს საგვალიოში, ყორათწყარის მარჯვ. მხარეს.

საგვაჯაიოშ ტყა – ტყე სალატარაიოში.

სალატარაიო – უბანი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფ. ახალსოფლის საზღვართან. იხ. საგვალიო.

სამურღულიო – უბანი ხობისწყლის მარცხ. მხარეს, ხობი-ფოთის საავტ. გზაზე.

სანასარაიო – უბანი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, სოფ. გაღმა ქარიატის საზღვართან. ნასარაია გვარია.

სანასარაიოშ ტყე – ტყე, სამოვარი, ბუჩქნარი მდ. ხობისწყალსა და ლუბეკს შორის.

სანასარაიო(შ)ჭალე – ჭალა-სახნავეები ხობისწყლის ნაპირზე.

საჭითასქუო – ტყე ხობისწყლის მარცხ. მხარეს. ეკუთვნოდათ სანასარაიოს უბანში მცხოვრებ ჭითა-შვილებს.

სახოჭოლა – უბანი ხობისწყლის მარცხ. ნაპირას, სანასარაიოსა და ხობი-ფოთის საავტ. გზას შუა.

სახოჭოლაჭალე – ხობისწყლის ჭალა სახოჭოლაში.

ტუბუკი//ნატუბუკ//ნატუპიკ – ერქვა ვიწრო ლიანდაგს ხობისწყლიდან სოფ. ჭალადიდან. მასზე მოძრაობდა "კუკუშკა". შებმული იყო ცხენები ან კამეჩები, გადაჰქონდა ხეტყე რკინიგზამდე. სიგრძე 4 კმ. შემდგომში ძირითადად ამ ნალიანდაგარს გაჰყვა საავტომობილო გზა. სავარაუდოა, რუს. → მეგრ. ტუპიკი, ტუბუკი.

ფართო მინდორი – ერქვა მინდორს სალატარაიოში.

ღაიაშპიჯი – ერქვა ტყეს სახელმწიფო ნაკრძალში.

ღულა პალოტი – ტბორი საგვასალის შემოგარენში.

ყორათი

ყორათი – სოფელი შუა ხორგის საკრებულოში, ყორათწყარის ნაპირებზე, ქარიატა-ჭალადიდის გზაზე. ზ.დ. 10 მ. ხობიდან 17 კმ.

ყორათი ერქვა მდინარეს. ჩაუშვეს არხში, რომელსაც ოფიციალურად ეწოდა ყორათის არხი (ხოლო ხალხში ცნობილია როგორც ლუბეკი). XX ს. 30-იან წლებში ყორათი დაერქვა სოფელსაც მდ. ყორათის ნაპირებზე, ფოთი-ხობის საავტ. გზაზე. ამის შემდეგ მდ. ყორათი მოიხსენიება როგორც ყორათწყარი. ესაზღვრება ქვემო ჭალადიდისა და

ქარიატის საკრებულოები. სოფელი შეიქმნა გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ("ომის შემდეგ"). აქ გადის ლუბეკი, ხანჭკოლა, ტუბუკი, ოკვინორე, ოკაწიონი. აქვე ერთდებოდა ყორათი და ხანჭკოლა.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერა პ. ცხადაიამ 1991 წელს. ინფორმატორები იყვნენ:

შეროზია ხუტა იაგორის ძე, 73 წ.

ქანთარია შოთა რომანის ძე, 69 წ.

ჭითაშვილი ბარნაბა (გუდუ) გოგის ძე, 81 წ.

ბაქირი "დატბორილი" – ერქვა ციისა და ყორათწყარის შესართავს. წყალი ამჟამად ყორათის არხში მიედინება. ინფ.: "გინაბაქა რდ., თეკი იბაქუუდუ წყარი".

ოკაწიონი – ყორათწყარის და ხანჭკოლის შესართავი.

ოკ(ვი)ნორე – ღელე, ყორათწყარის მარჯვ. შენაკადი.

ყორათწყარი – ეწოდა ყორათს მას შემდეგ, რაც ყორათი სოფლის სახელად იქცა. უერთდებოდა ციას ბაქირთან.

შქაშ ოკნორე – ერქვა მცირე ღელეს ოკნორესა და ყორათს შუა. ერთოდა ყორათწყარს.

ჩერბაკი – ერქვა არხს ყორათში. "ჩერბაკი იყო პატარა ციცხვიანი ექსკავატორი. შიგ არხში იდგა და თხრიდა".

ცი(ა) – მდინარე, ხობისწყლის მარცხ. შენაკადი ბაქირთან. იწყება საგვიჩიოსა და საღვამიჩავოში. ფაქტობრივად, არის ცივის ნაშთი. მარჯვ. მხრიდან იერთებს ყორათწყარს.

ჭითაშიაშ ნაშქვიდუ – ღელე, ყორათწყარის მარჯვ. შენაკადი. "ჭითაშია ერქვა ძროხას, რომელიც აქ ჩაიხრჩო".

ხანჭკოლა "ხანჭკოლა" – ღელე, ყორათწყარის მარჯვ. შენაკადი.

ძველი ხიბულის სოფლის საკრებულო

ძველი ხიბულა – სოფელი და სოფლის საკრებულო ხობის რ-ნში, მდ. ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირზე. ზ.დ. 170 მ. ხობიდან 25 კმ.

ძველი ხიბულის ცენტრში, სქურჩის მარჯვ. ნაპირას, იყო ეკლესია "მთავარანგელოზი". სოფლის სახელწოდების ადგ. ვარიანტია: ჯვეშხიბლა. ახალხიბულისა და ძველი ხიბულის უწინდელი (საერთო) სახელია ხიბულა.

ხალხური ეტიმოლოგია: ახიბ აფხაზური სიტყვაა და ნიშნავს "მომწონს". ასე უთქვამს მათა დადიანს და მერე დარქმევია ხიბულა (სინამდვილეში ხიბულა დიდი ხნით ადრე ერქვა ამ სოფელს – პ. ც.)

სოფელი ხიბულა არაერთგზის არის მოხსენიებული საეკლესიო საბუთებში. 1621 წელს შედგენილ "აფხაზეთის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში" აღნიშნულია: "არს ხიბულას სასახლე და გამოსავალი მართებული მოსაკრებლობა", სადაც ჩამოწერილია, თუ რა სახის ბეგარა მართებთ ამ სოფლის საეკლესიო გლეხებს. დასახელებულნი არიან: უჩაკოჩი ქარცხია, ხუტკუბია ქარცხია, გამიგონა ქარცხია, ამარხალა ქარცხია, მახოლა ქარცხია, გუგუტა ქარცხია, მახუტოლა ქავთარია, გუგუ ქავთარია, გუგულა ქავთარია, იოვანე ქავთარია, ქირსეკოჩი ქავთარია, ქეკოჩი ბკერალია, უმეყოთა ბკერალია, გამიგონა ლომია, მისკუამა ლომია, კუატა ლომია, სომიხერდა ლომია, მახუჭაბა ლომია, უღვინობა ქარცხია, დანდალეი ქარცხია, ინე ქარცხია, კუჭულეი ქავთარია, უჩაია ქავთარია, ჯგეკოჩი ქაჯიანია, უჩყინარა ქავთარია, ობიშხა ქავთარია, მახარებელ ზარქუა, მახუტია ზარანდია, კოჩა ზარქუა, სეფეემა კაჭუა, თოლიშია ზარქუა, კაკაკოჩი უჩაა,

ქომიხერდა დოდუზია, გიორგი ჩიტაია, იანა თომაია, ხახულარა ლომაია, ქირსებნა ლომაია, თაიმაზა ლომაია, ბაბადიბა ლომაია, ივანე ლომაია, თოლიორქო ლომაია, თოსკუამია ლომაია, ხუტკუბია ხარჩავია, კაკაჩიტა ნოლაშავრია, კიდულეი ქავთარია, კიზულეი ქავთარია, მაჭუჭია ქავთარია, ხუტალეი ქავთარია, ამარცალა ქავთარია, უსკუამადა ქავთარია, მაჭიხოლა ქავთარია, სომიტერდა ქავთარია, გინაგონა ლომაია, ჭოჭოლეი ქარცხია, კაჭუჭია ბაკურია. ბოლოში კი ნათქვამია: "არს ხიბულას გლეხი ჯუმლად ორმოცთურამეტი (იხ. ქსმ, III, გვ. 414-419. იხ. აგრეთვე: გვ. 502, 648, 670).

სავარაუდოდ 1616-1621 წწ. შედგენილ "კათალიკოს მაღაქიას მოლაშქრე კაცთა ნუსხაში" აღნიშნულია: "არის ხიბულას აზნაურისშვილი და მსახური 30" (იქვე, გვ. 481; იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 502). 1706 წელს დაწერილ საეკლესიო საბუთში კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე წერს: "არმანია ყვაპსეული კაცი მაგიერშიდ ამოვიყვანეთ და ხიბულას დავასახლეთ" (იქვე, გვ. 648; იხ. აგრეთვე: გვ. 470). ხიბულა დასახელებულია არქანჯელო ლამბერტის "სამეგრელოს რუკაზე", რომელიც ჩართულია 1654 წელს ნეაპოლში გამოცემულ "სამეგრელოს აღწერაში" და აგრეთვე ამავე წლით დათარიღებულ ე.წ. ლათინურენოვან რუკაზე (პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა). ამის გარდა, ქრისტოფორო კასტელის (XVII ს. პირველი ნახევარი) ნახატების ალბომში ეკლესიის გამოსახულებას ქვეშ მიწერილია: "სოფ. ხიბულის მთაზე ეკლესია" (სურათი № 454, გვ. 174).

დავით დადიანისეულ ადმ.-ტერიტ. დაყოფისა და თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების კომპლობრივი აღწერის (1886 წ.) მასალებში სოფელი ხიბულა დასახელებულია ზუგდიდის მაზრის შემადგენლობაში. ხიბულის იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირზე, მოგვიანებით დაერქვა ძველი ხიბულა და გამოიყო ცალკე სოფ. საბჭოდ. "საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის" 1930 წლის გამოცემის მიხედვით,

ხობის რაიონში გამოყოფილია ახალხიბულის სასოფლო საბჭო, რომელშიც შედის სოფლები: ახალხიბულა (ც.), გაშფერდი, პირველი ზუბი და ხიბულა. ამ უკანასკნელში ცხოვრობდა 587 კომლი (2432 სული).

1997 წ. სოფ. ძველ ხიბულაში მკვიდრობდა 61 გვარის 276 კომლი. მათგან მრავალკომლიანი გვარებია: ქავთარაძე – 31 კ., ღურწკაია – 30 კ., ჯაკონია – 24 კ., ქვარაია – 17 კ., კონჯარია – 13 კ., ყურაშვილი – 13 კ., ქარცხია – 12 კ., ზარანდია – 10 კ., აბულაძე – 7 კ., კიტია – 7 კ., ქადარია – 7 კ., წურწუშია – 7 კ. (ცნობას ხელს აწერენ: გამგეობის თავმჯდომარე ვ. ქავთარაძე, მდივანი: ვ. ქავთარაძე).

2002 წლის მოსახლეობის პირველი ეროვნული აღწერის მონაცემებით, ძველ ხიბულაში ცხოვრობს 896 სული (მათგან კაცი – 428, ქალი – 468. ყველა ქართველი).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1983 წლის 4-6 ოქტომბერს. ინფორმატორები იყვნენ:

- არაჩემია მიტროფანე (ბაჯუ) ივანეს ძე,
- ბულაშვილი ჯოტო პავლეს ძე, 88 წ.
- ბერიზე ნუგზარ მაკარის ძე, 40 წ.
- გაწერელია ილია გიორგის ძე, 79 წ.
- გვასალია პოლიკარპე პლატონის ძე, 68 წ.
- თუთბერიძე ნუგზარ მაკარის ძე, 40 წ.
- კირთაძე იროდი გიორგის ძე, 59 წ.
- ლაკირბაია გურული პროკობის ძე, 42 წ.
- ქარცხია კოკი ძიკის ძე, 63 წ.
- ქაძანია ვალიკო იასონის ძე, 62 წ.
- ქვარაია პროფი ფარნას ძე, 72 წ.
- ქვარაია ჯუმბერ ევგრაფის ძე, 33 წ.
- ქვათაძე არტე ერმინეს ძე, 71 წ.
- ღურწკაია გუჯა ლევანის ძე, 60 წ.
- ხემინავა შაქრო პლატონის ძე, 46 წ.
- ჯაკონია იროდი პეპუს ძე, 74 წ.
- ჯაკონია მოკოღია იროდის ძე, 37 წ.
- ჯაკონია ტერენტი პავლეს ძე, 69 წ.

ამროზიშკარი – სახნავი უღუდელაღის ნაპირას.

არაბიშ წყარი//გიორგიშ წყარი – წყარო საკობახიოში.
"აქ გიორგი ლაკირბაია ესახლა. შავი იყო და არაბს ეძახ-
დნენ".

ბაბუშია//ბაბუჩიაშ ნაკარუ – სახნავი ნახაჯღალის
მარცხ. ნაპირას.

ბაბუჩიაშ ნაკარუ – სახნავი. იგივე ბაბუშია.

ბაღჩა//მარიაშ ბაღჩა – სახნავი საქანთარიოში.

ბეჩუნიაკარი – ჩაის ფართობი საყურასქულოში.

ბოგირმენჯი//ბოგურმენჯი – საძოვარი სქურჩის მარცხ.
ნაპირას. "მენჯი ყოფილა ღრმა და ბოგირით დაუფარავთ,
რათა საქონელი არ ჩაძირულიყო".

ბოგურმენჯი – საძოვარი. იგივე ბოგირმენჯი.

ბულიერი//ბულიორი – ფერდობები ტების გვერდით,
ღობერის ძირას.

ბულიორი – ფერდობები. იგივე ბულიერი.

ბურღუ – ერქვა ტყეს საქვარცხაოში.

ბურღუშ ჩაი – ჩაის ფართობი ბურღუში.

ბუჯიშ ნოხორი – ჩაის ფართობი ენწერში.

გაიოზიშ ნოხორი – სახნავი საჯაკონიოში.

გაწერელიეფიშ სუკი – სერი სოფ. ნარაზენის საზ-
ღვართან, სუჯუნაღალის მარცხ. ნაპირას.

გერასმეშ ნოხორი – მინდორი საღურწკაიოში.

გიორგიშ სუკი – ბორცვი საჩემინაოში.

გიორგიშ წყარი – წყარო. იგივე არაბიშ წყარი.

გუღუშ ნაფთურ(,) – მინდორი საბუღასქულოში. აფთურა
(ავხ.) "მწყემსის სადგომი" → ნააფთურ, → ნაფთურ,.

ღობერა – სერი სქურჩა-ჭანისწყლის გამყოფი.

ღურღენღალ – ღელე, ფართო ღალის მარჯვ. შენაკადი.
ღურღენი – 1. მაყვალი (ნაყოფი), 2. მაყვლის ბუჩქი.

ენწერი – ტყე სოფ. ნარაზენის საზღვართან, სუჯუნა-
ღალის მარჯვ. მხარეს.

ერმინეშ ბაღჩა – სახნავი ნახაჯღალის სათავესთან.

ვალღოღიაშ კარი – მინდორი საჩქემინაოში.

ვანიაშ ჭალე – სახნავი ხობისწყლის ჭალაში.

თუდოღენჭალე – ჭალა-სახნავი საქანთარიოსა და სოფლის ცენტრს შუა.

თუდოღენხიბლა – სოფლის ნაწილი სოფლის ცენტრის ქვემოთ, დას-ით.

თურქიშ ნოხორი – სახნავი დობერაში.

იაკობიშ შეკეპული – ტყე საქანთარიოში.

იონაშ ბარდი – ტყე ნოგერუანთან.

იროღიშკარი – საძოვარი საქანთარიოში.

კაკუაშ ეკალ(,) – აღმართი, ბილიკი პაპანწყვირის გვერდით, გადიოდა სოფ. ჭაქვინჯისაკენ.

კაჯაშ ოხარჩაღია – წყარო. იგივე ოხარჩაღია.

კერანდუხუშ ნოხორი – სახნავი სოფ. ნარაზენის საზღვართან. კერანდუხუ ქალის სახელია.

კერანდუხუშ წყარი – წყარო საქაძანაიოში, კერანდუხუშ ნოხორთან.

კიტაიაშ ონთხორუე "კიტაიას სასაფლაო" – მინდორი სააბულაძოში. "რევოლუციამდე ერთ კაცს მსახურად ჰყოლია სხვა რჯულისა და წარმომავლობის კაცი, რომელსაც კიტაიას ეძახდნენ მეტსახელად. მისი დამარხვა ეკლესიაში არ შეიძლებოდა და აქ მარტოკა დაუმარხავთ".

კიტეფეიშ ტობა – მორევი ჭანისწყალზე.

კოლაშკარი – სახნავი საქანთარიოში.

კოტოტობა – მორევი. იგივე ტკილტობა.

კურკუცა – ბორცვი, სასაფლაო საქარცხიოში.

კურკუცა, კურკუცია – მცირე მრგვალთავა ბორცვი.

ლაგერვანი – ბორცვი. იგივე ნაგელუანი.

ლაგერენტიშ შეკეპული – ტყე საქანთარიოში. შეკეპული "შემოკავებული".

ლეფონა – ტყე სქურჩის მარჯვ. ნაპირას. ლეფონი "ლაფანი" → ლეფონონა → ლეფონა.

ლექარცხიე – უბანი სქურჩის მარჯვ. ნაპირას. ცხოვრობენ ქარცხიეები. სხვა შემთხვევაში ამ სოფელში გვართაგან უბნების სახელების საწარმოებლად გამოიყენება მხოლოდ სა- პრეფიქსი.

ლომაკაშ ნოხორი – სახნავი სოფლის ცენტრთან.

მარიაშ ბაღჩა – სახნავი. იგივე ბაღჩა.

მენჯი "ვეძა" – დედე. საბუღასქუოდან გადის და რეყეში ერთვის უღუდედალს. მენჯი ერქვა ტლაპოსაც სოფლის ცენტრის სიახლოვეს.

მენჯიშ ჭალე – სახნავი სოფლის ცენტრსა და ჭანისწყალს შუა.

მესხეშ ნოხორი – სახნავი სოფ. ჭაქვინჯის საზღვართან. მესხია ქვრივი ქალი იყო (მესხია → მესხიხე → მესხე).

მთავარანგელოზი – საყდარი სოფლის ცენტრში, სქურჩის მარჯვ. ნაპირას.

მურზაიაშ ნოხორი – ჩაის ფართობი ლექარცხიეში. მურზაია კაცის სახელია.

მურზამიშ ნოხორი – ბორცვი, სახნავი ჯიხაფერდსა და საჭანიოს შუა.

მ.კოხილიშ ფერდი – სერი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას. **მ.კოხილი** "ჩამორღვეული ფლატე".

ნაგელუან(ი)//ნაგერუან(ი)//ლაგერვანი//ნოგერვანი – ბორცვი საქვარაიოში, ჭანისწყლისა და ერაწყარის მარცხ. მხარეს, ნახაჯღალის სათავესთან. გელოვანის (მეგრ. გელუანი) ნასახლარია. მაშასადამე თავდაპირველი ვარიანტია ნაგელუანი.

ნაგერუან(ი) – ბორცვი. იგივე ნაგელუან(ი).

ნაგერუანიშ მენჯი – ტლაპო საქანთარიოს თავზე, ნაგერუანში.

ნადოხორ – სახნავი უიმოლენჭალეში. დადიანების სანადირო ტყე იყო და სახლი ედგათ.

ნათუთუშმუ "ნათამბაქოვარი" – ჩაის ფართობი. იგივე ნაჭვი ჩაი.

ნაკობახუ – სახნავი ნაგელუანსა და საჭაქვინჯოს შუა. კობახია გვარია.

ნაოხვამ – ბორცვი ნახაჯღალსა და ურიაღალს შუა.

ნაშენჭალე – სახნავი ჭანისწყლის ჭალაში.

ნაწისქვილე – წყარო-ნაკადული, სუჯნაღალის მარჯვ. შენაკადი საცაგურიოში.

ნაწიფუ – სახნავი, სერი საჯაკონიოში, ურიაღალის მარცხ. მხარეს. ძველად წიფურიები ესახლნენ.

ნაჭვი ჩაი//ნათუთუმე – ჩაის ფართობი ენწერში. ნაჭვი "დამწვარი, ნახანძრი".

ნაქაჯიანუ – ჩაის ფართობი სქურჩის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ჭაქვინჯის საზღვართან. გადმოცემით, აქ ქაჯაიები ცხოვრობდნენ.

ნახაჯღალ – დელე, სქურჩის მარცხ. შენაკადი. იწყება საქვარაიოში, გაივლის დობერასა და ჭანისწყალს შუა. ნახაჯი "ნაცერცვალი".

ნინოშ ნოხორი – სახნავი საჭანიოში.

ნოგერვანი – ბორცვი. იგივე ნაგელუანი.

ოთუთუმე – ტყე საცაგურიოში, ნაჭვი ჩაის გვერდით. თუთუნი "თამბაქო".

ოინჭ.რონი "საანწლე" – ტყე საჭანიოში.

ოსკვერემენჯი "საშვლე ვეძა" – ტალახი. იგივე ტებიშ მენჯი.

ოტოფუე – მორევი ჭანისწყალზე. ტოფუ თევზია ერთგვარი, ხოლო ტოფუა არის თევზის გასვლა ქვირითის დასაყრელად.

ოწრუბელე "საწურბლე" – დელე ცხუკონაში, სოფ. ჭაქვინჯის საზღვართან.

ოხარჩაღაია//კაჯაშ ოხარჩაღაია – წყარო, ტყე სუჯნაღალის ხეობაში. ოხარჩაღაია "ჩხრიალა; ჩუხჩუხა".

ოხარჩაღე "ჩხრიალა, ჩუხჩუხა" – წყარო, ნაკადული საკობახიოში.

ოხვამეკარი – სახნავი სოფლის ცენტრში.

პავლიაშ ნაკარუ – სახნავი ჭანისწყლის ჭალაში.

პაპანწყვირე – ტბა სოფ. ჭაქვინჯის საზღვართან. პაპანწყვირი, პაპანწყვირე ხშირია სამეგრელო-სამურზაყანოს ტოპონიმიაში და აღნიშნავს პატარა ტბა-ჭაობს, საშიშარსა და სახიფათოს, გაუვალს.

პაპანწყვირეშ დაღ – დეღე პაპანწყვირიდან გადის და ერთვის საჭაქვინჯოდალს.

პეტრეშ ნოხორი – საძოვარი საცავურიოში.

ჟიმოლენჭალე "ზემო ჭალა" – ჭალა-სახნავი სოფ. ჭაქვინჯის მხარეს.

ჟიმოლენხიბლა – სოფლის ნაწილი სოფლის ცენტრის აღმ-ით.

რეყე "რიყე" – ჭაობნარი სოფ. ნარაზენის საზღვართან.

როკონა – სახნავი ჭანისწყლის ჭალაში ჯაპშაქარის პირდაპირ. როკი "გამხმარი, დაკორძეული კუნძი".

სააბულაძო – უბანი საჭანიოსა და საზარანდიოს შუა.

სააბულაძოშ დაღ – დეღე. ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი.

საარაჩემიო – უბანი სქურჩა-ჭანისწყლის წყალგამყოფ-ზე. აქაური არაჩემიების წინაპრები სოფ. ჯიხაშკარიდან გადმოსულან.

საარაჩემიოშ 'ვანა – სახნავი საარაჩემიოში.

საბებიო – უბანი საჭანიოსა და საცავურიოს შუა.

საბუდასქუო – უბანი უდუდეღალის მარცხ. ნაპირას. ცხოვრობენ ბუდაშვილები. წინაპრები ჩამოსულან რაჭიდან.

საგაწერელიო – უბანი სუჯნაღალსა და უდუდეღალს შუა. გაწერელიები მარტვილიდან ჩამოსულან (კერძოდ, პირველი ყოფილა 1904 წელს დაბადებული ინფორმატორის – ილია გაწერელიას – პაპუ დიტო).

სავარდიო – ბორცვი სოფ. ჭაქვინჯის საზღვართან. აქ ვარდიების მამულები იყო. ვარდია გვარია.

საკობახიო – უბანი ჯიხაფერდსა და საჭანიოს შუა.

საკონჯარიო – უბანი სოფ. ნარაზენის საზღვართან.

საკონჯარიოშ ღალ – ღელე, სქურჩის მარჯვ. შენაკადი, გაივლის საკონჯარიოს, ლექარცხიეს, ნაქაჯიანუს.

სამიქანძო – უბანი სოფ. ჭაქვინჯის საზღვართან. აქ ცხოვრობენ მიქაძეები.

საქანთარიო – უბანი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირას, სოფ. ჭაქვინჯის ახლოს.

საქარცხიო – უბანი სუჯუნის მარცხ. ნაპირას, უღუღელალის სათავესთან. ლექარცხიე უფრო ზემოთაა (და სახელწოდებაც უფრო ძველია).

საქარცხიოშ ტყა – ტყე საქარცხიოს განაპირას.

საქარცხიოშ წყურგილი – წყარო სუჯუნალის მარცხ. ნაპირას.

საქაძანაიო – უბანი უღუღელალის მარცხ. ნაპირას. გადმოცემით, ქაძანაიები გვარად ქაუძანაძეები ყოფილან და ხონიდან თუ მარტვილიდან ჩამოსულან.

საქვარაიო – უბანი სოფ. ჭაქვინჯის საზღვართან.

საქვარცხაო – უბანი სოფ. ნარაზენის საზღვართან.

საღურწკაიო – უბანი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირის სერზე. ღურწკაიების წინაპრები იმერეთიდან ყოფილან, კერძოდ, დიდგვიმარიდან და "ძველები" კიდევ დადიოდნენ იქ ხატის მოსალოცავად.

საყურასქუო – უბანი. იგივე საყურაშვილო.

საყურაშვილო//საყურასქუო – უბანი სოფ. ჭაქვინჯისა და ნარაზენის საზღვართან.

საჩემინო – უბანი სოფ. ჭაქვინჯის საზღვართან. აქაური ჩემინაეები გადმოსულან ჩემნაშკარიდან (სოფ. კახათი, ზუგდიდის რ-ნი).

საცაგურიო – უბანი ენწერში, ნარაზენის საზღვართან, სუჯუნალის მარჯვ. ნაპირას. ესახლნენ ცაგურიები. ამჟამად აქ ცხოვრობს ცაგურიების მხოლოდ ერთი ოჯახი.

საცაგურიოშ ტუნგო – ტუნგის ნარგაეები საცაგურიოში.

საცაგურიოშ ჩაი – ჩაის ფართობი საცაგურიოში.

საცაგურიოშ ტყა – ტყე საცაგურიოს განაპირას.

საჭანიო – უბანი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირის შემადგენლობაზე, ნარაზენისაკენ მიმავალ გზაზე.

საჭანიოჩაი – ჩაის ფართობი უდუდეღალის მარჯვ. ნაპირას, საჭანიოს გაღმა.

საჭაქვინჯოღალ – დელე, სქურჩის მარჯვ. შენაკადი. სათავეა სანარსიოშ წყურგილე (სოფ. ჭაქვინჯი).

საჯაკონიო – უბანი სკურჩასა და საღურწკაიოს შუა. ამ გვარის ზოგი წარმომადგენელი დარწმუნებულია, რომ მათი წინაპრები ჩამოსულან პიცუნდიდან (ბიჭვინთა). სალოცავი აქეთ ყულისკარსა და ილორში.

სკურჩე – დელე. იგივე სქურჩა.

სოფიაშ ნოხორი – სახნავი ურიაღალის ნაპირას.

სუჯ(უ)ნაღალ//ფართოღალ – დელე, ხეობა საყურამვილოში. გაედინება საცაგურიოსა და საგაწერელიოს შუა და მერე სოფ. ნარაზენში ერთვის უმპიას მარცხ. მხრიდან. სიგრძე 5-6 კმ. გაღმოდგემით, აქ სახლებულა კაცი სახელად სუჯუნა. მეგრულში სუჯუნა ნიშნავს სუროვან ან ცვარნამიან ადგილს.

სქურჩა//სკურჩე – დელე, სოფლის ცენტრში გადის და ერთვის ჭანისწყალს.

ტაიაშ ფერდი – ფერდობი საქანთარიოში.

ტები – ვაკე-სახნავი ნატყევარზე, ნახაჯღალის ნაპირას.

ტებიშ მენჯი//ოსკვერე მენჯი – ტლაპო ტებში. საქონელი ეტანება. მენჯი "ვეძა". ოსკვერე "საშვლე".

ტკილტობა//კოტოტობა – მორევი ჭანისწყალზე. ტკილი "მერგელის ქანი"; კოტო "ქოთანი".

ტროფინაშ ფონი – ფონი ჭანისწყალზე.

ტუიაშ ნოხორი – ჩაის ფართობი. იგივე ტუიაშ ჩაი.

ტუიაშ ჩაი//ტუიაშ ნოხორი – ჩაის ფართობი საყურამვილოში. ჩაი 1928 წელს გაუშენებიათ ტუიას ნასახლარზე.

უდუდეღალ "უთავო დელე" – დელე. საქარცხიოში. ჭანისწყლის მარჯვ. შენაკადი ნარაზენის საზღვართან.

ურიაღალ – დელე, სქურჩის მარცხ. შენაკადი.

ფართოღალ – დელე. იგივე სუჯ(უ)ნაღალ.

ფარნაშ შეკებული "ფარნას შემოკავებული" – ტყე საქანთარიოში.

ფედოსიაშ გიოჯინუ "ფედოსიას დასაცქერი" – სახნავი ჭანისწყლის მარჯვ. ჭალაში, როკონასთან.

ქეთეშ ნოხორი – სახნავი ნახაჯღალის მარჯვ. მხარეს. ქეთე ქვრივ ქალს ერქვა.

ქვათაშკარი – ჩაის ფართობი საყურაშვილოში.

ქოლო – წყარო საჭანიოში. **ქოლო** არის კოდი, გულა ამოღებული ხე ან თიხისგან გამომწვარი. დგამენ წყაროში, რათა წყალი სუფთა იყოს.

ქურდიონი – სახნავი ჭანისწყლის მარჯვ. ნაპირის ჭალაში, საჭანიოს ქვემოთ.

ღალ(უ)ბადო "ავი ღელე" – ტყე, ხეობა, უღუღელალის სათავე.

შქაჭალე – უბანი უწინ ცალკე კოლმეურნეობას ერქვა ცენტრიდან სოფ. ნარაზენამდე. შქაჭალე ამ სოფელში სხვაგანაც ეწოდება სახნავს (მაგ., ჭანისწყლის ჭალაში).

ჩუხუაშ ნოხორი – მინდორი საგაწერელიოში. ჩუხუა გვარია.

ცაგურიაშ ნოხორი – მინდორი საგაწერელიოში.

ცხუკვანა//ცხუკონა – საძოვარი სოფ. ჭაქვინჯის საზღვართან. ინფორმატორთა მტკიცებით, ცხუკა ყურძნის ჯიშია ერთგვარი. საერთოდ კი ცხუკე მშრალ ადგილს ნიშნავს.

ცხუკონა – საძოვარი. იგივე ცხუკვანა.

ძიკიშკარი – ჩაის ფართობი საგაწერელიოში.

ძიკიშ ღალ – ღელე საჭანიოში.

ძიკიშხასლა – ჩაის ფართობი სუჯნაღალის მარცხ. ნაპირას. ხასლა "გვერდი".

ძუკუშ ნოხორე – ჩაის ფართობი საცაგურიოში.

წისქვილიშ ჭალე – სახნავი ნახაჯღალის ნაპირას.

წიფურტობა – მორევი ჭანისწყალზე.

წიფურტობაშ ფონი – ფონი ჭანისწყალზე.

წყარტიბუ(ა) "წყალთბილა" – წყარო და სახნავი ჭანისწყლის ჭალაში, საზიარო სოფ. ნარაზენთან. წყარო ზამთარ თბილია, ზაფხულ – ცივი.

ჭაჭუტიაშ ნოხორი – სახნავი საქაძანაიოში. კაცს ერქვა ჭაჭუტია.

ჭაჭულიაშკარი – სახნავი სოფ. ნარაზენის საზღვართან.

ჭერეხი – საძოვარი ჭანისწყლის ჭალაში. **ჭერეხი** წერილქვიანი წყლისპირია.

ჭიჭე რეყე "პატარა რეყე" – სახნავი ჭანისწყლის ჭალაში.

ჯიხაშ გოლა – სერი. იგივე ჯიხაფერდი.

ჯიხაფერდი//ჯიხაშ გოლა – სერი სოფლის ცენტრსა და საჭანიოს შუა. ჯიხა "ციხესიმაგრე".

ჯიხაშ ტობა – მორევი ჭანისწყალზე, ჯიხასთან.

ჯიხა//ხიბლურჯიხა – ციხესიმაგრე ჯიხაფერდის თავზე.

ხიბლურჯიხა – ციხესიმაგრე. იგივე ჯიხა.

ხამისკურის თემის საკრებულო

ხამისკურის თემის საკრებულო – აღმ.-ტერიტ. ერთეული ხობის რაიონში, ოდიშის დაბლობზე, ზუგდიდის რაიონის საზღვართან. შედის სოფლები: ხამისკური (ც), საკუკავო, საქირიო.

1996 წელს ხამისკურის საკრებულოს სოფლებში მკვიდრობდა 75 გვარის 472 კომლი. მათგან კომლთა სიმრავლით გამორჩევა ორი გვარი: ქირია – 250 კომლი (ქმნის სოფ. საქირიოს) და კუკავა – 200 კ. (ქმნის სოფ. საკუკავოს). დანარჩენი მრავალკომლიანი გვარებია: გვაჯაია – 36 კ., კაკულია – 20 კ., სერგია – 10 კ., კობახიძე – 9 კ., ბაჩილავა – 8 კ., კვინჩია – 7 კ., ჭანტურია – 7 კ., კვარაცხელია – 6 კ., ჯგერენაია – 6 კ., კანკია, პერტია, ქანტარია – 5-5 კ.

საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის (2002 წ.) თანახმად, ხამისკურის სამივე სოფელში ცხოვრობს 1759 სული (კაცი – 849, ქალი – 910).

ხამისკური

ხამისკური – სოფელი და ხამისკურის თემის საკრებულო ცენტრი, ურთის მთის სამხრ.-დას. კალთიდან გრძელდება მდ. უტორამდე, ამავე თემში შემავალი სოფლების – საკუკავოსა და საქირიოს შუა.ზ. დ. 30 მ. ხობიდან 12 კმ. ხეთის რკინიგზის სადგურიდან – 3 კმ.

ხამისკური თავდაპირველად ერქვა და ამჟამადც ეწოდება მდინარეს, რომელიც გაედინება სოფლის ცენტრში. ზოგი მას თოლისკურის განაყოფად თვლის. ადგ. ვარიანტი: ხამსკური.

საქართველოს 2002 წლის საყოველთაო ეროვნული აღწერის თანახმად სოფ. ხამისკურში აღინუსხა 582 მცხოვრები (მათგან 277 კაცი, 311 ქალი).

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს 1984 წელს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ, ხოლო 1991 წლის 5-6 სექტემბერს პ. ცხადაიამ. ინფორმატორები იყვნენ 984 წელს:

ბერიშვილი როლანდ ბენიამინის ძე, 42 წ.

ქირია პალიკო ვლადიმერის ძე, 58 წ.

კაკულია ხარიტონ ვლადიმერის ძე, 63 წ.

1991 წელს:

კაკულია ლონია ვარლამის ძე, 54 წ.

კვარაცხელია ნიკანდრო ვანოს ძე, 66 წ.

კუკავა გული ტარასის ძე, 57 წ.

ოყუჯავა დაფენტი უკას ძე, 65 წ.

სერგია ტატაჩი ვარლამის ძე, 57 წ.

სხულუხია რეზო ბარნაბას ძე, 49 წ.

წყაბელია ბადრი დათიკოს ძე, 31 წ.

ჭანტურია ლიანა ალექსანდრეს ას., 45 წ.

ხარჩილავა შოთა დარყვას ძე, 71 წ.

აღესიაშ წყურგილე – წყარო ზემო საფარცვანიოში.

არზაკვათილი – ტყე. დადიანს უკითხავს ტყის ამბავი და უთქვამთ: არძა კვათილი რენია (ე.ი. ყველა ხე მოჭრილიაო). ტოპონიმის ეტიმონი და თავდაპირველი სემანტიკა კვლევას მოითხოვს.

აფხათხორილი – ერქვა ყორღანებს. **აფხა** – 1. საქონლის ბეჭი, მხარი; 2. საქსოვი დაზვის ნაწილი. მოტივაცია გასარკვევია.

აქსენტიშ ნოხორი – ტყე ბობოსკურის სათავესთან.

ბადრაშ ნოხორი – ნასახლარი საკაკულიოში.

ბადუშ ოფშქერე – ტყე ბობოსკურის სათავესთან. შქერი ამ რეგიონში აღნიშნავს დაფნას.

ბობოსკური – დელე, საზღვარი სოფ. საქიროსთან, ერთოდა მდ. ხამისკურს. ამჟამად არსებია ჩაშვებული და

ერთვის ოჩხომურს მარცხ. მხრიდან. სქური, სკური, როგორც ამ ლექსიკური ერთეულის შემცველი ტოპონიმებით სახელდებულ ობიექტებზე დაკვირვებამ ცხადყო, აღნიშნავს ტყიან-წყლიან ხევს, ხეობას.

გერაშ ნამალაზ – მინდორი უტორის მარცხ. მხარეს.

გვაჩიაშ წყურგილი – წყარო ჩელალუს სათავე.

გიძოშ ნოხორი – ტყე ბობოსკურის სათავესთან.

გრიგოლიშ ნოხორი – ტყე ბობოსკურის სათავესთან.

დამაზონი – დავაკება სახარჩილას თავზე. დამაზი დამასხია (ქლიავის სახეობა).

დამაზონიშ ღალ – ღელე, ფატიორღვაფუშ ღალის შენაკადი. ხამსკურღალის ზემო წელი.

დიხაგუბა – ბორცვი ქვემო საფარცვანიოში, უტორის მარცხ. მხარეს.

ზემო საფარცვანიო – უბანი ურთის მთის კალთაზე, მოჯიკის ზემო წელზე.

ზე(რ)ცხილონი – ფერდობები სახარჩილოღალის მარცხ. მხარეს, ზემო საფარცვანიოში, სადაც მოსწრებიან ზეთისხილს. მაშასადამე: ზეთის ხილი → ზეცხილი → ზეცხილონი.

თო(ლი)სკური – ღელე. იწყება საკუკავოში (გარდაბადის სახლთან) ჩამოდის ღულა ხამისკურში და გაედინება სოფ. თორსაში, იქ ერთვის უტორს.

ივანე კაკულიაშ ნადის – სახნავი ზემო საფარცვანიოში.

კაკულიაშ ნოშქვილი "სადაც კაკულია დაიხრჩო" – მორევი უტორზე, თორსის საზღვართან. მამა-შვილი კაკულიები აქ დამხრჩვალან.

ლანჯონი "კოპიტნარი" – მინდორი უტორის მარჯვ. მხარეს.

ლომიეფიშ ნადის – ტყე ბობოსკურის სათავესთან.

მავლუონი – ბორცვი. იგივე მამლუონი.

მამლუონი//მაველუონი – ბორცვი ზემო საფარცვანიოში, ბობოსკურსა და მოჯიკს შუა. ალბათ: მამული → მამულოვანი → მამლუონი → მავლუონი.

მელტონიშ ოფშქერე – ტყე ბობოსკურის სათავესთან. ოფშქერე ამ რეგიონში აღნიშნავს დაფნარს.

მისარონკარი – სერი ზემო საფარცვანიოში, ბობოსკურის მარჯვ. მხარეს, სადაც ციტრუსებისათვის მიწის ხვნისას ოქროს სამაჯური ამოუგდიათ. მისარონი ანუ მირსობა, დღესასწაულია. იმართებოდა თებერვალში, დიდმარხვის წინა ხუთშაბათს. იკვლებოდა ომირსე ღორი. მეორე მხრივ, მისარონი გულისხმობს ჯეგემისარონს, ანუ წმინდა გიორგის.

მოჯიკი – ღელე, ხამისკურის მარცხ. შენაკადი. იწყება ზემო საფარცვანიოში. "მოჯიკუას იტყვიან ჯიკის, ე.ი. ხის ძირის ამოძირკვაზე".

ნაბაკა "ნატკეპნი, ნაბეკნი" – დავაკება მისარონკარში.

ნაბერაყ – ურთის მთის მწვერვალი. **ბერაყი** "ბაირადი, ეკლესიის დროშა". შემდგომ **ბერადი**, **ბერაყი** ეწოდა ტრიგონომეტრიულ ნიშანს, მაღალ სამფეხა სვეტს, რომელსაც კენწეროზე შემოხვეული ჰქონდა წითელი ქსოვილი. ასეთი ტრიგონომეტრიული ნიშანი იდგმებოდა გორაზე, მთის კონცხზე, მწვერვალზე.

ნაკაკა – ფერდობები ბობოსკურის ხეობაში, ზემო საფარცვანიოში, ზეცხილონის გვერდით. "წისქვილის ქვას – სქიბუს – ამზადებდნენ აქ, ბობოსკურის ხევში. აქაა საამის ქვა". **კაკუა** "წისქვილის ქვის მოპირკეთება" (კაკუა-ს სხვა რამდენიმე მნიშვნელობაც აქვს).

ნაკარუ – ტყე ბობოსკურის სათავესთან. ნაკარუ ის აღვილია, სადაც იდგა კარე, მწყემსის დროებითი ნაგებობა. კარე ← ქართ. კარავი.

ნასაჯოგ – წყარო საკაკულიოში. წყაროს ნაპირას იყო ჯოგის სადგომი.

ნაუტორ – ნამდინარევი, უტორის ძველი კალაპორტი (უტორი ამჟამად არხში მიედინება).

ნაფატუ "ნაფეტვარი" – სახნავი ქვემო საფარცვანიოში, უტორის მარცხ. ნაპირზე.

ნაფრანცუ – ტყე, რომელიც რუსეთის მეფე ეკატერინეს მიუყიდა ფრანგებისათვის. **ფრანცი** "ფრანგი".

ნაფსკალუ "ნაფუტკრალი" – მინდორი საკაკულიოში.

ნაღუმუ – მინდორი საკაკულიოში. უწინ ეთესა ღუმუ "ღომი", რაც ფეტვია ერთგვარი.

ნაშხურუ – ტყე ბობოსკურის სათავესთან, სადაც ერთ დროს ცხვარი ("შხური") მდგარა.

ნამმახუ – დეღე საკაკულიოში. ჩაედინება სახარჩილო-ღალში. **აძმახ** (აფხ.) "ტბორი, გუბე, გუბურა", შეიძლება ითქვას, ფართოდაა გავრცელებული მეგრულ მწყემსთა შორის.

ნაჩხინჩხვი – სახნავი სახალიკოს მარჯვ. მხარეს. ჩხვინჩხვი "ფესვი".

ნაჭკიდუ – ტყე ბობოსკურის სათავესთან. **ჭკიდ**, "ჭადი" ფეტვია ერთგვარი. ჭკიდი ჭადსაც აღნიშნავს.

ნემონა "კაკლნარი" – ტყე ბობოსკურის სათავესთან.

ოკაწიონი "ხერთვისი" – ტყე-მინდვრები ქვემო საფარცვანიოში, უტორის მარჯვ. მხარეს, სადაც ქვიშილღალი და ონიშოლღალი ერთვის უტორს მარჯვნიდან.

ოლანღალუ – დეღე. გასდევს თოლისქურს მარცხ. მხრიდან.

ოლებე – ტლაპო-ჭაობი, მოჯიკის სათავე ზემო საფარცვანიოში. ლები არის რბილი, შავი მიწა, ნესტიანი. გამოიყენებენ შალეულის შესაღებად.

ომუნჩქეე "სამაჩვე" – ბორცვი მოჯიკსა და სახარჩილოღალს შუა.

ონიშოლღალ – ერქვა დეღეს ქვემო საფარცვანიოში.

ოქროღალ – დეღე ხეთის საზღვარზე.

ოხოჯური – მინდორი საკაკულიოში. სახარჩილოშიც ეწოდება მინდორს. **ოხოჯური** "ხარით სახნავი მიწა".

პაპაშ დაღ – დელე ქემო საფარცვანიოში.

საგეკუო – უბანი ურთის მთის კალთაზე, სოფ. საკუკავოს საზღვართან.

საკაკულიო – უბანი ბობოსკურის სათავესთან. ყველაზე მაღალი უბანი ურთის მთის კალთაზე. დარჩა რამდენიმე კომლი. გადმოცემა: წალენჯიხის რ-ნის სოფ. ლეკაკულეში მცხოვრებ კაკულიებს შურისძიების ნიადაგზე დაუხოცავთ სვანები და გამოქცეულან. სამი ძმიდან ერთი დამკვიდრებულია ნაჭვი კახათში, მეორე – ზუგდიდში, მესამე – მარტვილში.

სასერგიო – უბანი ჩელაღუს ორსავე ნაპირზე.

საძაძამიო – უბანი საკაკულიოს გვერდით.

სახარჩილო – უბანი ურთის მთის კალთაზე, საკუკავოს საზღვართან.

სახარჩილოღალ – დელე, მოჯიკის მარჯვ. შენაკადი.

სახარჩილოშ წყურგილი – წყარო სახარჩილოში.

სხულუხიეფიშ ოფშქერე – დაუნის პლანტაცია სახარჩილოში. **ფშქერი** "დაუნა".

ურთა – მთა ზუგდიდისა და ხობის რაიონების საზღვარზე, მდ. ჯუმსა და მუნჩიას შუა.

ქემო საფარცვანიო – უბანი სოფ. ცაცხვისა და თორხის საზღვართან, თოლისკურის ორსავე ნაპირზე.

ქვიშილი – დელე. იგივე ქვიშირი.

ქვიშირი//ქვიშილი – ერქვა დელეს ქემო საფარცვანიოში. ჩაუშვეს არხში.

ღულახამსკური – მდ. ხამისკურის მონაკვეთი.

შქაშქარე – სამოვარი უტორის მარცხ. მხარეს.

ჩენჯალონი – მინდორი უტორის მარჯვ. მხარეს. **ჩენჯა** "თეთრი ხე" აღვის ხეა.

ჩექვალონი – დელე, ხამისკურის შენაკადი.

ჩელაღუ – დელე ზემო საფარცვანიოში. ერთოდა ხამისკურს მოჯიკსა და სახალიკოს შესართავეებს შუა.

ციმუერი – ბორცვი სახარჩილოღალსა და ბობოსკურს შუა, მოჯიკის სათავესთან.

ხამ(ი)სკური – მდინარე, ოჩხომურის შენაკადი. სათავე აქვს საკუკავოში, თოლისკურის ტოტია.

ხატიშ ნახსაპა "ხატის (გადა)ნახტომი" – მორევი უტორზე. "გიორგი კუკავამ ნაწარუს წმინდა გიორგის ეკლესიიდან ხატი მოიტაცა რათა გადაეჩინა. ახალშემოსული კომუნისტები მოსდევდნენ, ხატიანად ამ მორევიში გადახტა. იყო 1924 წელი".

ჯაგაშ ნოხორი – სახნავი საკაკულიოში.

ჯღანჯღეფიშ ოფშქერი – დაფნარი სახარჩილოში. ფშქერი "დაფნა".

საკუკავო

საკუკავო – სოფელი ხამისკურის თემის საკრებულოში, ურთის მთის კალთაზე. ზ.დ. 60 მ., ხობიდან 13 კმ. ხეთის რკინიგზის სადგურიდან 6 კმ. ესაზღვრება ზუგდიდის რაიონის სოფ. ცაცხვს. გადმოცემით, კუკავების წინაპრები სოფ. ფახულანიდან (წალენჯიხის რ.) ჩამოსულან: სამ ძმას (მათგან ერთი მღვდელი ყოფილა), წამოუსვენებია წმინდა გიორგის ხატი და იგი თავდაპირველად სოფ. ცაიშში დაუსვენებიათ. მაგრამ ძმები იქიდან გაუყრიათ. შემდეგ ხატი ჩე ოხვამეში დაუბინავებიათ, ბოლოს კი აქ დამკვიდრებულან და ჯეგეთაში წირვის უფლება მიუღიათ.

საკუკავოს ტოპონიმიური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ 1984 წელს, პ. ცხადაიამ 1991 წელს. ინფორმატორები იყვნენ 1984 წელს:

კუკავა იროდი დომენტის ძე, 57 წ.

კუკავა ოთარ დომენტის ძე, 55 წ.

ოკუჯავა დაფენტი ლუკიანეს ძე, 54 წ.

ქირია ნოდარ ისლამის ძე, 62 წ.

1991 წელს:

გერგაია ნაირა ბიძინას ას., 47 წ.

გულუა ჯამბური მაქსიმეს ძე, 44 წ.
კაკულია გივი აპალონის ძე, 56 წ.
კაკულია ჟორჟი აპალონის ძე, 60 წ.
კუკავა აკაკი ვალერიანეს ძე, 60 წ.
კუკავა ანზორ აპალონის ძე, 46 წ.
კუკავა ვასო სევერიანეს ძე, 28 წ.
კუკავა კუკური გიორგის ძე, 61 წ.
კუკავა ლუსიანე აბრამის ძე, 82 წ.
კუკავა სოლომონ პოკროს ძე, 80 წ.

გერაშ ნაკარუ – მინდორი უტორის მარჯვ. მხარეს.

გობოგილდალ – ღელე, იწყება ოლებქში. ერთოდა ხამისკურს მარცხ. მხრიდან. ამჟამად უერთდება უტორის არხს. **გობოგუა** "ბოგირის გაღება; გაბოგვა" → გობოგილი "ბოგირგადებუდი; გაბოგილი".

დიდრობუ – ხევი საკაკულიოში. გაღის საქირიოში.

მანარჩაღაია – წყარო. იგივე ოკარკაღაია.

მოჯიკი – ღელე. იწყება მისარონკართან. ამჟამად გაღის ნაფატუში და ერთვის უტორის არხს მარცხ. მხრიდან.

მოჯიკიშ ოხვამე – ძველი სასაფლაო მოჯიკის მარჯვ. მხარეს.

მუხრანიშ წყურგილი – წყარო რკინიგზის ხაზთან.

ნადოხორ – სახნავი ვაკეზე, რკინიგზის ხაზსა და საავტ. ტრასას შუა.

ნაკაზარმუ – ტყე, საძოვარი.

ნაკაკა – დავაკება ფატიორღვაფუს მარჯვ. მხარეს. **კაკუა** "ხის დაჭდეგება; ხის ძირისათვის კანის შემოცლა" (აქვს სხვა მნიშვნელობებიც).

ნალინუ – სახნავი, ნალიანდაგარი. "კამეჩებს უბამდნენ რელსზე ვაგონებს დ ხეტყე გაჰქონდათ". რუს. "ხაზი" → მეგრ. **ღინია** "რკინიგზის ხაზი".

ნაჩინა – წისქვილის სათავე-საგუბარი ფატიორღვა-ფუზე. **გოჩინუა** "მდინარეზე ჯებირის აღმართვა წყლის

დონის ამადლების, დაგუბების მიზნით" → **ნაჩისა** "ჯებირით დაგუბებული, გადანაკედლი, ნატბორი, ნაგუბი".

ნამმასუ – ჭაობი გობოგილდალის სათავესთან, ოლებეს ზემოთ. **ამმას** აფხაზური სიტყვაა და აღნიშნავს "გუბე, ტბორი".

ნაწარუ/ოხვამეკარი – ვაკე-ფერდობები, ნაეკლესიარი სასაფლაო ჩელაღუს მარჯვ. მხარეს. უწინ წარიების სამოსახლო ყოფილა.

ოისირე "საისლე" – დაფერდება გობოგილდალის მარჯვ. მხარეს.

ოკარკაღაია//მანარჩაღაია – წყარო, ფატიორღვაფუს შენაკადი. **ოკარკაღაია** "კრიალა; რაკრაკა"; **მანარჩაღაია** "ჩხრიალა; მოჩხრიალე; მოჩუხჩუხე".

ოლებე/ჩირე – ფერდობი გობოგილდალის სათავესთან. **ჩირე** "ტლაპო; ღრმა ტალახი". **ლებე** "შავი მიწა-ტალახი, რომელსაც იყენებენ ნაქსოვის შესადებად" → ოლებე – "ადგილი სადაც ლეები მოიპოვება".

ომუნჩქონი "სამანვე" – ფერდობები ზემო საფარცვანიოში.

ოხარდანე "სახარდნე" – ფერდობი გობოგილდალის მარჯვ. მხარეს, **ხარდანი** ჴურძნის ჯიშია, მალღარია, ე.ი. მაღალ სარზე აშეებული ვაზია.

ოხოჯური – მინდორი ზემო საფარცვანიოში. **ოხოჯური** "ხარით სახნავი მიწა"; შდრ.: ობერგული "თოხით დასამუშავებელი მიწა".

ოხვამეკარი – სასაფლაო. იგივე ნაწარუ.

პოკროშ ნაკარუ – საძოვარი უტორის მარჯვ. მხარეს.

როკონა "ჯირკნარი" – ერქვა ტყეს სოფ. ცაცხვის საზღვარზე, ამჟამად დაფნა ხარობს.

საგვაჯაიო – უბანი სოფ. ცაცხვის საზღვართან, ფატიორღვაფუს ხეობაში.

საგვაჯაიოშ დაღ – ღელე. იგივე ფატიორღვაფუ.

სავეკუო – უბანი ზემო საფარცვანიოში.

სახარჩილო – უბანი ურთის კალთაზე, ზემო საფარცვანიოში.

სვარანია//სვარანიო – ფერდობები მაჩვის სოროებით ზემო საფარცვანიოში, გობოგილღალის სათავესთან, სოფ. საკუკავოს საზღვარზე.

სკვერეჭიკე//სკვეროჭიკე – ვაკე-საძოვრები და საკარმიდამოები გობოგილღალის მარცხ. მხარეს. შვლები მაისის თვეში აქ გამოდიოდნენ დასამაკებლად. აქ მცხოვრებ კუკავებს ეწოდებათ სკვერეჭიკალეფი. სკვერეჭიკე ← სკვერეფიშოჭიკე

სქვეროჭიკე – ვაკე-საძოვრები. იგივე სკვერეჭიკე.

ურთხელიონი – ტყე ურთის მთაზე, ჯეგეთის გვერდით.

უშქურონა "ვაშლნარი" – მინდორი უტორის მარცხ. მხარეს.

ფართო¹უნე (← ფართო ო¹უნე "ფართო საყანე") – ტყე-ფერდობები საგვალიოში.

ფატ(ვი)ორღვაფუ – დეღე, იწყება ურთის კალთაზე, როკონაში. ერთოდა ხამისკურს მარცხნიდან. ამჟამად ჩაედინება უტორის არხში. ითესებოდა ფეტვი. **ფატიშ რღვაფა** "ფეტვის მობნევა" → ფატიორღვაფუ "ფეტვის მოსაბნევი (ადგილი)".

ჩელაღუ//ჩუთღაღუ – დეღე საკაკულიოში, გობოგილღალის მარცხ. შენაკადი. წვიმის შემდეგ მოედინება. ჩელაღუ "თეთრი დეღე". ჩუთღაღუ "მწუტე დეღე".

ჩირე – ფერდობი. იგივე ოღეებე.

ჩოყოია – მცირე დეღე. ნაწვიმარზე გობოგილღალის არხში ჩამდგარი წყალი. **ჩოყო** "მცირე გუბე; ჩამდგარ-ჩამყაყებული წყალი".

ჩუტღაღუ – დეღე. იგივე ჩელაღუ.

წიფრონა "წიფლნარი" – მინდორი გობოგილღალის მარჯვ. მხარეს.

ხამისკური – ერქვა დელეს, რომელსაც მიერთოდა ფატიორღეაფუ, გობოგილდალ და სხვ. ამჟამად არხში მიედინება.

ხარჩილეფიშ წყურგილი – წყარო ურთის კალთაზე.

საქირიო

საქირიო – სოფელი ხამისკურის თემის საკრებულოში, ურთის მთის კალთაზე. ზ.დ. 65 მ. ხობიდან 14 კმ. ხეთის რკინიგზის სადგურიდან 6 კმ. ესაზღვრება: აღმ-ით – ლარჩვა; დას-ით – ხამისკური, სამხრ-ით – ნოჩხონი, ჩრდ-ით – მთა ურთა და ზუგდიდის რ-ნი. უწინ ერქვა მეორე საქირიო. ხეთის საქირიოსთან საზღვარია ფშხერული. ქირიების წინაპრები გადმოსულან სოფ. დიდი ნეძიდან, დამკვიდრებულან მდ. სახალიკოს ნაპი-რებზე და გამრავლებულან.

საქართველოს სსრ აღმ-ტერიტ. დაყოფის პირველი (1930 წ.) გამოცემის თანახმად საქირიო ერთი სოფელია და შედის ხეთის სას. საბჭოში. შემდეგ დაიყო: პირველი საქირიო დარჩა ხეთის სას. საბჭოში, მეორე საქირიო – ხამისკურის სას. საბჭოში.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ 1984 წელს და პ. ცხადაიამ 1991 წელს. ინფორმაციორები იყვნენ 1984 წელს:

სართანია გვეგვე (გიორგი) მაქსიმეს ძე, 87 წ.

ქირია ნოდარ ისლამის ძე, 62 წ.

1991 წელს:

ბერიშვილი ბენიამინ ესტატეს ძე, 75 წ.

გადელია ხარიტონ აბრამის ძე, 65 წ.

კანკია შალვა ვასილის ძე, 70 წ.

ფიფია ვალერიან მაქსიმეს ძე, 80 წ.

ქირია ილია დიანოზის ძე, 68 წ.

ქირია ნაპო გიორგის ძე, 62 წ.

ქირია პალიკო ვლადიმერის ძე, 65 წ.

ბაკუში ნო¹უნი – ფერდობი ნაოფთურსა და საკვაროს შუა.

ბალოტი – მცირე ჭაობი პაპანწყვირის გვერდით. რუს.

→ მეგრ. ბალოტი, პალოტი "ჭაობი".

ბერიში მითნახუნა "ბერის ნაჯდომი" – გამოქვაბული კლდეში, ჯეგეთის ქვემოთ. **მითნახუნა** "რაიმეს შიგნით ჯდომა" → **მითნახუნა** "რაიმეს შიგნით ნაჯდომი".

ბურკონე – ღელე. იგივე გურკონე.

გვადიში დიხა – მინდორი სახალიკოს მარცხ. ნაპირზე.

გვასალიაში ნანთხორა "გვასალიას ნათხარი" – არხი, ხამისკურის მარცხ. შენაკადი.

გვიმარონი "გვიმრნარი" – სახნავი სახალიკოსა და ფშხერულს შორის.

გინძე გოლა "გრძელი მთა" – ურთის მთის დას. ნაწილი.

გუდუში ნოხორი – ნასახლარი საკაროსთან.

გურკონე/ბურკონე – ღელე, ჩამოედინება ურთის მთის კალთებიდან. საზღვარია ხამისკურის საქიროსა და ხეთის საქიროს შუა. ძირითადად ნაწვიმარზე მიედინება.

დიტიაში ოჩხომე – საკარმიდამო პერეკენის მარცხ. მხარეს. აქ დიტიას თევზსაშენი აუზი (ოჩხომე) ჰქონდა მოწყობილი.

ესლამიში ნოხორი/საბაიაში ნოხორი – ფერდობი გურკონეს სათავესთან.

ზემო საფარცვანიო – ფარცვანიების უბანი ურთის მთის კალთაზე.

ზდილნი – ბუჩქნარი ოლაჭაჭუს ზემოთში. **ზდილი** "ჯაგრცხილა".

ივანიაში ნაკარუ – ტყე საკვაროსთან.

კიხონწკირი//ლასარი – კლდე ურთის მთის კალთაზე, ჯეგეთის ქვემოთ 0,5 კმ-ზე. **ლასარი** – პიტალო კლდე-კიხონწკირი ← კინოხონწკირი "უკანა წკირი". წკირი მცენარეა ერთგვარი.

ლასარი – კლდე. იგივე კიხონწკირი.

მაგანა – სახნავები ხამისკურის მარცხ. მხარეს, შხერულსა და პაპანწყვირიშ დაღს შუა. ინფ.: "იქნება 100 ჰა. რატომ დაერქვა, არ იციან".

მისართნკარი – სალოცავი ზემო საფარცვანიოში. მისართონი, მირსობა წარმართული სალოცავია.

მორძგვიორთუ "მარჯვნივ მოსაბრუნე" – გზის მონაკვეთი ურთის მთის კალთაზე, ჯეგეთასა და საკვაროს შუა.

ნაერქუ – ხევი, ფერდობები ურთის მთის კალთაზე. ითესებოდა ირქი "იფქლი".

ნალაგერი//ნალაგირ – ერქვა მინდორს სახალიკოს მარცხ. მხარეს. ამჟამად სასაფლაოა. "ამბობენ, თურქის ჯარის ნადგომიაო". საერთოდ ნალაგერ რუსის ჯარის ნადგომადგილებს ეწოდება.

ნალაგირ – მინდორი. იგივე ნალაგერ.

ნაორტვინუ "ნაბოსტნარი" – დავაკება შხერულის მარჯვ. მხარეს.

ნაოფთურა – ფერდობი ონტყოლუს გვერდით. ოფთურე "სააფთურო" ← აფთურა (აფხაზ.) "მწყემისის სადგომი ბარში".

ნაფაცხუ "ნაფაცხარი" – დავაკება ჩელაღუს მარცხ. ნაპირზე.

ნაფუჩუ "(და)ნაფიცარი" – მინდორი ჯეგეთის ქვემოთ.

ნაჭითან – დავაკება პაპანწყვირსა და ნაერქუს შუა, ურთის მთის კალთაზე. გადმოცემით, ამ ადგილას ჭითანავები ესახლნენ და გამწყდარან.

ნახაჯუ "ნაცერცვალი" – ტყე სახალიკოს მარცხ. ნაპირზე.

ოკარკალაია "რაკრაკა; ანკარა" – წყარო, სახალიკოს სათავე ჯეგეთაში.

ომენჯე – ფერდობი საკვინჩოს თაგზე, ხამისკურის მარცხ. მხარეს. მენჯი "ვეძა".

ონტყოლ(უ) "სალაფაო; სატოპელა" – ხევი შხერულის სათავესთან.

ორტვინია "პატარა ბოსტანი" – მინდორი კიხონწკირის ძირას.

ოქროლალ – ღელე, ხამისკურის მარჯვ. შენაკადი. მოედინება საკუეკოდან. სიგრძე 2 კმ. "ჩამწვედელი წყალია, ნარიონალივით, წყალდიდობისას ამ ღელეში ხამისკურის წყალი შემოდის, თევზით ივსებოდა და იჭერდნენ. ამიტომაც ოქროლალუ.

ოლაჭაჭიე "საკიბორჩხლე" – ღელე, ფშხერულის ერთ-ერთი მდგენელი.

ოჭადე – წყარო, დავაკება სახალიკოს მარცხ. მხარეს. ინფ.: "ეკლესიიდან მობრუნებულნი აქ შეჭამდნენ ჭადს. მანამდე წყალი არაა"; "ჭადა სოკოა ერთგვარი, აქ იცის".

ოხვამეფერდი – ფერდობი შხერულის მარცხ. მხარეს, ჩეოხვამის ქვემოთ.

პაპანწყვირე – ჩანარღვევი. იგივე პაპანწყვირი.

პაპანწყვირი//პაპანწყვირე – ჩანარღვევი ურთის მთის ძირას და ღელე – ხამისკურის შენაკადი. პაპანწყვირი ზოგადი სახელია მცირე და ღრმა გუბისა, რომელიც იმავე ღროს მოსარიდებელია, რადგან შეიძლება ადამიანი ჩაიხრჩოს.

პაპანწყვირიშ ღალ – ღელე, ოჩხომურის შენაკადი. ამის ზემოთ ოჩხომურს ეწოდება ხამსქური.

პერექენია – ღელე, (ფ)შხერულის მარჯვ. შენაკადი. იწყებოდა სახალიკოს მარცხ. მხარეს. საზიაროა ხამისკურის საქირიოსა და ხეთის საქირიოსთან.

პიწყაწყუ – წყარო ნაერქუს მარჯვ. ნაპირას.

საბაიაშ ნოხორი – ფერდობი. იგივე ესლამიშ ნოხორი.

საკვარო – დავაკება ურთის მთის კალთაზე, ჯეგეთის ქვემოთ 0,5 კმ-ზე. "ჯეგეთადან მობრუნებული მლოცველები

აქ ჭამდნენ "ნალოც კვარს", ღამეს ათევდნენ, იყო ცეკვა-თამაში".

საკვინჩიო – უბანი სახალიკოს მარჯვ. მხარეს. კვინჩია გვარია.

სამიაშ ნადიხუ – სახნავი ჩელაღუს მარცხ. მხარეს.

საპერტიო – უბანი სახალიკოს მარჯვ. მხარეს.

სახალიკო – ღელე, ხამისკურის მარცხ. შენაკადი. ჩამოედინება ჯეგეთის კალთებიდან. სათავეა ოკარკაღია.

სვარანიო – ფერდობები გობოგილღალის ორსავე ნაპირზე, სოფ. ხამისკურის საზღვართან.

სხულონი "მსხალნარი" – ტყე ონტეოლუს მარცხ. მხარეს, სახალიკოსა და ფშხერულს შორის.

ურთა – მთა ზუგდიდის რ-ნის საზღვარზე.

ფოქვა – გამოქვაბული, კლდოვანი ადგილი შხერულის მარცხ. მხარეს. **ფოთქვა**, **ფოთქვი** "მღვიმე; კლდის ბეჩო; მღინარის ღარანი".

(ფ)შხერული – ღელე, ხამისკურის მარცხ. შენაკადი.

ქვარამგვალა "მუცლიანი მთა" – ბორცვი ურთის კალთაზე, ჯეგეთასა და კიხონწკირს შუა: "მუცელივით ამობერილია, გუმბათიანი".

ქორთუეფიშ ოფშქერე – ბუჩქნარი სახალიკოსა და ფშხერულს შუა. ქორთუა გვარია.

ქუაკვინორი – ერქვა სოფ. საქირიოს წარსულში.

ჩეოხვამე – ეკლესია ურთის მთის კალთაზე, შხერულის ზემო წელზე.

ჩელაღუ – ღელე, ოჩხომურის შენაკადი სოფლის ცენტრში.

ძიკიაშ დიხა – სახნავი სახალიკოს მარცხ. ნაპირზე.

წუქურო – ერქვა ტყე-ჭაობს. ამჟამად საძოვარია თორსის საზღვარზე ხამისკურის მარჯვ. ნაპირას.

წყარიშ ინახვილაფუ "წყლის ჩასამწყვდევი" – ღრმული ურთის კალთაზე, კიხონწკირსა და საკვაროს შუა, ნაწვიმარზე ტბორი ღებობა.

ხამისქური – მდინარე, რომლის სახელი შემდეგ სოფელმა მიიღო.

ხამსქურმელე "ხამსქურის გაღმა" – საძოვრები მდ. ხამისკურის მარჯვ. მხარეს.

ჯეგეთა(ში) – ბორცვი, ურთის მთის მწვერვალი. აქაა წმინდა გიორგის ეკლესია და ეწოდება "ჯეგემისარ(ი)ონი". აქვე იმართებოდა გერგობა "გიორგობა" 22 აპრილს ღამით, ხოლო ქვემოთ მდებარე წმინდა გიორგის ეკლესიაში – მეორე დღეს.

ჯეგემისარ(ი)ონი – წმინდა გიორგის ეკლესია ჯეგეთაში.

ჯიხა – ციხესიმაგრე მდ. ხამ(ი)სკურის მარჯვ. მხარეს, ხეთის საქირიოს საზღვარზე. გადმოცემით, ეს ციხესიმაგრე ომარ-ფაშას დროინდელია. სინამდვილეში კი იგი უფრო ადრინდელია. ვახუშტი ბატონიშვილი მას მოიხსენიებს როგორც "ხეთის ციხეს".

ჯიხაშ წყარი – წყარო ჯიხას კედელთან.

ხეთის თემის საკრებულო

ხეთის თემის საკრებულო – ადმ.-ტერიტ. ერთეული, ხობის რ-ნში, ურთის მთის კალთებსა და ოდიშის დაბლობზე, სოხუმი-თბილისის საავტომობილო და სარკინიგზო ტრასაებზე. შედის სოფლები: ლარჩვა (ც.), ნოჩხონი, ოხვამეკარი, წინაგოლა, ხეთა-საქირიო.

მაღაქია კათალიკოსის მიერ 1616-1621 წლებში შედგენილ "საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში" საცაიშლო სოფლების – დარჩელის, ჩოხათის, ჭალას – გვერდით დასახელებულია ხეთაც (ქსძ, III, გვ. 470. იხ. აგრეთვე გვ. 474-481. ერთგან დასტურდება **ხევთა** ვარიანტიც). ვახუშტი ბატონიშვილი ოდიშის აღწერისას აღნიშნავს, რომ ხორგისწყლის "ჩრდილოთ, მთისძირას, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და სასახლე დადიანისა" (ვახუშტი, 1973, გვ. 778).

1886 წლის კომლობრივი აღწერის ცნობარის მიხედვით, ხეთა – სოფელი და თემი – შედის ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრის რედუტკალეს უბანში (..., 1893 .)

საქართველოს სსრ პირველი ადმ.-ტერიტ. დაყოფის (ტფ. 1930) მიხედვით ხეთის სას. საბჭოში შედიოდა სოფლები: ბულიწყუ-ოხვამე, თორსა-დღვაბა, ლარჩვა (ც.), საკუკავო, საქირიო, საბუკიო-ნოჩხონი და ჭიხუ-საკვიკვინიო. საკუთრივ სოფელი ხეთა აქ არ ჩანს (შდრ.: ქსე-ის XI ტომში შეტანილია სტატია ხეთა). თუმცა მოგვიანებით ამ სახელწოდების სოფელი ხეთის სას. საბჭოში ჩნდება (იხ. "საქართველის სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა", 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით", მეხუთე გამოცემა, თბ., 1987). 1991 წელს, როდესაც ტოპონიმურ მასალას ვიწერდით, ყველა ერთხმად ამტკიცებდა, რომ ხეთა ერთ სოფელს კი არ ეწოდება, არამედ ხეთის სასოფლო საბჭოში შემავალ ყველა სოფელს ერთად. თუმცა ინფორმატორთა

ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ხეთაში იგულისხმება ხეთის საქირო (არის ხამისკურის საქიროც). ამის გამო ჩვენც ცალკე სოფლად მივუთითეთ "ხეთა-საქირო".

გასული საუკუნის 90-იან წლებში ხეთის თემის საკრებულოს ყველა სოფელში ერთად ცხოვრობდა 226 გვარის 1365 კომლი. მათ შორის კომლმრავალი გვარებია: ბუკია – 234 კ., ლატარია – 119 კ., ჭითანავა – 79 კ., ქირია – 79 კ., ტურავა – 58 კ., გაბრავა – 31 კ., გაბისონია – 24 კ. არაჰამია – 21 კ., კუტალია – 20 კ., ესებუა – 19 კ., კოდუა – 19 კ., კანკია, კუკავა, ბაჩილავა – 16-16 კომლი, ბაძაღუა, გაბილაია – 14-14 კომლი.

2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ხეთის თემის საკრებულოს ხუთ სოფელში ცხოვრობს 4271 სული (კაცი – 2018, ქალი – 2253). სოფლების მიხედვით ასეთი სურათია:

ღარჩვა – 1402 სული (კაცი – 665, ქალი – 737).

ნოჩხონი – 556 სული (კაცი – 262, ქალი – 294).

ოხვამეკარი – 424 სული (კაცი – 197, ქალი – 227).

წინაგოლა – 1034 სული (კაცი – 501, ქალი – 537).

ხეთა-საქირო – 751 სული (კაცი – 393, ქალი – 456).

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ხეთის თემის საკრებულო მცხოვრებთა რაოდენობით ხობის რაიონში პირველ ადგილზეა.

ღარჩვა

ღარჩვა – სოფელი და ხეთის თემის საკრებულოს ცენტრი ხობის რ-ნში, კოლხეთის დაბლობზე, დარჩაღალის ორივე მხარეს, ხობი-ზუგდიდის სარკინიგზო და საავტომობილო გზებზე. ზ.დ. 60 მ., ხობიდან 7 კმ. რკინიგზის სადგური "ხეთა". ესაზღვრება: აღმ-ით – ოხვამეკარი, დას-ით – საქირო, ჩრდ.-ით – ურთა, სამხრ.-ით – ნოჩხონი და თორ-

სა. ლარჩვი არის ფიჭვის მორი, ოთხკუთხედად ნაპობი, რომლისგანაც შექმდე ყავარს ხსნიან.

1991 წელს ლარჩვაში ცხოვრობდა 101 გვარის 424 კომლი (1210 სული). კომლმრავალი გვარებია: ლატარია – 67 კ., კუტალია – 20 კ., ბუკია – 32 კ., ჭითანავა – 31 კ., ქირია – 23 კ., ბაჩილავა – 16 კ., ტურავა – 14 კ., კუკავა – 13 კ., კვარაცხელია – 10 კ., კოდუა – 10 კ., ნარსია – 9 კ. გადმოცემით, სოფლის ძირძველი გვარები – კოდუა, კუტალია, მამფორია – სოფ. აბასთუმნიდან გადმოსულან.

სოფლის ტოპონიმია ჩაიწერეს 1984 წელს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ 9 წლის ხოლო პ. ცხადაიამ 1991 წელს. ინფორმატორები იყვნენ:

1984 წელს:

აბაკელია აკაკი (იტო) სანდროს ძე, 79 წ.

რუხაძე იანი არტემის ძე, 63 წ.

1991 წელს:

ბუკია ენვერ იონას ძე, 36 წ.

კობახიძე კირილე კაპიტონის ძე, 79 წ.

კუტალია ვალერიან ზოსიმეს ძე, 79 წ.

კუტალია რევაზ ვალერიანის ძე, 43 წ.

ლატარია ლავრენტი მაქსიმეს ძე, 64 წ.

მეუნარვია ოთარ ბესარიონის ძე, 64 წ.

ქობალია აქესენტი მიხეილის ძე, 74 წ.

ამბა(ლა)ხონა – მინდორი კინჩხურის მარცხ. მხარეს. ამბალახი ვაზის ჯიშია წვრილ შავ მარცვლებს ისხამს.

ბაცუონი "ზღმარტლნარი" – ბუჩქნარი ურთის კალთაზე.

ბაძიაშ ნაკარ(უ) – სახნავი დაბალნო¹უნის გვერდით.

გვალაშ კორცხო – საძოვარი კორცხოში, ურთის მთის კალთაზე. იხ. კორცხო.

გიოლაფუ "ჩასავარდნი" – დაფერდება საკუტალიოში, ფაქარიის მარცხ. მხარეს. აქვეა ოისირეც.

დაბალნო¹უნი – სახნავი, ტყე, დავაკება ჯუბესთან.

დარჩაღალ(ი)//კორცხო(შ)ღალ(ი) – მდინარე კორცხოში. გა-მოდის მთის ძირიდან, გადის ჯიბადურში და ერთვის ოჩხომურს. "კალაპოტი არ ჰქონდა. იმლებოდა და იფანტებოდა. 1865-66 წლებში დაიწყო "შოსეს" მშენებლობა. სწორედ მაშინ ჩასვეს კალაპოტში. ხალხური ეტიმოლოგია: "როცა კალაპოტი გაუკეთეს, მაშინ დარჩა დეღე".

დიდგვალა "დიდი მთა" – ურთის მთის უმაღლესი ადგილი.

ვაჩიონი – გორაკი, ტყე ბაძიაშ ნაკარუს თავზე.

ვალკოშ რობუ – ხევი ოჩხომურის სათავესთან.

ზონდიკი//ქუდი – ბორცვი ურთის ქედზე. ჰგავს ქუდს. ზონდიკი ← რუს. "ქოლგა".

თარაშ ოშქერე – ფერდობები ნაბარჟანკუსთან. აქ შქერი ეწოდება დაფნას. ე.ი. ოშქერე დაფნარია.

თოდუანი – ფერდობი კორცხოში, ქოლოსთან.

კვირკვე – ფერდობი საქირიოს საზღვართან. კვირკვე "ივლისი". კვირკვე მეგრულში წმინდა კვირიკესაც აღნიშნავს.

კინჩხურა – წყარო, დარჩარალის მთავარი მდგენელი. "ლასარი კლდეა და მსხვილი ქვები ყრია. წყარო იქ ამოდის". კინჩხი "კეფა, ქედი, კისერი". ზოგ შემთხვევაში მეტაფორულად აღნიშნავს ამართულ კლდეს.

კორცხო – დიდი უბანი ურთის მთის ძირას, დარჩაღალის ზემოთში. ორია: ჟილენკორცხო "ზემოთა კორცხო" და გვალაშ კორცხო "მთის კორცხო" (საძოვარი). "კორცხო ეწოდება ერთგვარ ხის ჯამს. ეს ადგილიც ჩადრმაგებულა".

კორცხოშ ეკლესია – ეკლესია კორცხოში. აშენდა 1840 წელს. თავისი მღვდელი არ ჰყავდა.

კორცხოშ ღალ – დეღე. იგივე დარჩაღალ.

მალონიშ ნო¹უნი – სახნავი ურთის კალთაზე. მალონი მამაკაცის სახელია.

მეუნარგიაშ ნოხორი – სახნავი კორცხოში, საკუტა-ლიოში.

მინდორია – მინდორი სოფლის ცენტრში.

მ.კოტახილი "მოხვეული" – გზის მონაკვეთი. გზა ურთის მთისაკენ გადის.

ნაბარჟან(უ) – წყარო საკუტალიოში, ღრმა ხევში.

ნახარაზუ – დავაკება საკუტალიოში, ფაქარიის მარჯვ. მხარეს. თვლიან, რომ ხარაზი მცენარეა ერთგვარი, ალბათ ხარისძირა.

ნობადილი – დავაკება, სახნავი ურთის მთის კალთაზე, ჯამპიში. აქ ალბათ იდგა **ბადილე** – ხის მცირე ნაგებობა, სასიმინდე.

ობამბე "საბამბე" – დავაკება, მინდორი წაჩხურის მარცხ. მხარეს.

ოისირე – დაფერდება კორცხოში, ოღუეშის ხევში.

ოკოტკაცილი/მ.კოტკაცილი – კლდე ფაქარიის სათავესთან. კლდე მომტვრეულია. **მ.კოტკაცილი** "მომტვრეული".

ოლაკაციე – ერქვა ტყეს საკუტალიოში. **ლაკაცია** "აკაცია"

ომარდიაშ გა – ბორცვი დარჩაღალის მარცხ. მხარეს.

ომენჯე – სახნავი საკუტალიოსა და საქირიოს შუა. **მენჯი** "გეძა".

ონტყოლე/ონტყოლეში "ტლაპო, საფლობი" – ფერდობი ურთის მთაზე, აბასთუმნის საზღვართან. წყალი გამოდის ფაქარიაში.

ოღუე/სიბიშ წყარი – წყარო, დარჩაღალის მარჯვ. შენაკადი. ოღუე "საბუე"; სიბი (← სილიბისტრო).

ოჩუალი – ჩახეგება ფაქარიის სათავესთან. **ჩუალა** "დამალვა, დაცვა"; შდრ.: **რჩუალა** "ძარცვა".

ოცხიშურონი "რცხილნარი" – ერქვა ტყეს სალატარ(ა)იოში.

ოჭადე – სახნავი საკუტალიოსა და საქირიოს შუა. ჭადი (მცენარეა) ითესებოდა. ჭადიო სოკოს სახელიცაა.

ოჯამპე/ჯამპიში – სახნავი, ფერდობი ურთის კალთაზე, უინკორცხოს თავზე. ჯამპი "თუთა" (ხე).

პალოტი – ტბა-ჭაობი საკუტალიოში. შდრ.: რუს. "ჭაობი".

პაპანწყუ – ტყე-ჭაობი. "ძვიძვიბა ადგილი იყო, გაუვალი ტყით". როგორც ჩანს, პაპანწყუ იგივეა, რაც პაპანწყვილი.

პეტრემ წყარი – წყარო საკუტალიოში, ჭითადიხონთან.

ჟი(ლენ)კორცხო – დავაკება ურთის კალთაზე, ფაქარიის სათავესთან. ამის ზემოთაა: ჯუბე, ჯამშიში, ტურაშ ნო¹უნი, ჩიტნორა.

რეჭერობაია – ხევი ურთის კალთაზე, ფაქარიის სათავესთან. რეჭე "წვრილქვიანი ადგილი".**რობაია** "მცირე ხევი".

რეჭონა – ფერდობი ურთის კალთაზე.

საკოდუო – უბანი დარჩაღალის მარჯვ. ნაპირზე.

საკუტალიო – უბანი დარჩაღალის სათავესთან, კორცხოში, რკინიგზის გაყოლებაზე.

სალატარ(ა)იო – უბანი რკინიგზის ხაზის გაყოლებაზე. ლატარიები თვლიან, რომ მათი წინაპრები სვანები იყვნენ. სხვა გადმოცემით ლატარიები სინამდვილეში არიან ლადარიები: სადღაც კაცი მოუკლავთ და გამოქცეულან, თან მიქამგარიოს ხატი წამოუღიათ და აქ ბუკიებს მინდობიან.

ტურაშ ნო¹უნი – საძოვარი ჟინკორცხოს თავზე. ტურა(ვა) გვარია.

ფაქარია – ღელე, კინჩხურის მარჯვ. შენაკადი. **ფაქარი** მიწაა ერთგვარი., მსუბუქი და ადვილად დასამუშავებელი.

ქოლო – წყარო, ფაქარიის სათავე. **ქოლო** კოდია, ხისა ან თიხისა. დგამდნენ წყაროში ან ჭაში.

ჩიტნორა – დავაკება ტურაშ ნო¹უნთან.

ძაკუაღალ – ღელე, მოედინება ოღუემის ხეში. ძაკუა კაცის სახელია.

ჭვიტნორა – სახნავი. იგივე ჭვიტრონა.

ჭვიტრონა//ჭვიტნორა – სახნავი ქოლოს თავზე. ამოსავალია სიტყვა ჭვიტლური (ვაზის ჯიშია). მაშასადამე: ჭვიტლურონა → ჭვიტრონა (ჰაპლოლოგიით) → ჭვიტნორა (ბგერათა გადანაცვლებით).

ჭითადიხონი (← ჭითა დიხა "წითელი მიწა") – სახნავი საკუტალიოში.

ხონილი "მოხნული" – დავაკება ფაქარიის ზემოთ, მთის კალთაზე.

ჯამშიში – სახნავი. იგივე ოჯამპე.

ჯიბადური – სახნავები ოჩხომურის მარცხ. მხარეს. აქ გადის დარჩაღალი და მერე ერთვის ოჩხომურს.

ჯუბე – დავაკება ვაჩიონსა და ონტყოლუს შუა, ურთის მთის კალთაზე (ესაზღვრება სოფ. აბასთუმანს). შესაძლებელია: **დუბე** "ჩავარდნილი ადგილი" → **ჯუბე** (აფრიკატიზაციით).

ნოჩხონი

ნოჩხონი – სოფელი ხეთის თემის საკრებულოში, ოდიშის დაბლობზე, ოჩხომურის მარცხ. მხარეს. ზ.დ. 25 მ. ხობიდან 8 კმ, რკინიგზის სადგურიდან 2 კმ. ესაზღვრება: აღმ-ით – წინაგოლა, დას-ით – თორსა და ლარჩვა, სამხრ-ით თორსა, ჩრდ-ით ლარჩვა. სახელწოდების თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ნო-ჯიხ-ონ-ი "ნაციხარი", შემდეგი ფონეტიკური პროცესები ასე წარიმართა: ნოჯიხონი → ნოჯ-ხონი (-ი ხმოვნის დაკარგვა პრეფიქსის დართვის შედეგად) → ნოჩხონი (მჟღერი ბგერის გადაქცევა ყრუ ბგერად).

1930 წლისათვის სოფელი "საბუკიო-ნოჩხონი" შედიოდა ხეთის სას. საბჭოში 198 კომლით (841 სული). 1987 წელს კი ხეთის სას. საბჭოში შედის სოფ. ნოჩხონი. ამ სოფელში 1991 წელს ცხოვრობდა 45 გვარის 135 კომლი (462 სული). მრავალკომლიანი გვარებია: ტურავა – 40 კ. (48 სული), ბუკია – 24 კ. (105 სული), ნარსია 9 კ. (50 სული).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1991 წლის სექტემბერში. ინფორმატორები იყვნენ:

ტურავა დურუ ჩაქის ძე, 60 წ.

ტურავა მირიან გიორგის ძე, 63 წ.
ტურავა მურთაზ დავითის ძე, 42 წ.

ბაკვადალ – ღელე. საზღვარი წინაგოლასთან.

ნაწისქვილუ – მინდორი ოჩხომურის მარცხ. მხარეს.

ნიკოშ ნა'ვანუ – სახნავი ოჩხომურის მარცხ. ნაპირზე.

რგვალი – სახნავი ოჩხომურის მარჯვ. მხარეს. სახნავი მრგვალი ფორმისაა.

საპერტიო//ჩიხი – უბანი ბაკვადალის მარჯვ. მხარეს, სადაც უწინ რკინიგზის ჩიხი იყო.

სარაშ ნა'ვან – სახნავი ჭვირთან.

სატურაო – უბანი ოჩხომურის მარცხ. ნაპირზე, სოფლის ცენტრ. გზაზე. ტურავებს სჯერათ, რომ ლაზები არიან.

სახურცულა – სახნავები ოჩხომურის მარჯვ. მხარეს. ესახლნენ ხურცულავეები.

ფარნაშ ნოხორი – სახნავი ოჩხომურის მარცხ. მხარეს.

ჩიხი – უბანი. იგივე საპერტიო.

ჭვირი – ერქვა სახნავებს ბაკვადალის მარჯვ. მხარეს. ტყე გაუკაფავთ და ნაკაფი დაუწვავთ. ამიტომ დარქმევია ჭვირი "დამწვარი".

ჯგეშ ოჩხომური – ნამდინარევი, ოჩხომურის კალაპოტი იყო არხში მის გადაგდებამდე.

ჯიბადური – ერქვა მინდორს ბაკვადალის მარჯვ. მხარეს, საავტ. გზის სამხრ.-დას-ით.

ოხვამეკარი

ოხვამეკარი – სოფელი ხეთის თემის საკრებულოში ურთის მთის ძირას. ზ.დ. 80 მ. ხობიდან 8 კმ., ხეთის რკინიგზის სადგურიდან 2 კმ. ესაზღვრება: აღმ-ით – ბულიწყუ (საკობახიოს უბანი), დას-ით – ლარჩვა, სამხრ-ით – წინაგოლა, ჩრდ-ით – მთა ურთა და სოფ. აბასთუმანი.

ოხვამეკარი "ეკლესიისკარი" თავდაპირველად ეწოდებოდა და დღესაც ეწოდება უბანს მაღლობზე, ოხარჩალაიასა და ნაისებუს შუა, სადაც დგას მიქამგარიოს ეკლესია. იგი 1885 წელს აუშენებიათ იონა მეუნარგიასა და იპო ვართაგავას თაოსნობით. მანამდე მდგარა ხის პატარა ეკლესია).

სოფელი ოხვამეკარი საქართველოს პირველ ადმ.-ტერიტ. დაყოფის წიგნში არ ჩანს (ტფ. 1930). არაა გამორიცხული, "ოხვამეკარი" იყოს "ოხვამე", რაც ბულიწყუსთნ ერთდ ქმნიდა სოფ. ბულიწყუ-ოხვამეს, ხეთის სასოფლო საბჭოში შედიოდა.

1991 წელს სოფ. ოხვამეკარში ცხოვრობდა 42 გვარის 135 კომლი (462 სული). კომლმრავალი გვარებია: ესებუა – 32 კ. (64 სული), ბუკია – 31 კ. (60 სული), ჭითანავა – 29 კ. (81 სული), გაბისონია – 28 კ., გაბრავა – 18 კ. (83 სული), ტურავა – 9 კ. (27 სული).

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს 1984 წელს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ (გურამ გრიგოლის ძე გაბრავასა და ლიზა ადამის ას ლატარიასაგან) და პ. ცხადიამ 1991 წელს. მისი ინფორმატორები იყვნენ:

გაბისონია შუხუზი მიხეილის ძე, 61 წ.

გაბრავა გურამ გრიგოლის ძე, 53 წ.

გაბრავა დუღუნი თეუფანეს ძე, 58 წ.

გაბრავა შალიკო ესტატეს ძე, 74 წ.

ლატარია ომეს ალექსანდრეს ძე, 66 წ.

ლატარია ტერენტი ერისტუს ძე, 79 წ.

ჭითანავა ავთანდილ სამსონის ძე, 85 წ.

ჭითანავა ზაურ ალექსანდრეს ძე, 54 წ.

ჭითანავა ზინა ნიკოს ას., 85 წ.

ბაძიაშ ნაკარუ – დავაკება მთა ურთაზე. ბაძია ქალის სახელია.

ბერკიაშ ნაშენი – მინდორი ნაისებუსა და ოხარჩალაიას შორის.

გვიტიშ განი – ფერდობი ღალპიჯში.

გოჩაშ რობუ – ხევი გამოქვაბულებით. ჩამოჰყვება ურთის კალთებს.

ვალკოშ ნაკარუ – მინდორი საჭითანოში.

ვაჩიონი – მინდორი ურთის კალთაზე.

ლაკადა – ფერდობები, ურთის მთისძირები.

ლოლხემ წყურგილი – ნაკადული, ნაისებუს შენაკადი.
ლოლხე – ლოლუა (გამოთხოვილი ქალი).

მიკიანწყუ – წყარო ურთის მთაზე, დაბალ ადგილზე. "მიკიანია, ანუ იქითური, ხევის პირასაა". **მიკე** "მიღმა, იქით"; **მიკეანი** "იქითური, მიღმური" → მიკიანი.

მიკიანწყუშღალ – ღელე, საზღვარი სოფ. ბულიწყუსთან..

მიქამგარიო – ეკლესია ბორცვის თავზე, ურთის მთის ძირას აუშენებიათ პაპანწყვირის ქვით 1885 წელს იონა მეუნარვიასა და იპო ვართაგავას თაოსნობით. მანამდე აქ ხის ეკლესია მდგარა. მიქამგარიო ← მიქელ-გაბრიელი. ინფ.: "ხეთაშ მიქამგარიოს რდ, საქონელიშ ოხვამური. საქონელქ, გემრავლას,ნი, თიშენი იხვამანდეს თექ".

ნაკობ – ფერდობი საჭითანოში. "სამამულო ომის დროს სანგარი (რუს.) იყო გათხრილი".

ნაბერუ – ურთის მწვერვალი ღელოძგის თავზე.

ნაესებუ – წყარო. იგივე ნაისებუ.

ნაისებუ/ნაესებუ – წყარო-ნაკადული ურთის მთის ძირას. გამოედინება გამოქვაბულიდან. გამოყვანილია ოჯახებში. ესებუა გვარია: ესებუა → ნაესებუ → ნაისებუ.

ნასქალუ "ნაფუტკრალი" – კლდე ურთის კალთაზე, ქარიონიშ რობუში.

ოღებე – წყარო საჭითანოში, ოულუეს ქვემო წელი.
ღები – რბილი შავი მიწა, რომელსაც იყენებენ ქსოვილის შესაღებად.

ომენჯია – დაფერდება ოხარჩალაის ხეობაში. **მენჯი** "ვეძა" → ომენჯეა → ომენჯია.

ოუღუე "საუღლე" – ხევი, ჩამოდის მთა ურთიდან და გაივლის კორცხოსა და საჭითანოს შუა. "აქ იყო ტყე, სადაც იჭრებოდა ხე უღლის გამოსათლელად".

ოქვაბე – გამოქვაბული ურთის კალთაზე, ნაისებუს თავზე. ქვაბი "გამოქვაბული".

ოღუემ რობუ – ხევი ურთის კალთაზე.

ოხარჩალაია "ჩხრიალა; მოჩხრიალე" – წყარო, ბაკვადალის მარჯვ. მდგენელი (მარცხ. მდგენელია ნაისებუ), იწყება მიქამგარიოში.

ოხვამეკარი – უბანი ნაისებუსა და ოხარჩალაიას შორის. აქ იდგა მიქამგარიოს ეკლესია.

ოხვამეშ წყურგილე – წყარო მიქამგარიოსთან.

საგაბრაო//ღალპიჯი – უბანი ნაისებუს მარცხ. მხარეს. გაბრავები ცხოვრობენ. გადმოცემით, ისინი აფხაზეთიდან არიან გადმოსულნი. **ღალპიჯი** "ღელისპირი".

საჭითანო – უბანი ოხარჩალაიის მარჯვ. მხარეს, ლარჩვის საზღვართან.

ტურაშ'უჯი – კარსტული ჭა ურთის კალთაზე. **ტურაშ-უჯი** "ტურისყური" გადატანით აღნიშნავს კარსტულ ჭას.

ფართო მინდორი – მინდორი ღელოძგას გვერდით.

ქარიონიშ რობუ – ხევი ურთის კალთაზე.

ღელოძგა "ღელისპირი" – ფერდობი ურთის კალთაზე.

შქაკიდა "შუა კედელი" – თარო-დავაკება ურთის კალთაზე, საჭითანოს თავზე.

ჩხოროწყუ – წყაროები მთა ურთის კალთაზე, გოჩაშ რობუს თავზე. "ბევრ ადგილას გამოდის წყალი და ალბათ ამიტომ დაურქმევიათ ჩხოროწყუ".

ბაკვადალად – ღელე, ოლებეწყარის მარჯვ. შენაკადი. მოედინება კორცხოდან.

ხვიმაშჯინჯი "ხურმისძირი" – საჩრდილობელი ხე, შესასვენებელი გზისპირას. ხურმა გახმა, დარგეს კოპიტი, მაინც ხურმისძირს უწოდებენ.

წინაგოლა

წინაგოლა – სოფელი ხეთის თემის საკრებულოში, მუნჩიის მარჯვ. ნაპირზე. ზ.დ. 20 მ. სობიდან 9 კმ. ხეთის რკინიგზის სადგურიდან 3 კმ. აღმ-ით ესაზღვრება ბული-წყუ, დას-ით – ნოჩხონი, ჩრდ-ით – ოხვამეკარი. წინაგოლა ნიშნავს "წმინდა მთას", თუმცა კი სოფელში მთა, გორა აღარსადაა. მაგრამ ამ სოფელსა და მთა ურთას შორის არის ოხვამეკარი – სოფელი გორაზე. ალბათ მას ერქვა წინაგოლა (ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში წინაგოლა განმარტებულია როგორც "წინა მთა". მაგრამ, მეგრულის ლექსიკურ ფონდში არ მოიპოვება ზედსართავი "წინა").

საქართველოს პირველ აღმ-ტერიტ. დაყოფის ცნობარში (ტფ., 1930) სოფელი წინაგოლა არ ჩანს. ამ ცნობარის ბოლო გამოცემაში (1987 წ.) ხეთის სას. საბჭოში შედის სოფ. წინაგოლა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა უბნად მიიჩნევს. 1991 წელს სოფ. წინაგოლაში ცხოვრობდა 33 გვარის 196 კომლი (707 სული). მათგან ყველაზე მრავალკომლიანია: ბუკია – 130 კომლი (487 სული). სხვა გვართაგან ჭითანავა წარმოდგენილია 9 კომლით, ხოლო ვართაგავა – 6 კომლით, დანარჩენი გვარები კი – თითო-ორიოლა ოჯახით.

ტოპონიმური მასალა ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ 1984 წელს. მათი ინფორმატორები იყვნენ:

ბუკია აკაკი ბეგლარის ძე, 62 წ.

ბუკია ბონდო ბეგლარის ძე, 41 წ.

ბუკია გოგი მამიას ძე, 23 წ.

ბუკია ვარლამ ლონგინოზის ძე, 55 წ.

კეკუტია ინდიკო სამსონის ძე, 56 წ.

მასალა დააზუსტა და შეავსო პ. ცხადაიამ 1991 წელს. ინფორმატორები იყვნენ:

არახამია გოგი ძაგვას ძე, 28 წ.
მუკია ავთანდილ ეგნატეს ძე, 61 წ.
ბუკია ენვერი სამსონის ძე, 47 წ.
ბუკია თენგიზ ხუშუტის ძე, 22 წ.
ბუკია კოტე ანდროს ძე, 69 წ.
ბუკია ლერი სვიმონის ძე, 56 წ.
ბუკია სერაპიონ იონას ძე, 76 წ.
ვართაგავა მიხეილ იონას ძე, 76 წ.
შელია შოთა ლევანის ძე, 78 წ.

ახალმუნჩია//ჭითაწყარიშ არხი – არხი, რომელშიც ჩაუშვეს მდ. მუნჩიის წყალი. ერთ მონაკვეთში მიჰყვება ჭითაწყარს (იხ.).

ბათლომეშ დაღ – დღე. ჭითაწყარის მონაკვეთი.

ბაკვადაღ//ბაკურაშდაღ – დღე. იწყება ოხვამეკარში. ერთოდა სურჩეს. ამჟამად ერთვის არხ ოჩხომურს მარცხ. მხრიდან. საზღვარი სოფ. ნოჩხონთან. სახელწოდებას უკავშირებენ ტყვეთა მსყიდველ თურქებთან მებრძოლ ბაკურა ბუკიას სახელს. ბაკვა ბაკურის შემოკლებულ-მოფერებითი ვარიანტი ჩანს.

ბახვაშ ნაკაკა – ტყე. იგივე ნაკაკა.

ბიტუმ ონტყოლ "ბიტუს ტლაპო" – ტლაპო, დღე დაღჩის მარცხ. შენაკადი.

გაკებული "შემოკავებული" – სახნავი მუნჩიის მარჯვ. მხარეს.

გაიოზიშ დიხა – საძოვარი ჭითაწყარის მარჯვ. ნაპირზე.

განაცუღუ – სახნავი სურჩეს მარჯვ. მხარეს, ჭვირის გვერდით. "დაუთესავთ და გაცუღებულა".

გერგაიხეშ ნოხორი – სახნავი მუნჩიის მარჯვ. მხარეს. **გერგაიხე** – გამოთხოვილი ქალი, გვარად გერგაია.

გვადაშ ნაფაცხუ – სახნავი მუნჩიის მარჯვ. მხარეს. აქ გვადას ჰქონია ფაცხა "ნალია".

გინოსოფილი//მუნჩიაშ გინასოფა – მუნჩიის ტოტი. **გინოსოფილი** "გარღვეული" და **გინასოფა** "განარღვევი" ზოგადად მდინარის ტოტის სახელია.

გოროკილი – მორევი ჯვეშ მუნჩიაზე. **გოროკუა** – როკის გაღება. აქ დელეზე გაღებული იყო როკი – გამხმარი ხე.

დინაგუძბა – 1. ვაკე-ბორცვი სურჩეს მარცხ. მხარეს. სიმაღლე 5 მ., ფართობი 1500 კვმ. 2. ტყე ოტორონჯესა და ფორზღვინდს შორის.

ესტატეშ ნა'ვან(უ)//ესტატეშ ნო'უნი – ტყე მუნჩიის მარცხ. ნაპირზე, ოტორონჯეში.

ესტატეშ ნო'უნი – ტყე. იგივე ესტატეშ ნა'ვან(უ).

ვანოშ ნაკარუ – მინდორი მუნჩიის მარცხ. ნაპირზე.

თოლისქური – დელე. იწყება კარლო ბუკიას სახლის უკან, მიედინება მუნჩიის პარალელურად და ერთვის ღაღჩას, ღაღჩა კი ოჩხომურის მარჯვ. შენაკადია.

კირლეშ სხულეფი "კირლეს მსხლეები" – ერქვა მინდორს მუნჩიის მარჯვ. ნაპირზე. კირლე ← კირილე.

მაქიაშ ნა'ვან – სახნავი ჯვეშ ოჩხომურის ნაპირას. მაქია კაცის სახელია.

მირდიაშ ნასქალ – სახნავი ნაორსუს გვერდით. მირდია პირსახელია. **ნასქალ** – ნაფუტკრალი.

მუნჩიაშ გინასოფა – მუნჩიის ტოტი. იგივე გინოსოფილი.

ნაზაოლ – მინდორი ბაკვაღაღის ნაპირზე.

ნაზონა "ნაზენი" – გზის მონაკვეთი ჯვეშ ოჩხომურის მარცხ. მხარეს.

ნათაბარზენი – სახნავები. იგივე ნოთაბარზენი.

ნაისირ – დელე, ჯვეშ მუნჩიის მარჯვ. შენაკადი.

ნაკაკა//ბახვაშ ნაკაკა – ტყე ჭვირში, სურჩეს მარჯვ. ნაპირზე. ბახვა ბუკიას აქ მწყემსის სადგომი ჰქონია და ტყე მოუახოებია. **კაკუა** – ხეებისათვის ძირში ქერქის შემოცლა. გამხმარ ხეებს ძირში გადაჭრიდნენ და შემდეგ ძირსაც ამოძირკვავდნენ. **კაკუა** → **ნაკაკა**.

ნაკანტორ(უ) – ერქვა ტყეს ჯვეშ მუნჩიის მარცხ. მხარეს.

ნამანდარინ – სახნავი. იგივე ომანდარინე.

ნაორსუ – მინდორი სოფლის ბოლოში, სადაც უწინ ორსის (–) მაღაზია იდგა.

ნაფირმუ – მინდორი მუნჩიის მარჯვ. მხარეს, სადაც იდგა კოლმეურნეობია საქონელი.

ნალაჩუ – საკარმიდამოები ღაღჩის მარცხ. მხარეს, სადაც უწინ ღაღჩა გადიოდა.

ნაწისქვილ – მინდორი ბაკვაღალის ნაპირზე.

ნოეშ ნა'ვან – სახნავი ჯვეშ ოჩხომურის ნაპირას.

ნოთაბარზენი//ნათაბარზენი – სახნავები ჯვეშ მუნჩიასა და ჭითაწყარს შუა. უწინ ყოფილა ფართო მინდორი. როგორც ჩანს: თაბარზი//დაბარზი ← დარბაზი, რაც, შესაძლოა, მეტაფორულად ვრცელ ადგილს აღნიშნავდა.

ოგანე – მუნჩიის ტოტი, ღაღჩის მარცხ. შენაკადი. ტოტი განზე მიედინება.

ომანდარინე//ნამანდარინ – სახნავი მუნჩიის მარჯვ. მხარეს, სადაც 1947 წ. მანდარინი გააშენეს და გახმა.

ოტორონჯე "სამტრედო" – ქარსაფარი ზოლი მუნჩიის მარცხ. ნაპირზე, ბულიწყუს საზღვართან.

ოღორჯუე "საღორჯოე" – დეღე, ღაღჩის მარცხ. შენაკადი.

ოცალუე "სათიბი" – სათიბი ნაისირსა და მუნჩიას შუა.

პილაშ დამბა – დამბა, სათევზაო ახალ მუნჩიაზე, პილას სახლის უკან.

საესებუო – უბანი ცენტრალურ საავტ. გზაზე.

საესებუოშ დაღ – დეღე, ბათლომეშ დაღის შენაკადი.

სათავო – მორევი ჯვეშ მუნჩიაზე. იყო საწისქვილე არხის სათავე.

სალატარიო – მინდორი სურჩესა და ბაკვაღალს შუა.

სარაგო – ერქვა ტყეს ჯვეშ მუნჩიასა და ოჩხომურს შუა. უწინ ხეთის სატყეო უბანში შედიოდა. როგორც ჩანს, აქ ტყეში დგამდნენ რაგვს, ნადირის მახეს.

სოფროშ ნოხორი – მინდორი ნაორსუს გვერდით.

სურჩე – დელე, ოჩხომურის მარცხ. შენაკადი. იწყებოდა ოხვამეკარში. სურჩე ← სქურჩე ← სქური ჩე "თეთრი სქური".

ტექნიკუმიშ ნა'ვან "ტექნიკუმის ნაყანევი" – სახნავი ჯვეშ მუნჩიის მარცხ. მხარეს.

უჩა პალოტი – ტლაპო ჯვეშ მუნჩიის მარცხ. მხარეს. პალოტი ← რუს.

ფართო მინდორი – მინდორი ბაკვადალის ნაპირას, ნოჩხონის საზღვართან.

ფორზღვინდე – დელე, მუნჩიის მარცხ. ტოტი სოფ. ბულიწყუში. იწყება სოფლის ბოლოში და 4 კმ-ს შემდეგ ისევ მუნჩიას ერთვის.

ღალ(უ)ჩა – დელე. გადიოდა თოლსქურსა და სურჩეს შუა და ერთოდა ჯვეშ ოჩხომურს მარცხ. მხრიდან.

ღუკა – ტყე-საძოვრები ოჩხომურსა და მუნჩიას შუა.

შქაშ ნაწისქვილ – ერქვა სათიბს მუნჩიის ნაპირას.

ჩაკასკური/ჩეკასკური – ერქვა ტბა-ჭაობსა და ტყეს მის ირგვლივ, ჭითაწყარსა და თოლსკურს შუა. გაკაფეს და დასახლდნენ.

ჩაკასკურიშ ღალ – დელე, ერთოდა ოჩხომურს.

ჩეკასკური – ტბა-ჭაობი. იგივე ჩაკასკური.

ჩიხი – საკარმიდამოები ჯიბადურში "იყო ჩიხი და ხეტყის საწყობი. აქედან გადიოდა ტყეში "კუკუშკა".

ჭვირი "ღამწვარი" – მინდორი ჭვირიშ ღალის ნაპირას.

ჭვირიშ ღალ – დელე. ღალჩის ზემო წელი.

ჭითა მინდორი – მინდორი ჭითაწყარის ნაპირზე.

ჭითაწყარი – დელე. ერთოდა თოლსქურს. ამ დელეს გაჰყვა არხი ახალმუნჩია//ჭითაწყარიშ არხი.

ჭითაწყარიშ არხი – არხი. იგივე ახალმუნჩია.

ჯვეშ ნაწისქვილ – სახნავი ჯვეშ მუნჩიის მარჯვ. მხარეს.

ჯონდიშ ნაწისქვილ – საძოვარი მუნჩიის ნაპირას.

ხეთა-საქირიო

ხეთა-საქირიო – სოფელი ხეთის თემის საკრებულოში, ურთის მთის კალთაზე. ესაზღვრება ხამისქურის თემში შემავალი სოფელი საქირიო. აგრეთვე: ღარჩვა – აღმ-ით, ნოჩხონი – სამხრ-ით, ურთის მთა – ჩრდ-ით. უწინ ერქვა პირველი საქირიო. სახელწოდება საქირიო, როგორც ენობრივი სტრუქტურა, გულისხმობს ქირიების დასახლებას.

ქსე-ში (ტ. 11) ვკითხულობთ: "**ხეთა** – სოფელი ხობის რ-ნში (ხეთის სოფ. საბჭო), ურთის მთის სამხრ.-დას. კალთის ძირას. რკინიგზის სადგური. ზ.დ. 50 მ. ხობიდან 8 კმ... სოფლის მახლობლად შემორჩენილია ძვ. ციხესიმაგრის "ჯიხის" (შუა საუკ.) ნანგრევები".

ხეთის სასოფლო საბჭოს მიერ წარმოდგენილი ცნობის თანახმად, ხეთა-საქირიოში 1991 წელს ცხოვრობდა 78 გვარის 222 კომლი (735 სული). კომლმრავალი გვარებია: ქირია – 38 კ. (135 სული), ბაძაღუა – 15 კ. (50 სული), კანკია – 12კ. (45 სული), გადელია – 8 კ. (25 სული), ჭითანავა – 7 კ. (25 სული), მურღულია – 6 კ. (23 სული), ბარქაია – 5 კ. (14 სული).

ტოპონიმური მასალა 1984 წელს ჩაიწერეს ვ. ჯოჯუამ და დ. შონიამ, ხოლო 1991 წელს – პ. ცხადაიამ. ინფორმატორები იყვნენ 1984 წელს:

აბაკელია აკაკი (იტო) სანდროს ძე, 74 წ.

სართანია გიორგი (გვეგვე) მაქსიმეს ძე, 87 წ.

სართანია დავით გიორგის ძე, 53 წ.

1991 წელს:

გადელია ხარიტონ აბრამის ძე, 65 წ.

ქირია ილია დიანოზის ძე, 68 წ.
ფიფია ვალერიან მაქსიმეს ძე, 80 წ.

ბერიშ მითნახუნა "ბერის ნაჯდომი" – გამოქვაბული კლდეზე ჯეგეთის ქვემოთ. 7 მ. სიმაღლეზეა და ხელოვნურს ჰგავს. საზიარო ხამისკურის საქიროსთან.

გვასალიაშ ნანთხორა "გვასალიას ნათხარი" – არხი, ხამისქურის მარჯვ. შენაკადი.

გუდუშ ნაკარუ – ერქვა ტყეს ნაკვაროსთან

გურკონე – დეღე, სახლვარი ხამისკურის საქიროსთან. ჩამოედინება ურთის მთის კალთებიდან.

ზდილონი – ბუჩქნარი ოლაჭაჭიეს ხეობაში. ზდილი ჯაგრცხილაა.

ივანიაშ ნაკარუ – ტყე საკვაროსთან. ივანია კაცის სახელია.

კიხონწკირი//ლასარი – პიტალო კლდე ურთის მთის კალთაზე, ჯეგეთის ქვემოთ. კიხონწკირი ← კინოხონწკირი "შიღმა მდებარე წკირი". წკირი მცენარეა.

ლასარი "პიტალო კლდე" – კლდე. იგივე კიხონწკირი

მაგანა – სახნავები ხამისკურის მარცხ. მხარეს, შხერულსა და პაპანწყვირიშ დაღუს შუა.

მორძგვიდართუ "მარჯვნივ მოსაბრუნი" – გზის მონაკვეთი ურთის მთაზე. წმინდა გიორგის ეკლესიიდან გზა ჩამოდის საკვარომდე.

ნაერქუ – ხევი და ფერდობები ურთას მთის კალთაზე. ირქი "იფქლი" (ხორბლის ჯიშია).

ნაორტვინუ "ნაბოსტნი" – დავაკება შხერულის მარჯვ. მხარეს.

ნაფოხუ – ფერდობი ფშხერულის მარცხ. მხარეს. **ფოხვი** – წაქცევამდე მისული ქოხია.

ნაჭითან – დავაკება ნაერქუსა და პაპანწყვერს შუა. გადმოცემით, აქ ჭითანავები სახლებულან და გამწყდარან.

ობუკე – კლდე-ფერდობები ფშხერულის მარჯვ. ნაპირზე. **ბუკი** – 1. შუაცეცხლის კუნძი ან ამ კუნძის თავის

დასადები ქვა, ე.ი. კერია; 2. ფუტკრის სკა – შუა გაპობილი და გულამოდებული მორი, ფუტკრის დასაბუდებელი.

ოკარკალაია "რაკრაკა; კამკამა" – წყარო, სახალიკოს სათავე, ჯეგეთის ეკლესიასთან.

ონტყოლ(უ) "სატოპელა" – ხევი ურთის კალთაზე, შხერულის სათავესთან.

ორტვინია "პატარა ბოსტანი" – მინდორი კიხონწკირის ქვემოთ. ორტვინი "ბოსტანი". შდრ. ქართ. მტილი.

ოლაჭაჭიე "საკიბორჩხლე" – დელე, შხერულის მარჯვ. შენაკადი.

ოცარცე "საცარცე" – ფერდობი ჩხერულისა და სახალიკოს სათავეებს შორის.

ოხვამეფერდი – ფერდობები შხერულის სათავესთან.

პავილიონი – დასასვენებელი სახლი და მისი გარემო ურთის მთის კალთაზე, პიწყაწყუსთან.

პაპანწყვირი – ტბა ურთის მთის ძირას. ჩანარღვევი ტბა. წყვირი ნიშნავს ჩანარღვევს, ჩაძირულს. **პაპანწყვირი**: 1. ტალახიანი გზა, ძნელი გასავლელი; 2. ღრმა ორმოში ჩამდგარი წყალი, მცირე ტბა, საშიში და სახიფათო, ძნელად გასავლელი.

პაპანწყვირიშ დალ – დელე. გამოედინება პაპანწყვირიდან, ერთვის ხამისკურს და მერე ეწოდება ოჩხომური.

პეტრეიაშ წყურგილი – წყარო, გურკონეს ერთ-ერთი სათავე.

პიწყაწყუ – წყარო-ვოკლუზი ნაერქუს მარჯვ. ნაპირას.

საგადელიო-საკანგიო – უბანი ფშხერულის სათავის ორივე მხარეს. ამ ორი გვარის წინაპრები ერთად მოსულან კიწიიდან (მარტვილის რ.) და მათი შთამომავლებიც დღემდე ერთ უბნად ცხოვრობენ.

საკვარო – მინდორი ურთის მთაზე, ჯეგეთის ქვემოთ. ლოცვის შემდეგ მობრუნებულნი აქ ათევდნენ ღამეს, შეჭამდნენ "ნახვამა კვარს" ("შელოცვილ კვერს"), იმართებოდა სმა და თამაშობანი.

სხულონი "მსხალნარი" – ტყე ონტეოლუს მარჯვ. მხარეს.

ფოქვა – კლდე შხერულის მარცხ. მხარეს. უწინ კლდეში ერთი პატარა ფოქვა "გამოქვაბული" ყოფილა.

(ფ)შხერული – დელე, მდ. ხამისკურის მარცხ. შენაკადი.

ქვარამგვალა "მუცლიანი მთა" – ბორცვი ჯეგეთასა და კიხონწკირს შუა. გუმბათის ფორმა აქვს, ამიტომ მიუმსგავსებიათ მუცლისათვის.

ქუაკვინორი – გადმოცემით, ასე ეწოდებოდა საქირიოს წარსულში. ამჟამად ფერდობებია ურთის კალთაზე.

შხერული – დელე, იგივე (ფ)შხერული.

ჩე ოხვამე "თეთრი ეკლესია" – ეკლესია და სასაფლაო.

წუქურო – ბუჩქნარი თორსის საზღვარზე. უწინ ტყე ჭაობები ყოფილა.

წყარიშ ინახვილაფუ "წყლის ჩასამწყვედვეი" – ტბორი ურთის მთის კალთაზე, საკვაროსა და კიხონწკირს შუა. ზაფხულობით შრება და შემოდგომიდან ისევ გუბდება წყალი.

ხამ(ი)სქური – დელე, ოჩხომურის ერთ-ერთი მდგენელი. უფრო ზუსტად: ოჩხომური ეწოდება ხამსკურის პაპანწყვირის დალთან შეერთების შემდეგ.

ხამსქურმელე "ხამისქურის გაღმა" – საძოვრები მდ. ხამისკურის მარჯვ. მხარეს.

ხეთარზენი – უბანი, ვაკე შხერულის მარცხ. ნაპირზე, რკინიგზის ხაზიდან ოხვამეკარამდე.

ჯეგეთა(ში) – ბორცვი, ურთის მთის უმაღლესი ადგილი. აქაა წმინდა გიორგის ეკლესია და ეწოდება ჯეგეთისარონი.

ჯეგეთისარ(ი)ონი – წმინდა გიორგის ეკლესია ჯეგეთაში.

ჯიხაშ წყარი – წყარო ჯიხას კედელთან.

ქ. ფოთი

ფოთი ამიერკავკასიის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი და ნავსადგურია შავი ზღვის ნაპირზე, მდ. რიონის შესართავთან. ზ.დ. 1-3 მ. თბილისიდან 312 კმ. (რკინიგზით). ესაზღვრება: ჩრდ-ით და აღმ-ით ხობის რ-ნი, სამხრ-ით პალიასტომი და კაპარჭინა.

შავ ზღვას ასურელები "ზემო ზღვას" ან "დიდ ზღვას" უწოდებდნენ. ძვ. წ. XIII-XII საუკუნეების ასურულ ლურსმულ ნაწერებში ნახსენებია შავი ზღვისპირა კოლხეთიც. მას ოდითგანვე დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკონომიკურ-კულტურული კავშირის ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული. ამ გზაზე მთავარი სანავსადგურო პუნქტი იყო ფაზისი (//ფასისი), შემდგომი დროის ფოთი.

ძვ. წ. IV ს-ის ბერძენი ავტორი ფსევდო-სკილაქს კარიანდელი თავის "პერიპლუსში" წერს: "ფაზისის მარცხენა მხარეზე მდებარეობს მილეტელების მიერ დაარსებული ქალაქი ფასისი". ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი (ძვ. წ. I ს. – ახ. წ. I ს.) აღნიშნავს: "ფაზისის პირას მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხური ემპირიონი, რომელსაც წინ უძღვის მდინარე, ტბა და ზღვა" (ტბაში, რა თქმა უნდა, იგულისხმება პალიასტომი). ფასისს ასახელებენ პროკოფი კესარელი, მენანდრე, აგათია სქოლასტიკოსი, პტოლემე და სხვ.

ძველ ბერძნულ მითოლოგიაში **ფასისი** და **კოლხეთი** იასონისა და არგონავტების მიერ ოქროს საწმისისათვის ლაშქრობას დაუკავშირდა.

მაშასადამე, მოხერხებულმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ხელი შეუწყო ფასისის გადაქცევას სავაჭრო პუნქტად და ქალაქად. აქ მთავრდებოდა ძველი საბერძნეთის, ბიზანტიისა და ყირიმის ნახევარკუნძულების სანაოსნო გზა, რო-

მელიც სურამის უღელტეხილით გადადიოდა მტკვარზე და კასპის ზღვის გავლით მიემართებოდა ახლო და შორეული არმოსავლეთის ქვეყნებისაკენ. სტრაბონი ფასისს მიიჩნევს "კოლხების საგაჭრო ქალაქად", სადაც თავს იყრიდა 70 სხვადასხვა ტომის წარმომადგენელი. აქედან გაჰქონდათ ხეტყე, ხილი, კანაფი, ცვილი, სელის ტილო, ბეწვეული, ტყავეული, ოქრო, ლითონები...

ძვ. წ. I საუკუნის დამდეგს ფასისი (//ფაზისი) ჯერ პონტოს მეფე მითრიდატ ევპატორმა დაიპყრო, ხოლო შემდეგ – რომაელთა სარდალმა პომპეუსმა. ახ.წ. II საუკუნიდან ფაზისში რომაელები გაბატონდნენ. რომის იმპერიამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის გამო ფასისი აღმოსავლეთში ექსპანსიის პლაცდარმად აქცია. 555 წელს ირანელებმა სცადეს ამ ქალაქიდან ბიზანტიელთა განდევნა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს.

ბერძნული წყაროების ცნობით, IV საუკუნეში ფასისის მახლობლად რიტორიკულ-ფილოსოფიური სკოლა-აკადემიაც კი არსებულა, სადაც განათლებას იღებდნენ კოლხებიც. ცნობილია, რომ ამ სკოლაში განათლებამიღებული ევგენიოსი კონსტანტინოპოლში ფილოსოფიის მასწავლებელი გამხდარა. აქვე მიუღია განათლება ბაკურს – ცნობილ ქართველ ფილოსოფოსს.

VII საუკუნეში ფოთი ლაზიკის მიტროპოლიტის რეზიდენცია იყო.

1578 წელს ოსმალეთმა ხელთ იგდო რიონის შესართავთან მდებარე ქალაქი და იგი ტყვეთა სყიდვა-გაყიდვის ცენტრად აქცია. რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა თურქთა ბატონობისაგან ფოთი გაათავისუფლა, 1858 წელს კი მან სანავსადგურო ქალაქის სტატუსი მიიღო. საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე წინასწარმეტყველებდა: "ფოთს დიდი როლი და კარგი სვე მოედლის მომავალში. ფოთი შეიქმნება ერთი უდიდესი და უმდიდრესი საგაჭრო ქალაქთაგანი". 1894 წელს ნიკო ნიკოლაძე ქალაქისთავად აირჩიეს. ამას მოჰყვა ფოთის აღმშენებლობა:

XX ს. პირველ ათეულში მალთაყვაზე აშენდა რკინა-ბეტონის ხიდი, გაიხსნა "კონკა" (ცხენის ტრამვაი), აშენდა ელექტროსადგური, თეატრი, დაარსდა გიმნაზია, სემინარია, სამასწავლებლო ინსტიტუტი. უფრო ადრე კი ქალაქის შემოგარენში მიწის ნაკვეთები გადაეცა გურია-სამეგრელოს უმიწაწყლო გლეხებს დასასახლებლად. ნიკო ნიკოლაძის დამსახურების აღსანიშნავად ფოთი ხალხმა "ნიკოპოლად" მონათლა (მანამდე კი "კვაკინბურგს" უწოდებდნენ ტბაჭაობებში ბაყაყთა სიმრავლის გამო).

ფოთს და ფოთელთა საქმიანობას აღწერს არქანჯელო ლამბერტი 1654 წელს ნეაპოლში დაბეჭდილ "სამეგრელოს აღწერაში". კერძოდ, იტალიელი მისიონერი აღნიშნავს: "ფაზისი ზღვას შეერთვის ორი ტოტით. ამ ტოტებს შორის არის კუნძული, რომელზედაც თურქებმა 1578 წელს ციხესიმაგრე ააგეს... დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეს ციხე დაანგრია აწინდელმა სამეგრელოს მთავარმა, რომელმაც წამოიღო იქიდან უცხოური ზარბაზანი"... ამასთანავე, ფაზისის შესართავთან "ყოველთვის ბლომად არიან მეთევზეები, რომელნიც უხვად იჭერენ ზუთხს. მდინარის ზემოდ არის კიდევ რამდენიმე კუნძული. ორივე ნაპირი მდინარისა სულ დასახლებულია. თითოეულ ოჯახს აქვს თავისი მთლიანი ხისგან გამოთლილი ნავი, რომლითაც გადიან და გამოდიან ერთი ნაპირიდან მეორეზე. ...ნავებს ხშირად ქალები მართავენ" (ლამბერტი, 1991, გვ. 159).

სახელწოდება "ფოთი" პირველად გვხვდება სომეხი ისტორიკოსის – ლევონდის (VIII ს.) თხზულებაში, სადაც ვრცლად არის აღწერილი ამ ქალაქის ადგილმდებარეობა და სამხედრო-სტრატეგიული თუ ეკონომიკური მნიშვნელობა. შუა საუკუნეებში ფოთი შავი ზღვის მნიშვნელოვანი ნავსადგური იყო.

ქართულ წყაროებში ფოთი პირველად მოიხსენიება 1074 წლით დათარიღებულ ხელნაწერში, სადაც საბერძნეთიდან სამშობლოსაკენ გამომგზავრებული გიორგი ათონელი (მთაწმინდელი) აღნიშნავს: "კეთილთა და ჰამოთა ნავი-

თა მოვიწინით ფოთს". 1474 წელს ვენეციელმა ელჩმა ამბროზიო კონტარინმა მოიარა დას. საქართველო, კერძოდ, დაათვალიერა ქ. ფოთი და დაახასიათა იგი როგორც მოზრდილი სავაჭრო პუნქტი და შესანიშნავი ნავსადგური (მიქავა, 2006). ვახუშტი ბატონიშვილისეული ლოკალიზაცია ასეთია: "სადაცა ერთვის რიონი ზღუას, აქა არს ფოთი" (ვახუშტი, 1973, გვ. 782). ვახუშტი ასახელებს პალიასტომსაც: "კუალად ფოთის სამხრით ზღვის კიდეზე არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდამ შესდის ზღუასა მდინარე ამისივე" (იქვე, გვ. 790).

მალაქია კათალიკოსის მიერ (1616-1639 წწ) შედგენილ "შეწირულების წიგნში" სხვა სოფლებთან ერთად დასახელებულია ფოთიც, რომლის მეთევზენი ლევან დადიანს შეუწირავს ეკლესიისათვის (ქსძ, III, გვ. 500-501).

თურქი ისტორიოგრაფის ქათიბ ჩელების (მე-17 ს.) კავკასიის რუკაზე რომელიც "ჯიჰან-ნუმას" ("მსოფლიოს სარკე") ერთვის, აღნიშნულია "ფოთი", თუმცა როგორც გ. ალასანია აღნიშნავს, ეს უნდა იყოს არა დღევანდელი ქალაქი ფოთი, არამედ სოფელი პატარა ფოთი, რადგანაც ეს პუნქტი აღნიშნულია ჰუსონით, რაც სოფელს (და არა ქალაქს) აღნიშნავს (ქათიბ ჩელები, 1978).

ფასისი მდ. რიონის ბერძნულ სახელწოდებად ითვლება, მაგრამ არაერთ ქართველ მეკვლევარს უცდია მისი წარმომავლობის ახსნა ქართველურ ენათა მონაცემებით. ს. ჯანაშია თვლიდა, რომ ბერძნული ფასიდი და ქართული ფოთი ერთი და იმავე ძირისაა, კერძოდ, ამოსავალია ფორმა "ფასთი". პ. ინგოროყვას აზრით, ამოსავალია "ფას-//ფს-", რაც ქართულში წყალს ნიშნავს. ფოთის თავდაპირველი სახელწოდება უნდა ყოფილიყო ფასითი, რასაც მეგრულ-ლაზურში შეესატყვისება ფოსთი (→ ფოთი), თავდაპირველი მდინარის სახელწოდება, რაც შემდეგ ფასისის შესართავთან მდებარე ქალაქზე გადავიდა. გ. მელიქიშვილი თვლის, რომ ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში ფოთი შესაძლოა ატარებდა სვანურ სახელწოდება "ფაშდ"-ს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სირიელი არაბი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე რიზკალა ჰასუნი (სირიაში დასახლებული სომეხი ვაჭრის შთამომავალი) პოემაში "მოგზაურობა კავკასიაში" წერს:

"რიონს მიაპობს ფოთის ჭალებში ერთი ხომალდი,
რომლითაც მე გზას დავდგომივარ

... აქ მოიკლაკნება რიონი.

ხეობ-ხეობით ჩაივლის და ზღვას შთაენთქმება".

(ჰასუნი, 1982, გვ. 123-125).

ტოპონიმური მასალა ჩაწერილია 1991 წ. 12 აგვისტოს პ. ცხადაიას მიერ. ინფორმატორები იყვნენ:

ანთაძე რეზო (ჟორა) ქიშვარდის ძე, 56 წ.

ბერაია სევე ოქროპორის ძე, 80 წ.

გაბუნია მამია მიხეილის ძე, 77 წ.

გეთია ჩაქა კაჭას ძე, 64 წ.

გვაჯაია ენუქი შლვას ძე, 53 წ.

დავითაია ჭიჭიკო ბიქტორის ძე, 63 წ.

დავითაია სერგო ფარნაოზის ძე, 66 წ.

დარჯანია გრიგოლ იასონის ძე, 71 წ.

კაჭარავა ავთანდილ დავითის ძე, 69 წ.

კოდუა იაკობ ილარიონის ძე, 63 წ.

კუპრეიშილი ომარ დავითის ძე, 64 წ.

ლიფონავა ავთანდილ გრიგოლის ძე, 63 წ.

ლორჩოშვილი ავთანდილ ბიქტორის ძე, 51 წ.

მელიქიძე ილარიონ ვლადიმერის ძე, 35 წ.

მიმინოშვილი გუგუშა ლუკას ძე, 68 წ.

მოწერელია ალექსანდრე ბესარიონის ძე, 81 წ.

პაჭკორია თამაზ, 35 წ.

პაიჭაძე რამაზ სერგოს ძე, 37 წ.

რუხაძე ემზარ გიორგის ძე, 42 წ.

ტყემელაშვილი ავთანდილ გრიგოლის ძე, 63.

ფარღალავა ნოე პეტრეს ძე, 65 წ.

ქართველიშვილი აველი იუსტინეს ძე, 63.

აკაკიშ ნაკარუ – ტყე ფიჩორის მარჯვ. მხარეს, კოლხეთის ნაკრძალში.

ახალსოფელი//ახალსოფლის უბანი – დასახლება გურიის უბანსა და ზღვას შუა. შეიქმნა გასული საუკუნის შუა წლებში.

ბაბაშ ნოღო – დეღე, პატარა ფიჩორის შენაკადი ეწერში, ყოფილი ჭალადიდის სატყეოს ტერიტორიაზე.

ბათარია//ბატარეა – ბორცვი ნაბადაში. აქ იდგა სამხედრო ნაწილი. შდრ. რუს.

ბაკსა – ბორცვი დიდი ფიჩორის მარჯვ. მხარეს.

ბოგვერაძის კუნძული – ტყე გურიის საზღვარზე, დედაბერას ნაპირზე. ბოგვერაძე ტყის მცველი იყო.

ბოლაზი – პალიასტომის ყურე. შდრ. თურქული ბოლაზ "სრუტე, არხი; ნაემისადგომი".

გახუნიაშ დუქანი – ერქვა დუქანს რიონისპირზე. გალექსეს:

გახუნიას დუქანიო,
უბედურად ვიცანიო,
რაც კი მქონდა, იქ დავხარჯე
დავრჩი თავისუფალიო".

გრძელი ეწერი – ტყე-საძოვარი, შემადლება ფიჩორის მარჯვ. მხარეს.

გურიის უბანი – უბანი კაპარჭინის მარჯვ. მხარეს, მალთაყვამდე, გურიიდან შემომავალ გზაზე. ცხოვრობენ გურულები.

დარდანელი – დიდი ფიჩორის მონაკვეთი. აქ მდინარე ვიწროა და სწორი. საზოგადო სახელად ქცეული ტოპონიმი დარდანელი სწორედ სწორ და ვიწრო ობიექტს აღნიშნავს (მაგ.: მდინარეს, ტყეში შეჭრილ გზას და სხვ.).

დედაბერა – მშრალი დეღე, კაპარჭინის ძველი კალაპოტი, ლანჩხუთის რ-ნის საზღვარზე, მალთაყვაში.

დიდი კუნძული//კუნძული – ქალაქის ნაწილი პატარა რიონსა და მის ჩრდ. შტოს შორის (ეს შტო ამჟამად მიწითაა ამოვსებული).

ენწერი – ტყე-სადოვრები რიონის მარჯვ. მხარეს, ყუ-
ლევაძე.

ენწრის ნოყო – დეღე, პატარა ფიჩორის შენაკადი
(შედოდა ჭალადიდის სატყეოში).

ვალკავათი – პალიასტომის ყურე.

კაპარჭინა – მდინარე, რომელიც გადიოდა პალიას-
ტომის ტბიდან და უერთდებოდა შავ ზღვას მშრალ ხიდთან.
1924 წელს 1 კმ-მდე სიგრძის არხით პირდაპირ შეუერთეს
ზღვას. ამ მონაკვეთს მალთაყვა ეწოდება.

კაჭარა – ერქვა ტყეს მალთაყვაში, გურიის საზღვარზე.

კოლუმბარი//კოლინბარი – კუნძული პალისტომის ტბა-
სა და მდ. კაპარჭინას შორის. სიგრძე 3,5-4 კმ. უწინ აქ
სამხედრო აეროდრომი ყოფილა. შდრ. **კოლომბარი** – იტა-
ლიური გვარი.

კუტოკი – ყურე, რომელიც აერთებს დიდ და პატარა
პალიასტომს. "მოხერხებული საქეიფო ადგილია, ამიტომ
დარქმევია კუტოკი".

ლაუშ ნაკარუ – სადოვარი ფიჩორის მარჯვ. მხარეს,
კოლხეთის ნაკრძალში.

მაიაკიშ უბანი – ზღვისპირა უბანი შუქურასთან. შდრ.
რუს.

მალთაყვა – დასახლება, ქალაქის სამხრ. ნაწილი, საი-
დანაც გადის ბათუმის საავტ. გზა. ინფ.: "ამბობენ, რომ
მალთაყვა ლათინურად ნიშნავს ბევრ წყალს".

მათეშ კუნძული – კუნძული რიონზე, საგოროდოში.

მამახონი – ერქვა მინდორს მალთაყვაში, ამჟამინდელ
ტყე-პარკთან.

მელიაკი – ტბისპირი. რუს. "თავთხელი".

მეშიდე კილომეტრი – ხიდი და მილიციის პოსტი
სენაკი-ფოთის გზაზე.

მშრალი ხიდი – ხიდი დედაბერას მშრალ კალაპოტზე.

ნაბადა – ერქვა ჭაობს ყულევის საზღვრიდან ფოთის
ნავსადგურამდე. ახლა აქ დასახლებაა (ჭავჭავაძის ქუჩა,
დუტუ მეგრელის ქუჩა და სხვ.). ინფ.: "ტყე იყო შავი,

როგორც ნაბადი"; "ანაკლიიდან წამოსულ კაცს აქ ნაბადი დაჰკარგვია".

ნაბადაწყარი//ნაბადკა – ერქვა მდინარეს, რომელიც ნაბადადან გადიოდა ზღვაში. **ნაბადკა** აქვე მცხოვრები რუსების მიერაა დარქმეული.

ნაბადკა – მდინარე. იგივე ნაბადაწყარი.

ნაკანტორ – მინდორი ნაბადაში.

ნაწიორა – ყურე, სადაც ნაბადაწყარი ერთოდა ზღვას. ითვლება, რომ ნაბადაწყარი და ნაწიორა ნაარხალია.

ნედა(ა)რთუ – ერქვა არხს, რომლითაც შედიოდნენ ფიჩორში და შემდეგ პალიასტომში.

ოკვატე//საკვატიო – ჭაობი ფიჩორის მარჯვ. მხარეს ნედა(ა)რთუში.

ოლუღონი "ლეღვნარი" – ერქვა ტყეს ნაბადაში, რიონის მარცხ. მხარეს.

პალიასტომი – ტბა შავი ზღვის სანაპიროზე. აკვატორი არის 1700 ჰა.

პარკისუბანი – უბანი კაპარჭინასა და რიონის ახალ კალაპოტს შორის, ქალაქის ჩრდ.-აღმ. ნაწილში.

პატარა პალიასტომი – ტბა. უერთდება დიდ პალიასტომს.

ჟოლუბი – ტყე პალიასტომის ნაპირზე.

რიონბროსი – ერქვა რიონის არხს ქალაქში.

(რ)ცქვინია – ტყე-საძოვრები პალიასტომის ნაპირზე, ფიჩორის შესართავთან. ფოთის სატყეოში.

საბეკი – საძოვარი რიონის მარცხ. მხარეს, ნაბადაში. "მცირედ ამაღლებული ადგილი იყო და ამ გზით მიერეკებოდნენ საქონელს ენწერში". საბეკი ის ადგილია, რომელიც საქონელს ამორჩეული აქვს ღვინა-შესვენებისათვის. ამ დროს მიწა იტკეპნება, იბეკნება.

საგოროდო – ტყე პალიასტომის ნაპირას. გადმოცემით, "ნიკოლაძემ არ გააჩეხინა და ქალაქისათვის გამოაყოფინა. ამბობენ, რომ ერქვა , რაც შემდეგ საგოროდოდ

იქცა". არაა გამორიცხული: გოროდი "ქალაქი" → საგოროდო "საქალაქო; ქალაქისთვის დანიშნული".

საზღვრის ნოყო – დეღე ყოფილი ჭალადიდის სატყეოს ტერიტორიაზე.

სტაროვერეფი – დასახლება მალთაყვაში, კაპარჭინის ახალი შესართავიდან მშრალ ხიდამდე. სოფ. გრიგოლეთშიც გრძელდება. ცხოვრობენ ჩამოსულან უკრაინიდან.

უჩაღალ//შავდელე – დეღე საგოროდოში, ერთვის პალიასტომს. ფაქტობრივად, არის რიონის ტოტი, რომელიც გადიოდა ტორფნარში. ამიტომ დაერქვა შავდელე.

ფართო წყალი – ტბა რიონის მარჯვ. მხარეს, ყულევის საზღვართან.

ღანჩარო – დეღე, რიონის შენაკადი ყოფილ ჭალადიდის სატყეოს ტერიტორიაზე.

შავდელე – დეღე. იგივე უჩაღალ.

ჩერპალკა – ერქვა არხს, რომელიც მიჰყვებოდა ნაბაღას. ჩერპალკა ("ხაპია") ერქვა მცურავ ექსკავატორს (ქართულად ეწოდება "მიწახაპია". მიწას პირდაპირ ბარუაზე ყრიდა" (ალექსანდრე მოწერელია, 81 წ.).

ჩქონი "კუნძული" – რიონის კუნძული შესართავთან. დაახლოებით 500 ჰა საძოვარი.

ძველი პლაჟი – პლაჟი დიდ კუნძულზე.

ხოკერა – დეღე, ფიჩორის მარცხ. შენაკადი გურიასამეგრელოს საზღვარზე.

ჯაბახა – პალიასტომის ტბის ყურე, ფიჩორის შესართავთან.

შემოკლებანი

ადგ.	– ადგილობრივი	სოფ.	– სოფელი
ადმ.	– ადმინისტრაციული	ტ.	– ტომი
ალმ.	– აღმოსავლეთი	ტერ.	– ტერიტორიული
დას.	– დასავლეთი	ტფ.	– ტფილისი
ეთნ.	– ეთნოგრაფიული	ფართ.	– ფართობი
ეტიმ.	– ეტიმოლოგია	ქ.	– ქალაქი
ე.წ.	– ეგრეთწოდებული	ჩრდ.	– ჩრდილოეთი
ვარ.	– ვარიანტი	ც.	– ცენტრი
ზ.დ.	– ზღვის დონიდან	წ.	– წელი
თბ.	– თბილისი	წწ.	– წლები
ინფ.	– ინფორმანტი	ხალხ.	– ხალხური
ისტ.	– ისტორიული		
იხ.	– იხილე		
მარცხ.	– მარცხენა		
მარჯვ.	– მარჯვენა		
რ-ნი	– რაიონი		
საკრ.	– საკრებულო		
სამკ.	– სამკურონალო		
სამხრ.	– სამხრეთი		

ლიტერატურა

აღწერის შედეგები, 2003 – საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (სოფლის მოსახლეობა), ტომი II, თბ., 2003.

ბერაძე, 1970 – თ. ბერაძე, XVII ს-ის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა: "ძეგლის მეგობარი", კრებული ოცდამეერთე, 1970.

გიულდენშტედტი, 1962 – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1962.

დაყოფა, 1930 – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, ტფილისი, 1930.

დიუბუა, 1937 –
, 1937.

ელჩობა, 1888 –
(1639-1640), 1888.

ვახუშტი, 1983 – "ქართლის ცხოვრება", ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.

კასტელი, 1976 – კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ, თბ., 1976.

ლამბერტი, 1991 – არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1991.

მაკარი ანტიოქიელი, 1982 – მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ: "არმაღანი", აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბ., 1982.

მეუნარგია, 1939 – იონა მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს, თბ., 1939.

მიქავა, 2006 – ა. მიქავა, ფოთი: "რაეო", №№ 4-5, 2006.

ქათიფ ჩელები, 1970 – ქათიფ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებლები დაურთი გიული ალასანიამ: საქართველოს ისტორიის უცნობი წყაროები, VII, თბ., 1970.

ქირია, 2004 – ზ. ქირია, სოფელ ყულევის ისტორიიდან: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VI, თბ., 2004.

ქსძ, III – ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX ს.ს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.

ჭითანავა, 2002 – დ. ჭითანავა, ყულიშკარის ეტიმოლოგიისათვის: ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, IV, თბ., 2002.

ხობის მონასტერი, 2000 – ხობის მონასტერი, შემდგენლები ანზორ სიჭინავა და გოგიტა ჩიტაია, ხობი-თბილისი, 2000.

ჯიხა – ციხესიმაგრე მდ. ხამ(ი)სკურის მარჯვ. მხარეს, ხამისკურის საქირიოს საზღვარზე. გადმოცემით, ეს ციხესიმაგრე ომარ-ფაშას დროინდელია. სინამდვილეში კი იგი უფრო ადრინდელია. ვახუშტი ბატონიშვილი მას მოიხსენიებს როგორც "ხეთის ციხეს".

ჰანი, 1908 – . . . ,
: . . . , 1908, . . . 40.

ჰასუნი, 1982 – რიზკალა ჰასუნი, მოგზაურობა კავკასიაში: "არმაღანი", აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბ., 1982.

..., 1893 –

, 1893

1886 .

შინაარსი

წინასიტყვაობა -----	5
სობის რაიონი -----	8
ქ. სობი -----	18
სობის მონასტერი -----	21
ახალსოფლის თემის საკრებულო -----	24
ახალხიბულის თემის საკრებულო -----	34
ბიის თემის საკრებულო -----	52
ბულიწყუს თემის საკრებულო -----	72
გურიფულის თემის საკრებულო -----	92
ზემო ქვალონის თემის საკრებულო -----	101
თორსა-დღვაბის თემის საკრებულო -----	111
ნოჯიხევის თემის საკრებულო -----	124
პატარა ფოთის სოფლის საკრებულო -----	135
პირველი ხორგის სოფლის საკრებულო -----	139
საგვიჩიოს სოფლის საკრებულო -----	149
საჯიჯაოს თემის საკრებულო -----	152
ქარიატის თემის საკრებულო -----	180
ქვემო ქვალონის თემის საკრებულო -----	192
ქვემო ჭალადიდის თემის საკრებულო -----	206
ყულევის სოფლის საკრებულო -----	220
შუა ხორგის თემის საკრებულო -----	227
ძველი ხიბულის სოფლის საკრებულო -----	238
ხამისკურის თემის საკრებულო -----	250
ხეთის თემის საკრებულო -----	266
ქ. ფოთი -----	286
შემოკლებანი -----	295
ლიტერატურა -----	296
სარჩევი -----	298

სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი


III (ხობის რაიონი. ქ. შოთი)

III (. . .)

კრებული გამოსაცემად მომზადდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებულ ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში

კომპიუტერზე ააწყო დოლო შონიამ

ბამოცემის საონორი ვიკა ჯოჯუა



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge;